11

მოქალაქეობა

მასწავლებლის წიგნი

ნინო კაპანაძე, ნინო ტალახაძე
თამარ ცხადაია, მზიური შავაძე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

გამომცემლობა
სიდი

მოქალაქეობა 11
მასწავლებლის წიგნი მეთერთმეტეკლასელთათვის
თბილისი, 2023
პირველი გამოცემა

ავტორები: ნინო კაპანაძე, ნინო ტალახაძე, თამარ ცხადაია, მზიური შავაძე

რედაქტორი: თეონა ბექიშვილი
ტექნიკური დიზაინერი: სოფო ტარყაშვილი

© გამომცემლობა სიდი, 2023
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა სიდი“
მისამართი: თბილისი, ნონეშვილის გამზ. 2/5/169
ტელეფონი: 599623610
ვებ-გვერდი: www.ceed.ge
ელ-ფოსტა: info@ceed.ge
ceedgeorgia@yahoo.com
https://www.facebook.com/გამომცემლობა სიდი

Citizenship 11
Student’s Book
© Ceed Publishing, 2023
all rights reserved.
2/5/169 Noneshvili Ave., Tbilisi, Georgia, 2023

ISBN 978-9941-8-5246-6

სარჩევი

სახელმძღვანელოს კონცეფცია 2

მიმართვა მასწავლებელს 4

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი სტანდარტი - საგანი მოქალაქეობა) 5

თემა 1.მეწარმეობა და ბიზნესი 9

თემა 2. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა 104

დანართები. 172

სახელმძღვანელოს კონცეფცია

ეს წიგნი წარმოადგენს მეთერთმეტე კლასის საგან მოქალაქეობის მოსწავლის სახელმძღვანელოსთან შეწყვილებულ რესურსს, რომლის მიზანია მასწავლებელს დაეხმაროს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად ორგანიზებაში. ორივე წიგნი შინაარსობრივად და მეთოდურად შესაბამისობაშია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მოსწავლის წიგნი გთავაზობთ მეთერთმეტე კლასის ორი თემის ,,მეწარმეობა და ბიზნესის“ და ,,პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურის“ კონტექსტში აგებულ გრძელვადიან მიზნებზე/სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ შუალედურ მიზნებს კომპლექსური დავალებების სახით და შესაბამის აქტივობებს.

მოსწავლის წიგნში ,,მეწარმეობა და ბიზნესის“ **თემაში** შერჩეული **საკითხები** 20 პარაგრაფად არის წარმოდგენილი, ხოლო ,,პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურის“ თემაში – 10 პარაგრაფად. პარაგრაფები 4 ქვეთავად – კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდეა დაყოფილი.

თითოეული პარაგრაფი ცხოვრებისეული სიტუაციით/ებით და მათზე მსჯელობით იწყება. ყველა ქვეთავში ერთ-ერთ ასეთ ისტორიას მინიჭებული აქვს **ძირითადი კონტექსტ-მაგალითის** ფუნქცია, რომელთან მიმართებით და შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი შესადარებელი მაგალითებით ხდება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება.

თეორიული ინფორმაცია მრავალფეროვანი ვიზუალური საშუალებებით: ფოტოებით, სქემებით, დიაგრამებით, ინფოგრაფიკითაა წარმოდგენილი, რაც აღქმას აიოლებს. მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად გამოტანილი დასკვნები, განზოგადება და შეთავაზებული ინფორმაცია ხელს უწყობს საკითხის გაგების და ცოდნათა გამთლიანების პროცესს.

მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემულია რუბრიკები, რომლებიც მათ წიგნში ორიენტირებაში დაეხმარება. წარმოდგენილი აქტივობების მთელი ნაკრები: მოდელირების სცენარები, დისკუსიები, ჯგუფური თუ ინდივიდუალური სამუშაოები დილემური ამოცანების შემცველია, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირების, განსხვავებულ პოზიციებზე დაფიქრების უნარების განვითარებას.

ტრადიციულად, ყველა ქვეთავი **შუალედური მიზნით, იგივე კომპლექსური დავალებით** იწყება და ქვეთავში გაერთიანებული პარაგრაფები ამ შუალედური მიზნის მისაღწევად საჭირო ინფორმაციას, აქტივობებს და დამატებით რესურსებს მოიცავს. კომპლექსურ დავალებებს ახლავს თვითშეფასების რუბრიკა მოსწავლისთვის (მომზადებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეების მიხედვით);

როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის წიგნში მოცემულ ორივე სავალდებულო თემაში 4 სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული 4 შუალედური მიზანი/კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი. თითოეულ მათგანს მატრიცაში აქვს გაწერილი აქტივობები. მოხერხებული მოხმარებისთვის მატრიცა თავფურცელით იწყება. მომდევნო ცხრილი ასახავს სამიზნე ცოდნას/ცოდნის სტრუქტურას,

რომელიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. მასწავლებელი თვალნათლივ ხედავს კონკრეტულ სამიზნე ცნებაზე გასასვლელად რომელ ქვეცნებას ემიზნება და რომელი ქვესაკითხი (ძირითადი კონტექსტ-მაგალითი) არის შერჩეული ფოკუსად.

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (მოლოდინების ცხრილი 1.),** სადაც დეტალურადაა გაწერილი, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** დონეს. ეს რუბრიკა მასწავლებელს თავდაპირველად საკუთარი ამოცანის გასააზრებლად და დასაგეგმად (II და III სვეტი), შემდეგ სწავლა-სწავლების მთელ პროცესზე მონიტორინგისთვის (III სვეტი) და ბოლოს, თითოეული მოსწავლის შედეგზე განმავითარებელი შეფასების მისაცემად (III და IV სვეტი) გამოადგება.

ამას მოსდევს შუალედური მიზნისთვის განკუთვნილი ორკომპონენტიანი ბლოკი **(ცხრილი 2.).** პირველი ბლოკი შუალედური მიზნის/კომპლექსური დავალების სტრუქტურას დეტალურად და თვალნათლივ წარმოგვიდგენს. ხოლო მეორე ბლოკი კომპლექსური დავალების პირობისა და მისი შესრულების რეკომენდაციებისგან შედგება. რეკომენდაციები გაწერილია დავალების შესრულების ეტაპებისა და მეორე ეტაპზე ნაბიჯებად წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ამ ნაბიჯებზე მორგებულია რესურსები თავისი აქტივობებითა და გეზისმიმცემი კითხვებით.

თემატურ მატრიცაში ყველა კომპონენტი თვალსაჩინოდ ლაგდება და მასწავლებელს პროცესის ორგანიზებას უადვილებს. ზოგიერთ აქტივობას ახლავს მცირე რეკომენაციები, რომლებიც აზუსტებს საკითხს, ან ალტერნატიულ აქტივობას გთავაზობთ.

ყველა ძირითად საკითხთან (ქვეთავთან) სამუშაოდ მატრიცის შემდეგ შემოთავაზებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა **(ცხრილი 3.),** რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის შეფასების ინდიკატორებიდან და მისი შერჩევა და გამოყენება შეგიძლიათ შემაჯამებელი დავალებებისთვის, რომლის სარეკომენდაციო პირობაც ახლავს თითოეულ რუბრიკას. რუბრიკის 4 კრიტერიუმზე გადანაწილებულია 6 ქულა, რომელსაც თავისთავად ემატება პირველი 4 ქულა (პირველ ოთხ ქულას, რომელიც დადებით შედეგს არ შეესაბამება რუბრიკა არ აღწერს).

ცხადია, თქვენ რჩებით პროცესის მთავარ წარმმართველად და თქვენი ინტერპრეტაციები სწავლებას მეტ მოქნილობას შესძენს. გაითვალისწინეთ, რომ **თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ფუნქცია მიანიჭოთ სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციას და კომპლექსური დავალების პირობაც მასზე მორგებით ჩამოაყალიბოთ.**

ინფორმაციული რესურსი უხვია, მინიშნებულია დამატებითი რესურსების ელექტრონული ბმულები, რომელთა გარეშე სასწავლო პროცესი ვეღარც წარმოგვიდგენია.

დანართებში წარმოდგენილია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების ტექსტები და სხვა დამატებითი რესურსი.

გისურვებთ წარმატებებს!

მოგესალმებით, ძვირფასო მასწავლებელო!

მეთერთმეტე კლასის საგან **„მოქალაქეობის“** მოსწავლის სახელმძღვანელოს შესაბამისი **„მასწავლებლის წიგნი“** შეიქმნა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში თქვენს მხარდასაჭერად.
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საშუალო საფეხურის მეთერთმეტე კლასში შემოთავაზებულია ორი თემა_ „მეწარმეობა და ბიზნესი“ და „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“. მასწავლებლის წიგნიც ამ თემებს ეძღვნება.
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები სკოლის წინაშე სახავს დემოკრატიული ღირებულებებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდის ამოცანას. ასეთი მოქალაქე კი უპირობოდ უნდა ერკვეოდეს ბიზნესისა და პოლიტიკის თანამედროვე კონცეფციებში, რადგან ამ სფეროების შემოქმედნი თავად მოქალაქეები არიან. მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების გარეშე ვერ მიიღწევა კეთილდღეობა და ყველანაირი განვითარების გზა სახელმწიფოში პოლიტიკასა და პოლიტიკურ კულტურაზე გადის. ამ პასუხისმგებლობის გააზრებას გარკვეული ცოდნა და გაანალიზება სჭირდება. თქვენ, მასწავლებლებმა საკლასო ოთახში კონკრეტული კომპლექსური დავალებების, კონკრეტული აქტივობების, დილემური სიტუაციების გამოყენებით მოსწავლეს გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებული ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები უნდა შესძინოთ.
მასწავლებლის წიგნი ამ პროცესის წარმართვის ერთ ვარიანტს გთავაზობთ.
იმედია, ის თქვენს მოლოდინს გაამართლებს.

მადლობა, რომ სწორედ ეს წიგნი აირჩიეთ!

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი სტანდარტი - საგანი მოქალაქეობა)

ისწავლება კვირაში 2-ჯერ, წელიწადში – 72 საათი

საზოგადოებრივი მეცნიერებები საშუალო საფეხურზე

გ) მოქალაქეობა

შესავალი

კურსი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე მოქალაქეობის ფარგლებში შეძენილი ცოდნა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ეროვნულ სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.
თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მოქ. საშ. არჩ.1.:**
„მოქ.“ – მიუთითებს საგანს „მოქალაქეობა“;
„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;
„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი		**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საშ.1.	გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი ქმედებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) გათვალისწინება;	**საზოგადოება** (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4) **დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)* (მოქ.საშ.1,2,3,4) **სამოქალაქო მონაწილეობა** (მოქ.საშ.2,4) **მდგრადი განვითარება** (მოქ.საშ.3)
მოქ.საშ.2.	საზოგადოებისთვის აქტუალური გლობალური და ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;	
მოქ.საშ.3.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრებით მოქმედება (მათ შორის, ყოველდღიურ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);	
მოქ.საშ.4.	საზოგადოებაში პოზიტიურ ცვლილებებზე ორიენტირებული იდეების ლობირება და ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.	

სავალდებულო თემები:

X კლასი
1. გლობალური მოქალაქეობა
2. სამართლებრივი კულტურა
XI კლასი
3. მეწარმეობა და ბიზნესი
4. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა
XII კლასი
5. საქართველო და გლობალიზაცია
6. გლობალური ეკონომიკა და საქართველო

რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა (რეკომენდებულია ერთ სემესტრში ერთი თემის სწავლება).

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:
თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

XI კლასი

თემა 1. მეწარმეობა და ბიზნესი თემა გულისხმობს კონკრეტული მაგალითებისა და დილემების საშუალებით მეწარმეობისა და ბიზნესის ფუნქციონირების განხილვას. ბიზნეს მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების (მაგალითად, კონკურენციის, მეწარმის წინაშე არსებული რისკების და მათი პრევენციის გზების) გაანალიზებას.
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით **საზოგადოება –** მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მეწარმის, როგორც დამსაქმებლის, საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის საზოგადოებაზე/მოსახლეობაზე/სოციუმზე პოზიტიური გავლენის დასაბუთება. **დემოკრატია –** მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ადამიანის მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკავშირება მის ეკონომიკურ უფლებებთან; სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან (მაგალითად, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობა) დაკავშირებული დილემების განხილვა დემოკრატიის პრინციპების ჭრილში კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით; **სამოქალაქო მონაწილეობა –** მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მეწარმეობის კონკრეტული იდეების ადვოკატირებასა და ლობირებასთან დაკავშირება; იდეის შესაბამისი ადვოკატირების ფორმებისა და რესურსების მოპოვების გზების შერჩევა; **მდგრადი განვითარება –** მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას/სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

თემა 2. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა

თემა გულისხმობს ძირითადი პოლიტიკური იდეების, იდეოლოგიებსა და მათი განვითარების კანონზომიერებების შესწავლას. აქცენტი კეთდება საერთაშორისო ურთიერთობებზე, იმ ორგანიზაციებსა და მოძრაობებზე, რომლებზეც გავლენას ახდენდნენ აღნიშნული პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები. გაანალიზებულია ძირითადი პოლიტიკური რეჟიმები. თემაში განხილულია პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოხელის არსი და როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯანსაღი და არაჯანსაღი პოლიტიკური პროცესები და მოვლენები.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

საზოგადოება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ინდივიდზე სხვადასხვა პოლიტიკური იდეების/იდეოლოგიის ზეგავლენის გაანალიზება; პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქისა და საზოგადოების როლის დახასიათება;

დემოკრატია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პოლიტიკური იდეოლოგიებისა და რეჟიმების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების თუ კონკრეტული პოლიტიკოსების საქმიანობის შეფასება დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე;

სამოქალაქო მონაწილეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადგილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის კონკრეტული სფეროების/იდეების გამოკვეთა; პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების გაანალიზება;

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

თემა 1.მეწარმეობა და ბიზნესი

თემატური მატრიცის თავფურცელი

<table>
<tr><td colspan="5">თემის სახელწოდება: ,,მეწარმეობა და ბიზნესი “
საათების სავარაუდო რაოდენობა: 35 საათი
ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებები:</td><td>ძირითადი საკითხი 1
მეწარმეობის პიროვნული და საზოგადოებრივი ასპექტები</td><td>ძირითადი საკითხი 2
სახელმწიფო და ბიზნესი</td><td>ძირითადი საკითხი 3
მეწარმეთა პასუხისმგებლობა</td><td>ძირითადი საკითხი 4
ბიზნესის მდგრადობა</td></tr>
<tr><td>საზოგადოება</td><td><u>ქვესაკითხი:</u>
1. ,,ანტრეპრენერობა _ აზროვნების ტიპი“
2. ,,14 წლის ანტრეპრენერი“

<u>ქვეცნებები:</u>
❖ ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები
✓ თვითაქტუალიზება</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>დემოკრატია</td><td></td><td><u>ქვესაკითხი:</u>
,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“
<u>ქვეცნებები:</u>
❖ ადამიანის უფლებები;
✓ ჯანდაცვის უფლება
✓ მომხმარებლის უფლებები;
❖ დემოკრატიის პრინციპები
✓ ეკონომიკური თავისუფლება</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>სამოქალაქო მონაწილეობა</td><td></td><td></td><td><u>ქვესაკითხი:</u>
,,სოციალური საწარმო ,,ფენოვანის” დათვლილი და დაუთვლელი შედეგები“</td><td></td></tr>
</table>

			ქვეცნებები:: ❖ *სამოქალაქო მონაწილეობის კიბე* ✓ პარტნიორობა	
მდგრადი განვითარება			**ქვეცნებები:** ❖ მდგრადი განვითარების მიზნები ✓ ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;	**ქვესაკითხი:** ,,ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში“ **ქვეცნებები:** ❖ მდგრადი განვითარების მიზნები ✓ მდგრადი მოხმარება და წარმოება

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- მეწარმეობა/ბიზნესი ადამიანის ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა და ამავდროულად ის გავლენას ახდენს პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებაზე **(სამიზნე ცნება „საზოგადოება“);**
- დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედი ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპი უზრუნველყოფს ბიზნესის თავისუფლებას, მაგრამ ამავდროულად შეიძლება იმოქმედოს ადამიანის უფლებებზე (მაგალითად, მომხმარებლის, ჯანმრთელობის...), რომელთა დაცვაც კანონებისა და წესების დონეზე ხდება. **(სამიზნე ცნება - დემოკრატია)**
- სახელწიფო და საზოგადოებრივი რესურსები არ არის საკმარისი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ამიტომ კერძო ბიზნესი იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას და სხვადასხვაგვარად მონაწილეობს /ზრუნავს საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე;(**სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა);**
- მდგრადი ბიზნესის კონცეფცია იცვლება და გულისხმობს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების თანაბარმნიშვნელოვნების აღიარებას, ისე, რომ ბიზნესი რესურს-მომხმარებლური ეკონომიკური მოდელიდან ცირკულარულ (უნარჩენო) ეკონომიკის მოდელზე გადავიდეს. **(სამიზნე ცნება - „მდგრადი განვითარება“).**

XI კლასის სავალდებულო თემისთვის ,,მეწარმეობა და ბიზნესი“ **პირველი** ძირითადი საკითხია **„მეწარმეობის პირადი და საზოგადოებრივი ასპექტები“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება კონკრეტული კონტექსტ-მაგალითებით: ,,ანტრეპრენერობა _აზროვნების ტიპი“ და ,,14 წლის ანტრეპრენერი“ და შინაარსობრივად მათთან ახლოს მდგომი მაგალითებით:

ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის	**რესურსები**
ძირითადი კონტექსტ-მაგალითები: ,,ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი“ **(დანართი 1.)** ,,14 წლის ანტრეპრენერი“ **(დანართი 2.)**	• სახელმძღვანელო გვ. 21-25 • სახელმძღვანელო გვ. 27 მასწავლებლის წიგნი **(დანართი 1**, გვ. 172) ვიდეოსიუჟეტი ,,გიორგი შეშაბერიძე – ,,დორას“ დამფუძნებელი“ • tv.ge/video/gaicanit-14-wlis-antrepreneri-romelmac-sharqebisgan-150-000-laris-investicia-miigho-stumari-giorgi-sheshaberidze-doras-damfudznebeli/
მაგალითი შედარებისთვის 1 „როგორ აქცია ებრაელმა ხალხმა უდაბნო ძლიერ სახელმწიფოდ?“ შიმონ პერესის გამოსვლა;	• სახელმძღვანელო გვ. 10
მაგალითი შედარებისთვის 2. ამონარიდი რობერტ კიოსაკის წიგნიდან ,,ღარიბი მამა, მდიდარი მამა“	• სახელმძღვანელო გვ. 19
მაგალითი შედარებისთვის 3. ჩრდილოვანი ბიზნესი საბჭოთა კავშირში (არა მაგალითი)	• სახელმძღვანელო გვ. 37

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, ხოლო შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან; მაგალითად, კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტ-მაგალითის იმ მოცემულობაზე ვცდილობთ კონცენტრირებას, რომელიც საკვანძო კითხვებშივე (რატომ და როგორ ქმნის ბიზნესი/მეწარმეობა შესაძლებლობას პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფალი განვითარებისთვის? როგორ წარმოვაჩინო ის დილემები/გამოწვევები, რომელიც მეწარმესა და საზოგადოებას შორის შეიძლება წარმოიშვას?) გვაქვს განსაზღვრული.

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა: მეწარმეობა და ბიზნესი **ძირითადი საკითხი :** **მეწარმეობის პირადი და საზოგადოებრივი ასპექტები** **ძირითადი კონტექსტ-მაგალითები ;** ,,ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი"; ,,14 წლის ანტრეპრენერი"			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
,,ანტრეპრენერობა _აზროვნების ტიპი"; **,,14 წლის ანტრეპრენერი;** **(ანტრეპრენერობა,** როგორც ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა)	თვითაქტუალიზება	ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები	**საზოგადოება** (შედეგები: 1,2,4)

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი**
საზოგადოება (შედეგები: 1,2,4) **„ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი“;** **„14 წლის ანტრეპრენერი“** **(ანტრეპრენერობა**, როგორც ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა)	1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი ღირსებებით, მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.	გიორგის და სხვა ცნობილი ანტრეპრენერების მაგალითებზე დაფუძნებით გააანალიზოს: როგორი გარემო (მათ შორის, ბიზნესგარემო აძლევს ადამიანს საკუთარი მისწრაფებების დაკმაყოფილების, ღირსების დაცვის საშუალებას. იმსჯელოს როგორ იმოქმედა ანტრეპრენერობამ გიორგის პიროვნულ განვითარებაზე, საზოგადოების განვითარებაზე.	
	2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას.	განხილულ მაგალითებზე დაფუძნებით დაასაბუთოს შემდეგი დებულებები: - გიორგის, სხვებსაც საკუთარი მოთხოვნილებები და საჭიროებები უბიძგებს წამოიწყონ სხვადასხვა ქმედებები/საქმიანობა; - უსაფრთხოების განცდა აუცილებელია ადამიანის შემდგომი განვითარებისთვის; - მეწარმეობა ითხოვს პიროვნულ თვისებებისა და უნარების განვითარებას და ზრდის თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობას; - არადემოკრატიული გარემო მეწარმეობის მსურველებს უჩენს საზოგადოებისგან/სახელმწიფოსგან გაუცხოების განცდას და ამცირებს მის პასუხისმგებლობას საზოგადოების	

		ინტერესებისა და წესების გაზიარების მიმართ.	
	3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;	კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებით აღწეროს მეწარმის- (რიდ ჰოფმანის მონათხრობში დასახელებული მეწარმეების, გიორგი შეშაბერიძის, ,,კომბინატორების“) ცხოვრების გზა. გააანალიზოს, თუ რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ინსტიტუტებთან უწევდათ მათ ურთიერთობა/თანამშრომლობა; რა გავლენას ახდენდა ეს პროცესი თითოეულის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე.	
	4. ადამიანს სოციალიზაციაში ეხმარება ასერტულობა, უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე.	განხილულ მაგალითებზე დაფუძნებით გააანალიზოს რამდენად იყო ასერტულობა ანტრეპრენერების სამოქმედო პრინციპი; რამდენად ეხმარებოდა ეს უნარი მათ დასახაული მიზნების მიღწევაში.	

ქვემოთ მოცემულ შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის).

ცხრილი 2.

<table>
<tr><td colspan="3">საკითხი: „მეწარმეობის პირადი და საზოგადოებრივი ასპექტები“</td></tr>
<tr><td colspan="3">ქვესაკითხი: „ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი“; „14 წლის ანტრეპრენერი“ (ანტრეპრენერობა, როგორც ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა)
ქვეცნებები: თვითაქტუალიზება; ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები; სამიზნე ცნება - საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4)</td></tr>
<tr><td colspan="3">საკვანძო შეკითხვა - რატომ და როგორ ქმნის ბიზნესი/მეწარმეობა შესაძლებლობას პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფალი განვითარებისთვის?
- როგორ წარმოვაჩინო მიმართვის ტექსტში ის დილემები/გამოწვევები, რომელიც მეწარმესა და საზოგადოებას შორის შეიძლება წარმოიშვას?</td></tr>
<tr><td colspan="3">კომპლექსური დავალება
გაეცანით სახელმძღვანელოში მოცემულ 2 სიტუაციას ,,ანტრეპრენერობა_ აზროვნების ტიპი“ (გვ.21) და ,,14 წლის ანტრეპრენერი “ (გვ.27) , რომელთაგან ერთი მსოფლიოში ცნობილი ანტრეპრენერების, ხოლო მეორე 14 წლის მოზარდის სამეწარმეო გამოცდილებას ეხება. წარმოიდგინეთ თავი გიორგის ადგილას 50 წლის ასაკში და მოამზადეთ მიმართვის ტექსტი შვილებისათვის/ახალგაზრდებისათვის (250-300 სიტყვა), რომელშიც ავტორი საკუთარ და სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრებს.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:
• რატომ იქცა მეწარმეობა შესაძლებლობად ანტრეპრენერების პიროვნული განვითარებისა და საერთოდ საზოგადოების განვითარებისთვის? რა წინააღმდეგობები შეიძლება ახლდეს ამ პროცესს სხვადასხვა გარემოში? (მკვ.წარმ. 1.2.)
• რა ფაქტორებს აქვთ გავლენა და როგორ მეწარმეთა გადაწყვეტილებებსა და მათ შემდეგ წარმატებებზე? ისაუბრეთ კონკრეტული მაგალითებით. (მკვ.წარმ. 3.)
• რომელი თვისებები და უნარები უნდა შეინარჩუნოს და განივითაროს მეწარმემ საზოგადოებასთან ჰარმონიული თანამშრომლობისთვის? (მკვ.წარმ. 4.)</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u></td><td>შეფასების კრიტერიუმი
<u>მოსწავლეს შეუძლია:</u></td><td><u>ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u></td></tr>
<tr><td>საზოგადოება
1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები)</td><td>საზოგადოება:
• ადამიანების მიმართ ემპათიის გამივლენა; ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც</td><td>• რატომ იქცა მეწარმეობა შესაძლებლობად ანტრეპრენერების პიროვნული განვითარებისა და საერთოდ, საზოგადოების განვითარებისთვის? რა</td></tr>
</table>

და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; 3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; **4.** ადამიანს სოციალიზაციაში ეხმარება ასერტულობა, უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე.	ზემოქმედებს ამა თუ იმ სიტუაციაში ადამიანის ქმედებებზე/გადაწყვეტილებებზე **(მკვ.წ. 1,2);** • ფაქტორების გაანალიზება, რომელიც ხელს უწყობს/უშლის ადამიანის სოციალიზაციას **(მკვ.წ. 3.4).**	წინააღმდეგობები შეიძლება ახლდეს ამ პროცესს სხვადასხვა გარემოში? **(მკვ.წარმ. 1.2.)** • რა ფაქტორებს აქვთ გავლენა და როგორ მეწარმეთა გადაწყვეტილებებსა და მათ შემდეგ წარმატებებზე? ისაუბრეთ კონკრეტული მაგალითებით.**(მკვ.წარმ. 3.)** • რომელი თვისებები და უნარები უნდა შეინარჩუნოს და განივითაროს მეწარმემ საზოგადოებასთან ჰარმონიული თანამშრომლობისთვის? **(მკვ.წარმ. 4.)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სახელმძღვანელო, **I თავი. მეწარმეობის პიროვნული და საზოგადოებრივი ასპექტები**, კომპლექსური დავალების პირობა, გვ.8

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- თუ წაგიკითხავთ ან მოგისმენიათ მიმართვის ტექსტი უფროსისგან, რომელიც თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით გესაუბრებოდათ? რამ დაგაინტერესათ ან გაგაღიზიანათ?
- თქვენ როგორ გაუზიარებდით რჩევებს შვილს/ახალგაზრდებს?
- რაიმე საკითხზე რჩევები რომ დაგიგროვდეს, რა არის საჭირო ამისათვის? **(ამ საკითხის ცოდნა და გამოცდილება, სხვათა გამოცდილების ცოდნა -გააზრება, სათქმელის წერილობით ჩამოყალიბების უნარი, ადრესატისთვის გასაგები ლექსიკა და შინაარსი...)**
- ადრესატისთვის წაკითხვის/მოსმენის განწყობის შესაქმნელად როგორ უნდა დავწეროთ მიმართვა? **(უნდა იგრძნობოდეს კეთილგანწყობა, მკითხველის/მსმენელის პატივისცემა, სათქმელი მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბდეს...)**
- როგორ შეიძლება შევუქმნათ მოტივაცია და თავდაჯერებულობა მკითხველს/მსმენელს? **(,,დარწმუნებული ვარ, შენ ამას ჩემზე უკეთ შეძლებ...“ ,,იმედი მაქვს, ჩემი რჩევები გამოგადგება...“ ,,ჩემი ვარაუდით, შენი თვისებები წარმატების მიღწევაში დაგეხმარება...)**

შენიშვნა: ამ აქტივობაშიც და საერთოდაც, კითხვებთან ფრჩხილში მუქად მოცემული ინფორმაცია არის მასწავლებლისთვის, რომ მოსალოდნელმა პასუხმა ორაზროვნება არ გამოიწვიოს!

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში
იმსჯელეთ როგორ წარმოგიდგენიათ დავალების პროდუქტის მომზადება, რა იცით, რის შესწავლა/გაგება დაგჭირდებათ? შეიმუშავეთ 2 რჩევა კლასისთვის მიმართვის ტექსტის შესრულებასთან დაკავშირებით **(მაგალითად: შეადგინეთ სამოქმედო გეგმა; ჩამოწერეთ საკითხები, რომელსაც შეეხებით მიმართვაში; თავდაპირველად დაწერილი საგანგებოდ გადაიკითხეთ და ჩაასწორეთ; ყურადღება მიაქციეთ მიმართვის სტრუქტურას...).**

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ რჩევების კლასისთვის გაზიარების შემდეგ, შეჯამების მიზნით მოაწყეთ მცირე დისკუსია და მართული პრაქტიკით გამოკვეთეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დავალების პროდუქტზე მუშაობასთან დაკავშირებით.
კითხვებით კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ, რომ დავალების პირობა ყველასთვის გასაგებია;
მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებამდე შესასწავლ საკითხს _ანტრეპრენერობას რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობთ და ბოლოს ყველას ექნება საშუალება კლასს წარუდგინოს თავისი მიმართვა.

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

<u>სამიზნე ცოდნა:</u>
ქვესაკითხი: „ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი“; „14 წლის ანტრეპრენერი“ (ანტრეპრენერობა, როგორც ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა) **ქვეცნებები;** თვითაქტუალიზება; ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები; **სამიზნე ცნება: საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში (აქტივობა მოსწავლის სახელმძღვანელოში არ არის)
ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტექსტს „ანტრეპრენერობა - აზროვნების ტიპი“ (გვერდი 21-25) ; გადაიხაზეთ დაფაზე მოცემული სამსვეტიანი ცხრილი რვეულში. პირველი სვეტი შეავსეთ ინდივიდუალურად, ჩაინიშნეთ ყველაფერი, რაც საინტერესოდ მიიჩნიეთ. შემდეგ წყვილში გამთლიანდით, იმსჯელეთ და მეორე სვეტში შეიტანეთ მნიშვნელოვანი საკითხები; ხოლო მესამე სვეტი შეავსეთ პრეზენტაციების, დისკუსიის და მასწავლებლის უკუკავშირის შემდეგ.

დამოუკიდებელი მუშაობა	**ჯგუფური მუშაობა**	**თანაკლასელებისა და მასწავლებლის კომენტარები**
1.		ანტრეპრენერები ხდებიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ან სხვათა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის შეუძლიათ შექმნან პროდუქტები ან მომსახურება;

2.		ანტრეპრენერობისთვის ხელსაყრელია გარემო, რომელშიც ადამიანის თავისუფლება და განვითარების შესაძლებლობა არის დაცული, დაცულია მისი ღირსება;
3.		სხვა ადამიანებთან, ინსტიტუციებთან თანამშრომლობა ანტრეპრენერებისთვის ქმნის განვითარების შესაძლებლობას.
4.		მათ აქვთ განსაკუთრებული პიროვნული თვისებები: არიან გაბედულები, სწრაფად რეაგირებენ გამოწვევებზე, შეუძლიათ გარისკონ, შეუძლიათ განახორციელონ ინოვაციური ჩანაფიქრები;
5.		ანტრეპრენერს ესაჭიროება ისეთი სოციალურ-ემოციური უნარები, როგორიცაა: ასერტულობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, კონფლიქტების მართვის უნარი, ემპათია; ხასიათი/ნებელობა; მან უნდა განსაზღვროს თავისი საჭიროებები ამ მიმართულებით და იზრუნოს განვითარებაზე.
6.		ანტრეპრენერები თავიანთი საქმიანობით იღებენ სარგებელს და ვითარდებიან, ასევე ავითარებენ საზოგადოებას, რადგან არიან დამსაქმებლები, აძლიერებენ ეკონომიკას, ხელს უწყობენ ადამიანების კეთილდღეობას.

რეკომენდაცია მასწავლებელს : წინასწარ დახაზეთ ცხრილი დაფაზე ან დიდ ფურცელზე; ასევე, წინასწარ უნდა გქონდეთ მონიშნული ის დებულებები, რაც მეცნიერულად საინტერესოა და აქტივობის შეჯამების დროს შესთავაზოთ მოსწავლეებს. მოსწავლეებს შეიძლება დავუსვათ კითხვები:

- გიოცნებიათ გამხდარიყავით ცნობილი მეწარმე? ახსენით რატომ?
- რომელი ანტრეპრენერის ადგილზე ისურვებდით ყოფნას? რატომ?
- რა გზის გავლა მოგიწევდათ მის ადგილას?
- ხომ არ იცნობთ პირადად რომელიმე ანტრეპრენერს? რა გზა გაიარა მან?
- რას შეცვლიდით მის ქცევაში? რატომ?
- ანტრეპრენერი თუ იქნებოდით, რას შეცვლიდით თქვენთვის? საზოგადოებისთვის? რატომ?

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 28
გაეცანით 27-ე გვერდზე მოცემულ ისტორიას ,,14 წლის ანტრეპრენერი“, ვიდეოსიუჟეტს ,,გიორგი შეშაბერიძე - „დორას'' დამფუძნებელი“ tv.ge/video/gaicanit-14-wlis-antrepreneri-romelmac-sharqebisgan-150-000-laris-investicia-miigho-stumari-giorgi-sheshaberidze-doras-damfudznebeli/), გაიცანით 14 წლის ანტრეპრენერი, რომელმაც შარქებისგან 150 000 ლარის ინვესტიცია მიიღო;
გიორგის ისტორიის გათვალისწინებით შეავსეთ მოცემული ცხრილის მეორე და მესამე სვეტი, ხოლო მეოთხე სვეტში შეუსაბამეთ თქვენთვის ცნობილი სხვა ისტორიები.

მასლოუს პირამიდის საფეხურები	პრობლემის აღწერა	მაგალითები საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად	მაგალითები ქართული გარემოდან შედარებისთვის
საკვები, თავშესაფარი			
უსაფრთხოება			
მიკუთვნებულობის განცდა			
პატივისცემა/აღიარება			

რეკომენდაცია მასწავლებელს: კონტექსტ-მაგალითების გაცნობის აქტივობებს ვაჯამებთ იმ აქცენტით, რომ ბიზნესისა და მეწარმეობისკენ სწრაფვას განაპირობებს ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები, თავის მხრივ მეწარმეობა კი ქმნის პიროვნების განვითარების, საზოგადოების განვითარების შესაძლებლობას. ამავდროულად მეწარმის გადაწყვეტილებებზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, დაწყებული პირველადი მოთხოვნილებებიდან გლობალური მოვლენებით დასრულებული.

თქვენი გადასაწყვეტი იქნება, ძირითადის სტატუსით მხოლოდ ერთ კონტექსტ-მაგალითს გამოიყენებთ თუ ორივეს, როგორც ჩვენს მიერ არის შემოთავაზებული; ჩვენი ჩანაფიქრი გახლავთ, მოსწავლეებმა ანტრეპრენერობა დაინახონ ახლო და შორი რაკურსით და მათი შედარებით გამოკვეთონ კანონზომიერებები; მაგალითად, ორივე სიტუაციაში, ანტრეპრენერობა არის პიროვნების თვითაქტუალიზების საშუალება, რაც საზოგადოების განვითარებაზეც ახდენს დადებით გავლენას.

ორივე კონტექსტ-მაგალითს ვამუშავებთ ქვესაკითხის _ანტრეპრენერობა, როგორც ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა – ჭრილში. ეს ქვესაკითხი კრავს, ერთმანეთს აკავშირებს თემას, ძირითად საკითხს და მეორეს მრივ, ქვეცნებებს: თვითაქტუალიზება (რომელთან ერთად ,,მასლოუს პირამიდის“ ყველა დონის მოთხოვნებიც იგულისხმება) და ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები; ისინი კი მოსწავლეს სამიზნე ცნება ,,საზოგადოების“ გააზრებაში ეხმარება. რაც შეეხება მაგალითებს შედარებისთვის, იქ იმ გეზისმიმცემი კითხვებით ვავლებთ პარალელებს, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზეა ორიენტირებული.

ნაბიჯი 1. რატომ იქცა მეწარმეობა შესაძლებლობად ანტრეპრენერების პიროვნული განვითარებისა და საერთოდ საზოგადოების განვითარებისთვის? რა წინააღმდეგობები შეიძლება ახლდეს ამ პროცესს სხვადასხვა გარემოში? (მკვ.წარმ. 1.2.)

რესურსი: სახელმძღვანელო, ვინ არის მეწარმე (გვ. 9)
მოსწავლის წიგნში (გვ. 20) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

ისრაელის ეკონომიკა https://bit.ly/3D6Xgub

10 ქვეყანა, რომელიც საქართველოზე პატარაა, მაგრამ უფრო წარმატებულია https://bit.ly/3Dbr5K2

მაღალეფექტური ადამიანების 7 უნარი – სტივენ კოვი https://bit.ly/3DdsPm1

ცხოვრება პრინციპით 80/20-ზე – რიჩარდ კოში https://bit.ly/3wp0OEg

უხილავი ხელი: მეწარმეობა https://bit.ly/3JbzS2z

მოთხოვნები გასაყიდი პროდუქციისადმი https://bit.ly/3DdeaaB

აქტივობა: იმსჯელეთ (გვ. 9)
გაეცანით ქვემოთ მოცემულ **შიმონ პერესის** გამოსვლის ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს;

კითხვები:

- გაიხსენეთ, რა არის ჰოლოკოსტი? სად და როდის მოქმედებდა ის?
- როგორი გავლენა იქონია ჰოლოკოსტმა ადამიანებზე, საზოგადოებრივ ჯგუფებზე, ქვეყნებზე, კაცობრიობაზე? რა შედეგები მოუტანა მან ებრაელ ხალხს?
- როგორ აღწერს შიმონ პერესი ისრაელის მდგომარეობას სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში? რის თქმა სურს ავტორს?
- რამ გადაარჩინა რესურსებით ღარიბი ქვეყანა და როგორ იქცა ის წარმატებულ სახელმწიფოდ?
- რა მიაჩნია ავტორს წარმატების მთავარ ფაქტორად? რატომ არის ადამიანი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე?
- რას მოუწოდებს შიმონ პერესი ახალგაზრდებს?
- როგორ გესმით სიტყვა მეწარმის მნიშვნელობა? ვინ არის მეწარმე და რას საქმიანობს იგი?
- რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, რომ საქმიანობის წამოწყებამდე, მეწარმეს სწორი წარმოდგენა ჰქონდეს სოციუმის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე, მათ ინტერესებზე? ახსენით რატომ?
- თქვენი აზრით, რომელი სახელმწიფო მმართველობა (დემოკრატიული თუ არადემოკრატიული) უწყობს ხელს მეწარმეობის/ბიზნესის განვითარებას? პასუხი დაასაბუთეთ.
- იზიარებთ მოსაზრებას, რომ მეწარმეობის განვითარებას შეუძლია ღარიბი სახელმწიფოს გადარჩენა? როგორ? - იმსჯელეთ თქვენთვის ცნობილი მაგალითების გამოყენებით;

- წარმატების მისაღწევად პირად მოტივაციასთან ერთად რამდენად არის მეწარმისთვის აუცილებელი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ინსტიტუციებთან თანამშრომლობა? რა უნარები სჭირდება მას საამისოდ?
- როგორ ფიქრობთ, რა მიმართება არსებობს მეწარმეობის /ბიზნესის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის (იმსჯელეთ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე)?
- თუ გიოცნებიათ მეწარმე/ბიზნესმენი გამხდარიყავით?
- როგორ გარემოს ისურვებდით თქვენი ბიზნესის/მეწარმეობის წამოსაწყებად და გასავითარებლად?

- **როგორ გამოგადგებათ ,,შიმონ პერესის გამოსვლა" თქვენი დავალების შესრულებისას? შინაარსის თვალსაზრისით, მიმართვის ფორმის თვალსაზრისით?**

რეკომენდაცია მასწავლებელს: ეს აქტივობა ატარებს, როგორც წინარე ცოდნის გააქტიურების, ისე ახალი ცოდნის კონსტრუირების ფუნქციას, რადგან მოსწავლეებისთვის ის წარმოადგენს მიმართვის (ფორმას) ნიმუშს, ეხება მეწარმეობის, ეკონომიკის საკითხებს. ასევე, კითხვები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა გაიხსენონ ჰოლოკოსტი, როგორც ადამიანის ღირსების, ყველა უფლების დარღვევის ფაქტი და დააკავშირონ ის ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის შეზღუდვასთანაც.

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში, (გვ. 12)
კითხვა:
კიდევ ერთხელ გადახედეთ ტექსტს და ,,მასლოუს პირამიდის" დონეებთან შესაბამისობაში განსაზღვრეთ, რა მოთხოვნილებები და საჭიროებები ამოძრავებდათ ისრაელის მოქალაქეებს, როცა საკუთარ ქვეყანაში მეწარმეობას იწყებდნენ?

შედეგი გაუზიარეთ კლასს.

მასლოუს პირამიდის საფეხურები	**პრობლემის აღწერა**	**მაგალითები საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად**
საკვები, თავშესაფარი		
უსაფრთხოება		
მიკუთვნებულობის განცდა		

პატივისცემა/აღიარება		

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში. (გვ. 16)
პირველი ეტაპი
შექმენით 4 ჯგუფი, აქედან 2 ჯგუფი იქნება ,,მეწარმეების“, 2 ჯგუფი_ ,,საზოგადოების“;
,,მეწარმეების“ 2 ჯგუფი მოამზადებს პრეზენტაციას ,, მეწარმეობა არის საზოგადოების განვითარების შესაძლებლობა, რადგან...“
,,საზოგადოების“ ორი ჯგუფი კი, მოამზადებს პრეზენტაციას ,,მეწარმეობა, არის მეწარმის პიროვნული განვითარების შესაძლებლობა, რადგან...“
ყველა პრეზენტაცია უნდა მომზადდეს კონკრეტული მაგალითების დამოწმებით.
მეორე ეტაპი
პრეზენტაციების შემდეგ მთელმა კლასმა იმსჯელეთ კითხვებზე:

- რა სარგებელს ვერ იღებს საზოგადოება, მეწარმეობის სუსტი ან საერთოდ განუვითარებლობის პირობებში? რატომ?
- რა წინააღმდეგობებმა/დილემებმა შეიძლება იჩინოს თავი მეწარმესა და საზოგადოებას შორის (იმსჯელეთ თქვენთვის ცნობილი მაგალითების დამოწმებით)?
- თქვენი ვარაუდით, როგორია მეწარმის წარმატების პერსპექტივა არადემოკრატიულ საზოგადოებაში? რატომ?

რეკომენდაცია მასწავლებელს: აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ როგორია კავშირი მეწარმეობის განვითარებასა და პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებას შორის; ამავე დროს, შეადარონ მეწარმისა და საზოგადოების სარგებელი; სასურველია, მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილოთ მეწარმეობის განვითარების გავლენაზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასთან (ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოება იცავს საკუთარ უფლებებს და ზრუნავს საზოგადოებრივ საჭიროებებზე, ეკონომიკურად სუსტი საზოგადოება კი უფრო მართვადია).

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში (გვ. 18)
გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციებს და უპასუხეთ კითხვებს:

- განსაზღვრეთ რომელ ბიზნესის სფეროსა და სახეობას მიაკუთვნებთ თითოეულ სიტუაციას?
- რამდენად სწორად მიგაჩნიათ სიტუაციის პერსონაჟების გადაწყვეტილება? რა ძლიერი მხარე აქვს მას და რაში მდგომარეობს რისკები?
- ბიზნესის რომელი ტიპი ან სფეროა თქვენი ჯგუფისთვის პრიორიტეტული? რატომ?

კრიტერიუმი 2. რა ფაქტორებს აქვთ გავლენა და როგორ მეწარმეთა გადაწყვეტილებებსა და მათ შემდეგ წარმატებებზე? ისაუბრეთ კონკრეტული მაგალითებით (მკვ.წარმ. 3.)

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 19
გაეცანით ამონარიდს წიგნიდან ,,მდიდარი მამა, ღარიბი მამა“ და იმსჯელეთ.

კითხვები:

- თქვენი აზრით, რატომ იყენებს კიოსაკი წიგნში მდიდარი და ღარიბი მამის მეტაფორას?
- რატომ უწოდებს ავტორი საკუთარ მაღალანზღაურებად მამას ,,ღარიბს“?
- მამების კატეგორიებად დაყოფით, რისი თქმა სურს ავტორს?
- როგორ აჩვენებს კიოსაკი, რომ ე.წ. „ღარიბი“ მამა შეაფერხებს მის გამდიდრებას?
- ტექსტის მიხედვით, რა გზებს იყენებენ მამები მიზნის მისაღწევად? რომელი მათგანი განიცდის მიღწეულით კმაყოფილებას, რომელი - არა?
- ეთანხმებით თუ არა, რობერტ კიოსაკის მეტაფორას მდიდარი და ღარიბი მამის შესახებ? პასუხი დაასაბუთეთ;
- თქვენი აზრით, ამ ამონარიდის შემოთავაზებით რაზე სურთ ავტორებს თქვენი დაფიქრება?
- რა პარალელს გაავლებდით შოთა რუსთაველისა და რობერტ კიოსაკის ციტატებს შორის?

,,არ შემიძლია!“– ამის გაფიქრება რისკენ გიბიძგებს ადამიანს?
,,მე ამას შევძლებ!“– ეს განწყობა რისკენ გიბიძგებს?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ აქტივობის დროს, პრევენციისთვის განვმარტავთ, რომ ყველა მამა პატივსაცემია და ავტორის მიზანს რომელიმე მამის დადანაშაულება არ წარმოადგენს; მისი მიზანი მკითხველში ცხოვრებისადმი, საქმიანობისადმი მიდგომების შესახებ კრიტიკული აზროვნების აღძვრა და დისკუსიაა. ამიტომ ყველას ვაძლევთ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას და ვმსჯელობთ არა მამებზე, არამედ მათ მიდგომებზე, დამოკიდებულებებზე;

რესურსი: სახელმძღვანელო, **ანტრეპრენერობა;** გვ. 21
მოსწავლის წიგნში (გვ.39) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

საქართველო ფუნქციის ძიებაში https://bit.ly/3j0farx
შეამოწმე შენი ეკონომიკური ცოდნა https://bit.ly/3DeaNzY
ჯონ როკფელერი – პირველი ამერიკელი მილიარდერი მოგცემთ რჩევებს როგორ გამდიდრდეთ და გახდეთ წარმატებული https://bit.ly/3XTyBkJ
ნაპოლეონ ჰილის მოტივაცია – "გააცნობიერე ეს და შენი ცხოვრება შეიცვლება" https://bit.ly/3XzR99X
სტივ ჯობსის მოტივაცია – ამერიკელი ბიზნესმენის და გამომგონებელის შთამაგონებელი ციტატები https://bit.ly/3DbFkyo
მილიონერის მენტალიტეტი | როგორ მიაღწიო მაქსიმუმს ცხოვრებაში https://bit.ly/3lNBB4w

ვინ არიან ანტრეპრენერები? https://bit.ly/3WAxqp9

ანი გიგანი – ბალიში https://bit.ly/3XWNBhR

გიორგი შეშაბერიძე – დორა https://bit.ly/3JcUyr0

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 21
გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს **„ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი“** და იმსჯელეთ:

კითხვები:

- რა მისწრაფებები აქვთ ანტრეპრენერებს?
- როგორია გარემო (ადამიანის ღირსების მიმართ დამოკიდებულება, მმართველობის სისტემა, კანონები, ინსტიტუციები, საზოგადოება...), სადაც დასახელებულმა ანტრეპრენერებმა დიდი წარმატების მიღწევა შეძლეს?
- თქვენი აზრით, არადემოკრატიულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოში რა წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ ისინი? ხომ არ დაასახელებთ თქვენთვის ცნობილ მაგალითებს?
- თქვენი აზრით, რას გულისხმობს ავტორი, როცა ჰაერში თვითმფრინავის შენების უნარის აუცილებლობაზე საუბრობს?
- რა თვისებები და უნარები სჭირდება ანტრეპრენერს?
- რომელ ფრაზას გაიხსენებთ, რომელიც მეწარმეს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წინაშე პასუხისმგებლობაზე მიუთითებს?
- რაში მდგომარეობს დოქტორ კაროლ დვეკის კვლევის დასკვნა და თქვენ რას ფიქრობთ ამ მიდგომაზე?
- რა გამოცდილებას უზიარებს ავტორი მკითხველს აზროვნების მუდმივ განვითარებასთან დაკავშირებით?
- ხომ არ გაიხსენებთ, შემთხვევას, როცა მარცხი, შეცდომა წინსვლის შესაძლებლობად აქციეთ თქვენ ან თქვენმა ნაცნობებმა?
- ვისთან ურთიერთობა უხდება ანტრეპრენერს საქმიანობის დროს და ეს ურთიერთობები როგორ უწყობს ხელს მის პიროვნულ განვითარებას?
- რომელი სოციალურ-ემოციური თვისებები სჭირდება მეწარმეს გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად?

რეკომენდაცია მასწავლებელს: სიტუაციის განხილვაში მოსწავლეთა ჩართულობისა გაზრდისა და მათი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის სასურველია გამოვიყენოთ დამატებითი კითხვები, რომელიც მათ სახელმძღვანელოში არ აქვთ:

- რომელი ანტრეპრენერის როლში ისურვებდით ყოფნას და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა მის წარმატებაზე?
- მისი სახელით რას ურჩევდით თანაკლასელებს?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 25

გაიყავით სამ ჯგუფად, გაინაწილეთ ტექსტის ბოლოს შემოთავაზებული სამი რეკომენდაციიდან თითო; ჯგუფში იმსჯელეთ ამ რეკომენდაციების შესახებ და თქვენი მსჯელობის საფუძველზე შეავსეთ ცხრილი კლასისთვის წარსადგენად;

რეკომენდაციები:

1/ რაღაც უნდა ისწავლოთ და ამავე დროს, რაღაც უნდა დაივიწყოთ! ანტრეპრენერული ტიპის აზროვნება – მაგალითად, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება ან ხანძრისთვის საშუალების მიცემა, რომ ყველაფერი გაანადგუროს, ხშირად სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც სკოლაში გვასწავლიან.

2/ მხოლოდ თეორიით კი არა, ნამდვილი ისტორიებით ისწავლეთ! ადამიანთა უმრავლესობისთვის საუკეთესო გაკვეთილი ანტრეპრენერების ცხოვრებაა. ასე რომ, ეს არის შემთხვევა, როდესაც თეორიას ყველაზე უკეთ ისტორიები განამტკიცებს.

3/ ყოველდღიურად იზრუნეთ ჩვევის განმტკიცებაზე! ყველაზე მნიშვნელოვანი ახლებურად აზროვნებაა. ამისთვის კი, სხვებსაც უნდა უსმინოთ, იკითხოთ და წეროთ კიდეც. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რომ ახლებური აზროვნებით გააგრძელოთ ცხოვრება – იმის მიხედვით უნდა იმოქმედოთ, რაც გაიგეთ.

რეკომენდაცია:

თქვენთვის ცნობილი ცხოვრებისეული მაგალითი, რომელიც ამ რეკომენდაციას ამართლებს	რა უპირატესობა ჰქონდა კონკრეტულ სიტუაციაში ამგვარ მიდგომას?	რა რისკები ახლდა მის რეალიზებას?	რა შედეგი დადგა მეწარმისთვის? საზოგადოებისთვის?	როგორია ჩვენი საზოგადოების მიმღებლობა ამ მიდგომისადმი? თქვენი, თქვენი ჯგუფის მიმღებლობა? რატომ?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ეს აქტივობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას მოემსახურება, რადგან მოსწავლეებისგან ითხოვს ნასწავლი დაუკავშირონ საკუთარ გარემოს, დაახარისხონ ინფორმაცია, გააანალიზონ გავლენის მქონე ფაქტორები, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

აქტივობა: გაიხსენეთ, გვ. 26
ტექსტის – „ანტრეპრენერობა – აზროვნების ტიპი" (გვ. 21) გამოყენებით უპასუხეთ **კითხვებს:**

- ჩამოთვალეთ სამი რამ, რაც მნიშვნელოვნად მიიჩნიეთ და დაგამახსოვრდათ.
- დაასახელეთ მოსაზრება, რომელსაც არ/ვერ იზიარებთ? რატომ?
- რომელი დასკვნა ან მოსაზრებაა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგებათ?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 26
გადახედეთ ინფორმაციის ,,14 წლის ანტრეპრენერი", ვიდეოსიუჟეტის ,,გიორგი შეშაბერიძე - ,,დორას" დამფუძნებელი" tv.ge/video/gaicanit-14-wlis-antrepreneri-romelmac-sharqebisgan-150-000-laris-investicia-miigho-stumari-giorgi-sheshaberidze-doras-damfudznebeli/), საფუძველზე იმსჯელეთ.

კითხვები:

- რა განცდას იწვევს ეს ისტორია თქვენში?
- როგორ ფიქრობთ რა იქცა 9 წლის გიორგის წამოწყებისთვის ბიძგად?
- გიორგის რომელმა პიროვნულმა თვისებებმა შეუწყო ხელი მის გადაწყვეტილებასა და წარმატებას?
- რა პარალელების გავლება შეგიძლიათ ტექსტი ,,ანტრეპრენერობა_ აზროვნების წესის" პერსონაჟებთან?
- როგორ აისახა გიორგის ბიზნესგამოცდილება მის პიროვნულ განვითარებაზე (იმსჯელეთ ვიდეოსიუჟეტის მიხედვით)?
- როგორ აისახება გიორგის მეწარმეობა საზოგადოებაზე? რა ძალა აქვს მის მაგალითს?
- რა მოხდებოდა, გიორგის შეუპოვრობა რომ არ გამოეჩინა და დედის საყვედურებს დამორჩილებოდა?
- რა მოხდებოდა, მაღაზიაში გიორგის არაკეთილსინდისიერად რომ მოქცეოდნენ და ფული საერთოდ არ მიეცათ?
- თქვენ შეძლებდით 9 წლის ასაკში გიორგის მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას? რატომ? როგორი იქნებოდა თქვენი მშობლების რეაქცია, თუ მსგავს საქმეს წამოიწყებდით?
- მის ადგილას თუ წარმოიდგენთ თავს, რა დაგეხმარებოდათ ან შეგიშლიდათ ხელს ანალოგიური ქმედებაში? რატომ?
- უკვე წარმატებული გიორგის მიმართ რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას? ვინმე მიიჩნევს მის საქმიანობას ,,სამარცხვინოდ"? რატომ?
- თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდება გიორგის ისტორია?
- რა უნდა გააკეთოს გიორგიმ, რომ წარმატება შეუქცევადად გაგრძელდეს?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ეს ისტორია მოსწავლეებისთვის შეიძლება უფრო საინტერესო და ემოციების აღმძვრელი აღმოჩნდეს, რადგან გარემო, ასაკი, სასტარტო სიტუაცია ძალიან ახლოს არის მოსწავლეებთან. ამიტომაც მიეცით საშუალება იმსჯელონ, ყველა კუთხით განიხილონ ახალგაზრდა ანტრეპრენერის გავლილი და სამომავლო გზა. მომდევნო აქტივობაც ამავე სიტუაციის გააზრებას ემსახურება.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 28
შექმენით ჯგუფები, წარმოიდგინეთ თავი გიორგის ადგილას და მოამზადეთ ,,რჩევები დამწყები მეწარმისთვის“ ორ ვერსიად :

1. რჩევები 9-10 წლის მოზარდებისთვის;
2. რჩევები ზრდასრული ადამიანებისთვის

(თქვენი შეხედულებისამებრ, საჭირო ადგილას გამოიყენეთ ტერმინები ,,ბიზნესიდეა“, ,,შესაძლებლობები და რისკები“, ,,აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა“, ,,სწრაფი გადაწყვეტილებები“, ,,სამიზნე ჯგუფის საჭიროებები“)

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ აქტივობაში ჩვენი მიზანი ისეთ მაკროცნებაზე დაკვირვებაა, როგორიცაა ნარატივი. ყურადღებას ვამახვილებთ იმ საკითხზე, თუ რა განსხვავება იქნება რჩევების ორ ვარიანტს შორის. სად და რამდენად მიზანშეწონილად გამოიყენებს დარგობრივ ტერმინებს და სად უფრო პოპულარული ენით გამოხატავს სათქმელს, რამდენად გააზრებულად ახსნის თავის მიდგომას.

ნაბიჯი 3. რომელი თვისებები და უნარები უნდა შეინარჩუნოს და განივითაროს მეწარმემ საზოგადოებასთან ჰარმონიული თანამშრომლობისთვის? (მკვ.წარმ. 4.)

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 29
1-ელი ეტაპი
დაიყავით ოთხ ჯგუფად და დაინაწილეთ თითო ბარათი , გაეცანით ყურადღებით, იმსჯელეთ და და შეავსეთ ცხრილი :

ბიზნეს იდეის დასახელება	გადაწყვეტილების ავტორი და მისი მახასიათებლები	დამდგარი შედეგი	პირადი და საზოგადოებრივი სარგებელი	წარმატების საფუძველი (შემთხვევითობა, სწორი გათვლა, სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობა)	რას შეიძლებოდა შეეშალა ხელი ამ იდეის წარმატებისთვის?

მე-2 ეტაპი
ცხრილები გააკარით დაფაზე და ჯგუფების პრეზენტაციების შემდეგ ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე მთელმა კლასმა იმსჯელეთ:

- რა საერთო მახასიათებლებს გამოყოფდით, რა აქვს საერთო ოთხივე მეწარმეს? რა განასხვავებს მათ?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 32
განიხილეთ ქვემოთ სვეტებში მოცემული მახასიათებლები და უპასუხეთ კითხვებს;
კითხვები:
- თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ ფერმერი მეწარმე გახდეს: თანდაყოლილი თვისებები თუ შეძენილი ცოდნა და უნარები? პასუხი დაასაბუთეთ.
- რას ჩაამატებდით, მოაკლებდით ან გადაანაცვლებდით ცხრილში? რატომ ფიქრობთ ასე?
- შეაფასეთ თქვენი თავი ამ ცხრილის მიხედვით: რომელი თვისება გაქვთ? რომელს ისურვებდით, რომ გქონდეთ? რატომ?

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში, გვ. 36
წარმოიდგინეთ, რომ თქვენ **„ჯადოსნური ფანქარი“** გაქვთ, რომელიც თქვენს ახალ ჩანაფიქრს რეალობად აქცევს. აამოქმედეთ ფანტაზია და შექმენით პროდუქტი/ მომსახურება, რომელიც სწრაფად დაიპყრობს ბაზარს.

კითხვები:

- დახატეთ თქვენი პროდუქტის /მომსახურების ესკიზი
- აღწერეთ თქვენი პროდუქტი/ მომსახურება სიტყვიერად
- მომხმარებლის რომელ სეგმენტზეა გათვლილი?
- რა რესურსების გამოყენება დაგჭირდებათ?
- რა გაძლევთ რწმენას, რომ პროდუქტისადმი მაღალი ინტერესი იარსებებს?
- ვისთან დაგჭირდებათ თანამშრომლობა იდეის განხორციელებისთვის?
- რა სარგებელს მიიღებთ თქვენ?
- რა სარგებელს მიიღებს საზოგადოება?

წარმოადგინეთ პროდუქტი და დაასაბუთეთ მისი ორიგინალობა და მიმზიდველობა

რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ ანტრეპრენერობის რომელ რჩევას შეიძლება დაუკავშირონ თავიანთი ,,ჯადოსნური“ პროდუქტი და რატომ? შეუზღუდავი წარმოსახვის, ფანტაზიის, წარმოსახვის გარეშე შეიძლება გაჩნდეს ინოვაციური იდეები?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 36

გაეცანით მასალას ,,ეს საინტერესოა“, რომელშიც საბჭოთა სისტემაში ჩამოყალიბებული ეგრეთწოდებული ჩრდილოვანი ეკონომიკის აღწერილობაა მოცემული და იმსჯელეთ:

კითხვები:

- რა გავლენას ახდენდა საბჭოთა სისტემა მეწარმეობის განვითარებაზე? რატომ?
- ხომ არ გახსენდებათ ისტორიული პროცესები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დასაწყისშივე დიდი ზიანი მიაყენა კერძო საკუთრებასა და ინიციატივიან მეწარმეებს, ფერმერებს? რა იცით ,,გაკულაკების“ შესახებ?
- რას ხმარდებოდა ინიციატივიანი ადამიანების შესაძლებლობების დიდი წილი საბჭოთა სისტემაში?
- როგორ გავლენას ახდენდა ,,კომბინატორებად“ წოდებულ ადამიანებზე, მათ ოჯახებზე სისტემის მიერ მიწებებული,,იარლიყი“?
- რა ემოციები უჩნდებოდათ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ დანაშაულის განცდა, რომ კანონდარღვევით მოქმედებდნენ და შიში, რომ ამისთვის დაისჯებოდნენ?
- რა გავლენას ახდენდა ეს ემოციები მათ ჯანმრთელობაზე , ურთიერთობებზე? ხომ არ გაიხსენებთ ნოდარ დუმბაძის ,,მარადისობის კანონს“ და იქ აღწერილ კონფლიქტებს?
- ხომ არ ხედავთ საბჭოთა სტერეოტიპების გავლენას დღევანდელ საზოგადოებრივ აზრზე, როცა ჩვენი საზოგადოების საკმაო ნაწილი ამჟღავნებს აგრესიას მდიდარი და კეთილდღეობის მქონე ადამიანების მიმართ?
- ჯერ კიდევ რატომ ასოცირდება ფინანსურად წარმატებული ადამიანი დანაშაულთან და არაკეთილსინდისიერებასთან?
- როგორ ფიქრობთ სიმდიდრე კარგია თუ ცუდი? რატომ?
- დღევანდელ პირობებში შესაძლებელია თუ არა სიმდიდრის დაგროვება კეთილსინდისიერი გზით?
- გიორგის და მისთანების შრომაში, აზროვნებაში არის არაკეთილსინდისიერების ელემენტი? დაასაბუთეთ.
- რას მიიღებს მთლიანად საზოგადოება, თუ მას ბევრი მდიდარი, წარმატებული ადამიანი ეყოლება?
- რამდენად შესაძლებელია ტოტალიტარულ გარემოში ადამიანის თავისუფალი შრომა, გადაწყვეტილებები, განვითარება? რატომ?

რესურსი: სახელმძღვანელო, **ბიზნეს იდეა;** გვ. 40

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 40

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და უპასუხეთ კითხვებს:

კითხვები:

- რა შეცდომები დაუშვეს გოგონებმა?
- რა ინფორმაცია ჰქონდათ/არ ჰქონდათ მათ ბიზნესის დასაწყებად?
- რამდენად დახელოვნებული იყვნენ გოგონები ნამცხვრის ცხობაში?
- ეთანხმებით უმრავლესობის მოსაზრებას გამოცდილების მნიშვნელობის შესახებ?
- რას ურჩევდით მათ, ვინც ახლა პირველად უნდა დაიწყოს ბიზნესი **(სტარტაპერი)**?
- მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ კვების პროდუქტების მწარმოებლებზე მსგავსი შეზღუდვები? რატომ?
- მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ არასაკვები პროდუქტების მწარმოებლებზე მსგავსი შეზღუდვები? რატომ?
- ბიზნესის რომელი სამართლებრივი ფორმა შეარჩიეს გოგონებმა?
- რატომ ებრძვის სახელმწიფო ქუჩაში საკვები პროდუქტებით ვაჭრობას?
- მოიფიქრეთ სქემა, რომლის მიხედვითაც უნდა ემოქმედათ მეგობრებს, წარმატებისათვის რომ მიეღწიათ;
- როგორ გესმით ბიზნესის იდეის არსი?
- თითოეულმა ჯგუფამ მოიყვანეთ სხვადასხვა ტიპის ბიზნესის იდეის რამდენიმე მაგალითი;
- თქვენს მიერ წარმოდგენილი იდეებიდან, თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მომგებიანი დღევანდელ პირობებში?
- თქვენი აზრით, რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ საინტერესო და მიმზიდველი იდეა მომგებიან ბიზნესად იქცეს?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 43

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციებს და უპასუხეთ თანდართულ კითხვებს.

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში, გვ. 45 (**ამ აქტივობას არ ვასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ „მათეს ისტორიას“ გამოვიყენებთ, როგორც კონტექსტ-მაგალითს, შემაჯამებელი დავალებისთვის. იხილეთ მატრიცის ბოლოს (გვ. 32).**

გაეცანით მათეს იდეას, იმსჯელეთ თითოეული პუნქტის შესაბამისად რაში ეთანხმებით და რაში _არა? რას ურჩევთ მათეს?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 46

ქვემოთ მოცემულია კესოს 2 ბიზნეს იდეა. სამუშაო 3 ნაწილისგან შედგება, მათ შესასასრულებლად გამოიყენეთ ზემოთ მოცემული **ბიზნეს იდეის გაანალიზების ფორმა.**

1) აღწერეთ კესოს ბიზნესიდეები ;

2) აღწერეთ ბიზნესიდეები თქვენი თემის გარემოს გათვალისწინებით;

3) იფიქრეთ თქვენი ბიზენს იდეის/იდეების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია მის შესახებ.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 49
დაასახელეთ თქვენს მხარეში ფუნქციონირებადი სამი ბიზნესი, რომელიც წარმატებულად მიგაჩნიათ. შეეცადეთ შეარჩიოთ ის ბიზნესები, რომლებიც სამი წელი მაინც არსებობს. დაელაპარაკეთ ამ ბიზენსების მფლობელებს. გამოიყენეთ „ბიზნეს იდეის გაანალიზების ფორმა“.
კითხვები:

- იფიქრეთ თქვენი, როგორც მომხმარებლის გამოცდილებით, რომელი პროდუქტები და მომსახურებები არ არის ბაზარზე?
- მოუსმინეთ სხვა ადამიანებს. რა პროდუქციას ან მომსახურებას ვერ შოულობენ ისინი ბაზარზე? რა კომენტარებს აკეთებენ ისინი არსებულ პროდუქტებსა და მომსახურებებზე?
- მიმოიხედეთ თქვენს თემში. რა ტიპის ბიზნესები ფუნქციონირებს უკვე და რა ნაკლოვანებები არსებობს?
- დააკვირდით პრობლემებს თქვენს თემში, მაგალითად გარემოსდაცვით პრობლემებს. შეიძლება თქვენმა ბიზნესმა გადაჭრას პრობლემები.
- შეადგინეთ სხვადასხვა სახის ბიზნესების სია, რომელიც თქვენს მხარეში არ არსებობს.
- დააკლიკეთ ფორთოხლისფერი "+" ნიშნებზე, რათა უფრო მეტ იდეას გაეცნოთ თქვენს მხარეში ადგილობრივი ბიზნესის შესასწავლად.
- გაითვალისწინეთ თქვენი საკუთარი გამოცდილება, მოუსმინეთ სხვა ადამიანების, როგორც მომხმარებლების, გამოცდილებას და შეისწავლეთ თქვენი გარემო. გამოიყენეთ ფორმა „დაეყრდენით თქვენს გამოცდილებას“

რეკომენდაცია მასწავლებელს: ეს აქტივობა შეიცავს კვლევის ელემენტებს, ამიტომაც ჯგუფის წევრებს მოუწევთ ჯერ იმსჯელონ, შემდეგ გაინაწილონ მოვალეობები და მომდევნო გაკვეთილზე მოამზადონ პრეზენტაცია. თუ თქვენი დრო არ გაძლევთ მისი განხორციელების საშუალებას, შეგიძლიათ ან გაამარტივოთ აქტივობის პირობა, ან საშინაოდ მისცეთ.

რაც შეეხება აქტივობების შეჯამებას, კიდევ ერთხელ ვეკითხებით მოსწავლეებს რა პროდუქტის მომზადებას აპირებენ, ხომ არ დარჩათ პასუხგაუცემელი კითხვები. რასაც მოსდევს მათი კომპლექსური დავალებების წარდგენა და უკუკავშირი; ამაში თავიდანვე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა გვეხმარება.

ასევე, ვიყენებთ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკასაც (გვ. 51), რომელიც პირველი თავის ბოლოს არის მოცემული.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?

- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?
- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ცხრილი 3.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კლასი: მე-11
თემა: მეწარმეობა და ბიზნესი
ძირითადი საკითხი: **მეწარმეობის პიროვნული და საზოგადოებრივი ასპექტები**
მოსწავლე:

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მათეს, როგორც მეწარმის, დამსაქმებლის, მომსახურების მიმწოდებლის საზოგადოებაზე/მოსახლეობაზე/სოციუმზე პოზიტიური გავლენის გაანალიზება/დასაბუთება.	1,5	
დემოკრატია – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მათეს ბიზნესიდეის დაკავშირება მის ეკონომიკურ უფლებებთან (წამოიწყოს ბიზნესი, მიიღოს მოგება...); კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით, იმის გაანალიზება, თუ რა დილემები შეიძლება წარმოიშვას მათეს, როგორც მეწარმესა და სახელმწიფოს შორის (დემოკრატიის პრინციპების ჭრილში)	1,5	

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მომსახურების სფეროში დასაქმებულთა შესაძლო გამოწვევებისა თუ პრობლემების ადვოკატირებასა და ლობირებასთან დაკავშირება; იდეის შესაბამისი ადვოკატირების ფორმებისა და რესურსების მოპოვების გზების შერჩევა;	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მათეს ბიზნესიდეასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მაგალითად, ნარჩენების მართვა/შესაფუთი მასალის მრავალჯერადი გამოყენება/რეციკლირება) მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად.

შემაჯამებელი დავალებისთვის რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და წინასწარ მივცეთ მოსწავლეებს გასაცნობად/ გასაანალიზებლად. მათ ეცოდინებათ, რომ დაახლოებით ერთ კვირაში, მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც დაკავშირებული იქნება მიცემულ კონტექსტ-მაგალითთან.

ამ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი ,,მათეს იდეა“ (გვ. 45-46) ; მოსწავლე წინასწარ გაეცნობა მას. დათქმულ დღეს ვაძლევთ დავალების პირობას:

,,გაეცანი ,,მათეს იდეას“ და მოამზადე დასკვნა (150-200 სიტყვა), რომელშიც შეაფასებ მათეს ბიზნესიდეას;

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე :

ეს ბიზნესიდეა როგორ შეუწყობს ხელს მათეს პიროვნული განვითარებას და რა პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას მოახდენს საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე?

რამდენად არის გათვალისწინებული ბიზნესიდეაში ადამიანის უფლებები და როგორ შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს, რა დილემების წარმოშობის რისკი არსებობს სახელმწიფოსა და მათეს ბიზნესს შორის?

რამდენად არის გათვალისწინებული მდგრადი განვითარების პრინციპები და როგორ შეიძლება ამ პრინციპების ადვოკატირება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით?

შენიშვნა: პასუხებს წერთ არა გამოცალკევებულად, არამედ ამთლიანებთ დასკვნის ტექსტში.“

თემისთვის ,,მეწარმეობა და ბიზნესი“ **მეორე** ძირითადი საკითხია **,,სახელმწიფო და ბიზნესი“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება ხდება კონკრეტული კონტექსტ-მაგალითით ,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“ და შინაარსობრივად მასთან ახლო მდგომი მაგალითებით:

ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის	**რესურსები**
ძირითადი კონტექსტ-მაგალითი: ,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“	• სახელმძღვანელო გვ. 76-80 • ვიდეოსიუჟეტი https://bit • მასწავლებლის წიგნი**, დანართი 2**, (გვ.175)
მაგალითი შედარებისთვის 1 რკინიგზა ქართულად	• სახელმძღვანელო გვ. 83
მაგალითი შედარებისთვის 2. პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“	• სახელმძღვანელო გვ. 93-94
მაგალითი შედარებისთვის 3. ,,დაავადებების გამო თევზის ფერმები იხურება“ ; ვიდეოსიუჟეტი ,,რა პოტენციალი აქვს თევზის ინდუსტრიას?“	• სახელმძღვანელო გვ. 96 https://www.facebook.com/watch/?v=728147661524377

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, ხოლო შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან; მაგალითად , კონკრეტულ

შემთხვევაში კონტექსტ-მაგალითის იმ მოცემულობაზე ვცდილობთ კონცენტრირებას, რომელიც საკვანძო კითხვებშივე (რა ფაქტორები განაპირობებს და რატომ სახელმწიფოს ჩარევას თავისუფალი ბაზრის რეგულირებაში? როგორ წარმოვაჩინო სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემები/გამოწვევები ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებასა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით?) გვაქვს განსაზღვრული.

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა: მეწარმეობა და ბიზნესი **ძირითადი საკითხი:** სახელმწიფო და ბიზნესი **ძირითადი კონტექსტ-მაგალითი: „საქაღალდე:** ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
„საქაღალდე: „ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“ (როგორც სახელმწიფოს წინაშე ადამიანის უფლებების დაცვასა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფას შორის წარმოშობილი დილემის მაგალითი);	ჯანმრთელობის უფლება; მომხმარებლის უფლებები; ეკონომიკური თავისუფლება;	ადამიანის უფლებები დემოკრატიის პრინციპები	**დემოკრატია (შედეგი: 1,2,3,4)**

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**);

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?);**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?).**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი მოსწავლემ შეძლო:**
დემოკრატია (შედეგები:1,2,3,4) **„საქაღალდე: „ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“** (როგორც სახელმწიფოს წინაშე ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფას შორის წარმოშობილი დილემის მაგალითი);	1. ადამიანს აქვს უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვასაც ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები უზრუნველყოფს;	ხიხრიკაძეების მაგალითზე იმსჯელოს ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილი სიტუაცია (წამალზე ხელმიუწვდომლობა) , რამდენად ზღუდავს მათ ჯანდაცვის უფლებასა და მომხმარებლის უფლებას. აღმოაჩინოს არსობრივი მსგავსება-განსხვავებები კონტექსტ-მაგალითსა და სხვა მაგალითებს შორის;	
	2. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი ღირებულებაა;	გააანალიზოს რა ობიექტური გარემოებები ავალდებულებს სახელმწიფოს გადადგას ნაბიჯები ფასების დასარეგულირებლად; ახსნას მხარეების მიერ პრობლემის განსხვავებული ინტერპრეტაციით აღქმისა და წარმოჩენის მიზეზები; შეაფასოს დასახელებული არგუმენტების ძლიერი და სუსტი მხარეები.	
	3. დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დემოკრატიის პრინციპების *(მაგალითად, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, სამართლიანი არჩევნები)* დაცვა.	იმსჯელოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვასა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფას შორის წარმოშობილი დილემის შესახებ. გააანალიზოს, რამ განაპირობა საკანონმდებლო ცვლილებები და მათში როგორ არის ასახული დემოკრატიის	

		პრინციპების (ეკონომიკური თავისუფლების) მოთხოვნები.	

შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის)

ცხრილი 2.

საკითხი - სახელმწიფო და ბიზნესი
ქვესაკითხი: ,,საქაღალდე : ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“ (როგორც სახელმწიფოს წინაშე ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს შორის წარმოშობილი დილემის მაგალითი); **ქვეცნებები:** ჯანდაცვის უფლება, მომხმარებლის უფლებები; **ადამიანის უფლებები ;** *ეკონომიკური თავისუფლება* - ***დემოკრატიის პრინციპები;*** **სამიზნე ცნება: დემოკრატია (შედეგი: 1,2,3,4)**
საკვანძო შეკითხვა – რა ფაქტორები განაპირობებს და რატომ სახელმწიფოს ჩარევას თავისუფალი ბაზრის რეგულირებაში? – როგორ წარმოვაჩინო **სტატიაში** სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემები / გამოწვევები ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებასა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით?
კომპლექსური დავალება წარმოიდგინეთ, რომ ხართ ჟურნალისტი და რედაქციაში გადმოგცეს ,,საქაღალდე : ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე“ (გვ.76-80) ; საქაღალდეშია: ✓ რედაქციაში შემოსული 2 წერილი; ✓ ამონარიდები ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან“; ✓ ოფიციალური ინფორმაცია; ✓ ექსპერტების კომენტარები; ✓ კანონში შეტანილი ცვლილებების ლინკი;

ეს დოკუმენტები სხვადასხვა პოზიციიდან დანახულ ერთ პროცესს – სახელმწიფოს მიერ წამლებზე ზღვრული ფასების დაწესებას – ეხება. თქვენი ამოცანაა, შეისწავლოთ საკითხი, გააანალიზოთ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის საქმეებში ჩარევის მართებულობა და თქვენი პოზიცია მკითხველს არგუმენტირებული **სტატიის** (250- 300 სიტყვა) სახით წარუდგინოთ.

სტატიაში/სტატიის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ აისახება ადამიანის უფლებებზე წამლებზე ფასების ზრდა და ხელმისაწვდომობის შემცირება? კონკრეტულად, რომელი უფლების დაცულობა დგება ეჭვქვეშ? იმსჯელეთ მოხუცების წერილის, თქვენთვის ცნობილი სხვა ისტორიების მაგალითზე. **(მკვ.წარმ. 1.)**
- რამდენად ლახავს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს წამლის ფასებზე ზედა ზღვარის დაწესება და რა რისკებს უქმნის ფარმაცევტულ ბიზნესს? (დაუკავშირე რედაქციაში შემოსულ წერილებს) **(მკვ.წარმ. 2.3.)**
- რაში მდგომარეობს სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემა და რამდენად მართებულია სახელმწიფოს ნაბიჯები ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით**? (მკვ.წარმ.1.2.3.)**

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
დემოკრატია 1. ადამიანს აქვს უფლებები და თავის უფლებები, რომელთა დაცვასაც ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები უზრუნველყოფს; 2. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი ღირებულებაა; 3. დამოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დემოკრატიის პრინციპების *(მაგალითად, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, სამართლიანი არჩევნები)* დაცვა.	**დემოკრატია** • ცხოვრებისეული სიტუაციები/განსახილველი მაგალითები დაუკავშიროს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების შესახებ **(მკვ.წ.1,3)** • გამოკვეთოს დილემები, რომლებსაც სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვას უკავშირდება **(მკვ.წ. 2, 3)**	• როგორ აისახება ადამიანის უფლებებზე წამლებზე ფასების ზრდა და ხელმისაწვდომობის შემცირება? კონკრეტულად, რომელი უფლების დაცულობა დგება ეჭვქვეშ? იმსჯელეთ მოხუცების წერილის, თქვენთვის ცნობილი სხვა ისტორიების მაგალითზე. **(მკვ.წარმ. 1.)** • რამდენად ლახავს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს წამლის ფასებზე ზედა ზღვარის დაწესება და რა რისკებს უქმნის ფარმაცევტულ ბიზნესს? (დაუკავშირე რედაქციაში შემოსულ წერილებს)(მკვ.წარმ. 2.3.) • რაში მდგომარეობს სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემა და რამდენად მართებულია სახელმწიფოს ნაბიჯები ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით**? (მკვ.წარმ.1.2.3.)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები/განსახილველი კონტექსტ-მაგალითი:

აქტივობა: იმსჯელეთ **(ეს აქტივობა მოსწავლის წიგნში არ გვაქვს)**

სთხოვეთ მოსწავლეებს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი მათთვის ცნობილი ცხოვრებისეული გამოწვევითა და ნიმუშის შესაბამისი ჩანაწერებით:

ცხოვრებისეული მაგალითი	**აფთიაქში მყოფი სხვა მოქალაქის მოსალოდნელი რეაქცია**			
	ცუდი ქმედება	**ჩვეულებრივი ქმედება**	**გამორჩეულად კარგი ქმედება**	**შეკითხვა**
1.სიტუაცია აფთიაქში: სუნთქვის პრობლემის მქონე მოქალაქე ,,აეროზოლის“ შესაძენად შედის, მაგრამ ვერ ყიდულობს, რადგან მედიკამენტი გაძვირებული დახვდა. უკმაყოფილო მოქალაქე განერვიულდა, სუნთქვა უფრო გაუჭირდა, რიგი შეფერხდა.	გამოხატავს გაღიზიანებას ცუდად მყოფის მიმართ;	გამოხატავს თანაგრძნობას, თუმცა ვერაფრით ეხმარება და აგრძელებს საკუთარ გზას	ინტერესდება ცუდად მყოფის პრობლემით და შეძლებისდაგვარად ეხმარება (უმატებს თანხას...) სირთულის დაძლევაში;	რამდენად ევალება ადამიანს გასაჭირში მყოფი ყველა უცნობის დახმარება?
2.				

- მსგავს ვითარებაში **(ცხოვრებისეული მაგალითი 1.)** თქვენ როგორ მოიქცეოდით? რატომ?
- შეგიძლიათ თუ არა, მოიფიქროთ მსგავსი ცხოვრებისეული მაგალითები, რომლებიც დილემების/ წინააღმდეგობების გამოკვეთის შესაძლებლობას მოგვცემს?

რეკომენდაცია მასწავლებელს: რადგან ეს აქტივობა მოსწავლის სახელმძღვანელოში არ არის, სასურველია ცხრილი დაფაზე ან დიდ ფურცელზე წინასწარ იყოს გამზადებული, ან ეკრანზე გაუხსნათ.

ცხრილის შევსებისა და გაანალიზების შემდეგ კი მოსწავლეებს გავაცნობთ კომპლექსური დავალების პირობას, რომლის მიხედვითაც მათ ასეთივე სტილში უნდა გააანალიზონ სახელმწიფოს ნაბიჯების კანონიერება ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოშობილ დილემასთან დაკავშირებით.

რესურსი 1. სახელმძღვანელო, **II თავი. სახელმწიფო და ბიზნესი;** კომპლექსური დავალების პირობა, გვ. 52

რესურსი 2. ა) **როგორ შევქმნათ სტატია;**
ბ) როგორ იწერება სტატია https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-3/unit-7/student-handout-6/

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა არის სტატია? სხვა დროს თუ გიმუშავიათ ამ პროდუქტზე? რა გაგიჭირდათ, რა გაგიიოლდათ?
- რა მიზანს ისახავს სტატია? რა შედეგს შეიძლება მიაღწიოთ სტატიის საშუალებით?
- როგორ დაგეგმავთ თქვენი სტატიის შინაარსს?
- როგორი სტრუქტურა ექნება სტატიას?
- თქვენ რა ნიშნის მიხედვით არჩევთ წასაკითხ სტატიას?
- რა უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენმა მედიაპროდუქტმა მეტი ინტერესი გამოიწვიოს? დამაჯერებლად აღიქმებოდეს?
- საჭირო იქნება თუ არა სტატიის თავდაპირველი ვარიანტის ჩაკითხვა-სწორება?
- როგორ სათაურს შეარჩევთ?
- რა შეიძლება გამოვიყენოთ სტატიის ვიზუალური მასალით გაფორმებისთვის?

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშავოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცოდნა:
ქვესაკითხი - ,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე" (როგორც სახელმწიფოს წინაშე ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს შორის წარმოშობილი დილემის მაგალითი); **ქვეცნებები:** -ჯანდაცვის უფლება, მომხმარებლის უფლებები; **ადამიანის უფლებები ;** ეკონომიკური თავისუფლება - **დემოკრატიის პრინციპები; სამიზნე ცნება - დემოკრატია (შედეგი: 1,2,3,4)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში **(აქტივობა მოსწავლის სახელმძღვანელოში არ არის)**
ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციებს: ,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე"

(გვერდი 76-80) ; გადაიხაზეთ დაფაზე მოცემული სამსვეტიანი ცხრილი რვეულში. პირველი სვეტი შეავსეთ ინდივიდუალურად, ჩაინიშნეთ ყველაფერი, რაც საინტერესოდ მიიჩნიეთ. შემდეგ წყვილებში გამთლიანდით, იმსჯელეთ და მეორე სვეტში შეიტანეთ წყვილში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი საკითხები; ხოლო მესამე სვეტი შეავსეთ პრეზენტაციებისა და დისკუსიის შემდეგ.

დამოუკიდებელი მუშაობა	**წყვილში მუშაობა**	**თანაკლასელებისა და მასწავლებლის კომენტარები**
1.		ფასების რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევა ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ მოქმედებს დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპის „ეკონომიკის თავისუფლების“ შესაბამისად;
2.		მედიკამენტებზე ფასების ზრდა, როცა ქვეყანაში მინიმალური ხელფასი და პენსია ძალიან დაბალია და დიდია სოციალურად დაუცველთა ოდენობა, წამლების სიძვირე (ხელმიუწვდომლობა) პირდაპირ ზღუდავს ადამიანთა ნაწილის უფლებას ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე, ასევე მომხმარებლის უფლებას.
3.		სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები სხვადასხვანაირად აფასებენ სიტუაციას, მომხმარებლებისთვის ფასების გაძვირება აღიქმება უსამართლობად და მათი უფლებების შელახვად.
4.		ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენელთა აზრით, სახელმწიფო არღვევს დემოკრატიის პრინციპს, როცა ფასებში აწესებს ზედა ზღვარს, რადგან თავისუფალ ბაზარზე ფასებს თავად ბაზარი არეგულირებს.
5.		სახელმწიფოს უწევს პროცესში ჩარევა პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ ამ ჩარევას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი;
6.		ეს მიდგომა ითხოვს პოლიტიკის შეცვლას, ანუ ცვლილებების შეტანას კანონში, რაც დებატებით მიმდინარეობს, რადგან ერთია, ფასებზე ზღვარის დაწესება და მეორე _ დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს გარეშე სანქციების ამოქმედება.

რეკომენდაცია მასწავლებელს : წინასწარ დახაზეთ ცხრილი დაფაზე ან დიდ ფურცელზე; ასევე, წინასწარ უნდა გქონდეთ მონიშნული ის დებულებები, რაც მეცნიერულად საინტერესოა და აქტივობის შეჯამების შემდეგ თქვენ შესთავაზებთ მოსწავლეებს.

აქტივობა: სიმულაცია **(აქტივობა მოსწავლის სახელმძღვანელოში არ არის)** წარმოიდგინეთ თავი საქაღალდეში აღწერილი სიტუაციების ერთ-ერთ მონაწილედ და თქვენი პოზიციიდან გვიამბეთ, რა ხდება ფარმაცევტულ ქსელში;

1. **ერთერთი ხიხრიკაძე,** რომელსაც ექიმმა წამალი დაუნიშნა და სიძვირის გამო ვერ იყიდა;
2. **ფარმაცევტული ასოციაციის ლიდერი,** რომელიც ადვოკატირებს ასოციაციის წევრთა ინტერესებს;
3. **პარლამენტარი,** რომელმაც ხმა მისცა კანონში ცვლილებას;
4. **სააფთიაქო ქსელის მეპატრონე,** რომელიც ფასდარღვევისთვის დააჯარიმეს;
5. **უფლებადამცველი,** იცავს მომხმარებლის უფლებებს;

ნაბიჯი 1. როგორ აისახება ადამიანის უფლებებზე წამლებზე ფასების ზრდა და ხელმისაწვდომობის შემცირება? კონკრეტულად, რომელი უფლების დაცულობა დგება ეჭვქვეშ? იმსჯელეთ მოხუცების წერილის, თქვენთვის ცნობილი სხვა ისტორიების მაგალითზე. (მკვ.წარმ. 1.)

რესურსი: სახელმძღვანელო, ბიზნესის სამართლებრივი გარემო; გვ. 53
მოსწავლის წიგნში (გვ. 67) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

- რა არის შპს და ინდმეწარმე? https://www.facebook.com/orjerorimartivad/videos/527371814594167
- ვინ აწარმოებს ყველაზე მეტს? https://orjerori.ge/snax_quiz/vin-atsarmoebs-qhvelaze-mets
- შპს თუ ინდ. მეწარმე? https://www.youtube.com/watch?v=NQUqX9Vr_SY
- შემოსავლის წყარო - სამეწარმეო საქმიანობა https://www.youtube.com/watch?v=DETwVqgd43s

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 53
გაეცანით შემოთავაზებულ ტექსტს „**ამქარი**" და უპასუხეთ კითხვებს;
კითხვები:

- თქვენი აზრით, იყო თუ არა მეწარმის ანალოგი ოსტატი?
- რა ნიშნით ერთიანდებოდნენ ოსტატები/ხელოსნები?
- რა თვისებებით გამოირჩეოდნენ ამქრები?
- ახლანდელი მეწარმის/მეწარმეოების რომელ წესებს ადგენდნენ და იცავდნენ ამქრები?
- ვინ იგონებდა ამქრის წესებს, შეგირდის გაზრდის ეტაპებს და ფორმებს?
- დემოკრატიული მიდგომის რა ნიშნებს დაასახელებდით ამქრული წესებიდან?
- რა მიზნით მიჰყავდათ ადამიანებს შვილები ამქარში? რამდენად იყო დაფასებული საზოგადოებაში ოსტატის პროფესია?
- გარდა სამეწარმეო საქმიანობისა, რა ფუნქციებს ითავსებდნენ ამქრები?
- რა როლი ეკავა ამქრობაში ქველმოქმედებას? თქვენი აზრით რატომ?
- რატომ ეწინააღმდეგებოდა ცარიზმი ამქრობის განვითარებას?
- როგორ იყო განვითარებული კონკურენცია ამქარში?
- რა დამოკიდებულება იყო ამქრებსა და სახელმწიფოს შორის ძნელბედობის ჟამს?
- როგორია ეს დამოკიდებულება მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის დღეს? რა როლს ასრულებენ მეწარმეები დღეს საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოვრებაში?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ეს აქტივობა წინარე ცოდნის გააქტიურებას, წესების, კანონების ჩამოყალიბების და სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ისტორიულ წინაპირობების გააზრებას ისახავს მიზნად. შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ მოქალაქეთა თავისუფლების, სოლიდარობის ხარისხის კავშირზე ბიზნესის განვითარებასთან, პროფესიული გაერთიანებების შექმნასთან.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში; გვ. 65
შექმენით 4 ჯგუფი, გადაინაწილეთ სიტუაციები; მათი შინაარსის, ბიზნესის ორგანიზაციულ ფორმებზე მოცემული ინფორმაციისა (იხ. გვ.60) და თქვენივე წარმოსახვის საფუძველზე მოამზადეთ პრეზენტაცია ქვემოთ მოცემული კითხვების გათვალისწინებით:
კითხვები:

- მეწარმეობის რომელი სამართლებრივი ფორმაა თქვენს სიტუაციაში?
- თქვენი აზრით, ბიზნესის შერჩეული ფორმა რამდენად ხელსაყრელია ამ ტიპის საქმიანობისთვის? რატომ?
- გამოკვეთეთ ბიზნესის ამ ფორმის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- რა რჩევები გაქვთ დამფუძნებლებისადმი, მათი რისკების შესამცირებლად?
- რა უნდა გააკეთონ დამფუძნებლებმა, რომ პირნათლად შეასრულონ საკანონმდებლო ნორმები, რომელიც სახელმწიფომ დააწესა მათთვის?

აქტივობა: იმსჯელეთ , გვ. 67

კითხვა:

- როგორ ფიქრობთ, ფარმაცევტულ ბიზნესში ბიზნესის ორგანიზების ანალოგიური ფორმა თუ არის გამოყენებული? გაიხსენეთ მაგალითი.

რესურსი: სახელმძღვანელო, საწარმოს რეგისტრაცია; გვ. 68

აქტივობა : იმსჯელეთ გვ. 68 (**ამ აქტივობას არ ვასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ისტორია „ჩიზქეიქერს“ გამოვიყენებთ, როგორც კონტექსტ-მაგალითს, შემაჯამებელი დავალებისთვის. იხილეთ ამ მატრიცის ბოლოს).**

გაეცანით ქვემოთ მოთხრობილი ისტორია „ჩიზქეიქერი“ და უპასუხეთ კითხვებს;
კითხვები:

- როდის დაიწყო სიუჟეტის გმირმა მეწარმეობაზე/ბიზნესზე ფიქრი?
- დასაწყისში რა იდეები ჰქონდა გოგონას?
- რაში ეხმარებოდა მას იურდიული განათლება?
- რა როლი შეასრულა დანაზოგის გაკეთების ჩვევამ მის მეწარმედ ჩამოყალიბებაში?
- რომელი ბიზნეს იდეა მოიფიქრა და დაგეგმა გოგონამ? რამ შეუშალა ხელი პირველ ოცნების განხორციელებას? როგორ გახდა გაყიდვადი და პოპულარული მსგავსი იდეა ჩვენს ქვეყანაში?

- თქვენი აზრით, მხარდაჭერის შემთხვევაში წარმატებით განვითარდებოდა სიუჟეტის გმირის ბიზნესი?
- რა იყო პირველი ნაბიჯი გოგონასთვის საოცნებო იდეის განსახორციელებლად?
- როგორ მოიპოვა ვეკომ ფული ბიზნესის დასაწყებად?
- რა როლი შეასრულა საკუთარ თავზე რისკის აღებაში ახლობელთა კრიტიკამ?
- როგორ განახორციელა ვეკომ ბავშობის ჩიზქეიქის საკონდიტროს შექმნის ოცნება?
- ბიზნესის რომელი ფორმა აირჩიეს პარტნიორებმა დასარეგისტრირებლად? თქვენი აზრით, რატომ?
- რა კვლევა ჩაატარა მან? რომელი პარტნიორი მოძებნა იდეის ხორცშესასხმელად?
- ვინ ასრულებდა კურიერის როლს თავდაპირველად? რატომ?
- რატომ გადაწყვიტეს პარტნიორებმა ემუშავათ ონლაინ კონცეფციით?
- რა იყო მეწარმეების მთავარი ამოცანა?
- როგორი გავლენა მოახდინა კოვიდპანდემიამ ვეკოს ბიზნესზე? ზოგადად ბიზნესზე?
- სად დაიწყეს გოგონებმა ჩიზქეიქების წარმოება?
- როგორ გაზარდეს მეგობრებმა გაყიდვები (რა სეგმენტები აითვისეს)?
- რა გამოწვევები აქვს „ჩიზქეიქერს“ ამჟამად?
- როგორ დაახასიათებდით ვეკოს სამეწარმეო თვისებებს? მისი პარტნიორების თვისებებს?
- თქვენი აზრით, რა ფაქტორების გამო მოიპოვა წარმატება „ჩიზქეიქერმა“ პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდგომ?

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 73
დაიყავით ჯგუფებად , თითოეულმა ჯგუფმა შეადგინოს საწარმოს პროექტი ალგორითმის მიხედვით.
სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას.

აქტივობა : იმსჯელეთ, გვ. 75
კითხვები:
- ჩამოთვალეთ ხუთი კორპორაცია, რომელთა პროდუქციითაც თქვენი ოჯახი სარგებლობს.
- შესაძლებლობა რომ გქონდეთ, მეწარმეობის რომელ სამართლებრივ ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას და რატომ?
- რა მნიშვნელოვანი განსხვავება შეგიძლიათ იპოვოთ იმ ფირმებს შორის, რომლებიც მომსახურების სფეროში მოქმედებენ (მაგ: სილამაზის სალონი) და იმ ფირმებს შორის რომლებიც წარმოების სფეროში მოქმედებენ (მაგ: ფარმაცევტული საწარმო)?
- განსაზღვრეთ, რომელი ტიპის ფირმისათვის არის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები?
  - ✓ თავისუფალი მოქმედების უნარი;
  - ✓ მრავალი ადამიანის მოზიდვის უნარი;
  - ✓ ძლიერი ეკონომიკური სტიმული;
  - ✓ დიდი კაპიტალური დანახარჯები;
  - ✓ რისკი კონკურენტებთან ბრძოლის დროს.

- ჩამოთვალეთ საქართველოში ცნობილი სავაჭრო ნიშნები (სპეციალური გამოსახულება ან სიმბოლო, რომელთა საშუალებითაც ხდება მისი მწარმოებელი ფირმის ამოცნობა);
- გაიხსენეთ მსოფლიოში ცნობილი ბიზნესმენები. რამ განაპირობა მათი პოპულარობა?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ პარაგრაფთან დაკავშირებული ყველა აქტივობა მიზნად ისახავს მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურებას მეწარმეობასა და ბიზნესში არსებული წესების შესახებ, იმის შესახებ, რომ გარდა ბაზრის წესებისა, ისინი უნდა იზიარებდნენ და იცავდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, პატივს სცემდნენ მომხმარებლის უფლებებს.

რესურსი: სახელმძღვანელო,**სახელმწიფო ყოველთვის ფხიზლადაა;** გვ. 76
მოსწავლის წიგნში (გვ. 95) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

- მცირე ბიზნესი https://www.youtube.com/watch?v=u13pYkFSxuU&t=37s
- მიკრო ბიზნესი- როგორ დავთვალოთ თანამონაწილეობა – "აწარმოე საქართველოში" 30 ათას ლარიან გრანტზე https://www.youtube.com/watch?v=qEf8h28C7Dk&t=1s
- კონკურენციის დაცვა https://www.youtube.com/watch?v=zSuFaHsAx9E&t=14s
- მონოპოლია თავისუფალი ბაზრის პირობებში https://www.youtube.com/watch?v=EbTYomV9fjM
- მომხმარების უფლებების დაცვა https://www.youtube.com/watch?v=V9emfQf7jAw
- დასაქმებულთა დაცვის პრინციპები https://www.youtube.com/watch?v=r_Nutw4F1ug&list=PLpxJ9mSV7w21AA8xCgq6Aum3LBiccAH2I&index=27
- დასაქმებულთა დაცვა საქართველოში
- https://www.youtube.com/watch?v=jmVJ6xLjzsg&list=PLpxJ9mSV7w21AA8xCgq6Aum3LBiccAH2I&index=30
- ვიდეოსიუჟეტი "რა პოტენციალი აქვს თევზის ინდუსტრიას?" https://bit.ly/3Ht56Qa

აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში (გვ. 74)
გადახედეთ ქვემოთ მოცემულ საქაღალდეს (გვ. 76-80) (მასწავლებლის წიგნში – დანართი 2 (გვ. 175) მთლიანად, მათ შორის, ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციი ს" ქვემოთ მოცემულ მუხლებს. უპასუხეთ დასმულ **შეკითხვებს:**

- თქვენი აზრით, რომელი მუხლის/მუხლების დაცვის ვალდებულება დაუდგა სახელმწიფოს მედიკამენტების გაძვირების და ხელმიუწვდომლობის პირობებში? პასუხი დააკონკრეტეთ კონტექსტ.მაგალითის მიხედვით.
- გაიხსენეთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ამ მუხლის/ების დარღვევის თქვენთვის ცნობილი მაგალითები (ცხოვრებიდან, მედიიდან, ფილმიდან, ლიტერატურული ნაწარმოებიდან). პასუხი დაასაბუთეთ;
- თქვენი აზრით, რომელი მუხლის/მუხლების დაცვის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს მეწარმეების პოზიციის გათვალისწინებით. იმსჯელეთ კონტექსტ.მაგალითის მიხედვით.

- გაიხსენეთ ამ მუხლის დარღვევის სხვა ანალოგიური მაგალითები (ფილმიდან, ლიტერატურული ნაწარმოებიდან). პასუხი დაასაბუთეთ.

რეკომენდაცია მასწავლებელს: თუ აქამდე წარმართული აქტივობები წარმოადგენდა წინარე ცოდნის გააქტიურებას და მომზადებას ძირითად კონტექსტ-მაგალითზე სამუშაოდ, ეს აქტივობა უკვე პირდაპირ კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან, პირველ კრიტერიუმთან და შემდეგ კრიტერიუმებთან. ამიტომ მასზე მუშაობას, დისკუსიას მნიშვნელოვან დროს ვუთმობთ და გარდა მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვებისა, შეჯამების დროს ხაზგასმით ვკითხულობთ: **რა პარალელს გაავლებდით ჩვენს მიერ აქამდე განხილულ სიტუაციებთან?**
ვცდილობთ დავაკავშიროთ ძირითადი კონტექსტ-მაგალითი სხვა აქამდე უკვე გავლილ კონტექსტ-მაგალითებთან, აქტივობებთან (მაგალითად, პირველი აქტივობა ,აფთიაქში შექმნილ სიტუაციაზე, ამქრების თემა...) მოსწავლეებს კი შევახსენებთ, იფიქრონ მიღებული ინფორმაციიდან და დასკვნებიდან რა გამოადგებათ კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულების დროს.

ნაბიჯი 2. რამდენად ლახავს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს წამლის ფასებზე ზედა ზღვარის დაწესება და რა რისკებს უქმნის ფარმაცევტულ ბიზნესს? (დაუკავშირეთ რედაქციაში შემოსულ წერილებს) (მკვ.წარმ. 2.3.)

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში (გვ. 81)

გააანალიზეთ დემოკრატიის რომელი პრინციპია დაცული/ირღვევა:

ა) წამლებზე ხელმიუწვდომელი ფასების შემთხვევაში;

ბ) ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში;

გ) სახელმწიფოს მიერ მედიკამენტებზე ზღვრული ფასების შემოღების შემთხვევაში;

დ) ფასდარღვევებზე მეწარმეთათვის სანქციების დაწესებით;

მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში/ფურცელზე და ინდივიდუალურად შეავსეთ, შემდეგ გაუზიარეთ ერთმანეთს იმსჯელეთ არგუმენტებით.

დემოკრატიის პრინციპი	**წამლებზე ხელმიუწვდომელი ფასებით**	**ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობით**	**მედიკამენტებზე ზღვრული ფასების შემოღებით**	**ფასდარღვევებზე სასამართლოს გარეშე სანქციების დაწესებით**
თანასწორობა				
კანონის უზენაესობა				
სამოქალაქო მონაწილეობა/ ინკლუზიურობა				
ხელისუფლების დანაწილება				
გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება				
სამართლიანი არჩევნები				
არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება				
ტოლერანტობა				
მრავალპარტიულობა				
ეკონომიკური თავისუფლება				

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 82
შექმენით 4 ჯგუფი. პირველი – კანონმდებლების, მეორე აღმასრულებელი ხელისუფლების, მესამე- ფარმაცევტული კომპანიების ლიდერების, მეოთხე – მომხმარებლების;
კიდევ ერთხელ გადახედეთ **საქაღალდეში** მოცემულ ინფორმაციას და კითხვების საფუძველზე მოამზადეთ პრეზენტაცია, რომელიც თქვენი ჯგუფის პოზიციიდან წარმოადგენს სიტუაციას.
კითხვები:

- რამ წარმოშვა ამ ცვლილებების განხორციელების საჭიროება და სამართლიანად მიგაჩნიათ ეს სიახლე? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა მოყვება ამ ცვლილებას?
- აღიქვამთ თუ არა კანონში ცვლილების განხორციელებას სახელმწიფოს ჩარევად თავისუფალი ბაზრის წესებში? ახსენით რატომ?
- რამდენად დემოკრატიულად მიგაჩნიათ სახელმწიფოს მხრიდან ფასებზე ზღვარის დაწესება? სანქციების დაწესება? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
- რა ზიანისა და რა სარგებლის მოლოდინი აქვს კონკრეტულად თქვენს ჯგუფს ამ ცვლილებისგან? რა ზიანს ან სარგებელს მიიღებენ სხვა ჯგუფები?
- თქვენ როგორ დაარეგულირებდით არსებულ პრობლემას?

რეკომენდაცია მასწავლებელს: შესაძლებელია პრეზენტაციების წარმოდგენისთვის გამოიყენოთ როლური თამაში, სადაც თითოეული ჯგუფი თავის პოზიციას საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგენს. ასეთ შემთხვევაში, სასურველია წინარე ცოდნის გააქტიურება სამართლებრივი კულტურის და ხელისუფლების დანაწილების საკითხებზე.

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 82

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს – ,,რკინიგზა ქართულად" და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა შპს ,,გადაზიდვები"?
- როგორ ახერხებენ კომპანიები (ამ შემთხვევაში საქართველოს რკინიგზა) კანონის წინააღმდეგ მოქმედებას?
- კანონის არსებობა შეიძლება კონკურენციის დაცვის გარანტად ჩაითვალოს?
- თქვენი აზრით, რა მიზნით არსებობს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, რა როლი აკისრია მას კანონის აღსრულების პროცესში?
- რა როლი შეასრულა კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ორ იურიდიულ პირს შორის წამოჭრილ კონფლიქტში?
- როგორ წარიმართებოდა მოვლენები ეს სააგენტო რომ არ იყოს, ან არ ასრულებდეს თავის მოვალეობას?
- შეადარეთ ეს კონფლიქტი მთავარი კონტექსტ.მაგალითის – ,,საქაღალდე: ,,ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე" სიტუაციას. რა საერთო /განსხვავებული მახასიათებლები აქვთ ამ კონფლიქტებს?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ბოლო კითხვაზე შედარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ T დიაგრამა; **ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილი კონფლიქტის მახასიათებლები:** ეს არის კონფლიქტი მომხმარებლებსა და ბიზნესს შორის, რომლის დარეგულირების ვალდებულებას სახელმწიფო ატარებს. პოლიტიკა იცვლება; კანონები და ნორმები იცვლება; ყალიბდება აღსრულების ბერკეტები; არსებობს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტის წარმოშობის რისკი; ჩართულია ხელისუფლების სამივე შტო. **,,რკინიგზა ქართულად" სიტუაციაში** კონფლიქტი 2 იურიდიულ პირს შორის არსებობს, პოლიტიკა, კანონები, ბერკეტები მოქმედებს ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად, არსებობს სახემწიფო ორგანო, რომელიც ამ კონფლიქტზეა პასუხისმგებელი. ანუ განსხვავებაა მასშტაბებშიც და გადაწყვეტის გზებშიც.

აქტივობა : იმსჯელეთ, გვ. 87

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რამდენად გამართლებულია მეწარმის პრეტენზია?
- რა შედეგებს მოიტანს შალის იმპორტზე შეზღუდვის დაწესება მეწარმისათვის?
- რა შედეგებს მოიტანს შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ შემთხვევაში მომხმარებლის როლშია?
- როგორი არგუმენტაცია იქნება გამართლებული სახელმწიფოს მხრიდან მეწარმის თხოვნის უარყოფის შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობთ, კონკურენცია გაქრება, თუ სახელმწიფო ბაზარს თვითრეგულირებისათვის გაწირავს?

- რამდენად კონკურენტულია საქართველოს ეკონომიკა მთლიანობაში ან თქვენ მიერ შერჩეული ცალკეული სექტორი?

რესურსი: მოსწავლეთა ნაამბობი ისტორიები

აქტივობა : იმსჯელეთ, გვ. 89

- გაიხსენეთ რამდენად დაცულია კონკურენცია საქართველოში?
- როგორ არის დაცული ჩვენს ქვეყანაში მომხმარებლის უფლებები?
- ხომ არ იცით ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს ჩარევამ შეთანხმებები ფასების კონტროლზე თავიდან აგვაცილა ან შეამცირა?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 91

- ცნობილია, რომ სახელმწიფო კანონმდებლობა ხელს უშლის ერთი ფირმის მიერ სხვა ფირმის შევიწროებას. როგორ ფიქრობთ, კონკურენციის ასეთ დაცვას თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვამდე ხომ არ მივყავართ?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ კითხვაზე მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ კლასი დაყავით 2 ჯგუფად, გაუნაწილეთ მოცემული სიტუაციები პრეზენტაციის მოსამზადებლად. შესთავაზეთ, შესასრულებელი დავალების სტრუქტურის მიხედვით, თავადვე დაიყონ ქვეჯგუფებად და გადაინაწილონ სამუშაო.

სიტუაცია 1

დავიცვათ მეწარმეები და მომხმარებლები!

დაიყავით 2 ჯგუფად, ერთმა ჯგუფმა შეადგინოს მეწარმეთა დაცვის კოდექსი, მეორემ – მომხმარებელთა დაცვის კოდექსი.

- მოამზადეთ პრეზენტაცია. სამუშაოდ 15 წუთი გაქვთ.
- საბოლოო ვერსია დაფაზე ერთმანეთის გვერდით გააკარით. პრეზენტაციის შემდეგ მონიშნეთ ორივე კოდექსის საერთო მუხლები;
- იმსჯელეთ, რატომ აღმოაჩნდა ამ კოდექსებს საერთო საკითხები?

სიტუაცია 2

კონკურენცია და მეწარმეები

ფირმები ხშირად კონკურენციის საკანონმდებლო შეზღუდვას მოითხოვენ. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთში სხვადასხვა სეგმენტის გამყიდველები მედია საშუალებებით საინტერესო მოთხოვნებს ახმოვანებდნენ და მთავრობისაგან მხარდაჭერას მოითხოვდნენ. გთავაზობთ ამონარიდებს ზოგიერთი მოთხოვნიდან.

განიხილეთ თითოეული მოთხოვნა და იმსჯელეთ:

- როგორი შედეგები მოყვებოდა მთავრობისაგან მხარდაჭერის შემთხვევაში მეწარმეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას

ა) მოკლევადიან პერიოდში?
ბ) გრძელვადიან პერიოდში?

მოთხოვნა 1. „... ხუთი წლის განმავლობაში, ყველა სანტექნიკოსმა, ყოველ სასწავლო სემესტრში ზოგად ფიზიკასა და ჰიდრავლიკაში გამოცდები უნდა ჩააბაროს, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს მას მუშაობის ლიცენზია."

მოთხოვნა 2. „... ახლადგახსნილი მომსახურების ცენტრის მფლობელმა ბატონმა დავითმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სახელმწიფოსაგან დარგის რეგულირებას მოითხოვს. – „უნდა შეიზღუდოს იმ დილეტანტების თავისუფლება, რომლებიც თავს მეეზოვეებს და სახლის დამლაგებლებს უწოდებენ და მოსახლეობას დაბალ ფასებში ემსახურებიან" – განაცხადა მან და ყველა ისეთი პირის მიმართ, ვინც მსგავს საქმიანობას ეწევა და მომსახურების ცენტრში არ არის აღრიცხვაზე, მთავრობას გამოძიების დაწყება და ადმინისტრაციული სასჯელის დაწესება მოსთხოვა."

მოთხოვნა 3. ეკონომისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ „კანონი, რომელიც ზღუდავს კონკურენტს, ზღუდავს კონკურენციასაც". რა საფუძველი აქვთ მათ ასეთი განცხადების გაკეთებისათვის?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ.92

მომხმარებლის უფლებების დაცვა და ნდობის დამსახურება თვით კომპანიისათვისაც სასარგებლოა, რადგან მომხმარებელი არჩევანს ასეთი ფირმების სასარგებლოდ აკეთებს.

- ჩამოთვალეთ ის ქართული კომპანიები და პროდუქტები, რომელთაც მომხმარებლის განსაკუთრებული ნდობა მოიპოვეს.
- ეთანხმებით თუ არა ეკონომისტებში გავრცელებულ შემდეგ აზრს: იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სისტემა, საჭიროა ისეთი კანონები ძლიერი ფირმების მოქმედებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც დანახარჯებზე უფრო დაბალ ფასში გაყიდვებს კრძალავს.

ნაბიჯი 3. რაში მდგომარეობს სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემა და რამდენად მართებულია სახელმწიფოს ნაბიჯები ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით? (მკვ.წარმ.1.2.3.)

რესურსი: სახელმძღვანელო, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? გვ. 96
მოსწავლის წიგნში (გვ.104) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

ვიდეოსიუჟეტი ,,რა პოტენციალი აქვს თევზის ინდუსტრიას?" https://www.facebook.com/watch/?v=728147661524377
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური გვერდი **https://gnca.gov.ge/legislation/national**

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 96

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას ,,დაავადებების გამო თევზის ფერმები იხურება“ და ვიდეოსიუჟეტს ,,რა პოტენციალი აქვს თევზის ინდუსტრიას?“ https://www.facebook.com/watch/?v=728147661524377

კითხვები:

- ამოწერეთ, რა პრობლემების მოგვარებას ითხოვს მწარმოებელი სახელმწიფოსგან?
- თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნები? რატომ?

დამუშავებულ მაგალითთან ,,დაავადებების გამო თევზის ფერმები იხურება“ და ვიდეოსიუჟეტზე ,,რა პოტენციალი აქვს თევზის ინდუსტრიას?“ დაყრდნობით, მოამზადეთ პრეზენტაცია.

კითხვები:

- ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რამდენად წარმოადგენს სახელმწიფოს მოვალეობას?
- როგორ აკონტროლებს სახელმწიფო მეწარმის პროდუქციის ხარისხს? სანდო ლაბორატორიის გარეშე, შესაძლებელია დასკვნების გაკეთება?
- ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, დარგის განვითარებისთვის გადადგას ნაბიჯი კვალიფიციური ლაბორატორიის შესაქმნელად?
- რომელი პრობლემების მოგვარება უნდა შეძლონ მეწარმეებმა საკუთარი ძალებით, ძალების გაერთიანებით? რატომ?
- თქვენ რას ურჩევდით თევზის ფერმების მეპატრონეებს?

როგორ შეიძლება დავაკავშიროთ ეს სიტუაცია ჩვენი კომპლექსური დავალების ძირითად კონტექსტ-მაგალითთან?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში (გვ. 98)

კითხვები:

- საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი, თქვენთვის ყველაზე საინტერესო საკითხი;
- თქვენ მიერ არჩეული საკითხის ირგვლივ შეიმუშავეთ ისეთი საზოგადოებრივი პოლიტიკა (კანონი, დებულება ან სახელმწიფო პროგრამა), რომელიც ეხმაურება პრობლემას;
- განსაზღვრეთ, რომელი მიზნის (მიზნების) მხარდაჭერას ცდილობს თქვენ მიერ შემუშავებული მიდგომა და ახსენით, რა გავლენას მოახდენს იგი სხვა მიზნის (მიზნების) მიღწევაზე;
- განსაზღვრეთ, როგორ ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება შემუშავებული მიდგომის რეალიზება და რატომ? ეკონომიკური სისტემის რომელი ტიპი (მბრძანებლური ან საბაზრო) უფრო მიესდაგება ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას?
- ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას და ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს.

საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხები:

1. ყველა მოქალაქე სახელმწიფომ უფასო სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უნდა უზრუნველყოს;
2. მოწევა უნდა აიკრძალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;
3. ქართული კვერცხის მწარმოებლების დაცვის მიზნით, იმპორტულ კვერცხზე ტარიფი უნდა გაიზარდოს.

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 99
კითხვები:

- ახსენით, როგორ შეიძლება გამოიყენონ კონსიტუციის პრეამბულა საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დასაბუთებისათვის, მაგალითად, კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ, სოციალური დაცვა, უმუშევრობის კომპენსაცია, უსაფრთხოების წესების დაცვა.

- როგორ იცავს მეწარმეებს ქვემოთ მოცემული კონსტიტუციის მე-9 მუხლი?

- დააკავშირეთ კონსტიტუციის ამონარიდები ჩვენს ძირითად კონტექსტ-მაგალითთან (მედიკამენტებზე ზღვრული ფასის დაწესება);

- თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სრული ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 100

- რამდენად დიდი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ჩვენს ეკონომიკაში, შეუზღუდავი თუ შეზღუდული? პასუხი დაასაბუთეთ.
- წაიკითხეთ ბარათებზე აღწერილი სხვადასხვა პირადი და სოციალური მიზანი.
  სახელმწიფოს რომელ ქმედებებს ეთანხმებით და რომელს არა?
- რამდენად ეხმარება ან რამდენად აზარალებს სახელმწიფო პროგრამები ადამიანებს და მთელ ქვეყანას იმ მიზნის შესრულებით, რაც თქვენს ბარათზეა აღწერილი?
- დაასახელეთ თქვენს ბარათზე აღწერილი პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

„სავაჭრო“ ბარათები

1	
მიზანი: ჯინსის ყიდვა. შესაძლებელია უამრავი სტილის, მარკის, ფასისა და ხარისხის ჯინსის ყიდვა, რომლებსაც სხვადასხვა კონკურენტული მაღაზიები ყიდიან.	**მიზანი: ჯინსის ყიდვა.** შესაძლებელია მხოლოდ ერთი სტილის ჯინსის ყიდვა, რომელიც სახელმწიფო საწარმოს მიერ არის წარმოებული. წარმოების კვოტები სახელმწიფო მგეგმავებმა დააწესეს. ხშირად ჯინსი მაღაზიებში არ იშოვება. მხოლოდ შავ ბაზარზეა მაღალ ფასებად.

3 **მიზანი: სუფთა ჰაერი.** საწარმოო კომპანიებმა დაბინძურება უნდა შეამცირონ ან გადაიხადონ ჯარიმები.	4 **მიზანი: სუფთა ჰაერი.** სახელმწიფო მოხელეები საწარმოს პროდუქციის გამოშვების დიდ მოცულობას ავალებენ, რაც დაბინძურებას იწვევს, მაგრამ შემდეგ, ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად, წარმოების შემცირებაზე მსჯელობენ.
5 **მიზანი: სუფთა წყალი.** სახელმწიფო ყიდის დაბინძურების უფლებას და გასცემს ლიცენზიებს. ფირმები ლიცენზიებს იმ შემთხვევაში ყიდულობენ, თუ ლიცენზიის შეძენა უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე დაუბინძურებლობის დანახარჯები.	6 **მიზანი: სუფთა წყალი**. დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მაშინ, თუ დაბინძურების შემცირება სახელმწიფო მოხელეთა და მგეგმავებისათვის იმაზე მნიშვნელოვანი მიზანია, ვიდრე სახელმწიფო საწარმოების მიერ მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება.
7 **მიზანი: ინფლაციის მოთოკვა.** ცენტრალური ბანკი ზრდის საპროცენტო განაკვეთს, როცა ინფლაციის შემცირება უნდა.	8 მიზანი: ინფლაციის მოთოკვა. საქონელსა და მომსახურებაზე ოფიციალური ფასებს აწესებენ სახელმწიფო მგეგმავები და ჩვეულებრივ, ოფიციალური ფასების დონეზე ინფლაცია არ არსებობს.
9 **მიზანი: კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.** ზოგიერთი კომპანია ათავისუფლებს მუშახელს იმისათვის, რომ შეამციროს პროდუქციის ფასი და აამაღლოს მწარმოებლობა, რათა კონკურენცია გაუწიოს შიდა და უცხოურ ფირმებს.	10 **მიზანი: კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.** შემცირება (მუშახელის გათავისუფლება) ხელს უშლის სახელმწიფო მგეგმავების მიზანს (უმუშევრობის აღმოფხვრა). საერთაშორისო ვაჭრობას ზღუდავენ, რათა ხელი შეუწყონ ეროვნულ თვითუზრუნველყოფას და გამორიცხონ კონკურენცია უცხოური ფირმების მხრიდან.
11 **მიზანი: კარგ მაგისტრალებზე სიარული.** ახალი გზები აგებულია და გადასახადებით ხერხდება მათი კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება.	12 **მიზანი: კარგ მაგისტრალებზე სიარული.** სახელმწიფო მგეგმავები გამოყოფენ გარკვეულ რესურსებს გზების აგებისა და შეკეთებისათვის, სხვა რესურსებს კი – სახელმწიფო ფირმებში საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.
13 **მიზანი: უფრო დიდ სახლში გადასვლა.** ინდივიდებს შეუძლიათ შეისყიდონ, გაყიდონ, ან იქირაონ სახლი, მიწის ნაკვეთი ან ბინა.	14 *მიზანი: უფრო დიდ სახლში გადასვლა.* მთავრობა აშენებს ბინებს და სთავაზობს მათ ოჯახებს ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორებიცაა ოჯახის სულადობა და ბინის რიგში ყოფნის ხანრგრძლივობა. ინდივიდებს არ აქვთ უფლება იყიდონ ან გაყიდონ სახლები, ბინები, ან მიწის ნაკვეთები.

	15 **მიზანი: კოლეჯში ჩარიცხვა და გეოლოგიის სწავლა.** ინდივიდებს შეუძლიათ ნებისმიერ კოლეჯში ან უნივერსიტეტში ჩარიცხვა და საგნების არჩევა. სტუდენტებმა უნდა გადაიხადონ სწავლის საფასური.	16 **მიზანი: კოლეჯში ჩარიცხვა და გეოლოგიის სწავლა.** სახელმწიფო მგეგმავები განსაზღვრავენ, ვინ რომელი საგანი უნდა ისწავლოს. მთავრობა იხდის სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურს.
	17 **მიზანი: ახალი ბიზნესის დაწყება.** მეწარმეებს შეუძლიათ შეისყიდონ, იქირაონ და ორგანიზება გაუკეთონ რესურსებს ახალი ბიზნესის დასაწყებად.	18 **მიზანი: ახალი ბიზნესის დაწყება.** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი ქარხნები აწარმოებენ პროდუქციის უმრავლესობას. სახელმწიფო მგეგმავები წყვეტენ, ააშენონ თუ არა ახალი ქარხნები და შექმნან ახალი ფირმები.
	19 **მიზანი: ღარიბებსა და მოხუცებზე ზრუნვა.** საგადასახადო შემოსავლები გამოიყენება სხვადასხვა დახმარების, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის უზრუნველსაყოფად. ბევრ მომუშავეს აქვს კერძო პენსია ან/და დანაზოგი.	20 **მიზანი: ღარიბებსა და მოხუცებზე ზრუნვა**. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ყველა მოქალაქის სამედიცინო დახმარება, პენსია და საცხოვრებელი ფართი.
	21 **მიზანი: კარგი სამუშაო.** სურვილის შემთხვევაში სამსახურის არჩევის და შეცვლის თავისუფლება. კარგად მუშაობა ფასდება მაღალი ხელფასით და სხვა სარგებელით. ზოგიერთი ადამიანი სხვებზე მეტს გამოიმუშავებს.	22 **მიზანი: კარგი სამუშაო.** ადამიანებს სხვადასხვა სამუშაოში ერთნაირ, სახელმწიფო მგეგმავების მიერ დადგენილ ხელფასს უხდიან. სახელმწიფოს ნებართვის გარეშე ახალ სამუშაოზე, საცხოვრებელ ფართზე და ა.შ. გადასვლის შეზღუდული თავისუფლება.
	23 **მიზანი: უმუშევრობის თავიდან აცილება.** 4-5%-იანი უმუშევრობა ითვლება სრულ დასაქმებად, რადგან მომუშავეები იცვლიან სამუშაოს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.	24 **მიზანი: უმუშევრობის თავიდან აცილება.** ყველა დასაქმებულია, ამიტომ ოფიციალური უმუშევრობა არ არსებობს. ზოგიერთი სამუშაო შენარჩუნებულია მაშინაც კი, როცა ის თითქმის არაფრის მომტანია, ოღონდ ყველა დასაქმებული იყოს.
	25 **მიზანი: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.** სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა გამოიყენება წლიდან წლამდე მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად. ინვესტიციების უმეტესობა ახალ ქარხნებში, მანქანა-დანადგარებში და ტექნოლოგიებში იდება და დამყარებულია პირად დანაზოგებზე დაფუძნებულ კერძო ფირმებზე.	26 **მიზანი: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.** სახელმწიფო მგეგმავები საზღვრავენ ინვესტიციების დონეს და სახელმწიფო ორგანიზაციებმა ამ მიზნებს უნდა მიაღწიონ. ინვესტიციები ფინანსდება მგეგმავების მიერ წარმოების საშუალებებში მეტი რესურსების დაბანდებით და სამომხმარებლო საქონლის საწარმოებლად ნაკლები რესურსების გამოყენებით.

27	28
მიზანი: მოქალაქეების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. საბაზრო ფასით ჯანდაცვა და მკურნალობა მათთვისაა ხელმისაწვდომი, ვისაც გადახდა შეუძლია. ყველა ინდივიდი ვერ ღებულობს სამედიცინო დახმარებას კერძო ფირმებისაგან.	**მიზანი: მოქალაქეების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.** უზრუნველყოფილია სამედიცინო დახმარება, მაგრამ დიდი რიგებია ზოგიერთი სახის მკურნალობასა და მომსახურებაზე.

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 104

გამოიყენეთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ინფოგრაფიკა და მასზე დაყრდობთ იმსჯელეთ „სავაჭრო" ბარათების შესახებ,

კითხვები:

- რომელი მიზნის შესრულებას ემახურება ან ვერ ემსახურება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ან ფუნქციები? როგორ მიიღწევა მიზანი?
- რა დადებით და უარყოფით როლს ასრულებს სახელმწიფო სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში?
- აირჩიეთ სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია. აღწერეთ, როგორ სრულდება იგი საბაზრო ეკონომიკაში.
- რა გავლენას მოახდენდა ამ თუ იმ სახელმწიფო პროგრამის შესრულებამ თქვენზე?
- .იმსჯელეთ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ კონკრეტულ სიტუაციებში:
  - ➢ ხელისუფლების კომპეტენციაა დახმარება გაუწიოს თბილისის მთავრობას აეროპორტებისა და სხვა მსგავსი სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობაში. ეთანხმებით თუ არა ამ წინადადებას? ახსენით თქვენი პასუხი.
  - ➢ კერძო საკუთრების, კონკურენციისა და მოგების მიღების მოტივის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან თანასწორობის, ეფექტიანობისა და ფასების სტაბილურობის შენარჩუნების საუკეთესო გზაა". ეთანხმებით თუ არა ამ წინადადებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
  - ➢ ქალაქის მერია არ უნდა ხარჯავდეს ფულს პარკებისა და სკვერების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე. ეს კერძო ბიზნესის საქმეა. ეთანხმებით თუ არა ამ წინადადებას? განმარტეთ თქვენი პასუხი.

აქტივობა: მოდელირება, გვ. 105

ვითამაშოთ „სამაია"

მცირე ჯგუფებში – ტრიადებში (სამეულები) ურთიერთმოსმენის 3 რაუნდი უნდა ჩაატაროთ, თითოეული რაუნდი 5 წუთს გაგრძელდება.

გულდასმით წაიკითხეთ ეს **ინსტრუქციები**:

1. დაიყავით სამეულებად. დაიმაგრეთ სამაგრები: A,B,C.
   გაინაწილეთ როლები: **A** – ორატორია; **B** – მსმენელია; **C** – არბიტრია.
2. **A** ორატორი ირჩევს ჩამონათვალიდან ერთ რომელიმე თემას და საუბრობს საკითხის შესახებ, გამოთქვამს შეხედულებებს, აქცენტებს აკეთებს მნიშვნელოვან საკითხებზე.
   B მსმენელი ყურადღებით უსმენს A-ს და შემდეგ ტრიადაში თავისი სიტყვებით იმეორებს მოსმენილს, აჯამებს ორატორის მონათხრობს და აკეთებს დასკვნას. გაუგებრობის შემთხვევაში ორატორს უფლება აქვს, შეაწყვეტინოს მას თხრობა და გაუსწოროს.

C არბიტრი თვალყურს ადევნებს, რათა მსმენელმა ორატორის ნაამბობიდან რაიმე არ გამოტოვოს, ან ნათქვამი არ დაამახინჯოს, არაფერი დაუმატოს ან ინტერპრეტაცია არ გაუკეთოს. შემდეგ მსმენელს 10-ბალიან სკალაზე გამეორებაში უწერს ქულას.

თამაშის განმავლობაში თითოეული მონაწილე 3-ჯერ იცვლის როლს.

II რაუნდში B მონაწილე ორატორი ხდება – ირჩევს თემას და მსჯელობს, C მონაწილე – მსმენელია, A მონაწილე კი – არბიტრი.

მომდევნო რაუნდში როლები კვლავ იცვლება და ყველაფერი მეორდება.

ᲠᲐᲣᲜᲓᲘ	ორატორი	მსმენელი	არბიტრი
I	A	C	B
II	B	A	C
III	C	B	A

დაიმახსოვრეთ!

- თითოეულ რაუნდში მხოლოდ ორატორი ირჩევს თემას.
- ტრიადაში ერთხელ არჩეული თემის გამეორება დაუშვებელია.
- თითოეული რაუნდი ხუთწუთიანია.
- ორატორმა თემა ფართოდ უნდა მიმოიხილოს, დაუშვებელია მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ფრაზით შემოფარგვლა.
- მასწავლებელი გაგაფრთხილებთ რაუნდის დაწყებისა და დამთავრების შესახებ.

მოემზადეთ, ჯგუფური სამუშაოს დასრულების და კლასის შედეგების განიხილავის შემდეგ, მსმენელების კატეგორიიდან საუკეთესოებს ხანმოკლე პრეზენტაციაში იმ თემის შეჯამება მოუწევთ, რომელშიც ჯგუფში მაღალი შეფასება მიიღეს. ამჯერად ქულას მასწავლებელი წერს.

შეფასებას ღებულობს როგორც მსმენელი, ისე მისი რაუნდის ორატორი და არბიტრი.

დაეხმარეთ ერთმანეთს მაღალი შეფასების მიღებაში!

ინსტრუქცია ორატორებისათვის:

- წაიკითხეთ თემების ჩამონათვალი,
- შეარჩიეთ სასურველი თემა,
- თხრობისას ინტონაციით გამოყავით ძირითადი საკითხები,
- ნათქვამი დაასაბუთეთ მაგალითებით!

განსახილველი თემები:

- კანონის უზენაესობა ქვეყნის ეკონომიკაში;
- ეკონომიკური რეფორმების მიზანი;
- გარემოს დაცვა – მთავრობის ეკონომიკური ფუნქცია;
- სამართლიანობა, კანონიერება და ანგარიშვალდებულება ეკომომიკაში;
- მოგების მიღების სტიმულები;
- რატომ იცავს სახელმწიფო კონკურენციას?
- რას ნიშნავს ეკონომიკური სამართლიანობა?
- ეფექტიანი იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები მცირე ბიზნესისათვის;
- რეალური მდგომარეობა საქართველოს ბაზარზე;
- ბაზარზე ფირმების თანაარსებობის პირობები;
- კონკურენციის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის.
- რამდენად დაცულია მომხმარებელი საქართველოში?

თამაშის დასრულების შემდეგ იმსჯელეთ:

- რამდენად კარგად ისმენდით?
- თითოეულისათვის რა იყო რთული ორატორის სიტყვების პერიფრაზირებისას?
- ხომ არ იყო შემთხვევა, როცა მსმენელს საკითხის შესახებ ორატორზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა? ძნელი იყო ასეთ შემთხვევაში თამაშის წესების დაცვა, არ გამოგეყენებინათ საკუთარი აზრები?

- რომელი თქვენი უნარები დაგანახათ ამ თამაშმა?
- რამდენად სწორი დასკვნები გააკეთა B მონაწილემ A-ს ნაამბობიდან?

რეკომენდაცია მასწავლებელს: რაც შეეხება აქტივობების შეჯამებას, კიდევ ერთხელ ვეკითხებით მოსწავლეებს რა პროდუქტის მომზადებას აპირებენ, ხომ არ დარჩათ პასუხგაუცემელი კითხვები. რასაც მოსდევს მათი კომპლექსური დავალებების წარდგენა და უკუკავშირი; ამაში თავიდანვე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა გვეხმარება.
მოდელირების აქტივობას თქვენი დროის ბიუჯეტის შესაბამისად ახორციელებთ ან არ ახორციელებთ.

აქტივობების დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ ამახვილებთ ყურადღებას კომპლექსური დავალებით შესასრულებელი პროდუქტის მახასიათებლებზე და მოსწავლეებს აძლევთ საშუალებას დასვან მათთვის საინტერესო კითხვები, სანამ პრეზენტაციებს წარმოადგენენ.

პრეზენტაციების შემდეგ ვიყენებთ მოსწავლეთა **თვითშეფასების რუბრიკასაც,** რომელიც მეორე თავის ბოლოს (გვ. 108) არის მოცემული.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?
- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?

- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ცხრილი 3.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

თემა: მეწარმეობა და ბიზნესი **ძირითადი საკითხი** - სახელმწიფო და ბიზნესი (კონტექსტ-მაგალითი ,,ჩიზქეიქერი“ გვ. 69-71) **მოსწავლე:**		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დაასაბუთოს ვეკოს პიროვნული განვითარების (იდეები, განათლება, ბაზარზე დაკვირვება) კვალდაკვალ, მისი, როგორც მეწარმის, პოზიტიური გავლენა ოჯახზე/თანამშრომლებზე/ მომხმარებლებზე/ პარტნიორებზე/ საზოგადოებაზე;	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ვეკოს იურიდიული განათლება დააკავშიროს საკუთარი ეკონომიკური უფლებებისა და მოვალეობების უკეთ გაცნობიერებასთან და შესაბამისად, ბიზნესის კანონიერ ჩამოყალიბება/განვითარებასთან; ვეკოს მაგალითზე იმსჯელოს როგორ არის შესაძლებელი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობაში წინააღმდეგობების/დილემების პრევენცია (ბიზნესის რეგისტრაცია, გადასახადების გადახდა, პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა...);	1,5	
სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დააკავშიროს ვეკოს ბიზნესი საზოგადოებრივი პრობლემების მიმართ სოციალურ პასუხისმგებლობის გაზიარებასთან (ქალთა გაძლიერება, მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვა); შეაფასოს მეწარმის შესაძლებლობები საკუთარი ბიზნესიდეების ადვოკატირებისა და რესურსების მოპოვება-შერჩევის თვალსაზრისით.	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:	1,5	

• გააანალიზოს ჩიზქეიქების ბიზნესიდეაში და შემდეგაც რამდენად იყო გათვალისწინებული მდგრადი განვითარების პრინციპები;		

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად.

შემაჯამებელი დავალებისთვის რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და წინასწარ მივცეთ მოსწავლეებს გასაცნობად/ გასაანალიზებლად. მათ ეცოდინებათ, რომ დაახლოებით ერთ კვირაში, მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც დაკავშირებული იქნება მოცემულ კონტექსტ-მაგალითთან.

ამ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი ,,ჩიზქეიქერი“ გვ. 69-71; მოსწავლე წინასწარ გაეცნო მას. დათქმულ დღეს ვაძლევთ დავალების პირობას:

,,გაეცანი ისტორიას ,,ჩიზქეიქერი“და მოამზადე არგუმენტირებული ესე (150-200 სიტყვა) ,,რატომ არის წარმატებული ჩიზქეიქერების“ ბიზნესი?“

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე :

- როგორ ვითარდება ვეკო პიროვნულად მეწარმეობის პროცესში და რა პოზიტიური გავლენა აქვს მის საქმეს გარშემომყოფებზე/სოციუმზე/ საზოგადოებაზე?
- როგორ და რატომ ითვალისწინებს ვეკო საკუთარ და სხვათა ეკონომიკურ და სხვა უფლებებსა და მოვალეობებს? რამდენად შეიძლება, თავიდან იქნას არიდებული კონფლიქტი სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის (ვეკოს ბიზნესის მაგალითზე)?
- როგორ იზიარებს ვეკოს ბიზნესი სოციალურ პასუხისმგებლობას? როგორ შეაფასებთ ვეკოს შესაძლებლობას ადვოკატირება გაუწიოს ბიზნესიდეას და შესაბამისი რესურსების მოპოვებას?
- გააანალიზეთ, როგორ არის გათვალისწინებული ჩიზქეიქების ბიზნესში მდგრადი განვითარების პრინციპები?

შენიშვნა: პასუხებს წერთ არა გამოცალკევებულად, არამედ ესეს ტექსტში ინტეგრირებულად.

სავალდებულო თემისთვის ,,მეწარმეობა და ბიზნესი“ **მესამე** საკითხია **,,მეწარმეთა პასუხისმგებლობა**“; ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება ხდება ძირითადი კონტექსტ-მაგალითით ,,სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები” და შინაარსობრივად მასთან ახლო მდგომი მაგალითებით:

ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის	**რესურსები**
ძირითადი კონტექსტ-მაგალითი: სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები	• სახელმძღვანელო გვ. 111 მასწავლებლის წიგნი**, დანართი 3** , გვ. 180.
მაგალითი შედარებისთვის 1 6 სოციალური საწარმოს ისტორია	• სახელმძღვანელო გვ. 117-120
მაგალითი შედარებისთვის 2. ქართველ ქველმოქმედთა ისტორიები	• სახელმძღვანელო გვ. 130-135
მაგალითი შედარებისთვის 3. ,,ნესტლე“ ინდოეთში“	• სახელმძღვანელო გვ. 143

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, ხოლო შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან; მაგალითად , კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტ-მაგალითის იმ მოცემულობაზე ვცდილობთ კონცენტრირებას, რომელიც საკვანძო კითხვებშივე (რატომ შეგვიძლია სოციალური მეწარმეობა განვიხილოთ, როგორც რეალური სამოქალაქო მონაწილეობა? როგორ წარმოვაჩინო რატომ არის კონკრეტული სოციალური საწარმო სოციალური ცვლილებების აგენტი?) გვაქვს განსაზღვრული;

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა - მეწარმეობა და ბიზნესი **ძირითადი საკითხი -** მეწარმეთა პასუხისმგებლობა **ძირითადი კონტექსტ-მაგალითი -** სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელ (როგორც პარტნიორობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადამზადებისა და დასაქმებისათვის)	პარტნიორობა	*სამოქალაქო მონაწილეობის კიბე*	**სამოქალაქო მონაწილ** **(შედეგები: 2,4)**
	ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	მდგრადი განვითარების მიზნები	**მდგრადი განვითარებ** **(შედეგი: 3)**

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>მასწავლებლის კომენტარი</u>** **<u>მოსწავლემ შეძლო:</u>**
სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 2,4) **სოციალური საწარმ** **,,ფენოვანის“ დათვლ** **დაუთვლელი შედეგ** (როგორც პარტნიორ ოჯახური ძალადობ მსხვერპლთა გადამ და დასაქმებისათვის	1. დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე;	,,ფენოვანის“ მაგალითზე დაფუძნებით აღწეროს სოციალური მეწარმეობა, როგორც სამოქალაქო მონაწილეობის ფორმა/ქმედება, რომლის მთავარი მიზანი არის ძალადობის მსხვერპლი ქალებისპროფესიული მომზადება, დასაქმება და მათი ეკონომიკური გაძლიერება, ხოლო ბიზნესი (მოგება) არის საშუალება ამ სოციალურ პრობლემის შემცირებისთვის.	
	2. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვაგანხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;	არასამთავრობო ორგანიზაციის ეს პროექტი განიხილოს სამოქალაქო მონაწილეობის კიბის პარტნიორობის შესატყვის საფეხურად, რამდენადაც ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაქმებისა და ხელშეწყობის პროექტისთვის აუცილებელია სხვადასხვა სახელისუფლებლო, საზოგადოებრივი და ბიზნეს ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა. წარმოაჩინოს სოციალური მეწარმეობა, როგორც პარტნიორობა სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის.	
	3. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.	შეაფასოს სოციალური მეწარმეობის, როგორც არაძალადობრივი გზით მოპოვებული ინვესტიციების, მხარდაჭერის არსი და მნიშვნელობა სოციალური პრობლემების მოგვარებაში.	

მდგრადი განვითარება (შედეგი: 3) **სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლ დაუთვლელი შედეგ** (როგორც პარტნიორ ოჯახური ძალადობ მსხვერპლთა გადამზ და დასაქმებისათვის	1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;	ახსნას საწარმო ,,ფენოვანის“ მნიშვნელობა იქ დასაქმებული ქალების და მათი შვილების მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით .	
	2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა)	გამოკვეთოს საწარმო ფენოვანის ,,დათვლილი და დაუთვლელი“ შედეგები ლოკალური და გლობალური სოციალური პრობლემების მდგრად შემცირებაში;	

ქვემოთ მოცემულ შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის)

ცხრილი 2.

საკითხი: მეწარმეთა პასუხისმგებლობა
ქვესაკითხი: სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები (როგორც პარტნიორობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადამზადებისა და დასაქმებისათვის) **ქვეცნებები***: პარტნიორობა - სამოქალაქო მონაწილეობის კიბე;* - **სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგი: 2,4)** **ქვესაკითხი:** სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები (როგორც პარტნიორობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადამზადებისა და დასაქმებისათვის) **ქვეცნებები:** ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მდგრადი განვითარების მიზნები **სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება (შედეგი: 3)**
საკვანძო შეკითხვა - რატომ შეგვიძლია სოციალური მეწარმეობა განვიხილოთ, როგორც რეალური სამოქალაქო მონაწილეობა? - როგორ წარმოვაჩინო **სარეკლამო ბუკლეტში** რატომ არის კონკრეტული სოციალური საწარმო სოციალური ცვლილებების აგენტი?
კომპლექსური დავალება გაეცანით სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ ისტორიას, სხვა ინფორმაციებს და კონკრეტული ისტორიის და სხვა გამოცდილების გათვალისწინებით, მოამზადეთ **სარეკლამო ბუკლეტი** ,,საწარმო ,,ფენოვანი“- სოციალური ცვლილებების აგენტი“ . **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** • რომელი სოციალური პრობლემის მოგვარება წარმოადგენს სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ მისიას? რამდენად სწორად არის განსაზღვრული ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი მნიშვნელობა? **(სამოქალაქო მონაწილეობა;მკვ.წარმ.1.)**

- გააანალიზეთ სოციალური პრობლემის მოგვარების შერჩეული გზის მართებულობა და სოციალური მეწარმეობა, როგორც მონაწილეობის კიბის საფეხური ,,ფენოვანის“ მაგალითზე.**(სამოქალაქო მონაწილეობა;მკვ.წარმ.2.3.)**
- როგორ არის გათვალისწინებული საწარმო ,,ფენოვანის“ საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპები? იმსჯელე კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. **(მდგრადი განვითარება;მკვ.წარმ.1.2.)**

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
სამოქალაქო მონაწილეობა 1. დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე; 2. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვაგანხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; 3. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. **მდგრადი განვითარება** 1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; 2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთიერლენის პარკზე უარის თქმა)	**სამოქალაქო მონაწილეობა:** •გააანალიზოს სოციაურ-პოლიტიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზები; შეაფასოს მათი მნიშვნელობა **(მკვ.წ. 1)**; •გამოთქვას მოსაზრებები განხილვის საგნად შერჩეული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ; მსჯელობისას გამოიყენოს ცოდნა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით **(მკვ.წ. 2,3).** **მდგრადი განვითარება:** •ლოკალურ ქმედებებთან გლობალური შედეგების დაკავშირება **(მკვ.წ. 1, 2)**	• რომელი სოციალური პრობლემის მოგვარება წარმოადგენს სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ მისიას? რამდენად სწორად არის განსაზღვრული ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი მნიშვნელობა? **(სამოქალაქო მონაწილეობა;მკვ.წარმ.1.)** • გააანალიზეთ სოციალური პრობლემის მოგვარების შერჩეული გზის მართებულობა და სოციალური მეწარმეობა, როგორც მონაწილეობის კიბის საფეხური ,,ფენოვანის“ მაგალითზე.**(სამოქალაქო მონაწილეობა;მკვ.წარმ.2.3.)** • როგორ არის გათვალისწინებული საწარმო ,,ფენოვანის“ საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპები? იმსჯელე კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. **(მდგრადი განვითარება;მკვ.წარმ.1.2.)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი 1. სახელმძღვანელო , **III თავი. მეწარმეთა პასუხისმგებლობა** კომპლექსური დავალების პირობა, გვ. 110
რესურსი 2. ბუკლეტის შექმნის პროგრამა https://www.youtube.com/watch?v=ysS3Cq9AseI
რესურსი 3. სახელმძღვანელო, რეკლამა გვ. 160

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა არის ბუკლეტი? თუ შეგიქმნიათ?
- რა კომპონენტებისგან შედგება? **(ტექსტი, ვიზუალური მასალა)**
- როგორია მისი სტრუქტურა? **(სათაური, შესავალი, ქვესაკითხები, ძირითადი ინფორმაცია, დასკვნა,...)**
- რა მიზანს ისახავს სარეკლამო ბუკლეტი?ზოგადად? კონკრეტულ შემთხვევაში? **(ზოგადად, პოპულარიზაცია გაუწიოს პროდუქტს, მომსახურებას; ამ შემთხვევაში, შეიძლება მას უნდა ჰქონდეს სოციალური რეკლამის ფუნქციაც, რადგან საწარმო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური საჭიროების მოგვარებაზეა ორიენტირებული)**
- როგორ შეიძლება დავამზადოთ ბუკლეტი? **(მატერიალურად, ელექტრონულად)**

რეკომენდაცია მასწავლებელს: ბიზნეს რეკლამის მიზნებზე, ფორმებზე და საშუალებებზე მუშაობა თქვენ მოგიწევთ მეორე ეტაპზეც, ვგულისხმობთ მითითებულ რესურს 3-ს. ამის შესახებ მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს და აუხსენით, რომ მაშინ უკეთ გაერკვევიან კომპლექსური დავალების პროდუქტის მომზადების დეტალებში.

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცოდნა:
ქვესაკითხი -სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები (როგორც პარტნიორობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადამზადებისა და დასაქმებისათვის)
ქვეცნებები - *პარტნიორობა - სამოქალაქო მონაწილეობის კიბე;* - **სამიზნე ცნება** - **სამოქალაქო მონაწიელობა (შედეგი: 2,4)**
ქვესაკითხი სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ დათვლილი და დაუთვლელი შედეგები (როგორც პარტნიორობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა გადამზადებისა და დასაქმებისათვის)
ქვეცნებები - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მდგრადი განვითარების მიზნები **-სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (შედეგი 3)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 111

პირველი ეტაპი

ინდივიდუალურად გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას ,,**სოციალური საწარმო ,,ფენოვანის" დათვლილი და დაუთვლელი შედეგები"** და შეავსეთ მოცემული ცხრილის პირველი სვეტი: ჩაწერეთ, რა იყო თქვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი, ახალი, რა კითხვები გაგიჩნდათ?

მეორე ეტაპი

შექმენით ჯგუფები, გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები და კითხვები ერთმანეთს, ჯგუფში კიდევ იმსჯელეთ ტექსტზე და მეორე სვეტში შეიტანეთ ჯგუფში გამოთქმული თქვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი მოსაზრებები. კითხვები, რომელზე პასუხიც გაინტერესებთ.

მესამე ეტაპი

პრეზენტაციის და დისკუსიის დროს ყურადღებით მოუსმინეთ თანაკლასელებს, მასწავლებლის უკუკავშირს და მესამე სვეტში შეიტანეთ თქვენთვის საინტერესო მოსაზრებები;

ინდივიდუალური ჩანაწერები	ჯგუფური ჩანაწერები	ჩანაწერები საკლასო დისკუსიიდან და მასწავლებლის უკუკავშირიდან
1. შეიქმნა საცხობი, სადაც ქალები გემრიელ პროდუქციას ამზადებენ და კარგად ყიდიან.	საცხობი შეიქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაქმებისთვის, რომ მათ თავის და შვილების რჩენა შესძლებოდათ.	არასამთავრობო ორგანიზაციამ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ პროფესია, არ იყვნენ დასაქმებული, შექმნა საწარმო, ქალებს ჯერ პროფესია ასწავლა, შემდეგ დაასაქმა და ღირსეული შრომის საშუალება მისცა.
2.		სოციალური მეწარმეობა ეს არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომლის მთავარი მიზანი არის მოგება. ეს სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული პროექტია, რომლის მთავარი მიზანი საზოგადოებრივი პრობლემების შემცირებაა;
3.		ასეთი პროექტების განხორციელებისთვის სამოქალაქო აქტივისტები თანამშრომლობენ სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურებთან, ერთმანეთთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან რომ ერთობლივად მოიძიონ რესურსები;
4.		სოციალური საწარმოს შედეგები იმიტომ არის ძნელად დასათვლელი, რომ არავინ იცის რამდენი ძალადობა, ცრემლი და გულისტკივილი აარიდა თავის ბენეფიციარებს, კონკრეტულ სიტუაციაში.ან რა ფასი აქვს ამ სიმშვიდეს.
5.		ხშირ შემთხვევაში, ადრეული ქორწინება იქცევა ხოლმე ოჯახური ძალადობის წინაპირობად, რადგან ადრეულად დაოჯახებულებს ეზღუდებათ განათლების, პროფესიის მიღების უფლება.

6...		ყველაზე მთავარი ის გარემოებაა ,,ფენოვანში“ , რომ ქალებმა შეიძინეს პროფესია და ღირსეულად დასაქმდნენ, რაც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

რეკომენდაცია მასწავლებელს: ცხრილში მოცემულია მაგალითი სანიმუშოდ. ანუ იმის მიხედვით, როგორ შეძლებენ მოსწავლეები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, გამოყონ არსებითი საკითხები სოციალური საწარმოს მისიიდან, მიზნებიდან და შედეგებიდან, განისაზღვრება თქვენი უკუკავშირის საჭიროებაც. შეჯამება უნდა მოხდეს იმ თვალსაზრისით, რომ სოციალური მეწარმეები ზრუნავენ პრობლემის გამომწვევი მიზეზების შემცირებაზე, მათთვის მოგება არ წარმოადგენს მთავარ მიზანს, ეს მოგება, მხოლოდ სოციალური პრობლემების მოგვარების საშუალებად არის აღქმული.

აქტივობა : იმსჯელეთ, გვ. 115

ზემოთ მოცემულ ძირითად კონტექსტ-მაგალითზე და თქვენს წინარე ინფორმაციაზე დაყრდნობით პასუხი გაეცით **კითხვებს:**

- თქვენი სიტყვებით შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ სოციალური მეწარმეობის განმარტება; შეადარეთ თქვენთვის ცნობილ სამეწარმეო საქმიანობის რომელიმე მაგალითს.
- რა სოციალურ პრობლემაზეა ორიენტირებული სოციალური საწარმო ,,ფენოვანი?
- სახელწოდება ,,სოციალურიდან“ გამომდინარე, რა ძირითადი მისია, მიზანი აქვს ამ საწარმოს?
- გაიხსენეთ რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო? ვისი მოვალეობაა სოციალურ პრობლემებზე ზრუნვა?
- როგორ ფიქრობთ სოციალური მეწარმეობა განეკუთვნება სამოქალაქო მონაწილეობის ფორმას?
- სოციალური საწარმოს საშუალებით რა გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოება ამ პრობლემებზე? ვისთან და როგორ თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორი, (შეეცადეთ ეს აღწეროთ სიტყვა ,,პარტნიორობის“ გამოყენებით).

- გაიხსენეთ სამოქალაქო მონაწილეობის კიბე. რომელ საფეხურთან ასოცირდება სოციალური მეწარმეობა თქვენთვის? დაასაბუთეთ რატომ.

სამოქალაქო მონაწილეობის კიბე	
ხელისუფლების კონტროლი	რეალური სამოქალაქო მონაწილეობა
ძალაუფლების დელეგირება	
პარტნიორობა	
ნკდამშვიდება	სიმბოლური მონაწილეობა
კონსულტირება	
ინფორმირება	
თერაპია	არამონაწილეობა
მანიპულირება	

- რა კავშირს ხედავთ საწარმო ,,ფენოვანის“ საქმიანობასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის? პასუხი დაასაბუთეთ.



აქტივობა :

იფიქრე

იმუშავეთ წყვილებში, გვ. 116

შექმენით ჯგუფები, გაიხსენეთ გამონათქვამი - „იმოქმედე ლოკალურად, გლობალურად“. დააკვირდით **მოცემულ ცხრილს,** რომელიც **მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებს** წარმოაჩენს:

კითხვები:

- რომელ ასპექტებს უკავშირდება სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ საქმიანობა?
- დაასახელეთ ლოკალური ქმედება და გლობალური პრობლემა, რომელზეც ის არის მიმართული.
- რომელ გლობალურ მიზნებს ეხმიანება ამ კონკრეტული საწარმოს საქმიანობა.
- ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე, დაასაბუთეთ არგუმენტებით.

ნაბიჯი 1. რომელი სოციალური პრობლემის მოგვარება წარმოადგენს სოციალური საწარმო ,,ფენოვანის“ მისიას? რამდენად სწორად არის განსაზღვრული ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი მნიშვნელობა? (სამოქალაქო მონაწილეობა; მკვ.წარმ.1.)

რესურსი: სახელმძღვანელო, სოციალური მეწარმეობა, გვ. 111
მოსწავლის წიგნში (გვ.129) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

სოციალური მეწარმეობა http://geoeconomics.ge/?p=13544

რა არის სოციალური მეწარმეობა –https://www.youtube.com/watch?v=xInCVNQQWgg&t=50s

რა არის სოციალური მეწარმეობა – What Does Social Entrepre- neurship Mean https://bit.ly/3lHaCXW

ქართული სოციალური საწარმოები https://bit.ly/3lLFkiG

#ახალიდღე „ცოდნის კაფე" – სოციალური საწარმო წნორში https://bit.ly/3xmNKj4

სოციალური საწარმო "ეტლების საამქრო" https://bit.ly/3Kb6Iku

რა არის სოციალური საწარმო? https://bit.ly/3Sfrh19

რა არის სოციალური მეწარმეობა – What Does Social Entrepre- neurship Mean https://bit.ly/3xvlsmF

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 116

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე საწარმოზე, რომლებიც სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

შექმენით ჯგუფები, გაინაწილეთ თითო საწარმო და უპასუხეთ **კითხვებს**:

- რა მიზანი და მისია აქვს საწარმოს, ვისთვის არის განკუთვნილი, ვინ არიან დასაქმებული?
- თქვენი აზრით, ამ საწარმოს საქმიანობა რამდენად უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს? კონკრეტულად რომელ მიზანს და რატომ მიიჩნევთ ასე?
- რა საერთო მახასიათებლები აქვს ამ საწარმოს საწარმო ,,ფენოვანთან" ?
- რა მსგავსება/განსხვავებაა საწარმოსა და სოციალურ საწარმოს შორის?
- რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებზე ზრუნავს ეს საწარმო?
- მისი საქმიანობა დააკავშირეთ ზემოთ განხილულ მონაწილეობის კიბის საფეხურებთან და მდგრადი განვითარების ასპექტებთან;
- ემთხვევა თუ არა, წიგნში მოცემული სოციალური საწარმოს ორი განმარტების (გვ. 116 და 118) შინაარსი თქვენ წარმოდგენას? რას დაამატებდით/შეცვლიდით?

აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში, გვ. 123

წიგნში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შექმენით მარტივი სქემა, რომელიც სოციალური მეწარმეობის ძირითად აქტორებს (სამოქალაქო სექტორი, ბიზნესი, დასაქმებულები, სამიზნე ჯგუფი, მომხმარებლები, საზოგადოება ...) და მათ შორის მიმართებებს ასახავს. სქემას დაურთეთ სოციალური მეწარმეობის არსის ამსახველი 2-3 სლოგანი;

რეკომენდაცია მასწავლებელს: აქვე შემოგთავაზებთ სქემისა და სლოგანების მარტივ ნიმუშებს:
სოციალური საწარმო_ ზრუნვის საწარმო! სოციალური ცვლილებების აგენტი! ზრუნვა -კეთებით!



ნაბიჯი 2. გააანალიზეთ სოციალური პრობლემის მოგვარების შერჩეული გზის მართებულობა და სოციალური მეწარმეობა, როგორც მონაწილეობის კიბის საფეხური „ფენოვანის“ მაგალითზე.(სამოქალაქო მონაწილეობა;მკვ.წარმ.2.3.)

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 126

სოციალური მეწარმეობის მკვლევარ-მეცნიერები გამოყოფენ სოციალური მეწარმეობის არსებით მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები მოცემულია ცხრილში. შეუსაბამეთ თითოეულს ქმედებების მაგალითები საწარმო ,,ფენოვანისა“ და ქვემოთ მოცემული სამი საწარმოს (გვ. 126-127) საქმიანობიდან.

საზოგადოებრივ სექტორში სოციალური მეწარმეები **ცვლილებების აგენტების** როლს ასრულებენ:	სოციალური საწარმოს შესაბამისი ქმედების მაგალითი			
	საწარმო ,,ფენოვანი“	**ჩანთების საწარმო**	**კომპანია „Specialisterne“**	**კომპანია „NextDrop“**
სოციალური სარგებლის შექმნისა და შენარჩუნების (და არა პირადი სარგებლის მიღების) მისიის დასახვით ;	(მაგალითად: ძალადობის მსხვერპლი ქალების სოციალიზაცია და დასაქმება)			
მისიის შესასრულებლად ახალი შესაძლებლობების აღმოჩენითა და გამოყენებით;				
ინოვაციის, ადაპტაციისა და სწავლის უწყვეტ პროცესში ჩართულობით;				
ხელთ არსებული რესურსებით თავის შეზღუდვის გარეშე, გაბედული მოქმედებით;				
მიზნობრივი ჯგუფებისა და მიღებული შედეგების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობის დემონსტრირებით.				

რეკომენდაცია მასწავლებელს: შესრულებული აქტივობების შესაჯამებლად მოსწავლეებს სთხოვთ დაფიქრდნენ, ,,ფენოვანის“ სხვა სოცსაწარმოების სიტუაცია სამოაქალაქო მონაწილეობის კიბის რომელ საფეხურთან ასოცირდება და რატომ? შედარება მოახდინეთ ამ მიმართებითაც.

აქტივობა: იმსჯელეთ. გვ. 128

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რა საქმიანობას ეწევა ლელა თავის სოფელში?
- რა საქმიანობა წამოიწყო ლელამ ვარდების გაყიდვით მიღებული შემოსავლებით?
- რით განსხვავდება მისი საქმიანობა მეწარმის სტანდარტული საქმიანობისგან?
- რაში ხარჯავს ლელა მიღებულ შემოსავალს/მოგებას?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზანს შეესაბამება ლელას საქმიანობა?
- რა უნდა ამოძრავებდეს ადამიანს/ადამიანებს, რომ ერთი საქმიანობით მიღებული მოგება, მეორე – არამომგებიან საქმიანობაში ჩადოს?
- რამდენად გრძელვადიანი გგონიათ ლელას საქმიანობა? რა არის მისი ხანგრძლივობის გარანტი?
- რა იდეა გაქვთ/გაგიჩნდათ სოციალურ საწარმოსთან დაკავ შირებით თქვენს თემში?
- როგორ დაეხმარება ამ იდეის განხორციელება თქვენი თემის წევრებს?
- თქვენ რომ იღებდეთ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს, რას მოიმოქედებდით, რა შეღავათებს დაუწესებდით სოციალურ საწარმოებს?

რესურსი: სახელმძღვანელო, სოციალური მეწარმეობა თუ ქველმოქმედება? გვ. 130

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 130
შექმენით 3 ჯგუფი, გაინაწილეთ ქვემოთ მოცემული თითო ისტორია; გაეცანით ინფორმაციას დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილებისა და თიფლისის საქველმოქმედო-საგანმანათლებლო საზოგადოების შესახებ და უპასუხეთ **კითხვებს:**

- თქვენი აზრით, წარმოდგენილი ისტორიული პირი/ები რომელ სფეროში საქმიანობდნენ?
- თავისუფალ ბაზარზე რა წარმოადგენს მთავარ მიზანს?
- მოგების მიღება სოციალურ მეწარმეობაში მიზანია თუ საშუალება? ახსენით რატომ?

- გარდა პირადი მოხმარების და ბიზნეს დაბანდებისა, რას ხმარდებოდა ამ ადამიანების მოგება?
- იმდროინდელი და თუნდაც თანამედროვე მეწარმეებიდან ყველა ეწევა ქველმოქმედებას? ახსენით რატომ?
- თქვენი აზრით, რა უბიძგებს ადამიანებს ქველმოქმედებისკენ? რა ამოძრავებდა კონკრეტულ წარმატებულ მეწარმეს გაეწია დიდი ქველმოქმედება?
- თქვენი აზრით, პიროვნული კმაყოფილების განცდა არის თუ არა ქველმოქმედის მამოძრავებელი?
- რაზე იყო მიმართული მათი ქველმოქმედება? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითი. შემდეგ კი გააანალიზეთ, ისინი დასახელებული სოციალური პრობლემების შედეგების აღმოფხვრა-შემცირებაზე ზრუნავდნენ თუ ამ პრობლემების მიზეზების აღმოფხვრაზე?
- გაიხსენეთ სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები, მონაწილეობის კიბის საფეხურები _ თქვენი აზრით, რომელ მათგანთან ასოცირდება ქველმოქმედება/ რატომ?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 136
გაეცანით ქვემოთ მოცემულ თეორიულ მასალას და სტატისტიკას, გაიხსენეთ ქველმოქმედების წინა ისტორიები; გამოკვეთეთ მახასიათებლები, რომლის გამოყენებითაც სოციალური მეწარმეობისა და ქველმოქმედების შედარებისთვის შეადგენთ ,,ვენის დიაგრამას“ და კლასს გააცნობთ.

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 136
გამართეთ დისკუსია **კითხვებზე:**
- ყველა კარგი მეწარმე შეიძლება გახდეს სოციალური მეწარმე? რატომ?
- ყველა სოციალური მეწარმე გაართმევს თავს ბიზნესს? რატომ?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 138

შექმენით 4 ჯგუფი, თითოეულმა ჯგუფმა განსაზღვროს სოციალური პრობლემა, რომელიც მათ თემს აწუხებს, გამოკვეთოს ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი გათვალისწინებით დაგეგმოს სოციალური საწარმოს ამოქმედება. განსაზღვროს მისი სოციალური მისია, შესაძლებლობები და რისკები და შედეგი, რომელზე გასვლაც სურთ,

ნაბიჯი 3. როგორ არის გათვალისწინებული საწარმო ,,ფენოვანის“ საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპები? იმსჯელე კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. (მდგრადი განვითარება; მკვ.წარმ.1.2.)

რესურსი: სახელმძღვანელო, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; გვ. 139
მოსწავლის წიგნში (გვ. 150) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ჰაბი – www.csrgeorgia.com

პრო ბონო საქართველო https://bit.ly/3Y1gk5t

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 139 (**ამ აქტივობას არ ვასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ისტორია „ჩიზქეიქერს“ გამოვიყენებთ, როგორც კონტექსტ-მაგალითს, შემაჯამებელი დავალებისთვის. იხილეთ ამ მატრიცის ბოლოს გვ.84).**

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სტატიას „პლანეტის გადასარჩენად „პატაგონიას” მფლობელი საკუთარ კომპანიას ასხვისებს“ და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რამდენად ესადაგება კომპანიის ახალი სტრატეგია სოციალურ მეწარმეობას?
- თქვენი აზრით, რამ განაპირობა კომპანიის მფლობელის ახალი იდეა შეეცვალა მოგების ვექტორი?
- რამდენად დაეხმარება კომპანიის საქმიანობა კლიმატის ცვლილების შეჩერებას? პასუხი დაასაბუთეთ;
- თქვენი აზრით, რატომ რცხვენოდა კომპანიის მფლობელს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის?
- რატომ უწევს მწარმოებელი ანტირეკლამას საკუთარ პროდუქციას?
- თქვენი აზრით, საზოგადოება ენდობა ამგვარ სტრატეგიას? რატომ?
- რა ხერხებით აპირებს კომპანიის დამფუძნებელი პლანეტის გადარჩენას?
- როგორ ფიქრობთ, ახალი სტრატეგიის შემდეგ გაიზარდა თუ შემცირდა ბრენდის პროდუქციაზე მომხმარებლის მოთხოვნა?

აქტივობა : იმსჯელეთ , გვ. 142
CSR -ის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კომპანია „ნესტლე"- ს საქმიანობა ინდოეთში. „ნესტლეს“ კომპანიას მსოფლიოს 84 ქვეყანაში 456 ქარხანა აქვს და სხვადასხვა პროდუქციას უშვებს. მათ შორის არის: ჩვილ ბავშვთა კვება, ნესკაფე, ნესქუიქი, ნათსი, მაგის სუპები და სხვა. გაეცანით ამ ისტორიას და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რა იქცა კომპანიისთვის ინდოეთში ბიზნესის დაწყების საფუძვლად?
- რა სტრატეგია განახორციელა კომპანიამ საწარმოს ასამუშავებლად?
- რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგა კომპანიამ, რომელიც დამატებით ინვესტიციებს საჭიროებდა?
- იყო თუ არა კომპანიის გადაწყვეტილება სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი?

  რა მოგება ჰქონდა კომპანიას მაგაში?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,გვ. 146
დაიყავით ჯგუფებად, თითოეულმა ჯგუფმა განიხილეთ ყველა სიტუაცია და ქვემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით კლასთან ერთად იმსჯელეთ მათ შესახებ.

კითხვები:

- რით ჰგავს ქვემოთ მოცემული კომპანიების ისტორიები ერთმანეთს?
- არის თუ არა ეს კომპანიები სოციალური საწარმო? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ;
- რა განსხვავება აღმოაჩინეთ ამ კომპანიებსა და სოციალურ საწარმოებს შორის?
- ზრუნავს რა საკუთარ თანმაშრომლებზე, ამავდროულად კომპანია ზრუნავს სოციალურ პრობლემებზე? საკუთარ რეპუტაციაზე?
- თუ გსმენიათ მსგავსი დამოკიდებულება სხვა კომპანიის შესახებ მსოფლიოში, საქართველოში?
- კომპანიის მფლობელების/მენჯერების მოქალაქეობრივი პოზიცია უფრო დაინახეთ თუ თანამშრომლების?
- რატომ არის საჭირო თუნდაც თვეში ერთი დღე კომპანიამ ხელფასის ანაზღაურებით სამოქალაქო აქტივობისთვის გაათავისუფლოს თანამშრომელი სამსახურიდან?
- რა გარანტია არსებობს, რომ თანამშრომლები ნამდვილად დაკავდებიან მოხალისეობრივი საქმიანობით? ან როგორ შეიძლება შესრულებული სამუშაოს შემოწმება?
- რომელი კომპანიის სტრატეგია უფრო მოგეწონათ და რატომ?
- რატომ ჩაითვალა სოციალურ მხარდაჭერად ადამიანების სამსახურში მიღება წინარე ისტორიის გარეშე?
- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ახალისებს ყოფილ დამნაშავეებს და გამოცდილების არმქონე ადამიანებს, იმ დროს, როდესაც ადამიანების უმეტესობა მთელი ცხოვრება აგროვებს გამოცდილებასა და დადებით სარეკომენდაციო წერილებს?
- რომელ კომპანიას ჩათვლიდით კარგ მოქალაქედ? პასუხი დაასაბუთეთ;
- თქვენ რომ იყოთ საწარმოს/კომპანიის ხელმძღვანელი, ქვემოთ შემოთავაზებულთაგან როგორ სტრატეგიას აირჩევდით მსგავსი სოციალური პასუხისმგებლობის შესასრულებლად ან რომელ ახალ სტრატეგიას გამოიყენებდით?რატომ?

აქტივობა: იმსჯელეთ გვ.150

ზემოთ მოცემული ქალთა გაძლიერების შვიდი პრინციპის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს;

- რატომ არის საჭირო, რომ ქალი ეკონომიკურად ძლიერი იყოს და არავისზე იყოს დამოკიდებული?
- რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამისათვის? რაიმე საგანგებო მომზადება სჭირდება იმას, რომ საკუთარი საქმე დაიწყოს, თუ მთავარია სურვილი ჰქონდეს და მონდომება?
- ქალთა გაძლიერების 7 პრინციპიდან, რომელი მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად? რას დაამატებდით? რას ამოაკლებდით?

რესურსი: სახელმძღვანელო, მეწარმის გაფართოებული ვალდებულება (მგვ). გვ. 151

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 151

დანაწილდით ჯგუფებად შემდეგი ნიშნით: მომხმარებელი, მეწარმე, მთავრობის წევრი, არასრულწლოვანი მოსწავლე, რიგითი მოქალაქე.

ქვემოთ მოცემულია ნარჩენების მართვის (რეციკლირების) ამსახველი ფოტო. შეადგინეთ მცირე მოთხრობა ფოტოს მიხედვით. განიხილეთ მოთხრობა ზემოთ დანაწილებული როლის მიხედვით და უპასუხეთ კითხვებს;

კითხვები:

- გაიხსენეთ რეციკლირების ყველაზე გავრცელებული სახეობები;
- რომელი მათგანის შესრულება შეუძლია მოსწავლეს? პირადად თქვენ?
- როგორ დაახასიათებდით რეციკლირებას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში?
- რას გაიზიარებდით ან შეცვლიდით თქვენი როლიდან გამომდინარე?
- რას ურჩევდით უკეთესობის მისაღწევად სხვა ჯგუფებს?
- რომელი სახის ნივთების რეციკლირებას მიაქცევდით მეტ ყურადღებას?
- ვისი როლი მიგაჩნიათ გადამწყვეტად რეციკლირების პროცესში? რატომ?
- ვის არ უნდა ეხებოდეს რეციკლირების პროცესი? რატომ?
- მდგრადი განვთარების რომელ მიზანს/მიზნებს ეხმიანება ეს აქტივობა?

აქტივობა: გაიხსენეთ!

რეკომენდაცია მასწავლებელს: შეახსენეთ მოსწავლეებს უკვე შესრულებული ჯგუფური სამუშაო (116- ე გვერდზე), სადაც მათ განსაზღვრეს, რომელ გლობალურ მიზანს ეხმიანებოდა ,,ფენოვანის“ საქმიანობა. იმედია, მოსწავლეები თავადვე გამოიტანენ სწორ დასკვნებს, რომ ,,ფენოვანის“ საქმიანობა საზოგადოებრივ ასპექტებს ეხმიანება და კავშირშია ,,ღირსეული დასაქმებისა და ეკონომიური გაძლიერების“ მიზანთან, თუმცა, ასევე მჭიდრო ბმაა გენდერულ თანასწორობასთანაც.

აქტივობა: იმსჯელეთ , გვ. 159

საგან მოქალაქეობის სწავლების მანძილზე ავტორები ყოველთვის ხაზგასმით გამოყოფენ მდგრადი განვითარების მიზნებს. ამ 17 მიზანთან დაკავშირებით უამრავი მაგალითი, სიტუაცია განვიხილეთ, დისკუსია და დებატებიც ბევრჯერ გავმართეთ. თქვენს შორის, სავარაუდოა, ნაწილი მეწარმე და ბიზნესმენი გახდება, თანაც ძალიან წარმატებული. კლასის მეორე ნაწილს შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს შეხება მეწარმეობასთან, ბიზნესთან.

კითხვები:

- თქვენი აზრით, მაშინ რატომ გვთავაზობენ ავტორები სოციალური მეწარმეობის, მეწარმის გაფრათოებული პასუხისმეგებლობის ან სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხების გაცნობასა და გააზრებას? რა მიზანს ემსახურება იგი?
    - გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას, წარმოიდგინეთ , რომ სწორედ თქვენ ხართ სიტუაციის გმირები - ოფისის თანამშრომლები და რისი გაკეთება შეგიძ Ლიათ მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად თქვნი კაბინეტიდან?

რესურსი: სახელმძღვანელო, რეკლამა გვ. 160

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 160

კითხვები:

- გაიხსენეთ რეკლამა, რომელმაც ბოლო ხანებში თქვენი ყურადღება მიიქცია, რას ეხებოდა, რას გთავაზობდათ ის? რატომ გამოარჩიეთ სხვა რეკლამებისაგან? სად გაეცანით ამ რეკლამას?
- დაასახელეთ პროდუქტი, რომლის რეკლამა ყველაზე ხშირად გხვდებათ. რა ზემოქმედებას ახდენს ის თქვენზე?
- როგორ გგონიათ, რისთვის იქმნება რეკლამა?
- რატომ ხარჯავენ კომპანიები რეკლამაზე თანხებს?
- დაასახელეთ საქონელი ან მომსახურება, რომელიც რეკლამის ზეგავლენით შეიძინეთ? რამ გიბიძგათ, შეძენის გადაწყვეტილებისკენ?
- გამართლდა თქვენი წარმოდგენა რეკლამით შეძენილ პროდუქტზე?ქ
- ქვემოთ მოცემულია 2 კომიქსი რეკლამის შესახებ.
- შეარჩიეთ ერთი პროდუქტი ან მომსახურება და გაახმოვანეთ კომიქსის გმირების სარეკლამო ტექსტი;
- არსებობს დღეს ამ ტიპის რეკლამა? თქვენ რომელი ტიპის რეკლამას ანუჭებთ უპირატესობას?

- სად ხვდებით ყველაზე ხშირად რეკლამებს?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 162
დაიყავით ჯგუფებად და კენჭისყრის წესით შეარჩიეთ თქვენი ჯგუფისთვის საინტერესო პროდუქტი _საქონელი ან მომსახურება და მოიფიქრეთ რეკლამა მომხმარებლის მისაზიდად.

- დაფიქრდით, რისი გამოყენება დაგჭირდებათ? რა უნდა გაითვალისწინოთ სარეკლამო პროდუქტის შექმნისას?
- როგორ შეასრულებს თავის დანიშნულებას თქვენი ჯგუფის მიერ შექმნილი რეკლამა?
- რომელი კომპონენტები იმუშავებს მომხმარებლის მიზიდვაზე?
- როგორ არის გათვალისწინებული:
- პროდუქციის ხარისხი?
- მოდის ტენდენციები?
- ხელსაყრელი ღირებულება?
- რა არის გამორჩეული, ორიგინალური თქვენს რეკლამაში?
- სამიზნე ჯგუფის ასაკი?

გამოფინეთ თქვენი რეკლამა კლასში და მოისმინეთ ურთიერთშეფასებები.

აქტივობა: მოდელირება, გვ. 164

ვის შეხვდება ჯილდო?

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სავაჭრო კომპანიის წარმომადგენელი ხართ და მნიშვნელოვანი საქმიანი გარიგების დადებას აპირებთ. მიღებული თანხა სასწრაფოდ სჭირდება კომპანიას. კლიენტი ყოყმანობს, აცხადებს, კარგად უნდა მოვიფიქროო. დრო მიდის, ის კი გადაწყვეტილებას ვერ იღებს.

კომპანიის ხელმძღვანელმა თანამშრომლებს დაავალა, ისეთი რეკლამა გაუკეთონ საქონელს, რომ მან ყიდვის გადაწყვეტილება სწრაფად მიიღოს. იმ თანამშრომელს, რომელიც დავალებას თავს წარმატებით გაართმევს, ხელმძღვანელი ჯილდოდ თანხის 2%-ს ჰპირდება. ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა.

მოიფიქრეთ, თქვენ რას მოიმოქმედებდით, როგორ დაძლევდით ამ პრობლემას?

გაინაწილეთ როლები:

- ერთი შეასრულებს მომხმარებლის როლს, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება უჭირს.
- ხუთი მოსწავლე კომპანიის წარმომადგენელი იქნება. თითოეული დამოუკიდებლად ფიქრობს სტრატეგიაზე, რომლითაც მომხმარებელზე უნდა იმოქმედოს და ყიდვის გადაწყვეტილება მიაღებინოს.

გაითამაშეთ დარწმუნების სცენა. ყოველი მონაწილე 2წუთის განმავლობაში დამოუკიდებლად ცდილობს მომხმარებლის დაყოლიებას, მიუხედავად წინა რაუნდში სხვა მოთამაშესთან მიღებული შედეგისა.

კლასის დანარჩენი მოსწავლეები აკვირდებიან გათამაშებულ სცენებს.
შეჯამება ხდება დისკუსიით : რამ იმუშავა კარგად? რატომ?

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 164
კითხვები:

- როგორ ახსნით იმ ბიზნესმენთა სტრატეგიას, რომლებიც რეკლამაში დიდ თანხებს იხდიან, ფასებს კი კონკურენტების დონეზე ინარჩუნებენ.
- ახსენით, რატომ გახსოვთ დიდხანს ის რეკლამები, რომლებიც არ მოგწონთ?

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 165
ჩემი პროდუქტის/მომსახურების რეკლამა
მოიფიქრეთ თქვენი პროდუქტის/მომსახურების მოკლე, ორწუთიანი რეკლამა, მომხმარებელების მოზიდვის მიზნით. ჯგუფებში სარეკლამო პლაკატი და პრეზენტაცია მოამზადეთ. სამუშაოდ 10 წუთი გაქვთ.
არ დაგავიწყდეთ, თქვენი რეკლამა დროის მოთხოვნებს უნდა ეხმიანებოდეს, პროდუქტის/ მომსახურების ისეთ თვისებებზე უნდა იტყობინებოდეს, რომლებიც ძლიერ ეფექტს მოახდენს რეკლამის მიმღებზე. აზრი ლაკონურად გამოთქვით, რათა რეკლამა მომაბეზრებელი, დამღლელი არ იყოს.

არ გამოგრჩეთ

- პროდუქტის/მომსახურების დასახელება;
- პროდუქტის/მომსახურების მახასიათებელი ნიშნები;
- პროდუქტის/მომსახურების შეძენის პირობები, სიახლეები, კონკურენტებისგან განსხვავებელი დამატებითი მომსახურება.
- კიდევ რას დაამატებთ?

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გააანალიზეთ:

1. რეკლამის რომელი კომპონენტები გამოიყენეთ (ტექსტური, მხატვრული, იუმორი, სიუჟეტი, მუსიკა, გრაფიკა, ანიმაცია)?
2. რას შეცვლიდით რეკლამაში? სცენის გათამაშების შემდეგ რა მოგეჩვენათ არაეფექტიანად? ეფექტიანად?
3. პოტენციური მომხმარებლისათვის საინტერესო რომელიმე ინფორმაცია ხომ არ აკლდა წარმოდგენილ რეკლამას?

დავალება

- აირჩიეთ ქვემოთ მოცემულ ბმულებზე განთავსებული ერთ-ერთი რეკლამა (რომელიც მეტად მოგეწონათ) და ახსენით:
- რა კრიტერიუმებით შეაფასეთ შერჩეული რეკლამა?
- გაგიჩინდათ თუ არა სარეკლამო პროდუქტის შეძენის სურვილი?
- რამდენად პოზიტიურია რეკლამა?
- რომელ ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი რეკლამა?
- რეკლამის გავრცელების რომელ ფორმას აირჩევდით?

- პროდუქტის რომელ ძლიერ მხარეზე აკეთებს აქცენტს რეკლამის ავტორი?
- რას დაამატებდით სარეკლამო რგოლში? ან რას ამოაკლებდით?

https://bit.ly/3S734Kk
https://bit.ly/3EcBXYM
https://bit.ly/3lLIvH8
https://bit.ly/3Egmirm
https://bit.ly/3Kk3R8T
https://bit.ly/3k3GJAV
https://bit.ly/3YGkno1

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ პარაგრაფში მოცემული აქტივობებიდან დროის დეფიციტის შემთხვევაში შეგიძლიათ შეარჩიოთ 1-2 აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს რეკლამის არსის გაგებაში დაეხმარება. ეს გამოცდილება მათ გამოადგებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის ,,სარეკლამო ბუკლეტის „ მომზადებისას, რაზეც კარგი იქნება მათი ყურადღების მიპყრობა. ამ პარაგრაფში რეკლამის შესახებ მოცემული ინფორმაცია ძირითადად უკავშირდება კომერციულ რეკლამას. ეს შეგიძლიათ გამოიყენოთ ,,არა“ მაგალითად“ სოციალური რეკლამის მახასიათებლების ხაზგასმისთვის. რადგან მათი მოსამზადებელი პროდუქტი_ ბუკლეტი უნდა მიეკუთვნებოდეს სწორედ სოციალურ რეკლამას. მასში ხაზგასმული უნდა იყოს ს საზოგადოებრივი სარგებელი, რაც სოცილურ საწარმო ,,ფენოვანს“ მოაქვს საზოგადოებისთვის, როცა ის ცდილობს შეცვალოს თავისი ბენეფიციარების (დასაქმებულების) მდგომარეობა.

შეჯამებებისთვის, კიდევ ერთხელ ვეკითხებით მოსწავლეებს რა პროდუქტის მომზადებას აპირებენ, ხომ არ დარჩათ პასუხგაუცემელი კითხვები. რასაც მოსდევს მათი კომპლექსური დავალებების წარდგენა და უკუკავშირი; ამაში თავიდანვე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა გვეხმარება.

ასევე, ვიყენებთ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკასაც (გვ.166), რომელიც პირველი თავის ბოლოს არის მოცემული.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?

- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყიფოლიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ყურადღება! III და IV თავში მოცემული საკითხებისთვის (,,მეწარმეთა პასუხისმგებლობა“ და „ბიზნესის მდგრადობა“) მომზადებულია ერთობლივი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და ერთი შემაჯამებელი დავალების პირობა, რომელიც მეოთხე მატრიცის ბოლოს (გვ. 100) არის განთავსებული. რეკომენდაციის მიხედვით, შემაჯამებელი დავალება შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ორ საკითხს, რომ არ დაიკარგოს კონკრეტულობა;

თემისთვის ,,მეწარმეობა და ბიზნესი“ **მეოთხე** ძირითადი საკითხია **„ბიზნესის მდგრადობა“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება ხდება კონკრეტული ინფორმაციით ,,ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში“ და შინაარსობრივად მასთან ახლო მდგომი მაგალითებით:

ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის	**რესურსები**
ძირითადი კონტექსტ-მაგალითი: ,,ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში“	• სახელმძღვანელო გვ. 170 მასწავლებლის წიგნი, **დანართი 4, (გვ. 183)**
მაგალითი შედარებისთვის 1. ნიკას სიტუაცია	• სახელმძღვანელო გვ. 174
მაგალითი შედარებისთვის 2. ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები	• სახელმძღვანელო გვ. 180
მაგალითი შედარებისთვის 3. ნანოს და მეგის სიტუაცია (როგორც ცირკულარული ეკონომიკის მაგალითი)	• სახელმძღვანელო გვ. 198

აქაც განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, ხოლო შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან; მაგალითად , კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტ-მაგალითის იმ მოცემულობაზე ვცდილობთ კონცენტრირებას, რომელიც საკვანძო კითხვებშივე (რატომ ცვლის IKEA მდგრადი ბიზნესის კონცეფციას და რესურს-მომხმარებლურ დამოკიდებულებას ანაცვლებს რეციკლირებადი ეკონომიკის მიდგომით? როგორ დავანახო თანაკლასელებს, თუ თითოეული მეწარმის ლოკალური მიდგომა გარემოსადმი, როგორ განაპირობებს გლობალურ შედეგებს?) გვაქვს განსაზღვრული;

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა: მეწარმეობა და ბიზნესი **ძირითადი საკითხი: ბიზნესის მდგრადობა** **ძირითადი კონტექსტ-მაგალითი:** ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში	**მდგრადი მოხმარება და წარმოება**	**მდგრადი განვითარების მიზნები**	**მდგრადი განვითარება (შედეგი 3)**

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესგში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი** **მოსწავლემ შეძლო:**
მდგრადი განვითარება (შედეგი: 3) **მდგრადი ბიზნესის კონცეფცია**	1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;	დაუკავშიროს ავეჯის კომპანია IKEA-ს მდგრადობა საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს; რესურსების მოხმარებაზე, ცირკულარულ მოხმარებაზე იმსჯელოს სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით; აღმოაჩინოს მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლები განხილულ და მსგავსი ბუნების კონტექსტ-მაგალითებს შორის.	
	2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)	დაუკავშიროს ბიზნესის, კერძოდ ავეჯის კომპანია IKEA-ს მდგრადობის კონცეფციების ცვლილება რესურს-მომხმარებლური დამოკიდებულების გარემოსადმი მზრუნველი და პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებით ჩანაცვლებას. გააანალიზოს, როდის და როგორ შეიძლება, შემენილი ცოდნის გამოყენება საკუთარი და საზოგადოებრივი სარგებლისთვის.	

ქვემოთ, შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის)

ცხრილი 2.

საკითხი - მდგრადი ბიზნესი

ქვესაკითხი - **ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში ქვეცნებები** - მდგრადი მოხმარება და წარმოება; მდგრადი განვითარების მიზნები - **სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (შედეგი: 3)**

საკვანძო შეკითხვა - რატომ ცვლის IKEA მდგრადი ბიზნესის კონცეფციას და რესურს-მომხმარებლურ დამოკიდებულებას ანაცვლებს რეციკლირებადი ეკონომიკის მიდგომით?
ჩემი **ბიზნეს გეგმითა და კომენტარებით** როგორ დავანახო თანაკლასელებს, თუ თითოეული მეწარმის ლოკალური მიდგომა გარემოსადმი, როგორ განაპირობებს გლობალურ შედეგებს?

კომპლექსური დავალების პირობა
გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას ,,ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში"; გამოკვეთეთ კრიტერიუმები, რომელთა დაცვაც აუცილებლად მიგაჩნიათ მდგრადი ბიზნესისთვის და მათი გათვალისწინებით შეადგინეთ თქვენი **ბიზნეს გეგმა,** გეგმას კომენტარების სახით დაურთეთ თქვენი განმარტებები და მოლოდინები.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ შეესაბამება თქვენი გეგმა საზოგადოების ინტერესებსა და მომავლის პერსპექტივას? რატომ მიანიჭეთ უპირატესობა ამ კონცეფციას? **(მკვ.წარმ. 1)**
- თქვენს მიერ დასახული გეგმა (რესურსი, პროდუქტი, ტექნოლოგია, ნარჩენების მართვა, დასაქმებულებზე ზრუნვა...) რამდენად ეპასუხება მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებს? ახსენით კონკრეტულად. **(მკვ.წარმ. 2)**

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
მდგრადი განვითარება 3. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; 4. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა)	**მდგრადი განვითარება:** • ლოკალურ ქმედებებთან გლობალური შედეგების დაკავშირება **(მკვ.წ. 1, 2)**	• როგორ შეესაბამება თქვენი გეგმა საზოგადოების ინტერესებსა და მომავლის პერსპექტივას? რატომ მიანიჭეთ უპირატესობა ამ კონცეფციას? **(მკვ.წარმ. 1)** • თქვენს მიერ დასახული გეგმა (რესურსი, პროდუქტი, ტექნოლოგია, ნარჩენების მართვა, დასაქმებულებზე ზრუნვა...) რამდენად ეპასუხება მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებს? ახსენით კონკრეტულად. **(მკვ.წარმ. 2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი 1. სახელმძღვანელო , **IV თავი. მდგრადი ბიზნესი;** კომპლექსური დავალების პირობა, გვ. 168

რესურსი 2. სახელმძღვანელო, ბიზნესის დაგეგმვა; გვ. 198

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- რა არის ბიზნეს გეგმა? სხვა დროს თუ გიმუშავიათ ამ პროდუქტზე? რა გაგიჭირდათ, რა გაგიიოლდათ?
- რა მიზანს ისახავს ბიზნეს გეგმა? რა შედეგს შეიძლება მიაღწიოთ მისი საშუალებით?
- როგორ დაგეგმავთ თქვენს ბიზნესს? რა კრიტერიუმებს გაითვალისწინებთ? რატომ?
- როგორი სტრუქტურა ექნება ბიზნეს გეგმას კომენტარებით?
- რა უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი ბიზნეს გეგმა დამაჯერებლად და გარემოსადმი კეთილგანწყობილად შეფასდეს?
- საჭირო იქნება თუ არა ბიზნეს გეგმისა და კომენტარების თავდაპირველი ვარიანტის ჩაკითხვა-სწორება?
- რა შეიძლება გამოვიყენოთ ბიზნეს გეგმის ვიზუალური გაფორმებისთვის?

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშავოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ყურადღება!

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

<u>სამიზნე ცოდნა:</u>

ქვესაკითხი - ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში ქვეცნებები - მდგრადი მოხმარება და წარმოება; მდგრადი განვითარების მიზნები - **სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (შედეგი: 3)**

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავება

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში, გვ.169

პირველი ეტაპი
ერთად გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას **„ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში“** და შეავსეთ მოცემული ცხრილის პირველი სვეტი: ჩაწერეთ, რა იყო თქვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი, ახალი, რა კითხვები გაგიჩნდათ? როგორ დაუკავშირებთ ამ ინფორმაციას წინა თავში განხილულ საკითხებს?
მეორე ეტაპი
იმუშავეთ წყვილში; პრეზენტაციის და დისკუსიის დროს ყურადღებით მოუსმინეთ თანაკლასელებს და მეორე სვეტში ჩაინიშნეთ რა არსებითი ინფორმაცია მიიღეთ, მოსმენილიდან თქვენი წყვილისთვის რა იყო საინტერესო, მნიშვნელოვანი; კითხვები, რომლებზეც პასუხი ვერ მიიღეთ;
მესამე ეტაპი
მესამე სვეტში შეგაქვთ უკვე ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებლის უკუკავშირიდან, კიდევ ერთხელ ტექსტის გადახედვიდან და მისი გააზრებიდან გამოკვეთავთ.

წყვილის ჩანაწერები	**საკლასო დისკუსიის ჩანაწერები**	**ჩანაწერები მასწავლებლის უკუკავშირისა და ხელახალი გააზრების შემდეგ**
1.		IKEA ცირკულარული ეკონომიკის მოდელით მუშაობს, რაც ზრდის მის ფინანსურ ეფექტიანობას;
2.		ნარჩენების გარეშე მუშაობა უკავშირდება მიდგომას ,,ნულოვანი ნარჩენები ნაგავზე“, ანუ ხდება ნარჩენების ხელახალი გამოყენება;
3.		კომპანია პარტნიორებად ირჩევს ისეთ მომწოდებლებს, რომლებიც ასევე გარემოსადმი მეგობრულ განწყობას ამჟღავნებენ.
4.		მომავალი ეკუთვნის ბიზნესს, რომელიც მოგების მაქსიმალურ ზღვარს ეკოლოგიური და სოციალური პრინციპების გათვალისწინებით გეგმავს.
5.		საწყისი ფაზა- მოგების მაქსიმალური ზრდა და ამავდროულად, ეკო-ნომიკური, ეკოლოგიური და საზოგადოებრივი შესაძლებლობებისა და რისკების მართვა.
6.		მეორე ფაზა_ ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნების თანაბარი მნიშვნელოვნების აღიარება. ანუ კომპანიაში კონკრეტული პოზიცია ან სამსახური კი არ მუშაობს მდგრად განვითარებაზე, არამედ, ყველა სამსახური თუ დეპარტამენტი მდგრადი განვითარების ინტეგრი- რებას ახორციელებს საკუთარ მიზნებში;

7.		ცირკულარული ეკონომიკის მოდელის დასაწ ყისი მხოლოდ რამდენიმე საკითხში შეინიშნება;

რეკომენდაცია მასწავლებელს: სასურველია თავად მოსწავლეებმა გამოკვეთონ მდგრადი ბიზნესის კონცეფციის განვითარების საფეხურები, მათ შორის მსგავსება-განსხვავება, გაავლონ პარალელები მათვის ცნობილ, თუნდაც წინა თავში გავლილ ბიზნესისტორიებთან.
თუ მოსწავლეთა პასუხებში ეს არ გამოიკვეთა, გამოიყენეთ მართული პრაქტიკა და უკუკავშირის ფორმატში შესთავაზეთ საფეხურების სქემა, რომელზეც ასახავთ კონცეფციების განვითარების პროცესს. ასევე შეიძლება გამოიყენოთ ვენის დიაგრამა შედარებისათვის.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 172
შექმენით 4 ჯგუფი, გადაინაწილეთ გლობალური მიზნების თითო მიმართულება და ინფორმაციის ,, ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში“ საფუძველზე იმსჯელეთ;
კითხვები:

- რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მდგრადი ბიზნესის აღწერილ კონცეფციებს თქვენი ჯგუფისთვის გამოყოფილ ასპექტებზე და როგორ?
- რომელი კონცეფცია არის თქვენთვის მნიშვნელოვანი და როგორ გესახებათ მისი რეალიზების გზები?
- ჩამოაყალიბეთ კრიტერიუმები, რომელიც მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებთან (თქვენს მიმართულებასთან) ბიზნეს საქმიანობის შესაბამისობის შესაფასებლად გამოგადგებათ.
- როგორ შეაფასებთ კომპანია IKEA-ს საქმიანობას ამ კრიტერიუმების მიხედვით? დაასახელეთ არგუმენტები.
- დააკავშირეთ კომპანია IKEA-ს ლოკალური ქმედებები გლობალურ შედეგებთან, დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითები;
- გაიხსენეთ, წიგნიდან შეარჩიეთ რომელიმე ბიზნესისტორია და გამოიყენეთ თქვენი კრიტერიუმები მისი მდგრადობის შესაფასებლად? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები;
- დააკავშირეთ შერჩეული კომპანიის ლოკალური ქმედებები გლობალურ შედეგებთან, დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითები;
- თქვენი აზრით, რა უნდა შეიცვალოს/გაძლიერდეს/შენარჩუნდეს ამ კომპანიებში, რომ მათი საქმიანობა სასურველ თანხვედრაში იყოს მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებთან?
- შესაძლებელია თუ არა, ბაზარზე თავი დაიმკვიდროს კომპანიამ, რომელიც მხოლოდ გლობალური სოციალური მიზნების გათვალისწინებით გეგმავს საქმიანობას და თავისუფალი ბაზრის პრინციპებს არ ითვალისწინებს? რატომ?

თითოეული ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას, რომლისთვისაც შემუშავებული კრიტერიუმები გადატანილი აქვს ცალკე სამუშაო ფურცელზე. ეს ფურცლები კლასში გაიკვრება და შექმნის ,,კრიტერიუმების ბანკს“, რომლის შევსება და მოდიფიცირება შესაძლებელი იქნება;



ნაბიჯი 1. როგორ შეესაბამება თქვენი გეგმა საზოგადოების ინტერესებსა და მომავლის პერსპექტივას? რატომ მიანიჭეთ უპირატესობა ამ კონცეფციას? (მკვ.წარმ. 1)

რესურსი: რა ხდება რეალურ ბაზარზე? 169

მოსწავლის წიგნში * (გვ.179) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

გაიგე მეტი ბაზრის ანალიზის შესახებ https://bit.ly/3DAbnZ8

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 174

კითხვები:

- რა ხდება რეალურ ბაზარზე, როდესაც რამდენიმე გამყიდველი ერთსა და იმავე საქონელს ყიდის?
- რა ხდება რეალურ ბაზარზე, როდესაც უამრავი გამყიდველი ერთგვაროვან საქონელს ყიდის?
- რა ხდება ბაზარზე, როდესაც მყიდველების რაოდენობა ძალიან მცირეა?
- ალბათ გაგიგიათ გამოთქმა „ბაზარი დატოვა", ხომ არ იცით, რას გულისხმობს ეს ფრაზა?

- თქვენი აზრით, რა პირობები აიძულებს მეწარმეს ბაზრის დატოვებას?
- მეწარმეების ნაწილს მიაჩნია, რაც მეტ საქონელს გაიტანს ბაზარზე, მით მეტი მოგების მიღებას შეძლებს. როგორ ფიქრობთ, ასეთი ლოგიკით მუშაობა მათ მდგრად წარმატებას უზრუნველყოფს?
- როგორ ფიქრობთ, ყველა ბიზნესი, რომელიც ბაზარზე მდგრადობას ინარჩუნებს მდგრადი ბიზნესია (გააზრებაში დაიხმარეთ თქვენი შემუშავებული კრიტერიუმები)?
- გაეცანით სიტუაციას და დაეხმარეთ ნიკას ბიზნესის წარუმატებლობის ყველა შესაძლო მიზეზი გაიაზროს:
  - ✓ ცუდი ადგილმდებარეობა;
  - ✓ არაეფექტიანი მომსახურება;
  - ✓ ცუდი სამუშაო პირობები;
  - ✓ დაბალი ხარისხის საქონელი;
  - ✓ მაღალი ფასები;
  - ✓ კონკურენტთა სიმრავლე;
  - ✓ რეკლამის არარსებობა;
  - ✓ არაპოპულარული, დროს მოთხოვნებს ჩამორჩენილი საქონელი და სხვა?

  გააკეთეთ კომენტარი თქვენს შეფასებებზე.

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში, გვ. 178

ნახაზზე ნაჩვენებია ერთ ბაზარზე მოღვაწე ხუთი მსხვილი კომპანია. მათგან ყველაზე დიდი წილი CC კომპანიას აქვს, ის 40%-ის ტოლია. CC კომპანია ბაზრის ლიდერია.



- რომელ კომპანიას აქვს ყველაზე მცირე წილი?
- როგორ უნდა იმოქმედოს ამ კომპანიამ, წილის გაზრდა რომ შეძლოს?
- როგორ შეიცვლება CC კომპანიის მდგომარეობა ბაზარზე, თუ BA კომპანია წილის 10%-ით გაზრდას მოახერხებს?
- თქვენი აზრით, როგორ მიიღწევა ლიდერობა ბაზარზე?

- რა გავლენას ახდენს ბაზარზე კომპანიის მდგომარეობაზე ამ კომპანიის დამოკიდებულება მდგრადი განვითარების პრინციპებთან? რატომ?

რესურსი: სახელმძღვანელო, ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები; გვ.180

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 180

ბაზარზე ხანგრძლივად რჩება საწარმო, რომელსაც მომხმარებლის საჭიროებების მიმართ სწრაფი რეაგირების უნარი აქვს. განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაცია და უპასუხეთ **კითხვებს:**

- როგორ ფიქრობთ, ბიზნესის წარმატებისათვის ეს პირობა საკმარისია? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით;
- თქვენი აზრით, რომელი მოტივებით ხელმძღვანელობენ მეწარმეები სიტუაციაში აღწერილი გადაწყვეტილების მიღების დროს?
- სხვა რომელი მიზეზები მოქმედებს ინვესტირების დონეზე?
- პასუხები შეადარეთ ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები სქემას.
- თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე:

ა) საქართველოს დღევანდელი საშინაო მდგომარეობა?
ბ) საერთაშორისო მდგომარეობა?
გ) სახელმწიფო გადაწყვეტილებები?
დ) ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან?
ე) მომხმარებლის პრიორიტეტების ცვლილება?
ვ) როგორ „ებრძვიან“ კონკურენტი საწარმოები ერთმანეთს საქართველოში?
დაიმოწმეთ თქვენთვის ცნობილი მაგალითები.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 183
გაეცანით და დაინაწილეთ ქვემოთ მოცემულ სიტუაციები, უპასუხეთ კითხვებს.

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 185
გააანალიზეთ, როგორ აისახება ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები მომხმარებლებზე. დახაზეთ სქემა, მოამზადეთ პრეზენტაცია.

რეკომენდაცია მასწავლებელს: ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების აქტივობების შეჯამებისას მოსწავლეებს სთხოვეთ დაუკავშირონ ეს ფაქტორები მდგრადი განვითარების მიზნებს და კერძოდ, **„მდგრადი მოხმარებისა და წარმოების“** მიზანს და უპასუხონ **კითხვებს:**

- შესაძლებელად მიგაჩნიათ თუ არა, ბიზნესის წარმატება ამ მიზნის გათვალისწინებით ?
- როგორ შეიძლება აისახოს ეს მიზანი ბიზნეს გეგმაში?
- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბიზნესმა თავიდანვე არ დააზიანოს გარემო და შემდეგ ,,ნაკვალევის“ წაშლაზე არ დახარჯოს რესურსები?
- უკავშირდება თუ არა ასეთი პრევენცია მომხმარებელს, მის კეთილდღეობას? თავად მეწარმეების, მათი ოჯახების კეთილდღეობას?
- რა დილემები შეიძლება წარმოიშვას ბიზნესისათვის ,,მდგრადი მოხმარებისა და წარმოების“ პრინციპის გათვალისწინების შემთხვევაში?
- თქვენი აზრით, უნდა დასთმოს თუ არა ბიზნესმა ამ მიზნის მისაღწევად? რატომ?
- რა არის საჭირო, რომ ასეთი მიდგომა ყოველდღიურ რეალობად იქცეს?
- როგორ გაითვალისწინებთ ამ დისკუსიას თქვენს ბიზნეს-გეგმაში?

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ.185

დაიყავით 4 ჯგუფად. ისევ გადაინაწილეთ, ზემოთ (გვ.167) მოცემული მდგრადი განვითარების ძირითადი ასპექტების ცხრილის თითო მიმართულება; გაეცანით ინფორმაციას ,,ეს საინტერესოა“ და საქონლის შეფუთვის საკითხი გააანალიზეთ თქვენი ასპექტების შესაბამისად.

კითხვები:

- რა კავშირს ხედავთ საქონლის შეფუთვასა და თქვენი ჯგუფის დასამუშავებელ ასპექტებს შორის?
- რა რჩევებს მისცემდით ბიზნეს სექტორს საქონლის შეფუთვასთან დაკავშირებით?
- რა კრიტერიუმს დაამატებდით ,,ბიზნეს გეგმის კრიტერიუმების ბანკს“?

რეკომენდაცია მასწავლებელს: პრეზენტაციების შეჯამების შედეგად გამოკვეთილ კრიტერიუმებს მოსწავლეები ამატებენ ,,კრიტერიუმების ბანკის“ ფურცელზე.

აქტივობა : მოდელირება ვმართავთ კომპანია ,,ათინათს“, გვ. 188

იმუშავეთ ჯგუფებში

შეადგინეთ ბიზნესის ამჟამინდელ და მომავალ მდგომარეობაზე მაქსიმალური ინფორმაციის მომცველი ცხრილი და ყველა არსებული მონაცემის მიხედვით შეავსეთ ის. თითოეული ბიზნესისათვის განსაზღვრეთ:

- ბაზრის ტენდენციები;
- მდგრადობის პირობები;
- პროდუქციის ხარისხი;
- განვითარების პერსპექტივა.

სიტუაციის ანალიზისას **არ დაგავიწყდეთ**, რომ თქვენ კომპანია „ათინათის" განვითარების პროგნოზი უნდა შეძლოთ (უნდა განსაზღვროთ კომპანიის მომავალი); ამისათვის კარგად შეისწავლეთ მოცემული ინფორმაცია. სამუშაო დრო ჯგუფებში 20 წთ-ია, თითოეულ ჯგუფს პრეზენტაციისათვის 5 წთ ეთმობა.

საუკეთესო შედეგის მისაღებად „გონებრივი იერიშის" მეთოდით იმუშავეთ:

- ჯგუფის თითოეულმა წევრმა გამოთქვას ნებისმიერი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით;
- აზრები გადაიტანეთ ქაღალდზე;
- ნუ გააკრიტიკებთ ნურც ერთ იდეას;
- ბოლოს შეაჯერეთ იდეები და მოამზადეთ პრეზენტაცია;
- პრეზენტაციის დასრულების შემდეგ 1-2 წთ ოპონენტების შეკითხვებზე პასუხებს დაუთმეთ.

კომპანია „ათინათი"

კომპანია „ათინათი" 3 ბიზნეს ერთეულისაგან შედგება. თქვენი ამოცანაა:
- გაეცნოთ მათ შესახებ მონაცემებს;
- გაანალიზოთ კომპანიის თითოეული ბიზნესი და განსაზღვროთ მათი მომავალი;
- გადაწყვიტოთ, შეძლებს კომპანია, ბაზარზე არსებობა განაგრძოს? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე? თუ თვლით, რომ ბიზნესის მდგომარეობა რთულია, დასახეთ მდგომარეობის გამოსწორების გეგმა და მოამზადეთ გეგმის პრეზენტაცია.

ინფორმაცია კომპანია „ათინათის" შესახებ

გაეცანით ინფორმაციას წარმოსახვითი კომპანია „ათინათის" შესახებ:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ათინათი" 3 ბიზნეს ერთეულისაგან შედგება. ესენია:

1. გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების კომპანია „სიხარული"
2. ყავის დამამზადებელი საწარმო „გეოარაბიკა".
3. სწრაფი კვების რესტორნების ქსელი „პრინცესა".

„სიხარული” ახალი საწარმოა, ბაზარზე მისი წილი დიდი არ არის, მაგრამ ორი თვის წინ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით რესპოდენტთა 60%-მა მათთვის ცნობილი ხარისხიანი უალკოჰოლო სასმელებიდან უპირველესად, სწორედ „სიხარული” დაასახელა. „სიხარული” უკვე 5 სახის უალკოჰოლო სასმელს უშვებს.

„**გეოარაბიკა**” ყავის დამაფასოებელი საშუალო ზომის საწარმოა. მისი პროდუქცია წლების განმავლობაში პოპულარული იყო საქართველოს ბაზარზე, თუმცა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც საწარმომ ხარისხი ვერ უზრუნველყო. ერთი თვის წინ საწარმომ სავაჭრო ქსელიდან დიდი რაოდენობით წუნდებული პროდუქცია უკან დაიბრუნა. ხელმძღვანელობამ პროდუქციის მეორედ გადამუშავება და მდგომარეობის გამოსწორება გადაწყვიტა, მაგრამ საკმაოდ დაბალი ხარისხის ყავის გადაუმუშავებელი პარტიები, მუშების დაუდევრობის გამო, სავაჭრო ქსელში მეორედ მოხვდა, რამაც მყიდველთა და მაღაზიის მფლობელთა უკმაყოფილება გამოიწვია. სახელმწიფო სანიტარული სამსახური ამ ფაქტით დაინტერესდა და კვლევა დაიწყო, როგორ მოქმედებს წუნდებული ყავა მომხმარებლის ჯანმრთელობაზე. კვლევის შედეგების გამოქვეყნებამდე წარმოება შეჩერდა. მენეჯერები თვლიან, რომ საგანგაშო არაფერია და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია, რამდენადაც, როგორც დანადგარები, ისე რესურსები სრულიად ახალია. ამიტომ, უკეთესი სპეციალისტების მოყვანით პრობლემა გადაჭრება.

„პრინცესამ” ერთი რესტორნიდან დაიწყო ფუნქციონირება რამდენიმე წლის წინ. მაშინ საქართველოში მსგავსი მომსახურების შეთავაზება სიახლე იყო. თუმცა ბევრი მიმდევრები გამოუჩნდა, ბაზარზე მას ადგილი დამკვიდრებული აქვს, წარმატების მიზეზად მენეჯერს მზარეულთა საუკეთესო გუნდი მიაჩნია. რესტორანს ნედლეულის ხარისხთან, მოწოდების დროსა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით პრობლემები არასოდეს ჰქონია. „პრინცესა” ქსელს აფართოებს მოთხოვნის ზრდის პარალელურად: ყოველწლიურად, დედაქალაქში ან საქართველოს რომელიმე რეგიონულ ცენტრში ერთი ახალი ობიექტი იხსნება. ანალიტიკოსების პროგნოზით, 3-5 წლის შემდეგ ბაზრის ზრდის ტემპი 4-6-ჯერ შემცირდება, კონკურენციის ინტენსიურობა კი შენარჩუნდება ან ზრდას განაგრძობს.

ნაბიჯი 2. • თქვენს მიერ დასახული გეგმა (რესურსი, პროდუქტი, ტექნოლოგია, ნარჩენების მართვა, დასაქმებულებზე ზრუნვა...) რამდენად ეპასუხება მდგრადი განვითარების ძირითად ასპექტებს? ახსენით კონკრეტულად. (მკვ.წარმ. 2)

რესურსი: სახელმძღვანელო, კონკურენცია და ბაზარი; გვ. 191
მოსწავლის წიგნში (გვ. 197) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

კონკურენციის დაცვა https://bit.ly/3HQKsL1
მონოპოლია თავისუფალი ბაზრის პირობებში https://bit.ly/3kTo2Qk

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 191
დაინაწილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები და უპასუხეთ **კითხვებს:**

სიტუაცია 1

ბატონი გიორგი თვლის, რომ ბაზარი კაკაოს ერთფეროვანი პროდუქტებით არის გაჯერებული, ამიტომ მას შეუძლია ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლოს და სარისკო წამოწყება დაგეგმოს: ბაზარს სხვადასხვა მცენარის თესლისაგან დამზადებული ინოვაციური კაკაოს შემცვლელი პროდუქტები შესთავაზოს. მათი წარმოება გიორგიმ ერთი თვის წინ დაიწყო. საცდელი პროდუქტი ბევრად არომატული და გემრიელი გამოვიდა, ვიდრე ნატურალური. დამწყებ მეწარმეს ბაზრის დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი.

კითხვები:

- რეალურად მიგაჩნიათ ამ მიზნის განხორციელება?
- რა არის თითოეული მეწარმის წარმატების საიდუმლო?
- დაეხმარეთ ბ-ნ გიორგის იდეა სისრულეში მოიყვანოს. ამისათვის ჯგუფებში ისეთი სამოქმედო გეგმა მოამზადეთ, რომლის ეტაპობრივად განხორციელების შემდეგ ბ–ნ გიორგი შეძლებს კონკურენტების დამარცხებას.
- შეუძლია მეწარმეს წინასწარ განსაზღვროს, რამდენად უზრუნველყოფს საქონლის ან მომსახურების მის მიერ შეთავაზებული ხარისხი პროდუქტის კონკურენტუნარიანობას?
- როგორ უნდა იმოქმედოს ბიზნესმა ბაზარზე ყოფნის გახანგრძლივებისათვის?
- გეგმის პრეზენტაციის შემდეგ მიეცით რეკომენდაციები (მინიმუმ -3 რეკომენდაცია) ბ-ნ გიორგის, რა შემთხვევაში გაუადვილდება კონკურენტების დამარცხება

სიტუაცია 2

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი კომპანია (შეურჩიეთ სახელი) მოსწავლის ჩანთებს ყიდის. სასწავლო წლის დასაწყისში ჩანთა ყველა მოსწავლემ შეიძინა. თქვენ კი უამრავი სარეალიზაციო საქონელი დაგრჩათ.

კითხვები:

- მოიფიქრეთ, თქვენს რაიონში ჩანთების გაყიდვის მიზნით რა ხერხებს მიმართავდით?
- რა არის ბაზარზე პროდუქტის ხანგრძლივი სიცოცხლის ხელშემწყობი ფაქტორი?
- შეადგინეთ კომპანიის მოქმედების გეგმა და მოამზადეთ პრეზენტაცია.
- გახსოვდეთ, რომ პრეზენტაციისათვის ჯგუფს 5 წუთი აქვს.

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 195

როგორ შევაღწიოთ ბაზარზე?

დაჯგუფდით ხუთეულებად, აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო ბიზნესი. განსაზღვრეთ სამოქმედო ბაზარი. თქვენი ამოცანა ამ ბაზარზე დამკვიდრებაა. ამისათვის კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება დაგჭირდებათ. გამოარკვიეთ

კითხვები:

- რომელი ფირმები ლიდერობს ამ ბაზარზე?
- რომელი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს კონკურენტების პროდუქტებს და მომსახურებას?
- რამდენად ეფექტიანია მომხმარებლისათვის პროდუქტის შეთავაზების ფორმები?
- რა ხარვეზები შეამჩნიეთ მათ საქმიანობაში?
- მოიფიქრეთ, როგორ შეგიძლიათ ამ ხარვეზების შევსება;
- მოამზადეთ პრეზენტაცია. პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს 5 წუთი აქვს.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 197

შექმენით ჯგუფები და ბაზარზე კონკურენციის ასპექტების გათვალისწინებით შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიგაჩნიათ ისეთი ბიზნესის დაგეგმვისას, რომელიც კონკურენციას გაუძლებს.

რესურსი: სახელმძღვანელო, ბიზნესის დაგეგმვა, გვ. 198

მოსწავლის წიგნში (გვ.205) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

- როგორ შევადგინოთ ბიზნეს-გეგმა https://bit.ly/3S0kiJu
- 10 წარმატებული ბიზნესი რომელიც დაიწყო პატარა ავტოფარეხში https://bit.ly/3XqOrT9
- გჭირდებათ ბიზნესგეგმა სესხის ასაღებად? https://bit.ly/3HSWRwU
- რა არის ბიზნეს გეგმა და რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს დოკუმენტი https://bit.ly/3DXFWbd
- ის, რასაც სკოლაში არ გვასწავლიან: რატომ გვჭირდება მდიდარი ადამიანები? https://bit.ly/3YhuT4Z
- მილიონდოლარიანი იდეები https://bit.ly/3jVevIv
- როგორ დავიწყოთ ბიზნესი??? ყველაფერი რაც უნდა იცოდეთ! https://bit.ly/3XqEBAR
- როგორ დავწეროთ ბიზნეს გეგმა https://bit.ly/40MMKSV
- რა არის ბიზნეს გეგმა და რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს დოკუმენტი https://bit.ly/3Yp6uun
- რა არის HACCP? https://bit.ly/3IkhraM

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ.198

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და უპასუხეთ **კითხვებს:**

- რომელი ძირითადი ეტაპები შეიძლება გამოვყოთ საქმიანი ორგანიზაციის ფორმირების პროცესში?
- რა არის ბიზნესის გეგმა და რატომ არის ის აუცილებელი ახალი ბიზნესის დასაარსებლად?
- ვის და რა მიზნით სჭირდება ბიზნესის გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია?
- მოიფიქრეთ ოთხი კითხვა, რომელიც ფირმას საკუთარი თავის დახასიათებაში დაეხმარება.
- აირჩიეთ წარმოების რომელიმე ფორმა და სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ცხრილის (გვ.197) მიხედვით განსაზღვრეთ ერთი თვის სავარაუდო ხარჯები.

გაანალიზეთ:

- რომელ კითხვებზე უნდა იცოდეთ პასუხი, რომ ერთი თვის ბიუჯეტი ზუსტად განსაზღვროთ?.
- შეიძლება თუ არა, წინასწარ განვსაზღვროთ ბიზნესის წარმტება, თუ არ გვექნება ინფორმაცია სავარაუდო შემოსავლების შესახებ?
- კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის განხილვის საფუძველზე ჩამოთვალეთ მოგების გაზრდისა და ხარჯების შემცირების ფაქტორები;
- როგორია მეწარმის როლი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში?
- არის თუ არა მეწარმე იმ ადამიანების ბედზე პასუხისმგებელი, რომელსაც დაასაქმებს? პასუხი დაასაბუთეთ.

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ პარაგრაფით შემოთავაზებული ინფორმაცია და აქტივობები კომპლექსური დავალების პროდუქტთან არის პირდაპირ კავშირში და შესაძლებელია უკუკავშირის დროს მოსწავლეებს ვთხოვოთ კიდევ ერთხელ გაიხსენონ ბიზნეს გეგმის სტრუქტურა, მისი მახასიათებლები, რომელიც კომპლექსურ დავალების შესრულებისას გამოადგებათ. სასურველია, ისევ გააქტიუროთ გეზისმიმცემი კითხვები, რომელიც მატრიცაში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პირველ ეტაპზეა მოცემული.

რესურსი: სახელმძღვანელო, შევისწავლოთ ბაზარი, გვ. 206
აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 206
კითხვები:

- როგორ გესმით **ბაზრის კვლევა**?
- რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს მეწარმე, რომ უფლება ჰქონდეს თამამად განაცხადოს: „მე ამ ბაზარს ვიცნობ"?
- რატომ არ წყვეტს წარმატებული კაფე სიახლეების შეთავაზებას და დამატებითი ხარჯების გაწევას, თუ იცის, რომ ამ სიახლეს კონკურენტები ძალიან სწრაფად გადაიღებენ?
- როგორ ახერხებენ ინოვაციური კომპანიები ისეთი სიახლეების მოფიქრებას და შეთავაზებას, რომელიც მომხმარებელს მოსწონს?
- რატომ არ ცდილობს ყველა კომპანია თვითონ იყოს სიახლის წამომწყები?

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 207

დაასახელეთ ბიზნესის ისეთი სფერო, რომელშიც სურვილი გექნებოდათ საქმიანობა დაგეწყოთ, როგორც ინდივიდუალურ მეწარმეს და რომელსაც დიდი დაფინანსება არ სჭირდება. იდეებიდან ამოარჩიეთ სამი, რომელსაც ყველაზე კარგად იცნობთ. დაიყავით 3 ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა თითო ბაზრი უნდა იკვლიოს.

განსაზღვრეთ ბიზნესისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი:

- დარგში არსებული საწარმოების რაოდენობა;
- საქონლის ტიპები;
- დარგში შესვლის სიმარტივე, კონკურენტები;
- როგორ გარემოში მოგიწევთ ფუნქციონირება;
- დანახარჯების დონე;
- საქონლის (მომსახურების) ფასი;
- ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია;
- დაარსებიდან რა დროში მიაღწევთ წარმატებას?
- ბიზნესის წამოწყების სავარაუდო ბიუჯეტი.

მოამზადეთ არგუმენტების პრეზენტაცია:

ა) რატომ არის მომგებიანი ამ საქმიანობის წამოწყება?

ბ) რატომ არ ღირს ამ საქმიანობის წამოწყება

აქტივობა: იმსჯელეთ, გვ. 213

კითხვები:

- დაახასიათეთ თქვენი ოჯახი, როგორც მომხმარებელი;
- დაახასიათეთ თქვენი სამეგობრო, როგორც მომხმარებელი;
- როგორი მომხმარებელი ხართ თვითონ? მაგალითად, თქვენი აუცილებელი საქონლის შეძენის რამდენი წყარო არსებობს? რა სიხშირით იძენთ ტანსაცმელს?
- ტანსაცმლის შეძენისას, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი? (ამოარჩიეთ სამი უმთავრესი):
  ა) ფერი;
  ბ) კომფორტულობა;
  გ) გამძლეობა;
  დ) ქსოვილი;

ე) ფასი;
ვ) უნიკალურობა;
ზ) მარკა, აქსესუარები;
თ) ბრენდი
ი) მოდურობა;
კ) გამოყენების ხანგრძლივობა;
ლ) თანატოლებში პოპულარობა;

- რა მახასიათებელი უნდა ჰქონდეს საქონელს (ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, აქსესუარებს...) , რომ თქვენი თანატოლები, როგორც მომხმარებლები დააინტერესოს?

რესურსი: სახელმძღვანელო, ბიზნესის დაფინანსება; გვ. 214
მოსწავლის წიგნში (გვ. 217) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

გზა ფინანსური დამოუკიდებლობისკენ – ბოდო შეფერი, ნაწილი 2 https://bit.ly/3iXAKgy

აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 214

გაეცანით სიტუაციას და იმსჯელეთ მოცემული კითხვების მიხედვით:

- რა შეკითხვებს დაუსვამთ მეგობარს, ვიდრე სესხის მიცემაზე დათანხმდებით?
- რა შემთხვევაში დათანხმდებით ფულის სესხად გაცემას?
- რა პირობებს წაუყენებთ მსესხებელს?
- სესხის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, რას ურჩევდით მეგობარს, სად ეძებოს დამატებითი დაფინანსების წყარო?
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ გააცანით თანაკლასელებს ჯგუფის ნამუშევარი და სხვადასხვა ჯგუფის სამუშაოში მსგავსი

პასუხები მონიშნეთ.
- ექნებათ თუ არა იგივე ან მსგავსი კითხვები ბანკის თანამშრომლებს, თუ თქვენი მეგობარი კრედიტის აღებას ბანკიდან მოინდომებს?

სიტუაცია 1
თქვენი მეგობარი საკუთარი საწამოს გახსნას აპირებს. ერთ დღეს მოვიდა და გამცნოთ, რომ სახსრები არ ყოფნის დანადგარის შესაძენად და სესხად დაბადების დღეზე საჩუქრად მიღებული 300 ლარი გთხოვათ.

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში, გვ. 217

დაიყავით ჯგუფებად, ჩამოწერეთ პირობები, რომლებსაც, თქვენი აზრით, მეწარმე უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ბანკი დარწმუნებული იყოს, რომ კრედიტი არ გაიფლანგება და ის სესხის პატიოსანი გადამხდელი იქნება.
მოამზადეთ პრეზენტაცია. სამუშაო დრო 10 წუთია.
სამუშაოს საბოლოო ვარიანტი მომდევნო გაკვეთილამდე შეინახეთ, როდესაც თქვენ რომელიმე ბანკის საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით გაეცნობით სასესხო მოთხოვნებს.

- შეადარეთ თქვენი მოთხოვნები ბანკის მოთხოვნებს, რომელი საკითხები ვერ გაითვალისწინეთ?
- თქვენ რომ საკუთარი საწარმოს გახსნის იდეა გქონდეთ, როგორ დააფინანსებდით?
- დაფინანსების ეს ფორმა აირჩიეთ იმიტომ, რომ რეალური შანსი გაგაჩნიათ, თუ იმიტომ, რომ უპირატესობას დაფინანსების ამ წყაროს ანიჭებთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებს სთხოვეთ დაფიქრდნენ, რას მიამატებენ კრიტერიუმების ბანკს უკანასკნელი აქტივობებიდან ?
საბოლოოდ მათთან ერთად გადახედეთ შემუშავებულ ,,ბიზნეს გეგმის კრიტერიუმების ბანკს“, გააანალიზეთ, შეადარეთ წარმოდგენილი კრიტერიუმები, დააჯგუფეთ, მოახდინეთ მათი მოდიფიცირება.
იმსჯელეთ, საბოლოოდ შერჩეული კრიტერიუმები რამდენად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნეს გეგმის მდგრადი ბიზნესის პრინციპებთან შესაბამისობას.
შეჯამებისთვის, კიდევ ერთხელ ვეკითხებით მოსწავლეებს რა პროდუქტის მომზადებას აპირებენ, ხომ არ დარჩათ პასუხგაუცემელი კითხვები. რასაც მოსდევს მათი კომპლექსური დავალებების წარდგენა და უკუკავშირი; ამაში თავიდანვე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა გვეხმარება.

ასევე, ვიყენებთ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკასაც (გვ.218), რომელიც პირველი თავის ბოლოს არის მოცემული.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება? • რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი? • რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები? • ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო? • რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად? **შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი** • შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს? • რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება? • რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყიფოლიყო? • თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ცხრილი 3.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

თემა **მეწარმეობა და ბიზნესი** ძირითადი საკითხი - მეწარმეთა პასუხისმგებლობა; ბიზნესის მდგრადობა; ,,პლანეტის გადასარჩენად „პატაგონიას" მფლობელი საკუთარ კომპანიას ასხვისებს"-გვ.139-141) მოსწავლე		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დაასაბუთოს ივონ ჩუინარდის, როგორც მეწარმის, დამსაქმებლის, გადასახადების გადამხდელის პოზიტიური გავლენა საზოგადოებაზე, სოციუმზე; გააანალიზოს ,,პატაგონიის" მფლობელის ახალი გადაწყვეტილება რას შეცვლის საზოგადოებაზე, სოციუმზე გავლენის თვალსაზრისით;	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დააკავშიროს ჩუინარდის თავდაპირველი მოთხოვნილება და საჭიროებები (სპეციალური ტანსაცმელი) მის ეკონომიკურ უფლებასთან (აწარმოოს ბიზნესი, მიიღოს მოგება, გასწიოს ქველმოქმედება, გაასხვისოს ქონება...) და ვალდებულებასთან (სახელმწიფოს გადაუხადოს გადასახადები, გადაწყვეტილებები შეუსაბამოს სამართლებრივ ნორმებს, დემოკრატიის პრინციპებს);	1,5	

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • იმსჯელოს რატომ გადაწყვიტა ჩუინარდმა აეღო სოციალური პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილებების შესამცირებლად და ამ პრობლემის ადვოკატირებისთვის ერთჯერადად კი არ გაიღო საქველმოქმედო თანხა, არამედ ,,წილში შეიყვანა დედამიწა". შეაფასოს შერჩეული გზის მართებულობა;	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • იმსჯელოს ,,პატაგონიის" განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე რამდენად იყო გათვალისწინებული მდგრადი განვითარების პრინციპები და რა შეიცვალა ამ მიმართებით ბოლო ეტაპზე;	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ, მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად.

შემაჯამებელი დავალებისთვის რეკომენდებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და წინასწარ მივცეთ მოსწავლეებს გასაცნობად და გასაანალიზებლად. მათ ეცოდინებათ, რომ დაახლოებით ერთ კვირაში მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც დაკავშირებული იქნება მიცემულ კონტექსტ-მაგალითთან.

ამ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი ,,პლანეტის გადასარჩენად „პატაგონიას" მფლობელი საკუთარ კომპანიას ასხვისებს"- გვ.139-141); მოსწავლე წინასწარ გაეცნო მას. დათქმულ დღეს ვაძლევთ დავალების პირობას:

,,გაეცანით ინფორმაციას ,,პლანეტის გადასარჩენად „პატაგონიას" მფლობელი საკუთარ კომპანიას ასხვისებს", (გვ.139-141) და მოამზადეთ არგუმენტირებული ესე (150-200 სიტყვა) ,,რატომ გაასხვისა ჩუინარდიმ ,,პატაგონია?"

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე :

- რა დაედო საფუძვლად ჩუინარდის ბიზნესიდეას და რა გავლენა ჰქონდა ,,პატაგონიას", როგორც ბიზნესს, საზოგადოებაზე, სოციუმზე? რას შეცვლის ახალი გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით?
- როგორ ითვალისწინებდა ,,პატაგონია" მეწარმეობის სხვადასხვა ეტაპზე საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს და რა დამოკიდებულება ჰქონდა სახელმწიფოსთან, დემოკრატიის პრინციპებთან (ეკონომიკური თავისუფლება, კანონის უზენაესობა)? როგორ იქცევა ახალი გადაწყვეტილების პირობებში დილემების თავიდან ასაცილებლად?
- რა დაედო საფუძვლად ჩუინარდის ახალ გადაწყვეტილებას, რამ უბიძა სოციალური პასუხისმგებლობის აღებისკენ? რატომ არჩია მეწარმემ პრობლემის მოსაგვარებლად ერთჯერადი რესურსის (ქველმოქმედების სახით) გაღებას, ,,დედამიწისთვის წილის გაზიარება"?
- მეწარმეობის სხვადასხვა ეტაპზე როგორ ითვალისწინებდა ,,პატაგონია" მდგრადი განვითარების პრინციპებს? რა შეცვალა ბოლო გადაწყვეტილებამ ამ მიმართებით?

შენიშვნა: პასუხებს წერთ არა გამოცალკევებულად, არამედ ესეს ტექსტში ინტეგრირებულად."

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ თავში მოცემულია სამი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და შემაჯამებელი დავალების კითხვარი. მესამე შემაჯამებელი დავალება და რუბრიკა მოიცავს ბოლო ორ საკითხს (III და IVთავს). ამ სამი შემაჯამებლისგან შეგიძლიათ აარჩიოთ, რომელ და რამდენ შემაჯამებელს შეასრულებინებთ მოსწავლეებს პირველ სემესტრში, ან საერთოდაც მოამზადოთ შემაჯამებელი დავალების თქვენეული ვარიანტები.

თემა 2. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა

თემატური მატრიცის თავფურცელი

თემის სახელწოდება: პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა **საათების სავარაუდო რაოდენობა:** 35 საათი **ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო - გამომცემლობა „სიდი“				
სამიზნე ცნებები:	**ძირითადი საკითხი 1** **პოლიტიკური პროცესი**	**ძირითადი საკითხი 2** **პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები**	**ძირითადი საკითხი 3** **მდგრადი პოლიტიკა**	**ძირითადი საკითხი 4** **სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში**
საზოგადოება	<u>ქვესაკითხი:</u> ❖ **უინსტონ ჩერჩილი** - პოლიტიკური ლიდერი <u>ქვეცნებები:</u> ❖ **იდეა (გამამთლიანებელი იდეა), ხასიათი / ნებელობა**			
დემოკრატია		<u>ქვესაკითხი:</u> ❖ **„საარქივო მოამბე“ N 2. 2008 წ. შინაგან საქმეთა სამიინისტროს საარქივი სამმართველო** (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე) <u>ქვეცნებები:</u> ❖ ადამიანის უფლებები - **პირადი ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება** ❖ დემოკრატიის პრინციპები - **კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება**		

სამოქალაქო მონაწილეობა				<u>ქვესაკითხი:</u> ❖ **„ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს“** (ნიკო ნიკოლაძე) <u>ქვეცნებები:</u> ❖ **არჩევნები, მონაწილეობის კიბე**
მდგრადი განვითარება			<u>ქვესაკითხი:</u> ❖ **2022 წელს ბრიტანულ გაზეთ “გარდიანში” გამოქვეყნებულ სტატია** <u>ქვეცნება:</u> ❖ **მდგრადი განვითარების მიზანი 17**	

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- ინდივიდები პოლიტიკის აქტიური სუბიექტები არიან. მათი პიროვნული თვისებები, ღირებულებები, უნარები, ურთიერთობები ადამიანებთან და ჯგუფებთან განსაზღვრავს ქვეყნების და მსოფლიო პოლიტიკას **(სამიზნე ცნება „საზოგადოება“);**
- პოლიტიკური საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული და დემოკრატიის პრინციპების დაცვით ხორციელდება **(სამიზნე ცნება - დემოკრატია)**
- პოლიტიკაში მონაწილეობის მრავალი გზა არსებობს(არჩევნები, რეფერენდუმი, მანიფესტაცია და ა.შ), ამასთან , პოლიტიკაში მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს/**(სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა);**
- პოლიტიკა ხორციელდება მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით **(სამიზნე ცნება - „მდგრადი განვითარება“).**

XI კლასის სავალდებულო თემისთვის „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ პირველი ძირითადი საკითხია **„პოლიტიკური პროცესი“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება უინსტონ ჩერჩილის პოლიტიკური ბიოგრაფიის განხილვით და მასთან ახლოს მდგომი მაგალითებით:

ძირითადი ქეისი და მაგალითები შედარებისთვის	რესურსები
ძირითადი ქეისი: უინსტონ ჩერჩილი	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 7-10 • მასწავლებლის წიგნი. დანართი 5. გვ. 186
მაგალითი შედარებისთვის 1 კრისტინ ლაგარდი. ურსულა ფონ დერ ლაიენი	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 21-22
მაგალითი შედარებისთვის 2. გუბერნატორის არჩევნები	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 29-33
მაგალითი შედარებისთვის 3. ვალერია ნოვოდვორსკაია	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 36-37

შეგახსენებთ:

ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, მაშინ როცა შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან;

ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისთვის

თემა - პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა **ძირითადი საკითხი -** პოლიტიკური პროცესი **ძირითადი კონტექსტ-მაგალითი -** უინსტონ ჩერჩილი - პოლიტიკური ლიდერი			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
უინსტონ ჩერჩილი - პოლიტიკური ლიდერი	იდეა (გამამთლიანებელი იდეა)	ხასიათი / ნებელობა	**საზოგადოება (შედეგები 1, 2, 4)**

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებ ლის კომენტარი**
საზოგადოება (შედეგები: 1,2,4) **უინსტონ ჩერჩილი -** პოლიტიკური ლიდერი	1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი ღირსებებით, მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;	ჩერჩილის და სხვათა (კრისტინ ლაგარდი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვალერია ნოვადვორსკაია) მაგალითზე დაფუძნებით იმსჯელოს წარმატებული პოლიტიკოსისთვის საჭირო/მნიშვნელოვან პიროვნულ მახასიათებლებზე;	
	2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;	ჩერჩილის და სახელმძღვანელოში მოცემული სხვა პოლიტიკოსების(კრისტინ ლაგარდი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვალერია ნოვადვორსკაია) მოღვაწეობის ანალიზის საფუძველზე იმსჯელოს რა მოტივები ამოძრავებთ პოლიტიკის აქტორებს რატომაა პოლიტიკაში ყოფნა პიროვნული განვითარების ერთ-ერთი გზა	
	3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;	ჩერჩილის და სახელმძღვანელოში მოცემული სხვა პოლიტიკოსების (კრისტინ ლაგარდი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვალერია ნოვადვორსკაია) მაგალითებზე დაფუძნებით აღწეროს, გააანალიზოს, თუ რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ინსტიტუტებთან უწევთ პოლიტიკოსებს ურთიერთობა/თანამშრომლობა; რა გავლენას ახდენდა თანამშრომლობის ეს პროცესი მათ მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე.	

	4. ადამიანს სოციალიზაციაში ეხმარება ასერტულობა, უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე.	ჩერჩილის და სხვათა (კრისტინ ლაგარდი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვალერია ნოვადვორსკაია) მაგალითებზე დაფუძნებით გააანალიზოს რამდენადაა ასერტულობა პოლიტიკური ლიდერების სამოქმედო პრინციპი; რამდენად ეხმარება ეს უნარი მათ დასახაული მიზნების მიღწევაში.	

ქვემოთ მოცემულ შუალედური/კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის).

ცხრილი 2.

საკითხი - პოლიტიკური პროცესი
ქვესაკითხი - უინსტონ ჩერჩილი - პოლიტიკური ლიდერი. **ქვეცნებები -** იდეა(გამამთლიანებელი იდეა); ხასიათი/ნებელობა **სამიზნე ცნება - საზოგადოება (შედეგი:1,2,4)**
საკვანძო შეკითხვა - რატომ და როგორ განაპირობებს პიროვნების ხასიათი/ნებელობა წარმატებულ პოლიტიკურ საქმიანობას? - როგორ წარმოვაჩინო ნაშრომში დილემები / გამოწვევები, რომელის წინაშეც პოლიტიკოსები დგანან?
კომპლექსური დავალება გაეცანით XX საუკუნის ცნობილიპოლიტიკოსის უინსტონ ჩერჩილის შესახებ წყაროში მოცემულ ინფორმაციას (II ნაწილი,გვ.7-10), შეადარეთ მისი მოღვაწეობა სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა პოლიტიკოსების საქმიანობას: კრისტინ ლაგარდი (II ნაწილი, გვ. 21), ურსულა ფონ დერ ლაიენი II ნაწილი,გვ22 ვალერია ნოვადვორსკაია (II ნაწილი, გვ. 36 -37). დაწერეთ **ესე,** რომელშიც პოლიტიკოსების პიროვნული მახასიათებლებისა და საქმიაობის ანალიზის საფუძველზე განიხილავთ პოლიტიკური ლიდერის როლს ლოკალური/გლობალური საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში. ყურადღება გაამახვილეთ პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ თვისებებზე და ნებელობაზე, როგორც იდეების ხორცშესხმის წინაპირობაზე. **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** • რა თვისებების, ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს წარმატებული პოლიტიკური ლიდერი? **(საზოგადოება.მკვ.წარმ. 1.)** • რომელ საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნავენ (მაგალითების მიხედვით) პოლიტიკური ლიდერები? **(საზოგადოება.მკვ.წარმ. 2.)**

• რა ფაქტორები უწყობს ხელს პოლიტიკოსის მიერ საკუთარი იდეების რეალიზებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობას?**(საზოგადოება. მკვ.წარმ. 3. 4)**		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
საზოგადოება 1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; 3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; **4.** ადამიანს სოციალიზაციაში ეხმარება ასერტულობა, უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე.	საზოგადოება: •ადამიანების მიმართ ემპათიის გამივლენა; ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზემოქმედებს ამა თუ იმ სიტუაციაში ადამიანის ქმედებებზე/გადაწყვეტილებებზე (მკვ.წ. 1,2); •ფაქტორების გაანალიზება, რომელიც ხელს უწყობს/უშლის ადამიანის სოციალიზაციას (მკვ.წ. 3.4).	**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** • რა თვისებების, ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს წარმატებული პოლიტიკური ლიდერი? **(საზოგადოება.მკვ.წარმ. 1.)** • რომელ საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნავენ (მაგალითების მიხედვით) პოლიტიკური ლიდერები? **(საზოგადოება.მკვ.წარმ. 2.)** • რა ფაქტორები უწყობს ხელს პოლიტიკოსის მიერ საკუთარი იდეების რეალიზებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობას?**(საზოგადოება. მკვ.წარმ. 3. 4)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სახელმძღვანელო, **I I თემა. I თავი. პოლიტიკური პროცესი** კომპლექსური დავალების პირობა, II ნაწილი, გვ. 6

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- უინსტონ ჩერჩილის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ შესახებ?
- შენი აზრით რა თვისებები უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს?
- რა არის ესეს მიზანი? რა არის ესე?
- გაიხსენე, როგორია ესეს სტრუქტურა?
- რა რესურსები დაგვჭირდება?
- როგორ დავწერო კარგი ესე?
- რას უნდა მიაქცო ყურადღება ესეზე მუშაობისას?
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დავალება?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

რეკომენდაცია მასწავლებელს:
კითხვებით კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ, რომ დავალების პირობა ყველასთვის გასაგებია;
მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებამდე შესასწავლ საკითხს რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობთ და ბოლოს ყველას ექნება საშუალება კლასს წარუდგინოს შესრულებული დავალება.

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

<u>სამიზნე ცოდნა:</u>

ქვესაკითხი - უინსტონ ჩერჩილი - პოლიტიკური ლიდერი**ქვეცნებები -** იდეა(გამამთლიანებელი იდეა); ხასიათი/ნებელობა **სამიზნე ცნება - საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში. II ნაწილი, გვ. 11

ყურადღებით გაეცანით გვ. 8-10 ტექსტს „უინსტონ ჩერჩილი“ და შეავსეთ ცხრილი.

- ✓ ჩამოთვლილი ემოციურ - სოციალური უნარებიდან რომელს ფლობდა ჩერჩილი?
- ✓ რამდენად განაპირობა ამ უნარების ფლობამ მისი წარმატებული პოლიტიკური საქმიანობა. მოსაზრება დაასაბუთეთ.

ემოციურ-სოციალური უნარები	დაასაბუთეთ რამდენად ეხმარებოდა ჩერჩილს ეს უნარები დასახული მიზნების მიღწევაში
კომუნიკაცია	
კოლაბორაცია	
ეთიკა	
პასუხისმგებლობა	
ემპათია	
ხასიათი/ნებელობა	
კონფლიქტების მართვა	

რეკომენდაცია მასწავლებელს:
თქვენი გადასაწყვეტი იქნება, ძირითადის სტატუსით რომელ კონტექსტ-მაგალითს გამოიყენებთ. ჩვენი ჩანაფიქრი გახლავთ, მოსწავლეებმა გაიაზრონ რომ პოლიტიკური ლიდერობა არის პიროვნების თვითაქტუალიზების საშუალება, რაც საზოგადოების განვითარებაზეც ახდენს დადებით გავლენას.
კონტექსტ-მაგალითით ვამუშავებთ ქვესაკითხის - უინსტონ ჩერჩილი - პოლიტიკური ლიდერი. ეს ქვესაკითხი კრავს, ერთმანეთს აკავშირებს თემას, ძირითად საკითხს და მეორეს მრივ, ქვეცნებებს იდეა(გამამთლიანებელი იდეა), ხასიათი, ნებელობა, რომლებიც სამიზნე ცნება ,,საზოგადოების“ გააზრებას ემსახურება. რაც შეეხება მაგალითებს შედარებისთვის, იქაც გეზისმიმცემიმ კითხვებით ვავლებთ პარალელებს.

კრიტერიუმი 1. რა თვისებების, ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს წარმატებული პოლიტიკური ლიდერი (მკვ.წარმ. 1.)

რესურსი: უინსტონ ჩერჩილი **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ.7-10**
აქტივობა 1: იმუშავეთ ჯგუფებში გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს;

კითხვები:

- როგორ პოლიტიკოსად დაახასიათებდით უინსტონ ჩერჩილს? რა თვისებები ჰქონდა მას?
- რომელი გლობალური და ლოკალური სოციალურ- პოლიტიკური პრობლემები ამოიცანით?
- კონკრეტულად რა გავლენა მოახდინა ამ პოლიტიკოსებმა საკუთარი ქვეყნისა და გლობალურ პოლიტიკაზე? პასუხი დაასაბუთეთ;
- რატომ იღწვოდა ჩერჩილი ევროკავშირის შესაქმნელად? რომელი გლობალური მოვლენა იყო ამის წინაპირობა?
- რა იყო ჩერჩილისთვის ევროკავშირის შექმნის მთავარი ამოცანა?
- რა იყო ჩერჩილის უმთავრესი მიღწევა პოლიტიკოსის უმთავრესი მიღწევა? როგორ შეაფასებდით ამ მიღწევებს ახლანდელი გადასახედიდან?
- რამდენად განსაზღვრავს პოლიტიკოსის ძლიერებას მისი პიროვნული თვისებები? გარემო? კონკურნეტები?
- როგორ იმოქმედა ამ ჩერჩილის მოღვაწეობამ საზოგადოების თითოეულ წევრზე?
- შეადარეთ ჩერჩელისა და სხვა პოლიტიკოსების(მაგ. კრისტინ ლაგარდის, ურსულა ფონ დერ ლაიენის) მოღვაწეობა? რა მსგავსებას/განსხვავებას გამოყოფდით?
- რამდენიმე ათეული წელი გავიდა ჩერჩილის მოღვაწეობიდან და მისი საქმიანობის ანალიზი, შედარება სხვადასხვა პოლიტიკოსთან არ წყდება. თქვენი აზრით, რატომ?

რესურსი: ოპოზიციონერი სერ უინსტონ ჩერჩილი, **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 38-39**
აქტივობა: იმსჯელეთ

- გაიხსენეთ, ჩერჩილის ისტორია. რატომ შეიძლება იყოს გასაკვირი ჩერჩილის ოპოზიციონერეობა თავისი ცხოვრების მიწურულს?
- რატომ უწოდებდა მაშინდელი მედია ჩერჩილს „დიდი პოლიტიკოსს, ჯენტლმენსა და რაინდს"?
- რაში გამოიხატება ჯენმტლმენობა პოლიტიკაში? ყოფით ცხოვრებაში?
- რა თვისებებს გამოყოფდით ჩერჩილის ხასიათში? რატომაა ეს თვისებები მნიშვნელოვანი პოლიტიკოსისთვის?

რესურსი: სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ. 23
აქტივობა: იმსჯელეთ
მოსწავლის წიგნში (II ნაწილი, გვ. 43) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

რატომ სძულდა სოკრატეს დემოკრატია https://bit.ly/3jWo2iz
დემოკრატია / democracy https://bit.ly/3YvhF4T

კითხვები:

- პოლიტიკური თეატრის მონაწილეთა 3 ჯგუფიდან რომელ 3 მოდელს მიეკუთვნება ქვემოთ მოცემული სიტუაციის პერსონაჟი?
- თქვენი აზრით, ვინაა დაინტერესებული მსგავსი მიტინგის ორგანიზებაში?
- მშვიდობის დასაცავად ორგანიზებულ მიტინგზე ამ ტიპის ადამიანების სიტყვით გამოსვლა რამდენად უწყობს ხელს პოლიტიკური საკითხების მოგვარებას?
- თქვენი აზრით, რა იყო ამ მიტინგის მიზანი? როგორი ჯგუფი იყო შეკრებილი აქციაზე?
- თუ გსმენიათ ისეთი აქციების შესახებ, როცა მონაწილეებმა არ იციან რას აპორტესტებენ ან რას ან ვის უჭერენ მხარს?
- რამდენად შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს მსგავსი მიტინგების მოწყობა? თქვენ ხშირად იჩენთ საზოგადოებრივ აქტიურობას?
- ემზადებით თუ არა იმისთვის, რომ ქალაქის, სამშობლოს ბედზე პასუხისმგებლობა აიღოთ?
- თქვენი ასაკის გათვალისწინებით, თქვენ ვინ ხართ პოლიტიკურ თეატრში? ვინ იყო პოლიტიკურ თეატრში უინსტონ ჩერჩილი? ვალაერია ნოვადვორსკაია?

კრიტერიუმი 2. რომელ საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნავენ(მაგალითების მიხედვით) პოლიტიკური ლიდერები?(მკვ.წარმ. 2.)

რესურსი: ვალერია ნოვადვორსკაიას მოკლე ბიოგრაფია **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 36-37**

აქტივობა 1: იმსჯელეთ გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს

კითხვები:

- რომელ პოლიტიკური აქტივობას გამოყოფდით ჟურნალისტის მოღვაწობიდან? რატომ?
- მიგაჩნიათ თუ არა ნოვოდვორსკაია ოპოზიციონერად ყველა ხელისუფლებაში?
- თქვენი აზრით, რით დაიმსახურა მან საქართველოს მოქალაქის მინიჭება?
- როგორ ფიქრობთ, ნოვოდვორსაკიას მსგავსი ადამიანების დიდ რაოდენობას შეუძლია ხელისუფლბის არადემოკრატიული გადაწყვეტილებების შეცვლა?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცნობილი ჟურნალისტის საქმიანობა ადგილობრივი და მსოფლიო პოლიტიკისთვის?
- რა გსმენიათ მსოფლიოში ცნობილი ოპოზიციონერების შესახებ? საქართველოში მოღვაწე დისიდენტების შესახებ? რა აერთიანებს მათ ბრძოლას?
- მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო სახელმწიფო უწყებებთან ბრძოლასთან. საზოგადოებაში რომელ პოზიტიურ ცვლილებებზე ორიენტირებულ იდეებს ლობირებდა და ადვოკატირებდა ვალერია ნოვოდვორსკაია? ჩერჩილი?
- რომელ საზოგადოებრივ საჭიროებებზე იყო ორიენტირებული მისი და თქვენთვის უკვე ნაცნობი პოლიტიკოსების(ჩერჩილი, კრისტინ ლაგარდი, ურსულა ფონ დერ ლაიენი) მოღვაწეობა? გამოყავით მსგავსება განსხვავება.

რესურსი 2: სახელმძღვა. II ნაწილი, 11

აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში ქვემოთ მოცემულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო. შეუსაბამეთ თითოეულ სფერო ცხრილის მარჯვენა სვეტიდან შესაბამისი საქმიანობა.

პოლიტიკური	მოიცავს სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებაში, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას.
ეკონომიკური	დაკავშირებულია მეცნიერებასთან, განათლებასთან, კულტურასთან, რელიგიასთან, ხელოვნებასთან
სოციალური	უზრუნველყოფს წესრიგს საზოგადოებაში, გამოსცემს კანონებს და თვალს ადევნებს მის შესრულებას
სულიერი	მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებას, გაცვლას, მოხმარებასა და განაწილებას

- ცხრილის პირველ სვეტში ჩამოთვლილი სფეროებიდან, რომელზე აკეთებდნე აქცენტს ჩერჩილი, ნოვადვორსკაია, ურსულა ფონ დერ ლაიენი. კრისტინ ლაგარდი?
- რით ჰგავს/განსხვავდება ჩამოთვლილი პოლიტიკოსების საქმიანობა ერთმანეთს?

რესურსი: სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 12
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში
კითხვები:

- რატომ წარმოიშვა კონფლიქტი ადგილობრივ და უცხოელ ინსტრუქტორებს შორის?
- ადგილობრივების რა საჭიროებები იკვეთება მაგალითებში?
- როგორ შეაფასებდით ადგილობრივების მხრიდან პრობლემის გაჭრისთვის შერჩეულ ფორმას?
- რატომაა მნიშვნელოვანი ასერტულობის უნარი ინდივიდებთან და ჯგუფებთან ურთიერთობისას?
- თქვენი აზრით, რატომ არ რეაგირებს პოლიცია უცხოელი ინსტრუქტორების განცხადებაზე?
- რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით? საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი რეგულაციების დაწესება?
- რა რეგულაციებს შესთავაზებდით კანონმდებლებს ამ მიმართულებით?
- არის თუ არა გამოსავალი უსაფრთხოების მიზნით პარაპლანით ფრენის აკრძალვა?
- რა ინტერესებით იხელმძღვანელა სახელმწიფომ აკრძალვის შემოღებით?
- რა დამოკიდებულებაა სახელმწიფოსა და ინდივიდს (ამ შემთხვევაშიინსტრუქტორებსა და სახელმწიფოს შორის)?
- აღნიშნული საკითხი პოლიტიკურ საკითხად მიაგაჩნიათ, თუ ეკონომიკურ სფეროს ნაწილად?
- რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ, რომ კონფლიქტის ყველა მონაწილემ სწორად განსაზღვროს თავისი უფლება და მოვალეობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში?
- კონფლიქტური სიტუაცია დაუკავშირეთ წინა აქტივობის დროს განხილულ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებს?
- რომელ სფეროს მიაკუთვნებდით ამ კონფლიკტს? დაასაბუთეთ. რა როლია აქვთ მის გადაჭრაში პოლიტიკოსებს?

რესურსი: სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 7-10, 21-22, 36-37.
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში. დაიყავით ხუთ ჯგუფად და შეავსეთ ცხრილი. გამოყავით პოლიტიკურ ლიდერთა საქმიანობის სფეროები და ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში. დისკუსიის შედმდეგ შეაჯერეთ თქვენი ნაშრომები და შექმენით შეჯერებული საბოლოო ვერსია.

	პოლიტიკური	ეკონომიკური	სოციალური	სულიერი	იმსჯელეთ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, მათი საქმიანობის მნიშვნელობაზე
უინსტონ ჩერჩილი					
კრისტინ ლაგარდი					
ურსულა ფონ დერ ლაიენი					
ვალერია ნოვოდვორსკაია					

კითხვები:
- რომელ სფეროში მოღვაწეობდნენ/მოღვაწეობენ ჩამოთვლილი პიროვნებები?
- რა საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნავენ ისინი?
- რით ჰგავს/განსხვავდება მათი საქმიანობა ერთმანეთისაგან?

კრიტერიუმი 3. რა ფაქტორები უწყობს ხელს პოლიტიკოსის მიერ საკუთარი იდეების რეალიზებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობას?(მკვ.წარმ. 3.)

რესურსი: გუბერნატორის არჩევნები **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 29-33**
აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში
კითხვები:

- რა უპირატესობა ჰქონდა მარკ ტვენს სხვა კანდიდატებთან შედარებით?
- რატომ ჭოჭმნობდა ის არჩევნებში მონაწილეობის გამო? თქვენი აზრით, ვინ იყვნენ მარკ ტვენის მიმართ ბრალდებების კამპანიის ავტორები?
- რატომ არ გაიზიარა საბოლოოდ ავტორმა ბებიას აზრი? ბებიას აზრის გაუზიარებლობით, დაუშვა თუ არა მან შეცდომა?
- რა ცრუ ინფორმაციები გაავრცელა მედიამ მარკ ტვენის შესახებ?
- როგორ შეაფსებთ კანდიდატის დისკრედიტაციის მიზნით აგორებულ კამპანიას?
- როგორ შეაფსებთ მარკ ტვენის დანებებას? რა უნდა გაეკეთებინა მას? როგორ მოიქცეოდნენ თქვენთვის ცნობილი პოლიტიკოსები?
- რა მოხდებოდა მათაც(მაგალითად) რომ თავი დაენებებინათ?
- კარგი ადამიანი კარგ პოლიტიკოსს ნიშნავს? რა განასხვავებთ მათ ერთმანეთისაგან?
- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პოლიტიკური ბრძოლის წესები არჩევნების დროს?
- როგორი უნდა იქცეოდეს ხელისუფლება მსგავს შეთხვევებში? როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ოპოზიცია?
- როგორ განმარტავდით პოლიტიკურ ეთიკას? თუ არსებობს პოლიტიკური ეთიკის ნიშანწყალი ამ ისტორიაში?
- რას ურჩევდით მარკ ტვენს, როგორც პოლიტიკოსს?
- რის თქმა სურდა მარკ ტვენს ამ ჩანახატით?
- რატომ აღწერს ის ყველა დეტალს დაწვრილებით? როგორ წარმოგიდგენიათ, რა გაგრძელება ჰპოვა ამ ისტორიამ? როგორ მოიქცეოდით, მსგავს სიტუაციაში კანდიდატი რომ ყოფილიყავით?
- გამოთქვი მოსაზრებ, როგორ მოიქცეოდა მარკ ტვენის ადგილზე ჩერჩილი? ნოვადვორსკაია? კრისტი ლაგარდი?

რესურსი: სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ. 34
აქტივობა : იმუშავეთ ჯგუფებში
კითხვები:
- განსაზღვრეთ კარიკატურის შინაარსი.
- რა არის კარიკატურის ძირითადი იდეა?
- რომელი გამოსახვითი საშუალებებით აღწერს თავის იდეას ავტორი?
- რომელ პოლიტიკურ მდგომარეობას შეიძლება შეესაბამებოდეს კარიკატურა?
- რა დანიშნულება და მიზანი აქვს ამ კარიკატურას?
- რის წინააღმდეგაა ეს კარიკატურა?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად
აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას? • გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ? • ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა? • გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება? • რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით? **ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?** • რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება? • რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი? • რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები? • ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო? • რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად? **შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი** • შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს? • რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება? • რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყიფოლიყო? • თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

ცხრილი 3

კლასი: XI **თემა**: „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ **ძირითადი საკითხი:** პოლიტიკური პროცესი **მოსწავლე:**		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: პიროვნული მახასიათებლის გამოკვეთა, რომელმაც განსაზღვრა ვალერია ნოვადვორსკაიას პოლიტიკური, ჟურნალისტური და. ა.შ. საქმიანობა; პოლიტიკურ პროცესებში ვალერია ნოვადვორსკაიას როლის დახასიათება; იმ ფაქტორების გამოკვეთა რომელითაც ვალერია ნოვადვორსკაიამ ხელს შეუწყო/შეუშალა პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას.	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: ვალერია ნოვადვორსკაიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება ადამიანის უფლებებზე ზრუნვის და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე.	1,5	
სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: პოლიტიკურ პროცესებში ვალერია ნოვადვორსკაიას ჩართულობის ფორმების გაანალიზება; მსჯოლობა ჩართულბის ამა თუ იმ ფორმის ეფექტურობაზე.	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: ვალერია ნოვადვორსკაიას საქმიანობის შედეგების გაანალიზება ადგილობრივი და მსოფლიო პოლიტიკისთვის.	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას.

შემაჯამებელი დავალების მოსამზადებლად რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და მივცეთ მოსწავლეებს წინასწარ გასაცნობად და გასაანალიზებლად. მათთვის ცნობილია, რომ მალევე, ვთქვათ, ერთ კვირაში მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც ამ კონტექსტ-მაგალითს უკავშირდება.

მოცემულ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი „ვალერია ნოვადვორსკაია“. (გვ. 250) ; მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას: გაეცანი ტექსტს „ვალერია ნოვადვორსკაია“. ტექსტის ანალიზის საფუძველზე შექმენი პოლიტიკური აქტორის წერილობითი პორტრეტი (150- 200 სიტყვა) მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- ✓ პიროვნული მახასიათებლები, რომელმაც განსაზღვრა ვალერია ნოვადვორსკაიას როლი პოლიტიკურ პროცესებში
- ✓ ადამინის უფლებები და დემოკრატიის პრინციპები, რომლის დამკვიდრებისთვისაც იბრძოდა ვალერია ნოვადვორსკაია
- ✓ მონაწილეობის რომელ ფორმებს იყენებდა ვალერია ნოვადვორსკაია პოლიტოკურ პროცესებზე გავლენისთვის
- ✓ რა შედეგები მოჰყვა ვალერია ნოვადვორსკაიას საქმიანობას ლოკალურ და გლობალურ დონეზე

XI კლასის სავალდებულო თემის „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ მეორე ძირითადი საკითხია **პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება კონტექსტ -მაგალითით „საარქივო მოამბე” N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე) და შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი მაგალითებით:

ძირითადი ქეისი და მაგალითები შედარებისთვის	**რესურსები**
ძირითადი ქეისი: „საარქივო მოამბე” N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო*	**სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 70-75** მასწავლებლის წიგნი, დანართი. 6 (გვ. 189)
მაგალითი შედარებისთვის 1 სოციალიზმის ახალი ფერები - ამერიკულ პოლიტიკაში სოციალისტური იდეები იკვეთება	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 47-50
მაგალითი შედარებისთვის 2 რენიას დღიური	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 57-59
მაგალითი შედარებისთვის 3. ბალახისფერი კაცი	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 61-63

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, მაშინ როცა შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან;

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა - პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა **ძირითადი საკითხი - პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები** **ძირითადი კონტექსტ-მაგალითი** „საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო"			
ქვესაკითხი	**ქვეცნებები**		**სამიზნე ცნება**
„საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე)	ადამიანის უფლებები **პირადი ხელშეუხებლობის უფლება** **სამართლიანი სასამართლოს უფლება**	დემოკრატიის პრინციპები - **კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება**	**დემოკრატია** (შედეგები:1,2,3,4)

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი**
დემოკრატია (შედეგები:1,2,3,4)	1. ადამიანს აქვს უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვასაც ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები უზრუნველყოფს;	მიხეილ ჯავახიშვის, რენიას მაგალითებზე იმსჯელოს ადამიანის რომელი უფლებები ილახებოდა სსრკ-სა და ფაშისტურ გერმანიაში	

„საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე)	2. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი ღირებულებაა;	იმსჯელოს რამდენად წარმოადგენს უმთავრეს ღირებულებას ადამიანის უფლებები კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმენის პირობებში. ადამიანის რომელ უფლებებზე აპალირებს კომუნიზმი, სოციალიზმი, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, ფაშიზმი? შეადაროს კომუნიზმი და ფაშიზმი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებაში მათი პოზიციის გათვალისწინებით. შეადაროს ტოტალიტარული იდეოლოგიები ლიბერალიზმს, კონსერვატიზმს, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებაში მათი პოზიციის გათვალისწინებით.	
	3. დამოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დემოკრატიის პრინციპების *(მაგალითად, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, სამართლიანი არჩევნები)* დაცვა.	მიხეილ ჯავახიშვილის საქმის მაგალითებზე დაყრდნობით იმსჯელოს, რამდენად იყო დაცული სსრკში დემოკრატიის პრინციპები: ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი სასამართლო)	

ქვემოთ მოცემულ შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის)

ცხრილი 2.

საკითხი - პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები		
ქვესაკითხი - „საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე) **ქვეცნებები -** ადამიანის უფლებები **- პირადი ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება.** დემოკრატიის პრინციპები **-კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება. სამიზნე ცნება - დემოკრატია (შედეგი: 1,2,3,4)**		
საკვანძო შეკითხვა - როგორია ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში?		
კომპლექსური დავალება გაეცანით ტექსტს „საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (II ნაწილი,გვ. 70-75)და მაგალითებს: რენიას დღიური (II ნაწილი,გვ. 57-59), ბალახისფერი კაცი (II ნაწილი, გვ. 62-63) შედარებისთვის. დაწერეთ **არგუმენტირებული ესე** (სიტყვების რაოდენობა -250-300), რომელშიც წყაროებზე დაყრდნობით გააანალიზებთ, რა გამოწვევების წინ დგებიან ადამიანები არადემოკრატიული (ტოტალიტარული) რეჟიმების პირობებში. როგორია მათი უფლებრივი მდგომარეობა. ყურადღება გაამახვილეთ, როგორ ირღვევა არადამოკრატიული რეჟიმის პირობებში კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა პრინციპები. **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** • როგორ ილახება ადამიანის უფლებები არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში? რომელი უფლებების უგულებელყოფა ხდება? პასუხი გაეცით მიხეილ ჯავახიშვილის და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რეჟიმის სხვა მსხვერპლების მაგალითზე; **(დემოკრატია. მკვ. წ. 1.2.)** • მიხეილ ჯავახიშვილის „საქმის" მაგალითზე, რამდენად იყო დაცული საბჭოთა კავშირში ხელისუფლების დანაწილების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სხვა პრინციპები? **(დემოკრატიამ.კვ.წ 3)**		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. ადამიანს აქვს უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვასაც ადგილობრივი კანონმდებლობა და	**დემოკრატია:** • ცხოვრებისეული სიტუაციები/განსახილველი მაგალითები დაუკავშიროს ცოდნას ადამიანის	• როგორ ილახება ადამიანის უფლებები არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში? რომელი უფლებების

საერთაშორისო შეთანხმებები უზრუნველყოფს; 2. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი ღირებულებაა; 3. დამოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დემოკრატიის პრინციპების *(მაგალითად, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, სამართლიანი არჩევნები)* დაცვა.	უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების შესახებ **(მკვ.წ.1,3)** • გამოკვეთოს დილემები, რომლებსაც სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვას უკავშირდება **(მკვ.წ. 2, 3)**	უგულებელყოფა ხდება? პასუხი გაეცით მიხეილ ჯავახიშვილის და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რეჟიმის სხვა მსხვერპლების მაგალითზე; **(დემოკრატია.მკვ. წ. 1.2.)** • მიხეილ ჯავახიშვილის „საქმის“ მაგალითზე, რამდენად იყო დაცული საბჭოთა კავშირში ხელისუფლების დანაწილების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სხვა პრინციპები? **(დემოკრატიამ.კვ.წ 3)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სახელმძღვანელო, **II თემა. II თავი. პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები**, კომპლექსური დავალების პირობა **სახელმძღვ. გვ.260**

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ გესმით პოლიტიკური იდეოლოგია, პოლიტიკური რეჟიმი?
- რომელ პოლიტიკური იდეოლოგიების, რეჟიმების შესახებ გსმენიათ?
- რა მიმართებაა პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და რეჟიმებს შორის?
- რა არის ესეს მიზანი? რა არის ესე?
- გაიხსენე, როგორია ესეს სტრუქტურა?
- რა რესურსები დაგვჭირდება?
- როგორ დავწერო კარგი ესე?
- რას უნდა მიაქცო ყურადღება ესეზე მუშაობისას?
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაშ უნდა იმუშაო?

- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

რეკომენდაცია მასწავლებელს:
კითხვებით კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ, რომ დავალების პირობა ყველასთვის გასაგებია;
მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებამდე შესასწავლ საკითხს რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობთ და ბოლოს ყველას ექნება საშუალება კლასს წარუდგინოს შესრულებული დავალება.

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
<u>სამიზნე ცოდნა:</u>
ქვესაკითხი - „საარქივო მოამბე" N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო (მიხეილ ჯავახიშვილის საქმე) - ადამიანის უფლებები - **პირადი ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება.** დემოკრატიის პრინციპები **-კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება. სამიზნე ცნება - დემოკრატია (შედეგი: 1,2,3,4)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება
აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში, II ნაწილი,გვ. 75
- ✓ ყურადრებით წაიკითხეთ ტექსტი „საარქივო მოამბე" II ნაწილი, გვ, 70-75.
- ✓ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რომელი უფლება/უფლებები დაირღვა მიხელ ჯავახიშვილის მიმართ. მოსაზრება დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით

უფლებები	დიახ/არა	დასაბუთება ტექსტიდან
მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა		
მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები		
მუხლი 11. თანასწორობის უფლება		

მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება		
მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება		
მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება		
მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები		
მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები		
მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა		
მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება		
მუხლი 31. საპროცესო უფლებები		

კრიტერიუმი 1. როგორ ილახება ადამიანის უფლებები არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში? რომელი უფლებების უგულებელყოფა ხდება? იმსჯელეთ მიხეილ ჯავახიშვილის და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რეჟიმის სხვა მსხვერპლების მაგალითზე.

რესურსი: „საარქივო მოამბე" **სახელმძღვ. II ნაწილი, 70-75**
მოსწავლის წიგნში (II ნაწილი,გვ. 60) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**
პოლიტიკური იდეოლოგიები https://bit.ly/3lAkIdc
როგორ გავერკვეთ პოლიტიკაში?(მემარცხენეები, მემარჯვენეები) https://bit.ly/3k6K5TG
აქტივობა: იმსჯელეთ გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს
კითხვები:

- დაახასიათეთ მიხეილ ჯავახიშვილის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა?
- როგორ დაახასიათებდით სტატიაში აღწერილ მართლმსაჯულების სისტემას?
- რა მეთოდების გამოყენებით აიძულებდა საბჭოთა რეჟიმი უდანაშაულო ადამიანებს და მათ დამსმენებს აღიარებითი ჩვენების მიცემას?
- როგორ ებრძოდა საბჭოთა რეჟიმი ფაშისტურ რეჟიმს ქართველი საზოგადო მოღვაწეების დამნაშავედ გამოცხადებით?
- სინამდვილეში რა იყო ამ ვითომდა ბრძოლის რეალური მიზეზი?
- რომელ იდეოლოგია ემყარებოდა საბჭოთა რეჟიმი?

- საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო თუ ავტორიტარული?
- ადამიანის რომელი უფლებები და დამოკრატიის რომელი პრინციპები ირღვევა განხილულ მაგალითში?

რესურსი: „სოციალიზმის ახალი ფერები - ამერიკულ პოლიტიკაში სოციალისტური იდეები იკვეთება“. **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 47-50**
აქტივობა: იმსჯელეთ გაეცანით სტატიას და უპასუხეთ კითხვებს
კითხვები:

- რა გსმენიათ სოციალიზმის შესახებ?
- ტექსტის მიხედვით, რა წარმოდგენა შეგექმნათ სოციალიზმე, როგორც იდეოლოგიაზე? რა გსმენიათ კაპიტალიზმის შესახებ?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია აშშ-ში სოცილიზმის მომხრე ადამიანების რაოდენობის ზრდა?
- ტექსტის მიხედვით, რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ამერიკულ პოლიტიკაზე?
- როგორია ზოგიერთი პოლიტიკოსისა და მოქალაქეთა მზარდი ნაწილის დამოკიდებულება სოცოალიზმის მიმართ?
- რა მიზეზების გამო იხრებიან რიგითი ადამიანები სოციალიზმისკენ?
- ადამინის თქვენთვის ნაცნობი უფლებებიდან რომელზე აპელირებს სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია?
- რა მიზეზებით ასოცირდება სოციალიზმი კომუნიზმთან? რა განასხვავებს სოციალიზმს კომუნიზმისაგან?
- რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ სოციალიზმს და თქვენთვის ნაცნობ სხვა იდეოლოგირბს?

რესურსები:

- „სოციალიზმის ახალი ფერები - ამერიკულ პოლიტიკაში სოციალისტური იდეები იკვეთება“. **სახელმძღვ II ნაწილი, გვ. 47-50**
- ლიბერალიზმი კონსერვატიზმი. **სახელმძღვ II ნაწილი, გვ.** 51
- კომუნიზმი. **სახელმძღვ გვ. 55.** საარქივო მოამბე. **სახელმძღვ. II ნაწილი,გვ. 70-75**
- ფაშიზმი.**სახელმძღვ II ნაწილი, გვ. 56.** რენეას დღიური/საკონცნტრაციო ბანაკის მცველი/ სახელმძღვ. **II ნაწილი, გვ.59-60**

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში . გაეცანით რესურსებს და შეავსეთ ცხრილი

იდეოლოგიები	არსობრივი მახასიათებლები	მაგალითები ისტორიიდან და თანამედროვეობიდან
სოციალიზმი		
ლიბეალიზმი		

კონსერვატიზმი		
კომუნიზმი		
ფაშიზმი		

კითხვები:

- რა არის ზემოთ ჩამოთვლილი იდეოლოგიები მთავარი ღირებულებები?
- როგორ ესმით თანასწორობის მნიშვნელობა, ლიბერალიზმს, სოციალიზმს, კონსერვატიზმს? შენთვის რომელი მნიშვნელობაა უფრო მისაღები?
- კომუნიზმისთვის დამახასიათებელი სოციალური თანასწორობის იდეა, შეიძლება თუ არ უფლებების დარღვევად იქნას აღქმული ლიბერალიზმის პერსპექტივიდან? დაასაბუთე მოსაზრება
- დაალგე იდეოლოგიები იკიდურესი მემარცხენეობიდან უკიდურეს მემარჯვენეობამდე
- რა მეთოდების გამოყენებით აიძულებდა საბჭოთა რეჟიმი უდანაშაულო ადამიანებს და მათ დამსმენებს აღიარებითი ჩვენების მიცემას? რა დილემების წინაშე იდგნენ რეჟიმის მსხვერპლები?
- როგორ ებრძოდა საბჭოთა რეჟიმი ფაშისტურ რეჟიმს ქართველი საზოგადო მოღვაწეების დამნაშავედ გამოცხადებით?
- სინამდვილეში რა იყო ამ ვითომდა ბრძოლის რეალური მიზეზი?
- რომელ იდეოლოგია ემყარებოდა საბჭოთა რეჟიმი?
- საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო თუ ავტორიტარული?
- ადამიანის რომელი უფლებები და დამოკრატიის რომელი პრინციპები ირღვევა განხილულ მაგალითში?
- რით ჰგავს/განსხვავდება ერთმანეთისგან ფაშიზმის და კომუნიზმის მსხვერპლთა ისტორიები?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დღემდე ჰოლოკოსტში მონაწილე პირების გამოვლენა და დასჯა?
- რომელ პოლიტიკურ რეჟიმზეა საუბარი ამ ისტორიებში?ტექსტზე დაყრდნობით დაახასიათეთ იდეოლოგიები, რომელსაც ეფუძნება ეს რეჟიმები.
- რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ფაშიზმს და კომუნიზმს?

რესურსი: სოციალ დემოკრატია **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ 53**

აქტივობა: იმსჯელეთ

კითხვები:

- სოციალ-დემოკრატია მემარჯვენე, მემარცხენე, თუ ცენტრისტულ იდეოლოგიას ეფუძნება?
- როგორ გესმით ევოლუციური რეფორმატორობა?

- რა მსგავსება განსხვავებაა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტებს შორის?
- ადამიანის რომელ უფლებებზე აკეთებენ აქცენტს სოციალ-დემოკრატები?

რესურსი: პოლიტიკური იდეოლოგია ქართულად **სხელმძღვ.II ნაწილი, გვ.55-56**
აქტივობა: იმსჯელეთ
კითხვები:

- როგორ უნდა იმართებოდეს თანამედროვე პოლიტიკური პარტია: იდეოლოგიის მიხედვით თუ ერთპიროვნულად - ლიდერის მიერ?
- ტექსტის მიხედვით რაზეა დამოკიდებული პარტიის სიცოცხლისუნარიანობა?
- რა ძირითად პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული თანამედროვე პოლიტიკური პარტია?
- როგორ ახსნით ლიდერსა და პარტიას შორის მიჯაჭვულობის მიზეზს?
- ქართულ სინამდვილეში რამდენად განსააზღვრავს ლიდერისადმი სიმპატია პარტიისადმი მხარდაჭერას? რა საფრთხეებს შიცავს აღნიშნული მიდგომა?

კრიტერიუმი 2. მიხეილ ჯავახიშვილის „საქმის“ მაგალითზე იმსჯელე რამდენად იყო დაცული საბჭოთა კავშირში ხელისუფლების დანაწილების,,კანონის უზენაესობის და დემოკრატიის სხვა სხვა პრინციპები? (დემოკრატიამ.კვ.წ 3)

რესურსი: დემოკრატიის ნიშნები, **. II ნაწილი,გვ 55**

აქტივობა: იმსჯელეთ

რეჟიმის მახასიათებლები	**დემოკრატიული** **დაცულია/არ არის დაცული**	**არადემოკრატიული** **მოსაზრება დაასაბუთე ტექსტიდან**
კანონის უზენაესობა		
ხელისუფლები დანაწილება		
ხელისუფლების ლეგიტიმურობა		
ადამიანის უფლებები		

კითხვები:

- როგორ და რატომ ირღვევა დემოკრატიის პრინციპები ტოტალიტარულ სახელმწიფოში?
- რა მგავსება/ განსხვავებაა მიხელი ჯავახიშვილის „საქმესა“ და რენიას დღიურში აღწერილ სიტუაციას შორის?
- იმსჯელე რა შედეგები მოჰყვება სახელმწიფოს შეუზღუდავ ძალაუფლებას მიხეილ ჯავახიშვილის და რენუას მაგალითებზე დაყრდნობით?
- რა საშუალებები არსებობს სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლისთვის? რამდენადაა შესაძლებელი ამ საშუალებებით სარგებლობა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში?

რესურსი:

ბალახისფერი კაცი / ალუბლის ქალაქი. იგავი **სახელმძღვ II ნაწილი,გვ. 62-63**

აქტივობა: იმსჯელეთ. დაიყავით ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა წაიკითხეთ და გაიაზრეთ ქვემოთ მოცემული გაეცანით ამონარიდს გურამ დოჩანიშვილის ნაწარმოებიდან 1) „სამოსელი პირველი"' 2) იგავი და უპასუხეთ კითხვებს

კითხვები:

- როგორ იღებენ ამ ქალაქში პიროვნებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას? რამდენად დაცულია ადამიანის ღირსება ამ ქალაქში?
- როგორ დაახასიათებდით ბალახისფერ კაცს?
- რატომ ცდილობს პერსონაჟი კარაველებს გამოასწორებინოს მათი შეცდომები?
- რატომ თვლიდა ბალახისფერი კაცი, რომ მისი ქალაქის საზოგადოება ბრბოდ გადაიქცა? თქვენი აზრით, რა განასხვავებს საზოგადოებას ბრბოსგან?
- რატომ გააძევეს თანაქალაქელებმა ბალახისფერი კაცი ქალაქიდან?
- რატომ არ მოსწონთ კარაველებს პატიოსანი ადამიანი? რომელ ერთ იდეას ემსახურებიან კარაველები?
- რატომ ეშინიათ კარაველებს ბალახისფერი კაცის? რა იქნებოდა, ასეთი კაცები ბევრნი რომ იყვნენ?
- რომელი იდეოლოგიის ბელადთან ასოცირდება დიდი კარაველი, რომელსაც აქვს უპირობო გადაწყვეტილების უფლება და მას საზოგადოება ეთაყვანება?
- როგორი მოქალაქეა ბალახისფერი კაცი?
- რამდენად ჰგავს სსრკ „კარაველების“ ქვეყანას? დაასაბუთე მოსაზრება
- არის თუ არა მიხეილ ჯავახიშვილი „ბალახისფერი კაცი“? დაასაბუთე მოსაზრება
- რის შესახებ გვიამბობს ეს იგავი?

- რას გულისხმობს სასტიკი ხელისუფლება? რატომაა ის სიკვდილზე უარესი?
- რა დასკვნა გამოიტანა ამ ისტორიიდან კონფუსიმ? თქვენ რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ ამ ისტორიიდან?
- მიუხედავად აბსოლუტურად განსხვავებული ისტორიული პერიოდისა, გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური
- ვითარებისა, რა მსგავსებაა ამ ორ ისტორიას შორის?
- როგორ რეჟიმებს ახასიათებს წყაროებში აღწერილი ვითარება? როგორია, რაზეა დამოკიდებული პიროვნების ბედი მსგავსი რეჟიმის მქონე სახელმწიფოში?

კითხვები:
რესურსი:
ვაჟა ფშაველას მოსაზრება **სახელმძღვ. II ნაწილი,გვ. 69** შინდლერის სია **სახელმძღვ. II ნაწილი,გვ. 82**
აქტივობა: იმსჯელეთ. შეადარეთ ერთმანეთს წყაროებში არსებული პიროვნების ტიპები
მოსწავლის წიგნში (II ნაწილი,გვ. 69) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

გურამ პეტრიაშვილი – "ამბავი ნაღვლიანი კლოუნისა".
ნაირა გელაშვილი – "მივემგზავრები მადრიდს".
პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები https://bit.ly/3k22ykq

კითხვები:
- ეთანხმებით თუ არა ავტორის მოსაზრებას?
- როგორ ასაბუთებს ვაჟა-ფშაველა, რატომ არ იბრძვის გაუნათლებელი ადამიანი თავისუფლების მოსაპოვებლად?
- თქვენი აზრით, ეს დასაბუთება მხოლოდ განათლების უქონლებს ეხებათ?
- რა მოსაზრება აქვს ავტორს შემგუებელი საზოგადოების მიმართ? რა ზიანს აყენებს ასეთი საზოგადოება თავის თავს?
- დაახასიათე ბალახისფერი, შინდლერი კაცი ვაჟა ფშაველას (II ნაწილი,გვ. 69) პერსპექტივიდან
- რომელი პოლიტიკური რეჟიმია აღწერილი წერილში? რა დამოკიდებულებას იჩენს ავტორი ამ რეჟიმის მიმართ? იმ საზოგადოების მიმართ, რომელსაც საზოგადოება ითმენს? რის თქმა უნდა ავტორს ამ წერილის მიხედვით?
- რამდენად აქტუალურია მსგავსი მდგომარეობა დღეს ჩვენს ქვეყანაში? მსოფლიოში?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს(„ბალახისფერი კაცის", შინდლერის მაგალითზე) ებრძოლოს რეჟიმს?
- რა როლი აქვთ პიროვნებებს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში?
- შესაძლებელია თუ არა არადემოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლა არაძალადობრივი მეთოდებით? იმსჯლე როგორ.

რესურსი: ნაცისტი ლიდერების შთამომავლები — როგორ წარიმართა სასტიკი მკვლელების შვილების ცხოვრება? **სახელმძღვ. II ნაწილი,გვ.79**
აქტივობა: იმსჯელეთ
კითხვები:

- რა არის ამ სტატიის მთავარი გზავნილი?
- არის თუ არა პასუხისმგებელი შვილი ან შვილიშვილი თავის წინაპრის მიერ ჩადენილ დანაშაულზე? რით შეიძლება გამოისყიდონ შთამომავლებმა წინაპრის დანაშაული?
- სხვა ინფორმაცია რომ არ გქონდეთ, მხოლოდ ამ მონათხრობიდან რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ფაშიზმის შესახებ?
- შეადარეთ ერთმანეთს შინდლერის და ჰიოსის ცხოვრების გზა.

რესურსი: პოლიტიკური რეჟიმების სახეები **სახელმძღვ. გვ. 82-83**
აქტივობა: შეუსაბამეთ პოლიტიკური რეჟიმის ნიშნები რეჟიმის სახეებს
კითხვები:

- რას ნიშნავს ტერმინი – პოლიტიკური რეჟიმი?
- როგორია პოლიტიკური რეჟიმების ძირითადი ტიპები?
- რა მახასიათებლები აქვს ტოტალიტარულ რეჟიმს?
- შეადარეთ ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები.
- რომელია ძირითადი პოლიტიკური რეჟიმები? როგორ არის უზრუნველყოფილი ხელისუფლებაზე კონტროლი დემოკრატიის პირობებში?

რესურსები: ადმიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
აქტივობა.: იმსჯელეთ გააანალიზეთ დემოკრატიის რომელი პრინციპი ირღვევა ზემოთ განხილულ მაგალითებში. გ) ნაცისტურ გერმანიაში; დ) საბჭოთა კავშირში

დემოკრატიის პრინციპი	**საბჭოთა კავშირი**	**ნაცისტური გერმანია**	**მოიყვანე მაგალითი**
თანასწორობა			
კანონის უზენაესობა			
სამოქალაქო მონაწილეობა/ ინკლუზიურობა			
ხელისუფლების დანაწილება			
გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება			
სამართლიანი არჩევნები			
არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება			
ტოლერანტობა			
მრავალპარტიულობა			
ეკონომიკური თავისუფლება			

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?
- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყიფოლიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

ცხრილი 3.

კლასი: XI **თემა:** „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ **ძირითადი საკითხი:** პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები **მოსწავლე**		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: რენუას დღიურის მოქმედ პირებზე ნაცისტური რეჟიმის ზეგავლენის გაანალიზება.	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: რანუას დღიურში აღწერილი მოვლენების მიხედვით ნაცისტური რეჟიმის შეფასება დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე; ადამინის უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით.	1,5	
სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: ნაცისტური რეჟიმის პირობებში პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობისთვის იდეების გამოკვეთა; პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობი შესაძლებლობების გაანალიზება.	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: ფაქტორების გაანალიზება(მაგ. ტოტალიტარული რეჟიმის არსებობა, ომი), რომელიც ხელს უშლიდა დღიურში აღწერილი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებას	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას.

შემაჯამებელი დავალების მოსამზადებლად რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და მივცეთ მოსწავლეებს წინასწარ გასაცნობად და გასაანალიზებლად. მათთვის ცნობილია, რომ მალევე, ვთქვათ, ერთ კვირაში მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც ამ კონტექსტ-მაგალითს უკავშირდება.

მოცემულ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი „რენიას დღიური“ (II ნაწილი,გვ. 57-60) ; მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას : გაეცანით ტექსტს „რენიას დღიური“. ტექსტის ანალიზის საფუძველზე დაწერეთ ნაცისტური რეჟიმის მოკლე(200-250 სიტყვა) დახასიათება.

ნაშრომში ხაზგასმიტ წარმოაჩინეთ:

- რა საჭიროებებს ვერ იკმაყოფილებდნენ რენიას დღიურის მოქმედი პირები ნაცისტური რეჟიმის პირობებებში
- როგორ იყო უგულებელყოფილი დემოკრატიის პრინციპები და დარღვეული ადამიანის უფლებები ნაცისტების მიერ
- რამდენად იყო შესაძლებელი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სამოქალაქო მონაწილეობის თქვენთვის ცნობილი ფორმები გამოყენება
- მდგრადი განვითარების რომელი პრინციპები იყო, გნსაკუთრებით, უგულებელყოფილი რენიას დღიურში აღწერილი მოვლენების დროს

XI კლასის სავალდებულო თემისთვის პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა მესამე საკითხია **„მდგრადი პოლიტიკა“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატიით და შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი მაგალითებით:

ძირითადი ქეისი და მაგალითები შედარებისთვის	რესურსები
ძირითადი ქეისი: 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 87-93 • მასწავლებლის წიგნი. დანართი. 7. ,გვ. 194
მაგალითი შედარებისთვის 1 რას აკეთებენ ქვეყნები მდგრადი მომავლის შესაქმნელად?	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 97
მაგალითი შედარებისთვის 2. „გრამინ ბანკი" ბანგლადეშში	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 99
მაგალითი შედარებისთვის 3. 1-ლი დეკემბერი — კოსტა რიკაში არმიის გაუქმების დღე	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 100
მაგალითი შედარებისთვის 4. ტყის მნიშვნელობა გაბონში	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 101
მაგალითი შედარებისთვის 5. ისლანდია და გეოთერმული ენერგია	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 102
მაგალითი შედარებისთვის 6. ფრაიბურგი - მომავლის ქალაქი	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 103

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, მაშინ როცა შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან;

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

თემა - პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა **ძირითადი საკითხი - მდგრადი პოლიტიკა** **ძირითადი ქეისი -** 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია		
ქვესაკითხი	**ქვეცნება**	**სამიზნე ცნება**
2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია	პარტნიორობა მიზნების მისაღწევად	**მდგრადი განვითარება** (შედეგი: 3)

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი**
მდგრადი განვითარება (შედეგი: 3) 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია	1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;	კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებით გააანალიზოს: - კლიმატის ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები; კლიმატის ცვლილების შედეგები; - რატომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა მდგრადი მომავლისთვის - იმსჯელოს რა როლი აქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის თანამშრომლობას კერძო და საჯარო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.	
	2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა)	კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებით დაასაბუთოს • ლოკალური ქმედებების მნიშვნელობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის	

ქვემოთ მოცემულ შუალედური/ კომპლექსური დავალების მატრიცაში **(ცხრილი 2.)** მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი კითხვები და მოკლე რეკომენდაციები მასწავლებლისთვის)

ცხრილი 2.

საკითხი - „მდგრადი პოლიტიკა“
ქვესაკითხი - 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია; **ქვეცნება - მდგრადი განვითარების მიზანი 17**; **სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (შედეგი: 3,)**
საკვანძო შეკითხვა რატომაა მნიშვნელოვანი პარტნიორონბა მთავრობას/მთავრობებს, კერძო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის? როგორ ავსახო ნაშრომში მდგრადი განვითრების მიზნების უგულებელყოფის შედეგები?
კომპლექსური დავალება გაეცანით 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატიას (გვ. 87-93), გაანალიზეთ სტატიაში წამოჭრილი პრობლემები. ამ და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სიტუაცია 1- 5 (გვ. 99-104) ანალიზის საფუძველზე შექმენით **ცხრილი/სქემა**. ყურადღება გაამახვილეთ მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების როლზე პრობლემის გადაჭრის საქმეში; კერძოდ: პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე; უკვე დამდგარ და შესაძლო შედეგებზე; ზარალის შემცირების გზებზე.

მდგრადი განვითარების გლობალური მიზანი	რა შედეგები მოყვება მიზნის უგულებელყოფას	რა ნაბიჯები უნდ გადაიდგას მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ	რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მიზნის მისაღწევად კერძო სექტორის მიერ	რა ნაბიჯები უნდ გადაიდგას მიზნის მისაღწევად სამოქალაქო საზოგადოების მიერ	იმსჯელეთ პარტნიორობის მნიშვნელობაზე მიზნის მიღწევისთვის
N					
N					
N					
N					

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა ნაბიჯები უნდა გადადაიდგას მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად? **(მდ.განმკ.წ. 1.2)**
- რა შედეგები მოყვება მდგრადი განვითრების მიზნების უგულებელყოფას და რატომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად? **(მდ.განმკ.წ. 1.2)**

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>
მდგრადი განვითარებამ(შედეგი: 3) 1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; 2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა)	**მდგრადი განვითარება:** ლოკალურ ქმედებებთან გლობალური შედეგების დაკავშირება (მკვ.წ. 1, 2)	• რა ნაბიჯები უნდა გადადაიდგას მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად? **(მდ.განმკ.წ. 1.2)** • რა შედეგები მოყვება მდგრადი განვითრების მიზნების უგულებელყოფას და რატომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად? **(მდ.განმკ.წ. 1.2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სახელმძღვანელო, **II თემა. III თავი. მდგრადი პოლიტიკა**, კომპლექსური დავალების პირობა, II ნაწილი, გვ.86

<u>**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**</u>

- როგორ გესმით მდგრადი განვითარება?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზნებს იცნობთ?
- რატომაა მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების მიზნები?
- რა მიზანს ისახავს ცხრილის/სქემის შექმნა ?

- რა ნაბიჯებს გადადგამთ დავალების შესასრულებლად?
- როგორ გამოვკვეთთ საკითხის აქტუალურობას?
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება მოცემული დავალება?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

რეკომენდაცია მასწავლებელს:
კითხვებით კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ, რომ დავალების პირობა ყველასთვის გასაგებია;
მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებამდე შესასწავლ საკითხს რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობთ და ბოლოს ყველას ექნება საშუალება კლასს წარუდგინოს შესრულებული დავალება.

ყურადღება!
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცოდნა:
ქვესაკითხი - 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია;; **ქვეცნება - მდგრადი განვითარების მიზანი 17**; **სამიზნე ცნება - მდგრადი განვითარება (შედეგი: 3)**

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავება

აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში, II ნაწილი, გვ. 87-93
ყურადღებით გადახედეთ 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებული სტატიას (, გვ. 87-93). გადაიტანეთ ცხრილი ფურცელზე

- პირველ სვეტში ჩაწერეთ სტატიაში განხილული ლოკალური ქმედებები, რომელიც გლობალურ პრობლემებს იწვევს; ხოლო მესამე სვეტში - პრევენციის გზები;
- შეადარეთ სხვა წყვილების მიერ შედგენილი პრევენციის გზები ერთმანეთს; რა საერთო აღმოაჩინეთ?
- რით გამოირჩევა თქვენს მიერ შეთავაზებული პრევენციის გზები სხვებისგან? პრობლემის გადაჭრის ლოკალური გზები უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ თუ გლობალური? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები და პასუხი დაასაბუთეთ.

ლოკალური ქმედება	გლობალური პრობლემა/პრობლემები	პრევენციის გზები

კრიტერიუმი 1 რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ, კერძო სექტორმა და სამოქალაქო საზოგადოებამ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად? (მდ.განმ.კ.წ. 1.2)

რესურსი: 2022 წელს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ . 87-93**
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში
კითხვები:

- გაიხსენეთ მდგრადი განვითარების მიზნები; მგდრადი განვითარების რომელ მიზანზე/მიზნებზეა საუბარი სტატიაში?
- წინარე ცოდნის გამოყენებით, რის გაკეთება შეგიძლიათ როგორც მოსწავლეს, როგორც მოქალაქეს მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად? პასუხი დააკონკრეტეთ;
- რომელი მიზანი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე პრობელემურად? პასუხი დაასაბუთეთ;
- საგან მოქალაქეობის ფარგლებში ყოველ წელს სწავლობთ, რა შეუძლია სკოლის მოსწავლეს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. სტატიაში კი ამ მცდელობებს ავტორი „მიკროსამომხმარებლო სისულეებს" უწოდებს. თქვენი აზრით რატომ? რას გულისხმობს სტატიის ავტორი? რა აზრის ხართ თქვენ?
- რა საფუძველზე აკრიტიკებს ავტორი მედიას? რა ფაქტები მოყავს ავტორს, იმისათვის რომ მედიის გულგრილობა დაგვანახოს მდგრადი მიზნების მიმართ?
- რატომ აკრიტიკებს ავტორი მოქალაქეს მომხმარებლის რანგში?
- რა კატაკლიზმებს იწვევს ადამიანის უგუნურება და რატომ ვერ ვამჩნევთ მას ჩვენ?
- რა გამოსავალს ხედავს ავტორი ეკოსისტემის გადასარჩენად? რაში ხედავთ გამოსავალს თქვენ?
- სტატიის წაკითხვის შემდეგ, როგორ წარმოგიდგენით საკუთარი როლი მდგრადი განვითარების კონკრეტული მიზნის მიწღევაში? რაზე ჩაგაფიქრათ სტატიამ?
- რა კავშირიშია პოლიტიკა და მდგრადი გნვითარების მიზნების შესრულება ერთმანეთთან? თუ შეუძლია ერთ სტრუქტურას (კონკრეტულად „თქვენ" სტრუქტურას), ერთ სახელმწიფოს დამოუკიდებლად შეეჭიდოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას?
- რომელ შიდა სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს გამოიყენებდით თქვენი როლის რანგში? რომელ საერთაშორისო ინსტიტუციებს?

- როგორ დაუკავშირებთ მდგრადი განვითარების სამი განზომილებას: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა, და გარემოს მდგრადობა?
- დააკავშირეთ ერთმანეთთან სტატიაში წამოჭრილი პრობლემები და სუტუაცია 1-5 -ში (გვ. 99-104)აღწერილი მცდელობები მდგრადი განვითარების მიზნების მღწევისთვის. პასუხი დაასაბუთეთ

რესურსები:
მდგრადი განვითარების კომპონენტები **სახელმძღვ. გვ. 88**
მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები **სახელმძღვ. გვ. 95**
აქტივობა. იმუშავეთ ჯგუფებში მდგრადი განვითარების კომპონენტებს დაუკავშირე მდგრადი განვითარების მიზნები

მდგრადი განვითარების კომპონენტები	**მდგრადი განვითარების მიზნები N**
მდგრადი სოციალური განვითარება(ადამიანი)	
გარემოს მდგრადი განვითარება(პლანეტა)	
მდგრადი ეკონომიკური განვითარება (კეთილდღეობა)	

კითხვები:
- როგორ გესმის მდგრადი განვითარების თითოეული კომპონენტის მნიშვნელობა?
- გაგიჭირდა თუ არა მიზნების დაკავშირება კომპონენტებთან?
- როგორია მდგრადი განვითარების კომპონენტების ურთიერთმიმართება?

რესურსები:
მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები **სახელმძღვ. გვ. 95**
სიტუაცია 1,2,3,4,5 **სახელმძღვ. II ნაწილი,გვ. 99-104**
მოსწავლის წიგნში (II ნაწილი,გვ. 104) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნები – მიმოხილვა https://bit.ly/3I7Siav
მდგრადი განვითარების მიზნები https://bit.ly/3RMzhGV
მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები https://bit.ly/3HqO4SI

აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში დაინაწილეთ ქვემოთ მოცემული 5 სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს.
კითხვები:

- რა საქმიანობას ეწევა „გრამინ ბანკი“ ბანგლადეშში?
- რატომაა გრამინის მოდელი სიღარიბი მოსახლეობის (მათ შორის ქალების) დახმარების ეფექტიან საშუალებას?
- რატომაა მნიშვნელოვანიდღეს მოწყვლადი სოციალური ფენის ფინანსური ინტეგრაციისა ხელშეწყობა?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზნების მიღწევას უწყობს ხელს ბანკის საქმიანობა?
- რა მიზნით გაუქმდა კოსტა-რიკაში არმია?
- რა არგუმენტით ხსნის კოსტა-რიკის ყოფილი პრეზიდენტი და ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში არმიის გაუქმებას?
- ეთანხმენით თუ არა ამ არგუმენტს? პასუხი დაასაბუთეთ
- რა მიზნისკენ მიმართა ქვეყანამ არმიისსთვის გამოყოფილი რესურსები?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზნებს დაუკავშირებთ კოსტა-რიკაში არმიის გაუქმებით გამოწვეულ შედეგებს?
- თქვენი აზრით სწორად მოიქცა თუ არა კოსტა-რიკის ხელისუფლება? პასუხი დაასაბუთეთ.
- რაში გამოიხატა გაბონის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა?
- რა მიზანს ისახავს 2001 წელს გაბონში მიღებული ტყის კოდექსი?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზანს უკავშირდება გაბონის ხელისუფლების პოლიტიკა? რატომაა ეს მიზანი მნიშვნელოვანი?
- რა შედეგები მოჰყვება მსგავს პოლიტიკას?
- ისურვებდი თუ არა რომ საქართველომაც გაატაროს მსგავის პოლიტიკა? რატომ?
- ენერგიის რა წყაროებს იყენებდა და იყენებს ისლანდია?
- რაში მდგომარეობს ისლანდიის „ენერგეტიკული რევოლუციის“ არსი?
- რატომაა მნიშვნელოვანი ენერგიის განახლებადი წყაროებიდან გამომუშავება?
- რა მიზანს ისახავს 2010 წელს ისლანდიის წამოწყება, დაეხმაროს აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებს?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზანს უკავშირდება ისლანდიის „ენერგეტიკული რევოლუცია“?
- რატომაა მნიშვნელოვანი ისლანდიის მუშაობა აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში?
- რატომაა ფრაიბურგი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი, პროგრესული და მდგრადი ქალაქი?
- რამ შეუწყო ხელი ფრაიბურგის ამგვარ ქალაქად გადაქცევას?
- რა არის ინდუსტრიული სიმბიოზი?
- რამდენ სამრეწველო ობიექტს აერთიანებს კალუნდბორგის ინდუსტრიული სიმბიოზი?
- რა დადებით შედეგი მოაქვს გარემოსთვის ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობას?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზნებს დაუკავშირებდი ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობას?

- დააკავშირეთ ერთმანეთთან სტატიაში წამოჭრილი პრობლემები და სუტუაცია 1-5 -ში (გვ. 99-104)აღწერილი მცდელობები მდგრადი განვითარების მიზნების მღწევისთვის. პასუხი დაასაბუთეთ

კრიტერიუმი 2. რა შედეგები მოყვება მდგრადი განვითრების მიზნების უგულებელყოფას და რატომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად? (მდ.გან მკ.წ. 1.2)

რესურსები:
მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 95**
რას აკეთებენ ქვეყნები მდგრადი მომავლის შესაქმნელად? **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 97**
აქტივობა. იმსჯელეთ
კითხვები:

- რითაა გამოწვეული კლომანჯაროს ყინულის საფარის დნობა?
- რატომ მცირდება ჰიმალაის მთების თოვლის მუდმივი საფარი?
- რა შედეგები მოსდევს ხანძრების ზრდას დიდ ქალაქებში?
- რატომ ქრება ყოველწლიურად მსოფლიოში ჰექტარობით ტყე?
- რატომ იღუპებიან სახეობები ბუნებრივ ტემპზე 100-ჯერ სწრაფად?
- რითაა გამოწვეული ის რომ მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს წვდომა სანიტარიასა და სუფთა წყალზე?
- როგორ ავირიდოთ თავიდან კლიმატის ცვლილების გამო გადაადგილებულ ლტოლვილთა რაოდენობის ზრდა?
- მდგრადი განვითარების რომელ მიზნებს უკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები?
- რას ვაკეთებთ ამ პროცესების საპირისპიროდ?
- ვცდილობთ თუ არა ვიბრძოლოთ არსებობისთვის და შევუნარჩუნოთ დედამიწას შემორჩენილი სახე (პირვანდელი სახის დაბრუნებას, რომ ვერ შევძლებთ ფაქტია)?
- რომელი მდგრადი განვითარების მიზანი მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად?
- ჩამოთვლილ პრობლემათაგან რომელია ყველაზე აქტუალური საქართველოსთვის?
- რას აკეთებს აღნიშნული პრობლემების შესამცირებლად სზოგადოება, სახელმწიფო, თქვენ?
- რატომაა მნიშვნელოვანი თანამშროლობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად?

რესურსი: უსაფრთხო ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს. **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ.108, 109, 110**

აქტივობა: იმუშავე ჯგუფებში
მოსწავლის წიგნში (II ნაწილი, გვ. 115) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

უსაფრთხოების წესები ხანძრის დროს https://bit.ly/3xuw19I
სახანძრო-უსაფრთხოების სასწავლო ვიდეორგოლი https://bit.ly/3xzXcjg
როგორ მოვიქცეთ წყალდიდობის დროს https://bit.ly/413NWBE
მიწისძვრა https://bit.ly/3Sh7WwI
უსაფრთხოების წესები მიწისძვრის დროს https://bit.ly/3IwwnD1

კითხვები:

- როგორია უსაფრთხო ქცევის წესები წყალდიდობის დროს?
- როგორია უსაფრთხო ქცევის წესებიმიწისძვრის დროს?
- როგორია უსაფრთხო ქცევის წესები ხანძრის დროს?
- რამდენად ემსახურება ამ წესების დაცვა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას?

რესურსი: ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საგანგებო სიტუაციების მართვაში და ადრეული შეტყობინებების სისტემა.
სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ. 111
აქტივობა: იმსჯელეთ
კითხვები:

- როგორ მუშაობს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა?
- რატომა მნიშვნელოვანი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლიბა სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნებისთვის?
- რა მიზნებს ემსახურება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური?
- რა როლი აქვს ადრეული შეტყობინების სისტემას საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად?
- რომელ ოთხ ძირითად ელემენტზეა დამოკიდებული ადრეული შეტყობინების სისტემის წარმატებას?
- შეადარეთ საზღვარგარეთ არსებული ადრეული შეტყობინების პრაქტიკა საქართველოში არსებულს?
- რა ვალდებულებები აქვთ მოქალაქეებს საგანგებო სიტუაციების დროს?
- რა როლია აქვს თანამშრომლობას გლობალურ და ლოკალურ დონეზე სტიქიური უბედურებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირებაში? სტიქიით გამოწვეული ზარალის შემცირებაში?

რესურსი: მაგალითი ერთად დგომისა **სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ.105-106**
აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში
კითხვები:

- რა მოტივაცია ჰქონდათ მოქალაქეებს შეესრულებინათ მძიმე სამუშაოები?
- როგორ მოქმედებდა დედაქალაქის მერია?
- იმუშავა ადრეული შეტყობინების სისტემამ?
- როგორ განვითარდებოდა მოვლენები ადრეული შეტყობინების შემთხვევაში?
- როგორ ხდებოდა მოხალისეთა საქმიანობის ორგანიზება?
- რა მიზეზებმა განაპირობა 13 ივნისის ტრაგედია?
- შეიძლებოდა თუ არა ამ მოვლენის თავიდან აცილება? პასუხუ დაასაბუთე
- რატომ მიგაჩნიათ მოხალისეობა მნიშვნელოვნად?
- ყოფილხართ მოხალისე? ვინ შეიძლება გახდეს საგანგებო სიტუაციების დროს მოხალისე?
- რატომ არის ეფექტური მოხალისეობა საგანგებო სიტუაციების დროს?
- გაიხსენეთ შემთხვევა, როცა სამოქალაქო მოძრაობისა და სახელმწიფოს ერთად დგომით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა?
- შენი აზრით რამდენად აქტუალურია ქალაქ თბილისისთვის მდგრადი განვითარების მიზანი.11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები?
- რამდენად მნიშვნელოვანია ამ მიზნის მიღწევისთვის თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას შორის?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?
- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ცხრილი 3.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კლასი: XI **თემა**: „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ **ძირითადი საკითხი:** მდგრადი პოლიტიკა **მოსწავლე**		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: პოლიტიკური იდეების/იდეოლოგიის გაანალიზება რომელიც საფუძვლად დაედო მუჰამედ იუნუსის საქმიანობას.	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: მოჰამედ იანუსის მიერ დაარსებული „გრიმინ ბანკის“ როლის შეფასება ბანკის ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზების კუთხით	1,5	
სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: სამოქალაქო მონაწილეობის იანუსისეული გზის /მეთოდის დახასიათება.	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: გრამინ ბანკის საქმიანობაზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას.

შემაჯამებელი დავალების მოსამზადებლად რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და მივცეთ მოსწავლეებს წინასწარ გასაცნობად და გასაანალიზებლად. მათთვის ცნობილია, რომ მალევე, ვთქვათ, ერთ კვირაში მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც ამ კონტექსტ-მაგალითს უკავშირდება.

მოცემულ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი „გრამინ ბანკი“ ბანგლადეშში (II ნაწილი,გვ. 99-100). მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას: გაეცანი წყაროს გრამინ ბანკი“ ბანგლადეშში. წერილობით შეაფასე ბანკის/ მუჰამედ იანუსის საქმიანობა(100-150) სიტყვა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

- ✓ რომელი პოლიტიკური იდეოლოგიით/ იდეით იყო შთაგონებული მოჰამედ იანუსი ბანკის დაფუძნებისას
- ✓ რომელი უფლებების რეალიზებაში ეხმარება ბანკი ბენეფიციარებს
- ✓ პოლიტიკაში მონაწილეობის რა გზა აირჩია მოჰამედ იუნუსმა. დაახასიათეთ სამოქალაქო ჩართულობის მისეული გზა
- ✓ მდგრადი განვითარების რომელი პრინციპების რეალიზებას უწყობს ხელს იუნუსის მიერ დაარსებული ბანკის საქმიანობა

XI კლასის სავალდებულო თემისთვის „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ მეოთხე ძირითადი საკითხია **„სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში“.** ამ საკითხთან მიმართებით მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება კონტექსტ-მაგალითით „ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს“ და შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი მაგალითებით:

ძირითადი ქეისი და მაგალითები შედარებისთვის	რესურსები
ძირითადი ქეისი: „ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს“	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 145-148 • მასწავლებლის წიგნი. დანართი. 8 (გვ197.)
მაგალითი შედარებისთვის 1 ბოსტონის ჩაის სმა, მარილის მარში, 68 წლის მაისი	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 134, 135, 136
მაგალითი შედარებისთვის 2. 9 აპრილი საქართველო	• • სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 137
მაგალითი შედარებისთვის 3.	• სახელმძღვანელო II ნაწილი, გვ. 333-337

განვმარტავთ: ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ისეთი მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. კონტექსტ-მაგალითები სწორედ ასეთ მაგალითებს შეიძლება ვუწოდოთ. ეს ისტორიები უნდა შეირჩეს სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხების მიხედვით და უნდა წარმოაჩენდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს (დილემები, ემოციები).

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული ძირითადი კონტექსტ-მაგალითები შეგიძლიათ თქვენი შეხედულებისამებრ შეცვალოთ, ანუ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სხვა კონტექსტ-მაგალითს მიანიჭოთ ძირითადის ფუნქცია და კომპლექსური დავალების პირობა მასზე დაფუძნებით ჩამოაყალიბოთ.

ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ანალიზზე სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გადადის. მისი დამუშავება ხდება სიღრმისეულად - კონტექსტის, ემოციურ-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, მაშინ როცა შესადარებელად შერჩეული მაგალითები ძირითადად ფონური ცოდნის როლს ასრულებს.

კონტექსტ-მაგალითის პირველადი დამუშავებისას მასწავლებელი გეზისმიმცემი კითხვებით, აქტივობებით მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ დეტალებს, რომლებიც კავშირშია დასამუშავებელ ქვეცნებებთან, სამიზნე ცნებასთან;

<u>ცხრილი სამიზნე ცოდნის განსაზღვრისათვის</u>

_თემა - პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა ძირითადი საკითხი - სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში ძირითადი ქეისი - „ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“			
ქვესაკითხი	ქვეცნებები		სამიზნე ცნება
„ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“ (ნიკო ნიკოლაძე)	არჩევნები	მონაწილეობის კიბე	საზოგადოება

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქვესაკითხთან დაკავშირებით, ამის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ცხრილი 1.),** რომელშიც მაქსიმალურად დეტალურადაა გაწერილი რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.

მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით დონეს.** ეს რუბრიკა მასწავლებელს რამდენიმე ეტაპზე დაეხმარება:

ა) თავდაპირველად, საკუთარი ამოცანის გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ეტაპზე **(რა აქტივობები, მეთოდები, სტრატეგიები უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლეს ამ მოლოდინის რეალურ შედეგად ქცევაში დავეხმარო?**),

ბ) შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესზე მონიტორინგისთვის **(როგორ მიდის პროცესი, გამოჩნდა მოლოდინების შესაბამისი ნიშნები? რა კითხვები შევაშველო ხარაჩოდ?);**

გ) სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსურის დასრულების დროს კონკრეტული უკუკავშირის ფორმირებაში **(მოლოდინებიდან რომელი ფრაზები გამომადგება მოსწავლის შედეგის აღსაწერად? წასახალისებლად? რჩევის მისაცემად?)**

დ) ბოლოს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებზე მუშაობის პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურირებული თვითშეფასებისთვის (**რომელ მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებით განვსაზღვრე მოლოდინები რეალისტურად? რომელ მოლოდინს მოვუძებნე სწორი გასაღები აქტივობებისა და მეთოდების სახით? სად მჭირდება შევცვალო მიდგომა?)**

ცხრილი 1.

სამიზნე ცნება ქვესაკითხი	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი**
სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 2,4) „ადამიანი რომელმაც გაუსწრო	3. დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე;	ნიკო ნიკოლაძის მაგალითებზე დაფუძნებით აღწეროს რამდენად განაპირობა თემში/საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარება მერის არჩევნებში მონაწილეობამ.	

დროს“(ნიკო ნიკოლაძე)	4. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვაგანხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;	მაგალითების განხილვის - მერის არჩევნებში მონაწილეობა, მარილის მარში, ბოსტონის ჩაის სმა, რეფერენდუმი, პლებისციტი - საფუძველზე იმსჯელოს მონაწილეობის ამა თუ იმ ფორმის ეფექტურობაზე. -	

	5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.	კონკრეტული მაგალითების საფუძველზე იმსჯელოს არაძალადობრიობის პრინციპის მნიშვნელობაზე მონაწილეობის ამა თუ იმ ფორმის გამოყენებისას	

საკითხი - „სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში“
ქვესაკითხი - „ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“(ნიკო ნიკოლაძე) **ქვეცნებები** - არჩევნები, მონაწილეობის კიბე. **სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგი: 2,4)**
საკვანძო შეკითხვა - რატომაა მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეობის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისთვის? როგორ წარმოვაჩინო ნაშრომის გზით მონაწილეობის ამ ფორმის ეფექტურიბა?
კომპლექსური დავალება გაეცანით წყარო„ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს“ (II ნაწილი, გვ. 145-148). წარმოიდგინეთ, რომ იკვლევთ თქვენი დასახლების ამომრჩეველთა ინფორმირებულობას/წარმოდგენებს თემში არსებული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში მათი ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ. მოამზადეთ წარმოსახვითი (ხართ როგორც ინტერვიუერი, ასევე რესპონდენტი) **<u>ინტერვიუს ტრანსკრიპტი</u>** (ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის აუდიო-ჩანაწერის ქაღალდზე გადატანის („გაშიფვრის“) შედეგად მიღებული ტექსტი).

რეკომენდაცია: შეგიძლიათ დავალებაზე იმუშაოთ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მეწყვილესთან ერთად. მეწყვილესთან ერთად დავალების წარმოდგენა შეგიძლია ვიდეო რგოლის სახითაც.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა პრობლემებია დასახლებაში? რამდენად მნიშვნელოვანია ეს პრობლემები და რა იწვევს მათ? **(სამოქალააქო მონაწილება მკვ.წ.1)**
- რამდენად ეფექტურია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა და მონაწილეობის სხვა ფორმები არსებული პრობლემების მოგვარებისთვის? **(სამოქალააქო მონაწილება მკვ.წ.2.3)**

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 2,4) 1. დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე; 2. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვაგანხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;	**სამოქალაქო მონაწილეობა:** •გააანალიზოს სოციაურ-პოლიტიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზები; შეაფასოს მათი მნიშვნელობა **(მკვ.წ. 1)**; •გამოთქვას მოსაზრებები განხილვის საგნად შერჩეული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ; მსჯელობისას გამოიყენოს ცოდნა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით **(მკვ.წ. 2,3).**	• რა პრობლემებია დასახლებაში? რამდენად მნიშვნელოვანია ეს პრობლემები და რა იწვევს მათ? **(სამოქალააქო მონაწილება მკვ.წ.1)** • რამდენად ეფექტურია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა და მონაწილეობის სხვა ფორმები არსებული პრობლემების მოგვარებისთვის? **(სამოქალააქო მონაწილება მკვ.წ.2.3)**

3. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.		

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სახელმძღვანელო, **II თემა. IV თავი. სამოქალაქო მონაწილეობა** კომპლექსური დავალების პირობა, II ნაწილი, გვ. 118

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- რა არის სამოქალაქო მონაწილეობა?
- მონაწილეობის რომელ ფორმებს იცნობთ?
- სამოქალაქო მონაწილეობის რომელი ფორმებს მიიჩნევ უფრო ეფექტურად? რატომ?
- ჩაგიწერიათ თუ არა, ინტერვიუ?
- რა მნიშვნელოვანი დეტალებზე გაამახვილებ ყურადღებას ინტერვიუს ჩაწერისას?
- როგორ ფიქრობთ, რატომაა ინტერვიუ ეფექტური საშუალება კონკრეტული საკითხის წარმოსაჩენად?
- რა რესურსი დაგვჭირდება მოცემული პროდუქტის შესაქმნელად?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგა, რა დამჭირდება ამისათვის?
- როგორ მოვახდინო სხვებზე შთაბეჭდილება ჩემი პროდუქტით?
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

კითხვებით კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ, რომ დავალების პირობა ყველასთვის გასაგებია;
მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებამდე შესასწავლ საკითხს რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობთ და ბოლოს ყველას ექნება საშუალება კლასს წარუდგინოს შესრულებული დავალება.

<u>ყურადღება!</u>

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე მიმდინარეობს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ვიყენებთ საშინაო დავალებას.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

<u>სამიზნე ცოდნა:</u>

ქვესაკითხი:_„ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“(ნიკო ნიკოლაძე) **ქვეცნებები**-არჩევნები, მონაწილეობის კიბე; **სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგი: 2,4)**

კონტექსტ-მაგალითების პირველადი დამუშავება

აქტივობა : იმუშავეთ წყვილებში, II ნაწილი,გვ. 148

ტექსტის ,,ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს!“ (II ნაწილი, გვ 145-148) გამოყენებით ფურცელზე გადაიტანეთ და შეავსეთ ცხრილი.

- ✓ პირველ სვეტში ჩამოთვლილია ნიკო ნიკოლაძის მიერ ფოთში გატარებული ზოგიერთი ღონისძიება.
- ✓ იმსჯელეთ, თანამედროვე რეალობაში, მონაწილეობის რომელი ფორმა/ფორმები იქნება უფრო ეფექტური ჩამოვლილი ღონისძიებების გატარებისთვის. მოსაზრება დაასაბუთეთ

	არჩევნები	თავისუფალი სასამართლო	მანიფესტაცია	პეტიცია	პლებისციტი	დასახლების საერთო კრება	არასამთავრობო ორგანიზაცია
ნავსადგურის კეთილმოწყობა							
საბაჟო გადასახადის შემოღება							
ქალაქის გენერალური გეგმის შექმნა							

დენდროლოგიური პარკის გაშენება							
სადრენაჟო არხების მშენებლობა							
გზების მოწყობა							
საკომუნიკაციო სისტემების განვითარება							
ელექტროფიკაცია							
გარე განათება							
საავადმყოფოს მშენებლობა							

კრიტერიუმი 1. რა პრობლემებია დასახლებაში? რამდენად მნიშვნელოვანია ეს პრობლემები და რა იწვევს მათ?(სამოქალაქო მონაწილება მკვ.წ.1)

რესურსი: „ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“ **სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ. 145-148**
აქტივობა: ტექსტზე მუშაობა. იმსჯელეთ

კითხვები:

- ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე? რა თანამდებობა ეკავა მას ფოთში?
- შენი აზრით რატომ აირჩიეს ის ქალაქის მერად?
- რა სახის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები იყო ქალაქში?
- რა ღონისძიებები გაატარა ნიკო ნიკოლაძემ ქალაქ ფოთში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად?
- რამდენად ეფექტური იყო ეს ღონისძიებები? პასუხი დაასაბუთეთ

- როგორ ფიქრობთ, რომ არა მოქალაქეების მიერ არჩევნებში მონაწილეობა/მისი მერად არჩევა გადაიჭრებოდა ეს საკითხები?
- რატომაა მნიშვნელოვანი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ეფექტური გზა ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად?
- არჩევნებისგან განსხვავებული, მონაწილეობის რომელი ფორმები მიგაჩნია ეფექტურად ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად?

რესურსი: ქალაქის საკრებულოს კანდიდატების პროგრამები **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 119-123**
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში

	პოლიტიკის სფერო	სოციალური და ეკონომიკური სფერო	კულტურის სფერო	ჯანმრთელობა და სპორტი	გარემოს დაცვა
პარტია „ჯანმრთელი საქართველო“					
პარტია „ეკომაშველი“					
პარტია „ აყვავებული ქალაქი“					

კითხვები:

- რომელი პრობლემების მოგავრებაზეა ორიენტირებული წინა საარჩევნო დაპირებები? ჩამოთვალეთ დასახლებაში არსებული შესაძლო პრობლემები?
- რა უნდა გაითვალისწინოს ამომრჩეველმა არ ჩევნებში მონაწილეობის დროს? რა შემთხვევაში იქნება მისი მონაწილეობა ეფექტური?
- რამდენად რეალისტურია პროგრამები? რომელ სფეროებზე არის ისინი ორიენტირებული?
- რომელი პროგრამაა თქვენთვის მისაღებ და რატომ? რომელ პარტიას აირჩევდით?
- საკმარისი არის თუ არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობა საკრებულოს ეფექტორი კონტროლისთვის და მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოპოვებისთვის?
- გაიხსენე ნიკო ნიკოლაძის მიერ გატარებული ღონისძიებები. რა სახის პრობლემების(სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, გარემოს დაცვა და ა.შ.) მოგვარებაზე იყო ის ორიენტირებული?
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის კიდევ რომელ ფორმებს იცნობთ?
- რას გულისხმობს პოლიტიკაში მონაწილეობა? რატომ არის არჩევნები პოლიტიკაში მონაწილეობის ეფექტური ფორმა?

რეკომენდაცია მასწავლებელს: სთხოვეთ მოსწავლეებს იმუშაონ ჯგუფებში. საარჩევნო პროგრამების ანალიზის შემდეგ ცხრილის შესაბამის გრაფაში ჩაწერონ რომელი სფეროს მოგვარებაზე აკეთებს აქცენტს კონკრეტული პარტია. დავალებაზე მუშაობის შემდეგ მოსწავლეებმა კლასს უნდა წარუდგინონ ნაშრომები.

რესურსი საარჩევნო უფლების ძირითადი პრინციპები **სახელმძღვა. II ნაწილი, გვ. 126**
აქტივობა. იმუშავეთ ჯგუფებში

არჩევნების პრონციპები	განმარტება	დაასაბუთე, რატომაა მნიშვნელოვანი აღნიშნული პრინციპის დაცვა
საყოველთაო		
თანასწორი		
პირდაპირი		
ფარული		

კითხვები:

- გაიხსენე არჩევნების ძირითადი პრინციპები?
- როგორ გესმის არჩევნების ძირითადი პრინციპების მნიშვნელობა?
- რატომაა ამ პრინციპების დაცვა მნიშვნელოვანი?
- რომელიმე პრინციპს ხომ არ მიანიჭებდი უპირატესობას?
- ჩაითვლება თუ არა არჩევნები მონაწილეობის ფორმად თუ აღნიშნული პრინციპები არ იქნება დაცული?
- გაიხსენე მონაწილეობის კიბე. მონაწილეობის კიბის რომელ საფეხურს შეუსაბამებდი არჩევნებში მონაწილეობას? პასუხიდაასაბუთეთ

რესურსი: საარჩევნო ცენზები. **სახელმძღვანელო, II ნაწილი, გვ. 129-130**
აქტივობა: ომსჯელეთ

კითხვები:

- რა ტიპის საარჩევნო შეზღუდვები გამოიკვეთა ტექსტში?
- დააჯგუფეთ შეზღუდვები ამომრჩევლებისათვის და შეზღუდვები კანდიდატებისათვის;
- რა განსხვავებაა აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას შორის?
- თქვენი აზრით, რას ემსახურება სხვადასხვა ქვეყანაში დაწესებული განსხვავებული საარჩევნო შეზღუდვები? რომელი შეზღუდვაა თქვენთვის მისაღები და რატომ?
- რომელ შეზღუდვას აკრძალავდით და რატომ? რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ საარჩევნო შეზღუდვები?
- რომელი საარჩევნო შეზღუდვის დაწესებას ისურვებდით საქართველოში?
- თქვენი აზრით ზღუდავს თუ არა საარჩევნო ცენზები სამოქალაქო მონაწილეობის უფლებას? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

რესურსი: სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 162-163
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში
კითხვები:

- ქვემოთ მოცემული საკითხებიდან რომელი მიეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს?
- რა საკითხებია მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებას მიკუთ ვნებული?
- რამდენად მოწესრიგებულია ეს საკითხები თქვენს მუნიციპალიტეტში?
- როგორ შეიძლება ამ საკითხების უკეთ მოწესრიგება?
- რომელი საკითხის მოწესრიგებაში მიიღებდით მონაწილეობადა რატომ?
- ადვოკატირებისა და ლობირების საკითხების ცოდნა დაგეხმარებათ კონკრეტული პრობლემის გადაჭრაში? როგორ?
- რამდენად ეფექტურია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა წყაროში მოცემული საკითხების გადასაჭრელად? პასუხი დაასაბუთე.
- გაიხსენე წყარო „ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს“. ჩამოთვლილი საკითხებიდან რომლის მოგვარებაზე იზრუნა ნიკო ნიკოლაძემ მერად მუშაობისას. შეაფასე მისი მოღვაწეობა.

რესურსი: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები. სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 161
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში

	აღწერე თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმები	დაასაბუთე მათი მნიშვნელობა

მერის, გამგებლის, საკრებულოს წევრის მიერ სამუშაოს შესრულების ანგარიშის მოსმენა		
დასახლების საერთო კრება		
მუნიციპალიტეტის საკრებულოს და კომისიის სხდომებში მონაწილეობა		
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო		

კითხვები:

- თვითმმართველობაში მონაწილეობის რომელ ფორმებს იცნობთ?
- რა შემთხვევაშია მონაწილეობის ამა თუ იმ ფორმის გამოყენება მნიშვნელოვანი?
- რამდენად ეფექტური თვითმმართველობაში მოცემული მონაწილეობის ფორმები?
- მონაწილეობის კიბის რომელ საფეხურს შეუსაბამებთ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებს?

კრიტერიუმი 2. რამდენად ეფექტურია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა და მონაწილეობის სხვა ფორმები არსებული პრობლემების მოგვარებისთვის? (სამოქალააქო მონაწილება მკვ.წ.2.3)

რესურსი: რეფერენდუმი და პლებისციტი **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 131-132**
აქტივობა: ვენის დიაგრამაზე მუშაობ
კითხვები:

- რა საკითხზე ჩატარდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში რეფერენდუმი?
- რა საკითხზე ჩატარდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში პლებისციტი?
- რატომაა რეფერენდუმი ან პლებისციტი სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტური ფორმა?
- რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი რეფერენდუმის ამ პლებისციტის ჩატარება?
- რა დადებითი/უარყოფითი მხარეები აქვს მონაწილეობის ამ ფორმებს?
- შეადარე რეფერენდუმი/პლებისციტი მონაწილეობის შენთვის ნაცნობ ფორმებს?
- რეფერენდუმი და პლებისციტი პირდაპირი დემკრატიის ფორმაა თუ წარმომადგენლობითის?
- რით გავს და რით განსხვავდება რეფერენდუმი და პლებისციტი ერთმანეთისაგან?

რესურსები: ბოსტონის ჩაის სმა, მარილის მარში, 68 წლის მაისი, 9 აპრილი **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ.135-138**
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში
მოსწავლის წიგნში (გვ. 143) **მოცემული სასარგებლო რესურსები:**

არჩევნები და დემოკრატია / Elections and democracy https://bit.ly/3HH7Jzi
დემოკრატია / democracy https://bit.ly/3HFar8b
სამოქალაქო საზოგადოება https://bit.ly/3jeSggk
ადამიანის თავისუფლებები https://bit.ly/3HCspbo
პოლიტიკური კარიკატურის ისტორია / History of political cartoons https://bit.ly/409lHky
როგორ იქცა ქართული კარიკატურა პოლიტიკური ბრძოლის
იარაღად? https://bit.ly/40duDW8
პროტესტი / Protest https://bit.ly/3HEi6nb

კითხვები:

- რა საერთო აქვს შემოთავაზებულ საპროტესტო აქციებს? რა გავლენა იქონია ქვემოთ მოთხრობილმა პროტესტმა თანადროულ პოლიტიკაზე და რა დოზით?
- საბოლო ჯამში რა გავლენას ახდენს დემოკრატირულ ქვეყნებში საპროტესო აქციები?
- დღეს რომ ტარდებოდეს საპროტესტო აქციები, რა რეკომენდაციებს მისცემდით მათ ორგანიზატორებს?
- თქვენ თუ მიიღებდით მონაწილეობას და რატომ?
- როგორ აისახა ეს და მსგავსი საპროტესტო აქციები თნამედროვე პოლიტიკაზე ჩვენს ქვეყანაში/გლობალურად?
- რატომაა საპროტესტო აქციები მონაწილეობის ეფექტური ფორმა?
- შეადარე ერთმანეთს მაგალითებში მოყვანილი სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები (დემონსტრაციაში მონაწილეობა, საჯარო გამოსვლა, მიტინგი,ბოიკოტი და სხვა. რით ჰგავს /განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან?
- გაიხსენეთ მონაწილეობის კიბე მონაწილეობის კიბის რომელ საფეხურს შეუსაბამებდით საპროტესტო აქციებში მონაწილეობას?
- რატომაა საპროტესტო აქციებში მონაწილეობისას მნიშვნელოვანი არაძალადობრიობის პრინციპის დაცვა?

რესურსი: პოლიტიკური კარიკატურები **სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 159**
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში
კითხვები:

- განსაზღვრეთ კარიკატურის თემატიკა;
- რა არის კარიკატურის ძირითადი იდეა? მთავარი სათქმელი?
- რომელ პილიტიკურ მდგომარეობას შეესაბამება კარიკატურა? რა არის მისი დანიშნულება და მიზანი? პასუხი დაასაბუთეთ
- რის წინააღმდეგ არის მიმართული თითოეული კარიკატურა?
- როგორ უნდა დაიცვას მოქალაქემ თავი იმისაგან, რის წინააღმდეგაც არის მიმართული კარიკატურა?
- რამდენად აქტუალურია კარიკატურაში აღწერილი პრობლემა საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის. მოიყვანეთ მაგალითი:
- გაიხსენეთ რა პრინციპების დაცვით უნდა ჩატარდეს არჩევნები, რომ ის რეალურად ჩაითვალოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმად?

რესურსი: პეტიცია.**სახელმძღვ. II ნაწილი, გვ. 162**
აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში მოიფიქრეთ იდეა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის მოსაგვარებლად

კითხვები:

- რის შეცვლას ისურვებდით თქვენს თემში? ჩამოაყალიბეთ პრობლემის არსი.
- როგორ გესახებათ მისი მოგვარება?
- რატომ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად თქვენი იდეის საკრებულოს სხდომაზე განხილვა?
- რა არის პეტიცია?
- ვის შეუძლია პეტიციის წარდგენა?
- რით გავს/განსხვავდება პეტიცია მონაწილეობის სხვა(არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი, დემონსტრაცია და ა. შ) ფორმებისგან?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

აღწერეთ, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- გქონდა თუ არა დავალებაზე მუშაობისთვის პირველადი გეგმა? რამდენად დაგეხმარა ეს გეგმა მუშაობის პროცესში? გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა? რატომ?
- ვისთან და როგორ ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? შეხვდით თუ არა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებს? რამდენად დაგეხმარათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?

ახსენით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინე კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა საკითხს შეეხება შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნები?
- ვისთვის და რატომ არის შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება სასარგებლო და საინტერესო?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

შეაფასეთ, რამდენად პროდუქტიული და საინტერესო იყო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი

- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ დავალების შესრულება? რამდენად ემთხვევა ის მასწავლებლის მოლოდინებს?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად? რაში დაგჭირდათ სხვების დახმარება?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- თქვენი აზრით, რით და რამდენად განსხვავდება თქვენს მიერ შესრულებული დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ცხრილი 3.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კლასი: XI თემა: „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“ ძირითადი საკითხი: სამოქალაქო მონაწილეობა პოლიტიკაში მოსწავლე		
შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	კომენტარი
საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1968 წლის საფრენგითის საზოგადოებაში არსებული პრობლემების გაანალიზება და ამ პრობლემების მოგვარებაში მოქალაქეების/ საზოგადოების როლის გამოკვეთა.	1,5	
დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1968 წლის მოვლენების შეფასება დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე	1,5	
სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1968 წელს საფრანგეთში პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმის გაანალიზება	1,5	
მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1968 წლის დსაფრანგეთის მოვლენებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება	1,5	

განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (სამიზნე ცნებების მიხედვით)** და გათვალისწინებულია შემაჯამებელი დავალების შეფასებისთვის, რაც თავის მხრივ მიზნად ისახავს თემის ან მისი ნაწილის შეჯამებას.

შემაჯამებელი დავალების მოსამზადებლად რეკომენდირებულია შევარჩიოთ კონტექსტ-მაგალითი და მივცეთ მოსწავლეებს წინასწარ გასაცნობად და გასაანალიზებლად. მათთვის ცნობილია, რომ მალევე, ვთქვათ, ერთ კვირაში მოუწევთ შემაჯამებელი დავალების შესრულება შეთავაზებული კითხვარის მიხედვით, რომელიც ამ კონტექსტ-მაგალითს უკავშირდება.

მოცემულ შემთხვევაში, შევარჩიეთ კონტექსტ-მაგალითი **68 წლის მაისი, საფრანგეთი(II ნაწილი, გვ. 136** ; მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას გააანალიზე წყარო და შეავსე ცხრილი.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე :

- ✓ 1968 წლისთვის საფრენგითის საზოგადოებაში არსებული პრობლემები; ამ პრობლემების მოგვარებაში მოქალაქეების/საზოგადოების როლი
- ✓ დემოკრატიის პრინციპები და ადამინის უფლებები რომელზეც აპელირებდნენ დემონსტრანტები
- ✓ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის რომელი ფორმა იქნა შერჩეული პროტესტანტების მიერ? რატომ?
- ✓ მდგრადი განვითარების რომელი პრინციპების რეალიზებას უწყობდა ხელს შედეგი/შედეგები რომელიც საპროტესტო გამოსვლებს მოჰყვა

საფრანგეთის საზოგადოებაში არსებული პრობლემები	დემოკრატიის პრინციპები და ადამინის უფლებები რომელზეც აპელირებდნენ დემონსტრანტები	სამოქალაქო მონაწილეობის შერჩეული ფორმის აღწერა; შერჩეული ფორმის ეფექტურობის დასაბუთება	საპროტესტო გამოსვლების შედეგების გაანალიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით

დანართი 1.

ანტრეპრენერობა -- აზროვნების ტიპი

მე LinkedIn-ის თანადამფუძნებელი ვარ. დამიჯერეთ, თუ წარმატების მიღწევა გსურთ ანტრეპრენერობაში, აზრო ვნებით უნდა დაიწყოთ.

ხშირად ვამბობ, რომ კომპანიის დაფუძნება კლდიდან გა დახტომას და გზად თვითმფრინავის შენებას ჰგავს. ეს სრულიად ნათელი მეტაფორაა, რომელშიც დიდი ჭეშმარიტება იმალება. თქვენ, უპირველესად, გამბედაობა და ოპტიმიზმი გჭირდებათ. უნდა გჯეროდეთ, რომ ყველაფრის გაკეთებას შეძლებთ. შემდეგ, გამჭრიახობა მოდის – ისიც აუცილებლად დაგჭირდებათ.

თვითმფრინავის აწყობა თუნდაც მშვიდ ვითარებაში, ნიჭსა და უნარებს მოითხოვს. მოდუნება უზომოდ სახიფათოა და ამიტომ სიმკვირცხლე და სწრაფი რეაგირება აუცილებელია. სიმშვიდე ზემოქმედების ქვეშაც უნდა შეინარჩუნოთ.

თანაც, თქვენთვის ეს გადმოხტომა აღმაფრთოვანებელი მოგზაურობა უნდა იყოს. და გარდა ამისა, ფსონებიც უნდა დადოთ. თუ თვითმფრინავს დროულად არ ააწყობთ, ჩამოვარდებით. რეალურ ცხოვრებაში კი, ფული გამოგელევათ. ამიტომ აქვს სიჩქარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც კლდიდან ხტებით და მიწაზე ძალიან სწრაფად ეშვებით. ამიტომ არის თითქმის ნებისმიერ შემთხვევაში განწირული სტარტაპი, რომელიც ნელი ტემპით ვითარდება. ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, თუ რატომ არის ანტრეპრენერობა ასეთი დამქანცველი. იმიტომ რომ, თუ თვითმფრინავს ვერ ააწყობთ, სიკვდილი გარდაუვალი იქნება. არა მხოლოდ თქვენი, არამედ ნებისმიერისაც, ვინც დაარწმუნეთ, თქვენთან ერთად გადმომხტარიყო.

ასე რომ, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად იმ ანტრეპრენერულ წამოწყებებში, რომლებიც რწმენაზეა დამყარებული?

პასუხი, ერთსა და იმავე დროს მარტივიცაა და უზომოდ რთულიც: ამისთვის ანტრეპრენერული აზროვნებაა აუცილებელი. დიახ, ამგვარი აზროვნების გამომუშავება შესაძლებელია. ეს არის უნივერსალური რამ, რაც ვისწავლე, როგორც LinkedIn-ის თანადამფუძნებელმა, PayPal-ის ერთ-ერთმა პირველმა თანამშრომელმა, ინვესტორმა. და ასევე, ოთხი წლის განმავლობაში პოდკასტისთვის Masters of Scale ჩატარებული ინტერვიუების დროს. მთელი ამ წლების განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ორი ერთნაირი დამფუძნებელი არ არსებობს.

არ არსებობს ფაბრიკა სილიკონის ველზე, სადაც ანტრეპრენერებს ჰუდებს ურიგებენ და სუპერგმირების ძალებს გადასცემენ, არც ბაკალავრის ხარისხს ანიჭებენ კომპიუტერულ მეცნიერებებში სტენფორდის უნივერსიტეტში და არც მოუწოდებენ: „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ". არც ყველა დამფუძნებელია ახალგაზრდა, და არც ყველა დამფუძნებელი მოდის ტექნოლოგიების სფეროდან; არც ყველა

დამფუძნებელი ამთავრებს ყველაზე ცნობილ უნივერსიტეტებს (ზოგიერთები კი, როგორიც სერ რიჩარდ ბრენსონი და ბილ გეიტსი არიან, საერთოდ არაფერს ამთავრებენ). გარდა ამისა, არც ყველა დამფუძნებელს აქვს ერთი და იგივე უნარები, გამოცდილება ან ნიჭი.

აზროვნებაზე რას იტყვით?

ეს კი ნამდვილად აერთიანებს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ანტრეპრენერებს. ანტრე- პრენერები სამყაროს სხვაგვარად უყურებენ, როგორც წესი, ოპტიმისტები არიან და გამოწვევების საპასუხოდ მოქმედებაზე გადადიან. ისინი სიცოცხლისუნარიანები არიან და მათი გონება შექმნაზეა ორიენტირებული. ეს ყველაფერი ხშირად სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც სკოლაში გვასწავლიან.

სინამდვილეში, ანტრეპრენერული აზროვნება მთელ პაკეტს მოიცავს: მოქმედებითი აზროვნება, ქაოსშიც კი კომფორტის მოძებნა, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი, მტკიცე ხასიათი, ოპტიმიზმი, სათადარიგო გეგმების მთელი სერია და ა.შ. თქვენც ასეთი უნდა იყოთ და ამ ყველაფერს უნდა დაეუფლოთ? არა, ეს შეუძლებელია. ანტრეპრენერების აზროვნებაში სხვადასხვა კომბინაციითა და პროპორციით არის შეხამებული ეს სხვადასხვა თვისება. და თან, მათ ზოგიერთი რამ სრულიად ძალდაუტანებლად გამოსდით. სხვა თვისებების გამომუშავება კი შესაძლებელია. მთავარი იმის ამოცნობაა, რა არის თქვენი ძლიერი თვისება, რა უნდა ისწავლოთ ან რას უნდა მოერგოთ. მაგალითად, შესაძლოა, თქვენ დაბადებიდანვე ოპტიმისტი ხართ და კომფორტულად გრძნობთ თავს ქაოსში, მაგრამ გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება გიჭირთ, ნაკლებად ხართ დარწმუნებული საკუთარ თავში.

შესაძლოა, დროის შერჩევა შესანიშნავად გამოგდით და მოქმედებაზე გადასვლის დაუოკებელი სურვილიც გაქვთ, მაგრამ სხვა ადამიანების ძლიერი თვისებების გამოცნობა არ შეგიძლიათ. შესაძლოა, ბუნებრივი ინსტინქტი გაქვთ, როგორ უნდა აარიდოთ თავი კონკურენციას, მაგრამ წიგნებით და კურსებით ცოტა თუ გისწავლიათ სხვა დამფუძნებლებსა ან კოლეგებთან ურთიერთობაზე. ტექნოლოგია აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიური ჩვევების ჩამოყალიბებაში და საბოლოოდ, ანტრეპრენერული აზროვნების განვითარებაში გვეხმარება (გულწრფელად გეტყვით, რომ მე ახლა საკუთარ თავსაც ვთავაზობ ამ სერვისს). ახლახან Masters of Scale-ის გუნდთან ერთად გავუშვი აპლიკაცია. ეს ყოველდღიური 10-წუთიანი პრაქტიკაა, რომელიც ანტრეპრენერული აზროვნების განვითარებაში დაგეხმარებათ. მას სამაგისტრო კურსებს უწოდებენ და ბუნებრივია, მინდა თქვენც გამოსცადოთ, რამდენად ეფექტურია იგი.

ჩემი გამოცდილების მიხედვით, ანტრეპრენერებს აუცილებლად უნდა შეახსენოთ, რომ დრო უნდა გამოყონ იმ ყველაფრისათვის, რაც, ერთი შეხედვით, საკუთარ თავზე კონცენტრირებას ჰგავს. თქვენ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ხართ და მთელ ენე- რგიას საკუთარ თავს კი არა, სხვა პრობლემებს უთმობთ: თქვენს პროდუქტს, თქვენს ბაზარს, თქვენს გუნდსა და ფინანსებს. მა- გრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამდენივე დრო გაქვთ გამოყოფილი საკუთარი აზროვნების გასავითარებლად. ამ დროს ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებაც თქვენი ბიზნესის შესაქმნელად და გასავითარებლად შეგიძლიათ.

ყველა არ იბადება სერ რიჩარდ ბრენსონის (ინგლისელი ბიზნესმენი, ინვესტორი და ფილანტროპი, მსოფლიოში ცნობილი კორპორაციის Virgin Group-ის დამფუძნებელი) უნარებით, მოქმედებაზე გადასვლის დაუოკებელი სურვილით, ან სტივ ჯობსივით სხვების დარწმუნების უნარით, ან კიდევ, სარა ბლეკლის გასაოცარი შეუპოვრობით. მაგრამ ყველა ანტრეპრენერს აქვს გონება, რომლის შესაძლებლობებიც მართლაც განუსაზღვრელია. მათ შეუძლიათ ისე გაწაფონ თავიანთი აზროვნება, რომ წარმატების მიღწევაც შეძლონ და შემდეგ მის დახვეწაზეც ისე განუწყვეტლივ იზრუნონ, როგორც თავიანთი ბიზნესის დახვეწაზე შრომობენ.

მუდმივი პიროვნული განვითარება სიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინვესტიციად მიიჩნიეთ, რადგან მთლიანად თქვენს აზროვნებაზეა დამოკიდებული, გზად წარმატებას მიაღწევთ თუ ხელი მოგეცარებათ. კერძოდ, როგორ უნდა განვითარდეს გამარჯვებული კომპანია. ეს ყველაფერი კარგი დასაწყისია, მაგრამ ამაზე არ გაჩერდეთ! მხოლოდ ყოველდღიური მიზან მიმართული ვარჯიშით შეძლებთ აზროვნების საჭირო კუთხით განვითარებას.

ეს დოქტორ კაროლ დვეკის ფუნდამენტურმა კვლევებმაც დაადასტურა ზრდა-განვითარებაზე ორიენტირებული აზროვნების შესახებ. იგი სტენფორდის უნივერსიტეტში ასწავლის ფსიქოლოგიას და მისმა კვლევებმა პედაგოგთა მთელი თაობების ყუ- რადღება მიიპყრო ამერიკაში. დვეკის მთავარი დასკვნა ასეთია: თუ ზრდაზე ხართ კონცენტრირებული, ეს საშუალებას მოგცემთ ყოველი მარცხი სწავლისა და ასევე, ზრდის შესაძლებლობად მიიჩნიოთ. სირთულეები ისე უნდა განიხილოთ, როგორც გამო- წვევა, და ამ შემთხვევაში, საწყისი ეტაპის წარუმატებლობები თქვენთვის დროებითი მოვლენა გახდება.

ახლა აზროვნებაზე ზემოქმედების საკითხებს აშშ-ის ყველა შტატის დაწყებით სკოლებში ასწავლიან და ამის გამო იღებენ ბავშვები უფრო მაღალ ქულებს ტესტებში. მაგრამ აზროვნების განვითარებაზე მუშაობა მხოლოდ ბავშვებისთვის არ არის მნიშვნელოვანი. საინტერესოა, თვითონ როგორ ზრუნავთ თქვენი ანტრეპრენერული აზროვნების განვითარებაზე? ამ შემთხვევაში, აი, რა არის მნიშვნელოვანი:

1. **რაღაც უნდა ისწავლოთ და ამავე დროს, რაღაც უნდა დაივიწყოთ!** ანტრეპრენერული ტიპის აზროვნება – მაგალითად, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება ან ხანძრისთვის საშუალების მიცემა, რომ ყველაფერი გაანადგუროს, ხშირად სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც გვასწავლიან.

2. **მხოლოდ თეორიით კი არა, ნამდვილი ისტორიებით ისწავლეთ!** ადამიანთა უმრავლესობისთვის საუკეთესო გაკვეთილი ანტრეპრენერების ცხოვრებაა. ასე რომ, ეს არის შემთხვევა, როდესაც თეორიას ყველაზე უკეთ ისტორიები განამტკიცებს.

3. **ყოველდღიურად იზრუნეთ ჩვევის განმტკიცებაზე!** ყველაზე მნიშვნელოვანი ახლებურად აზროვნებაა. ამისთვის კი, სხვებსაც უნდა უსმინოთ, იკითხოთ და წეროთ კიდეც. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რომ ახლებური აზროვნებით გააგრძელოთ ცხოვრება – იმის მიხედვით უნდა იმოქმედოთ, რაც გაიგეთ. ანტრეპრენერული აზროვნების გასავითარებლად კი მართლაც მრავალი გზა არსებობს.

დანართი 2.

საქაღალდე : „ზღვრული ფასების შემოღება მედიკამენტებზე

წერილი 1

ძვირფასო რედაქცია,

ამ წერილს გწერთ ორი ხანდაზმული ადამიანი, რომ თქვენი დახ- მარებით როგორმე მივაწვდინოთ ჩვენი ხმა ხელისუფლებას.

მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ დედაქალაქიდან და რაიონული ცენტრიდანაც მოშორებულ სოფელში. ვართ 80 წელს გადა- ცილებულები. მოხდა ისე, რომ ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატ- რონოთ, შვილებს თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემები, თავი- ანთი წამლები აქვთ მისახედი და ჩვენს სანახავად მოს ვლასაც ვერ ახერხებენ. ჩემი მეუღლის აზრით, იმიტომაც არ მოდიან, რომ ჩვენი დახმარება არ შეუძლიათ.

ორივეს გვაწუხებს ქრონიკული დაავადებები (გულ-სისხლ ძარღ- ვთა, შაქარი), ასაკობრივი პრობლემები და გვიწევს მუდმივად წამლების მიღება. სოფლის ექიმმა უფრო ეკონომიური წამლები გამოგვიწერა და რამდენიმე მათგანს პროგრამით უფასოდაც ვი- ღებთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წამლების შესაძენად თვეში 400 ლარამდე გვჭირდება. თუ წამლებს შევიძენთ, გადასახადების და საკვებისთვის აღარ გვყოფნის პენსია, თუ არ შევიძენთ, ავადმყოფობა გვიტევს და ხშირად სასწრაფო დახმარებას ვაწუ- ხებთ, რაც მაინცდამაინც არ მოსწონთ.

ახლა ტელევიზორით მოვისმინეთ, რომ ზოგიერთ წამალზე მთა- ვრობამ აფთიაქებს ფასები ჩამოაწევინა და ძალიან გაგვი ხარდა, მოხუცები ვართ, მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება, ჯანმრთე- ლობას მივხედოთ, უწამლოდ კი რას გავხდებით.

მადლობა გადაეცით ხელისუფლებას, კარგია, რომ ხალხის პრობ- ლემა გაახსენდათ და ფასებს ამცირებენ. სთხოვეთ, შეამოწმონ, რომ ეგ კანონი ყველგან დაიცვან, რამდენი ჩვენნაირი და ჩვენზე გაჭირვებულია. კარგი იქნება, პროდუქტებზე ფასებ საც თუ ჩა- მოსწევენ.

პატივისცემით, ლიზა და გოგი ხიხრიკაძეები

წერილი 2

ძვირფასო რედაქცია,

მოგმართავთ ფარმაცევტთა პროფესიული გაერთიანების სახელით.

მიხვდებით, აგვაღელვა სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა რადი- კალურმა ნაბიჯმა კერძო ბიზნესისთვის შეზღუდვების დაწესე- ბის შესახებ.

ჩვენი ასოციაციის წევრები პატიოსანი გადამხდელები არიან და ჩვენი შემოსავლებით არცთუ ცოტა თანხა შედის სახელ- მწიფო ბიუჯეტში. ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვფიქრობთ, სახელმწიფო ვალდებულია, ეკონომიკური თავი- სუფლების პრინციპის დაცვით იმოქმედს. რაც შეეხება სოცია- ლურად დაუცველ მოსახლეობას, მათ მიმართ შესაძ ლებელია სახელმწიფომ წამლების სუბსიდირება მოახ დი ნოს და ასე იზრუ- ნოს მათი უფლებების დაცვაზე.

ბევრი მეწარმე აცხადებს, რომ კონკრეტული მედიკამენტები არ იძლევა ფასდაკლების საშუალებას და იძულებული გახდებიან მათი შემოტანა შეაჩერონ, რაც ისევ ადამიანების ჯანმრთელო- ბას შეუქმნის პრობლემას. განსაკუთრებით გვაშფოთებს სანქცი- ები, რომლებიც ბევრი წვრილი მეწარმისთვის შეიძლება დამღუპ- ველი აღმოჩნდეს. სასამართლოს გარეშე ამგვარი სანქციების ამოქმედება პირდაპირ ზღუდავს მეწარმის თავისუფლებას, სა- მართლიანობის პრინციპს.

გთხოვთ, საზოგადოების სადისკუსიოდ გამოიტანოთ ეს თემა, მოისმინოთ ექსპერტების აზრი და მოლოდინები. ჩვენც გვაქვს ჩვენი უფლებები და ჩვენც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ამი- ტომ გთხოვთ ჩვენი ხმა გააგონოთ ხელისუფლებას.

ხელს აწერს გაერთიანების 60 წევრი

**ოფიციალური ინფორმაცია *

15 თებერვალი, 2023 წელი

რეფერენტული ფასი 800-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე ამოქმედდა

,,დღეიდან, წამლებზე რეფერენტული ფასი ამოქმედდა. ძალიან მიხარია, რომ რამდენიმე კომპანიამ ეს ამოქმედებამდე გაითვალისწინა და კონკრეტულ მედიკამენტებზე, უკვე ფასი მნიშვნელოვნად დაწია. ეს არის პირველი ეტაპი და უკვე მომდევნო პერიოდში გავაგრძელებთ რეფერენტული ფასების დაწესებას მედიკამენტების სხვა ჯგუფებზე“, - აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

მისსივე თქმით, რეფერენტული ფასი 800-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე ამოქმედდა. საერთო ჯამში კი, რეფორმა ქვეყანაში წამლის ღირებულებას 40%-ით გააიაფებს.

მინისტრმა, რეფერენტული ფასის დაწესებისა და ამოქმედების პროცედურებზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მედიკამენტების ნაწილზე, რომელზეც განსაზღვრული ფასი ფარმაცევტულმა სექტორმა გაასაჩივრა, ცვლილება 15 მარტიდან ამოქმედდება.

„1200-ზე მეტი მედიკამენტიდან, ნაწილი გასაჩივრდა. ზუსტად ამიტომ, დღეს, 800-ზე მეტი წამლის რეფერენტული ფასი შევიდა ძალაში. დარჩენილი, 400-ზე ცოტა მეტი წამლის ფასის გადახედვა მოხდა. საერთო ჯამში კი, 15 მარტიდან, 1200-ვე მედიკამენტზე ამოქმედდება რეფერენტული ფასი“, - ამბობს მინისტრი და ხაზგასმით დასძენს, რომ მედიკამენტების ფასის დათვლის აღნიშნული მეთოდოლოგია, ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აპრობირებული პრაქტიკაა.

„საბითუმო რეფერენტული ფასი და ასევე მარჟები, რომელიც აფთიაქებს განვუსაზღვრეთ, სხვა ქვეყნების, ანალოგიური მედიკამენტების ფასიდან არის გამოყვანილი. ეს, საერთო ჯამში, არის ის სამართლიანი მარჟა რაც ამ სეგმენტს და ამ ინდუსტრიას უნდა ჰქონდეს. სხვადასხვა ბევრ და გაცილებით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, თუ ეს ფასები მისაღებია - სადაც GDP (მთლიანი შიდა პროდუქტი) ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტია და ეკონომიკურადაც უფრო წინ არიან, მაშინ, მით უმეტეს, ჩვენ ქვეყანაში პრობლემა არ უნდა შეიქმნას. სექტორს ჩვენ ვუტოვებთ აუცილებელ და სამართლიან მარჟას, რაც როგორც საბითუმო, ისე საცალო კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო და აუცილებელია“, - განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ მოსახლეობისთვის წამლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფომ, ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტების ღირებულების ის მაქსიმალური ზღვარი დაადგინა, რომელზე მაღალ ფასადაც, მათი რეალიზაცია იკრძალება.

წყარო https://moh.gov.ge/ka/news/7315/#!

იხილეთ საქართველოს კანონი _ ,,საკანონმდებლო მაცნე“ **,,წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე „https://matsne.gov.ge/ka/document/view/5629060?publication=0** მუხლი 2. და მუხლი 37-ის პუნქტებში შეტანილი ცვლილებები.

ექსპერტი 1:„სიახლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში და თუკი დღეს სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს ეფექტიანი, უსაფრთხო და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქტის არსებობას საქართველოს ბაზარზე, შემოთავაზებული ცვლილებებით - სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს ხარისხიან, უსაფრთხო და ეფექტიან ფარმაცევტულ პროდუქტებზე **ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“.**

ექსპერტი 2: ზოგიერთ ქვეყანაში (მოლდოვა, აზერბაიჯანი), სადაც რეფერენტული ფასი ყველა მედიკამენტზე შემოიტანეს, პრობლემები შეიქმნა. კომპანიებს წამლების დაბალ ფასში გაყიდვა ხელს აღარ აძლევდათ.

თუ სახელმწიფო ქრონიკული დაავადებების მქონე პირების ნაწილს მედიკამენტს უყიდის (სუბსიდირებას გაუკეთებს), დანარჩენებს კი, რომლებიც პროგრამაში ვერ ხვდებიან, მედიკამენტზე რეფერენტულ ფასს შესთავაზებს, კომპანიას ისევ ექნება წამლის შემოტანის მოტივაცია.

ვიდეორესურსი **რას შეცვლის რეფერენტული ფასები ბაზარზე- ვიდეოსიუჟეტი**

https://bm.ge/ka/video/ras-shecvlis-referentuli-fasebi-bazarze/35596/

ამონარიდები ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან

მუხლი 1

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავი- სუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურ- ჩევლად რაიმე განსხვავებისა. სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წო- დებრივი თუ სხვა მდგომარეობისა. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, იურისდიქციასთან დაკავშირებული, თუ როგორია ეს ტერი- ტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 11.1.

ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად საქვეყნო სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

მუხლი 25.1.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურეობის ჩათვლით, რომელიც აუცილებე- ლია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილ- დღეობის

შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუ შევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუ ცობულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

მუხლი 29. 1.

ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

მუხლი 29.2.

თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყო- ველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზ ღუდ ვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლე- ბათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეო- ბის სამართლიანი მოთხოვნები დემოკ რატიულ საზოგადოებაში.

დანართი 3.

სოციალური საწარმო "ფენოვანის" დათვლილი და დაუთვლელი შედეგები

სოციალურ საწარმო "ფენოვანში" უკვე 12 ქალია დასაქმებული. დღეს მათ საქმე აერთიანებთ. მანამდე ერთმანეთს არ იცნობ- დნენ, მაგრამ საერთო ის ჰქონდათ, რომ ყველა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო. მათი ისტორიები განსხვავებულია, მაგრამ მაინც ჰგავს ერთმანეთს: დაოჯახება, დამსხვრეული იმედები, ძალადობა, დახმარების ძიების უშედეგო მცდელობები ისევ ძალადობა, უკვე აუტანელი... ბოლოს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოხვედრა, რეაბილიტაციის პროცესი და ესპა ნელი მზარეულისგან მცხობელის პროფესიის შესწავლა, მუშა ობის დაწყება, საკუთარი შემოსავალი, თავდაჯერებულობის გაღვივება, იმედების გაცოცხლება.

არასამთავრობო ორგანიზაციისათვის, რომელიც წლებია ძალადობის თემაზე მუშაობს, კარგად იყო ნაცნობი ეს სოციალური პრობლემა და მისი განმაპირობებელი მიზეზები. უმეტესად (მათ შემთხვევაში ასე იყო) ოჯახური ძალადობის მსხერპლი ხდებიან ქალები, რომლებმაც ადრეული ქორწინების გამო ვერც განათლება მიიღეს, არც პროფესია აქვთ, არც სამუშაო გამოცდილება, გარემო კი "მოითმინე", "ოჯახს ხომ არ დაანგრევ" – "რჩევებს" აძლევს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებმა კიდევ ერთხელ გააანალიზეს ყველაფერი, ითვლიდნენ, ანგარიშობდნენ, ინვეს- ტორებს არჩევდნენ, ეძებდნენ. ახალი არაფერი აღმოუჩენიათ: ამ ქალების უმრავლესობას ძალადობისგან თავის დაღწევაში მთავარი ბარიერი განათლების, პროფესიის უქონლობამ, ეკონომიურად ქმარზე დამოკიდებულებამ, წასასვლელის უქონლობამ, საზოგადოებრივმა სტერეოტიპებმა შეუქმნა.

უპირველესად, მათ უნდა დაებრუნებინათ რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ახლებურად ცხოვრება ესწავლათ. სოცი ალური საწარმოს ამოქმედებამდე მზარეული მოიწვიეს, გაიარეს სწავლება რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით, ნახევრად ფენოვანი ცომის მომზადება, გულსართების მომზადება, საკონდიტრო ნაწარმი... ამ დროს სოციალური საწარმოს მესვეურები საცხობის სრულად და წესების დაცვით აღჭურვაზე ზრუნავდნენ. ინვესტიციის რამდენიმე წყაროს მოძიება მოუხდათ, რომ საჭირო დანადგარები და ინვენტარი შეეძინათ, ნედლეულის წყარო ეპოვათ. სახელმწიფოც დაეხმარათ – ფართი გრძელვადიანი იჯარით გადასცა. ზოგიერთმა სავაჭრო ობიექტმა ფასები დაუკლო, ზოგმა ნულოვანი განვადება გაუფორმა, ნედლეულიც შეღავათიანად იპოვეს, ისევ სოციალურ მეწარმეებთან. ყრუ კედელსაც ბევრ ინვესტორთან წააწყდნენ, მაგრამ ამის არ შეშინებიათ, საქმე მაინც დაიწყეს.

დღეს უკვე შეკვეთა შეკვეთაზე მოდის, ისინი პროდუქციას ამზადებენ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის (ტრენინგები, შეხვედრები, კონფერენციები...), უკვე იქვე გახსნილ მაღაზიაში ჩვეულებრივ მომხმარებელზეც ყიდიან. პროდუქცია მოწონებას იმსახურებს, ფასებიც

შედარებით ხელმისაწვდომი აქვთ, პროდუქცია ვიზუალურადაც მიმზიდველად გამოიყურება: ხაჭაპური, ლობიანი, ქათმის, საქონლის ხორცის, სოკოს კარტოფილის ღვეზელები, ნამცხვრები. ხარისხიანი შესაფუთი მასალა, მოხერხებული ლანგრები და დაფები, კომფორტული მომსახურება ადგილზე მიტანითა და საფურშეტე მაგიდის გაწყობა-ალაგებით. მოკლედ, ყველაფერი კარგად გამოსდით. ყო- ველდღე უფრო ივითარებენ პროფესიულ უნარებს. საქმე გადა- ნაწილებული აქვთ და თუ საჭიროა, ერთმანეთსაც ენაცვლებიან.

– რას იტყვით თქვენს სამსახურზე, მოგწონთ? გაკმაყოფილებთ? – ვეკითხებით ეკას, "შეფმზარეულს", როგორც კოლეგები უწოდე ბენ.

– მომწონს? ეს ჩემთვის მხოლოდ სამსახური არ არის, ეს არის ჩემი გაცოცხლების, იმედის გაჩენის ადგილი, სადაც თავი სრულფასოვან ადამიანად ვიგრძენი. ერთი წლის წინ სრულიად წაშლილი, უბედური ადამიანი ვიყავი, შვილები რომ არა, სიცო- ცხლეც აღარ მინდოდა, რადგან არ ვიცოდი რა მექნა, ვეღარ ვუძლებდი აუტანელ ყოფას და წასასვლელიც არსად მქონდა, არც მიმუშავია არასდროს, არც სპეციალობა მქონდა, 16-ის გავთხოვდი. მერე – ბავშვები... დღეს ვიცი, რომ ჩემს შვილებს აქვთ თა- ვშესაფარი, ნაქირავები, მაგრამ იქ არავინ დააწიოკებთ, დადიან საბავშვო ბაღში, მე მაქვს სამსახური, ხელფასი. მყავს ადვოკატი და ველოდები სასამართლოს დასრულებას ბინის გამოყოფასთან და ალიმენტთან დაკავშირებით. მაქვს სამომავლო გეგმები... აქ ყველა იმედიანი გავხდით, თან ერთმანეთს ვეხმარებით, ვამხნევებთ.

შემდეგი კითხვა სოციალური საწარმოს ხელმძღვანელთან, ქალბატონ მერისთან გვაქვს:

– რას იტყვით თქვენს საწარმოზე, რამდენად გაამართლა?

– თქვენ რას გულისხმობთ გამართლებაში, არ ვიცი, ამიტომ ცოტა ვრცლად აგიხსნით. ჩვენი სოციალური საწარმოს მთავარი მისია ძალადობის მსხვერპლი ქალების სოციალიზაცია, მათი განათლება და დასაქმება გახლავთ. რა თქმა უნდა, გვიხარია, რომ კომერციულადაც კარგად მიდის საქმე, შეკვეთები გვაქვს, ესეც ერთგვარი მხარდაჭერაა საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მხრიდან, ცდილობენ ჩვენი მომსახურებით ისარგებლონ. მოგების დიდი ნაწილით სათბური გავაკეთეთ, იქაც და- ვასაქმეთ ჩვენი ბენეფიციარები. ჩვენი ჯგუფის მხრიდან ამ სოციალური საწარმოს დაარსება საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება კი გვქონდა, თუმცა მეწარმეობაში – არავითარი. მაგრამ გავბედეთ, მანამდე მრავალნაირი სწავლება გავიარეთ ამ ტიპის საქმიანობაზე, საქართველოშიც, ევროპაშიც. გავბედეთ, რადგან ნათლად ვხედავდით, რომ ამ ქალებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო პროფესია და სამსახური. ჩვენთვის მთავარი არ არის მოგება, ჩვენთვის მთავარია მცირედ მაინც შევამსუბუქოთ ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა და ისინი უმუშევრო- ბისთვის და სიღატაკისთვის არ გავწიროთ. ქალები ცხოვრებას ახალი თვალით შეხედავენ, თავიანთ ძალას ირწმუნებენ.

_მოგების გარეშე როგორ იარსებებთ, როგორ განაგრძობთ?

– სოციალურ მეწარმეობაში რომ მოდიხარ, გააზრებული უნდაგქონდეს, რომ ეს ჩვეულებრივი ბიზნესი არ არის და შენც (მე- წარმეს ვგულისხმობ) ბაზრის წესებს მთლიანად ვერ აჰყვები. იმისთვისაც უნდა იყო მზად, რომ შეიძლება მარცხი ნახო ბიზ- ნესის თვალსაზრისით,

მაგრამ უკვე უნდა გქონდეს მისაშველებელი გეგმა – სად, როგორ მოიძიებ რესურსებს ფეხზე წამოსა- დგომად. შენ სოციალურ პრობლემას ხარ შეჭიდებული და არა – პირადი მოგების მიღებას. სოციალური პრობლემის უკან კი ეს ადამიანები დგანან, თავიანთი მძიმე ისტორიებით, ძლივს გაცოცხლებული იმედებით. ამიტომ უნდა მოიკრიბო ძალა, ახალი სუ- ნთქვა გახსნა და თავიდან დაიწყო საქმის გამოსწორება. როცა მხოლოდ მეწარმე ხარ და მოგებას ელოდები, რაიმე პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, შენი გადასაწყვეტია, გააგრძელებ თუ ხელს ჩაიქნევ... აქ, ჩვენთან სხვაგვარადაა...

– როგორ შეაფასებთ თქვენს შედეგებს?

– სოციალური საწარმოს შედეგები ძნელად დასათვლელია, რადგან ის მხოლოდ თანხით ან რაოდენობით, ერთი სიტყვით, ცი- ფრებით არ იზომება. სოციალური პრობლემები იმდენად მრავალწახნაგოვანია, ძნელია მათი გაზომვა. აბა, ვინ დათვლის რა ღირს ყოველი მშვიდად გატარებული ღამე ბავშვისთვის, რომელიც მანამდე ყოველ ღამე დედ-მამის ჩხუბს საწოლში მოკუ- ნტული, ან გარეთ გამოგდებული და აკანკალებული ისმენდა?! ან რა ღირს ამ ქალების ფიქრში გაცოცხლებული იმედები, ღი- მილი, რომელიც მომხმარებლის მადლიერებას მოაქვს?!

ამის დათვლა შეუძლებელია და სწორედ ეს არის სოციალური მეწარმეობის თავისებურებაც და სტიმულის მომცემიც – დაძ- ლეული, შემცირებული სოციალური პრობლემები. ბიზნესის შედეგები თვლადია, მოგება იზომება, მაგრამ ხანდახან ეს ასტ- რონომიული ციფრები აზრს კარგავს, თუ დაფიქრდები და გაგახსენდება, რომ სადღაც პატარას მშვიდი ძილი და ერთი ლუკმა პური ენატრება... ვფიქრობ, რომ მომავალი, სწორედ სოციალური მეწარმეობისაა.

დანართი 4.

ცვლილებები ბიზნესის მდგრადობის გააზრებაში

ავეჯის კომპანია IKEA (შვედური ავეჯის, სამზა რეულოსა და სახლის სხვადასხვა აქსესუარის მულტი ნაციონალური კომპანია და ლიდერი ავეჯით ვაჭრობის ბაზარზე 2008 წლიდან), რომელიც ცნობილია მიდგომით: „ნულოვანი ნარჩენები ნაგავსაყრელზე," თვლის, რომ ფინანსური ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია **ცირკულარული ეკონომიკის** მოდელის დანერგვითა და გამო ყენებით. აღნიშნული მოდელი ზრდის კომპანიის კომერციულ შესაძ ლებლობას და რაც მთავარია, მდგრადს ხდის მას. IKEA ავეჯის დასამზადებლად საჭირო ხის თითქმის 50%-ს მდგრადი ტყეებიდან მოიპოვებს, ამასთანავე, მათ მიერ მოხმარებული ბამბის 100% წარმოებულია ისეთ ფერმებში, რომლებიც მოიხმარენ ნაკლებ წყალს, ენერგიას და ქიმიურ პესტიციდებს. შვედური კომპანია 700 000-ზე მეტ მზის პანელს ფლობს, რომლებიც მათ მაღაზიებს ენერგიით ამარაგებს.

2012 წელს IKEA-მ აამოქმედა სტრატეგია სახელწოდებით, „პოზიტიური ხალხი და პლანეტა", რომლის მიზანიც არის ერთობლივი ძალებით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

კომპანია აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი ბიზნესის გრძელვადიანი მიზნების განხორციელება წარმოუდგენელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პლანეტის მდგომარეობა ამის საშუალებას არ მოგვცემს. IKEA მომხმარებლებს მოუწოდებს იცხოვრონ მდგრადად და თავადაც ხელს უწყობს მათ ამ პროცესში. 2012 წელს გაზიარებული სტრატე გიის ერთ-ერთი მიზანს სწორედ საზოგადოების უკეთესი ცხოვრების შექმნა წარმოადგენს. თუმცა, ცხადია, რომ ეს მცირე ნაბიჯები ისეთი გიგანტური კორპორაციისთვის, როგორიც IKEA არის, არასაკმარისია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებას, განხორციელებული ღონის ძიებები არ არის საკმარისი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შესამცირებლად.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მომავალი ეკუთვნის ბიზნესს, რომელიც მოგების მაქსიმალურ ზღვარს ეკოლოგიური და სოციალური პრინციპების დაცვით დაგეგმავს.**

ბიზნეს მდგრადობის კონცეფცია დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა და განიცდის. ჯერ კიდევ მდგრადი განვითარების საკითხის გააქტიურებამდე სფეროს მკვლევარი და მეცნიერი პიტერ დრუკერი ქველმოქმედებასა და კორპორაციულ პასუხისმგებლობას მე-19 საუკუნის ორი ამერიკელი წარმატებული მეწარმის ენდრიუ კარნეგისა და ჯულიუს როსენვარდის მაგალითზე განიხილავდა:

ენდრიუ კარნეგიმ სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი ქონების დიდი ნაწილი ქველმოქმედებაში ჩადო. მის სახელს უკავშირდება ამერიკაში 3000-მდე საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის, ასევე, 7000-მდე ეკლესიის დაარსება, ნიუ-იორკში კარნეგი-ჰოლისა და პიტსბურგში კარნეგის მელონის უნივერსიტეტის მშენებლობა.

,,უნდა იღ ვაწო კეთილდღეობისთვის, რაც შემდეგ მოგცემს საშუალებას, სა სარგებლო საქმეც აკეთო.” ანუ კარგი საქმე რომ გააკეთო, ჯერ ამის საშუალება უნდა გქონდეს.
_ ასე განსაზღვრეს კარნეგის კონცეფცია;

ჯულიუს როსენვარდმა შეძლო Sears Roebuck-ი ექცია ყველაზე დიდ მაღაზიათა ქსე-

ლად, როგორც აშშ-ში ასევე, მსოფლიოში. მისი მიზანი იყო ამერიკელი ფერმერების უნარ-ჩვევების განვითარება და პროდუქტიულობის გაზრდა, რაც შემდგომ გახდა არაპირდაპირი გზით Sears-ის ეკონომიკური წარმატების საფუძველი.

,,უნდა აკეთო სასარგებლო საქმე, რაც შემდეგ მოგიტანს კეთილ დღეობასაც.”_ ასე გამოიყურება როსენვარდის მიდგომა;

დრუკერის აზრით, მწვავე სოციალური გამოწვევების ეფექტიანად გასამკლავებლად საჭიროა როსენვალდისეული მიდგომა. მხოლოდ მთავრობასა და საზოგადოებას არ შესწევს ძალა ამის დასაძლევად, აქ მნიშვნელოვანია ბიზნესის რესურსი, ცოდნა და გამოცდილება. საჭიროა ისეთი ჩარჩო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპანიის მდგრადი განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა და ეკონომიკური წარმატების კომბინაციას. ამით შესაძლებელი ხდება საუბარი **მდგრადი მენეჯმენტის** განვითარებაზე.

მდგრადი მენეჯმენტის გაგება **საწყის ფაზაზე** ბიზნესისთვის ნიშნავდა მოგების მაქსიმალურ ზრდას და ამავდროულად, ეკონომიკური, ეკოლოგიური და საზოგადოებრივი შესაძლებლობებისა და რისკების მართვას.

მდგრადი მენეჯმენტის გაგების **მეორე ფაზაზე** ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნები თანაბრად მნიშვნელოვანი ხდება.

აღნიშნული მიდგომა **ჯონ ელკინტონმა** შემოგვთავაზა. ამ მიზნის მისაღწევად ბიზნესმა განახორციელა მდგრადი განვითარების სხვადასხვა სტრატეგია და გეგმა. ამავე დროს, შეინიშნება ამ მოდელის ბიზნეს პროცესებში ინტეგრირების მზარდი ტენდენცია. რაც ნიშნავს, რომ კომპანიაში კონკრეტული პოზიცია ან სამსახური კი არ მუშაობს მდგრად განვითარებაზე, არამედ, ყველა სამსახური თუ დეპარტამენტი მდგრადი განვითარების ინტეგრირებას ახორციელებს საკუთარ მიზნებში. და მაინც, აქაც მიზანი კომპანიის ეკოლოგიური და სოციალური „უარყოფითი ნაკვალევის" შემცირებაა.

დღეს სულ უფრო მეტ კომპანიას აქვს პრეტენზია, რომ მათთვის მდგრადი მენეჯმენტი გახდა მნიშვნელოვანი საკითხი, თუმცა, რეალურად გლობალურ დონეზე, სხვაობა გასაკეთებელსა და გაკე თებულს შორის მუდმივად მზარდია.

კლიმატის ცვლილება ადასტურებს, რომ მდგრადი განვითარების მოქმედ ფორმებს პრობლემები აქვს. ის მკაფიოდ გვიჩვენებს ჩვენი რესურსმომხმარებლური ეკონომიკური მოდელის შეზღუდულობასაც. რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ეს მოდელი ისევ სწორხაზოვან აზროვნებას: „აიღე, გააკეთე, გადაყარეს" ეფუძნება. ცირკულარული ეკონომიკის მოდელის დასაწ ყისი მხოლოდ რამდენიმე საკითხში შეინიშნება. ამავე დროს, დიდი პოტენციალის მქონე განახლებად ენერგიებზე გადასვლა ნელა იდგამს ფეხს.

ყოველწლიურად ყველა ადამიანის მოთხოვნათა მდგრად დონეზე დაკმაყოფილებისთვის თითქმის 2 პლანეტა, ხოლო შვეიცარიის მოსახლეობის დონის მისაღწევად 3 პლანეტა გვჭირდება.

რეალურად კი, საჭიროა ახალი მოდელი, ახალი პერსპექტივა, არა მხოლოდ მაკროეკონომიკურ დონეზე, არამედ ბიზნეს დონეზეც. რადგან, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჩვენ გვინდა რეალური ბიზნეს მდგრადობა.

* წყარო: https://bit.ly/3HVky7F

დანართი 5.

უინსტონ ჩერჩილი. II ნაწილი, გვ. 7-10

უინსტონ ჩერჩილი - სტრატეგი, პოლიტიკოსი, ორატორი, მხატვარი, მწერალი (ნობელის პრემიის ლაურეატი), სპორტსმენი - ეს ყველა ,,ტიტული" ერთ ადამიანს ეკუთვნის. მაგრამ მისი ყველაზე დიდი ტიტული მაინც ხალხის მსახურია. სერ უინსტონმა ეს „ტიტული" განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს გამოავლინა. ის პირველი მსოფლიო ომის მოახლოებას გრძნობდა და ამიტომაც, სასწრაფოდ მოახდინა ფლოტის მოდერნიზაცია (ნახშირის საწვავიდან ნავთობზე გადაიყვანა), შედეგად კი ნავთობის მოპოვებაც ერთიორად გაზარდა; შექმნა საზღვაო-საჰაერო ძალები, თვითმფრინავებს თავადვე ცდიდა და ავიაკატასროფასაც გადაურჩა – 30 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, მიწას დაენარცხა და მაინც გადარჩა; მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ბრიტანული ტანკი.

როდესაც ლუფტვაფე (გერმანიის საჰაერო ძალები) ბრიტანეთს უმოწყალოდ ბომბავდა ჩერჩილი მაშინაც ხალხის გვერდით იყო და ცდილობდა მაქსიმალურად გამოეჩინა სილიდარობა, დარჩენილიყო მოქალაქეებთან და მისი ყოფნით დაემშვიდებინა ისინი.

ჩერჩილი გამოდიოდა ნაცისტური გერმანიიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების მოწოდებით და მკაცრად აკრიტიკებდა აგრესორის პოლიტიკას. თუმცა მისი ანტიფაშისტური მოწოდებები უპასუხოდ რჩებოდა.

არისტოკრატიულ ჩერჩილ-სპენსერებისა და კეთილშობილ მარლბოროს ჰერცოგის ოჯახში დაბადებულ, დედით ამერიკელ, უინსტონ ჩერჩილს უდარდელი ბავშვობა ჰქონდა. არ გამოირჩეოდა სკოლაში კარგი მოსწრებით და მოგვიანებითაც, მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო სამეფო სამხედრო აკადემიის კურსანტი გამხდარიყო. მაგრამ დაამთავრა თუ არა, თავბრუდამხვევი სამხედრო კარიერა დაეწყო; მომდევნო 5 წელიწადში სამ კონტინენტზე იბრძოლა, ოთხი მედალი და ერთი ჯილდი მიიღო, დაწერა ხუთი წიგნი და გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში. ეს ყველაფერი სულ რაღაც 26-ე დაბადების დღემდე მოასწრო.

სამხრეთ აფრიკის ომის ტყვეთა ბანაკიდან გამოქცევის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა პოლიტიკაში მოღვაწეობა გადაწყვიტა და 1915-1929 წლებში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მინისტრის პორტფელი დაიკავა. 1929 წლიდან, როცა თავის კონსერვატიულ პარტიას გაემიჯნა, მან, როგორც მწერალმა და პუბლიცისტმა, დიდი აღიარება მოიპოვა. ამ პერიოდში ის ჰიტლერის მზარდ საშიშროებასა და მოსალოდნელ შეიარაღებულ კონფლიქტზე ყურადღებას ხშირად ამახვილებდა, რაც გამართლდა კიდეც და სამყარო II მსოფლიო ომის ქარცეცხლში გაეხვია.

1940 წელს ჩერჩილი პრემიერმინისტრი გახდა და ბრიტანეთს ომის რთულ წლებში წარუძღვა. მან თავიდანვე უარი თქვა მარცხი ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განეხილა და ნაცისტებთან რაიმე ტიპის გარიგება ძირშივე გამორიცხა. ამ უკომპრომისო განწყობამ ბრიტანულ წინააღმდეგობას საბრძოლო სულისკვეთება გაუჩინა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ დროს, როცა მისი ქვეყანა ჰიტლერის ოპოზიციაში სულ მარტო იყო.

1940 წლის 10 მაისს ჩერჩილი მთავრობას სათავეში ჩაუდგა. 13 მაისს კი სიტყვით მიმართა საზოგადოებას: ქვეყანა იმყოფება ისტორიაში უდიდესი ბრძოლის საწყის სტადიაში და მე არ შემიძლია ხალხს რამე შევპირდე გარდა სისხლისა, შრომისა, ცრემლისა და ოფლისა“.

ამ დამსახურების მიუხედავად ომის შემდეგ მან არჩევნები წააგო. თუმცაღა, მომავლის მოვლენების განვითარების სწორად განჭვრეტის უნარი არ დაუკარგავს და მის ცნობილ გამოსვლაში ფულტონში საბჭოთა კომუნისტებისგან მომავალ საფრთხეზე ვრცლად ისაუბრა. იქ პირველად გამოიყენა გამონათქვამი – “რკინის ფარდა.” 1946 წელს კი ციურიხში წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, რომელშიც ევროპის შეერთებული შტატების შექმნისაკენ გააკეთა მოწოდება

ჩერჩილი ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების მექანიზმად ევროინტეგრაციას ხედავდა, ხოლო ამ გზაზე პირველ ნაბიჯად ევროპის საბჭოს შექმნას უწევდა ადვოკატირებას. ამიტომაც, როცა 1948 წელს ევროპის დიდ კონგრესზე მთელი ევროპიდან 800 დელეგატი შეიკრიბა, ჩერჩილი, სრულიად დამსახურებულად, საპატიო პრეზიდენტის რანგში იყო მიწვეული. პროცესი 1949 წლის 5 მაისს ევროპის საბჭოს შექმნით დაგვირგვინდა, რომლის პირველ შეხვედრასაც თავად ჩერჩილი დაესწრო. იქ მან მოუწოდა შემდგომი ინტეგრაციისკენ მომდევნო ნაბიჯები გადაედგათ, რაც 1955 წელს შეთანხმდა კიდეც მესინას კონფერენციაზე და კიდევ ორ წელიწადში, 1957 წელს რომის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა.

ამოუწურავი იყო ჩერჩილის ხედვის დიაპაზონი. ევროპის გაერთიანებული არმიისა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის იდეებიც მისგან წამოვიდა. სასამართლო 1959 წელს დაფუძნდა, ზუსტად ათი წლის თავზე იმ მომენტიდან, როცა ეს აზრი პირველმა გააჟღერა.

ფაშიზმის წინააღმდეგ ევროპის ხალხების ბრძოლის ინსპირატორი პოლიტიკოსი სამართლიანადაა მიჩნეული ევროპის გაერთიანების უკან მდგომ მამოძრავებელ ძალად. ჩერჩილი, მისი შეუპოვრობის, უნიკალური მიდგომებისა და განუზომელი დამსახურებების გამო, ევროინტეგრაციის დასაცავად მომართული აქტიური ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

უინსტონ ჩერჩილის საშობაო მიმართვა (1941 წ.) უცნაური შობაა. თითქმის მთელი მსოფლიო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩართული და სახელმწიფოები ერთმანეთს ანადგურებენ ყველაზე საშინელი იარაღებით, რაც კი მეცნიერებას ძალუძს რომ მოგვცეს. ამ შობას მწუხარება

დაისადგურებდა, თუ არ გვექნებოდა ურყევი რწმენა იმისა, რომ არც სხვა ხალხის სიმდიდრისა და მიწების მიტაცების სიხარბე, არც ვულგარული ამბიციები და არც უწმინდური ლტოლვა სხვების ხარჯზე მოგების მიღების არ ყოფილა ჩვენი ბრძოლის ველზე გამოსვლის მიზეზი. აქ, ომის შუაგულში, ომისა რომელიც მძვინვარებს და ჭექს ხმელეთსა და ზღვაზე და დაუნდობლად მოიწევს ჩვენი სახლებისა და გულებისკენ, აქ ამ მორევის შუაგულში დღეს ღამით მშვიდობა ისადგურებს ყველა ოჯახში და ჩვენი დიდსულოვანი ხალხის გულებში. ამიტომაც, ამ ღამით შეგვიძლია გვერდზე გადავდოთ ყველა ის წუხილი და შფოთვა, რომელიც არ გვასვენებს და ქარიშხლით მოცულ სამყაროში ბედნიერების საღამო ვაჩუქოთ ჩვენ შვილებს. დაე, უფროსებმა სრულად გავიზიაროთ მათი უმანკო სიამოვნება, სანამ ისევ წინ აღვუდგებით პირქუშ სამყაროს და ეკლიან წლებს, რომლებიც წინ გველის, იმ მტკიცე იმედით აღსავსენი, რომ ჩვენი ზრუნვითა და გაღებული მსხვერპლით, ამ ბავშვებს ვერავინ წაართმევს საკუთარ მემკვიდრეობას და უფლებას იცხოვრონ თავისუფალსა და ღირსეულ სამყაროში!

ომის დროს ჩერჩილი თავის ყველა გამოსვლაში იყენებდა ჟესტს საჩვენებელი და შუა თითებით და გამოსახავადა ლათინური ასო V-ს (Victory-გამარჯვება). მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟესტი ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან იყო ცნობილი, სწორედ ჩერჩილის წყალობით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, როგორც გამარჯვების სიმბოლო. ეს თავდაპირველად "V" ჟესტი აბსოლუტურად არ ნიშნავდა გამარჯვებას. ამგვარ მნიშვნელობად თითების ასეთი განლაგება ჩამოყალიბდა ინგლისელ მშვილდოსნებში. ომის შემდეგ როცა, ისინი სახლში ბრუნდებოდნენ. ამ ჟესტით აჩვენებდნენ, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ და მათი თითები მთელი, რომლებიც მათ\საქმეში მთავარი ინსტრუმენტი იყო.

დანართი 6

„ საარქივო მოამბე“ N 2. 2008 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო* II ნაწილი, გვ.70-75

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოკვე თილი დისიდენტი მწერალი იყო, რომელმაც ვერ მიიღო ახალი, საბჭოთა წყობა როგორც პიროვნულად, ისე შემოქმედებითად. ამისი მცდელობა კი ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო იგოეთის კომუნაზე ნარკვევის დაწერაც კი. რაც დაწერა, დახია და თქვა: “რა ვქნა, შეკვეთით წერა არ შემიძლიაო”.

მიხეილ ჯავახიშვილისთვის ციხე, პატიმრობა უცხო არ იყო. ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს იყო გამომწყვდეული მეტეხის ციხეში. ეს პატივი არც საბჭოთა მთავრობამ დააკლო…

20-იანი წლების მწერლის მძიმე სულიერ განწყობას კარგად გამოხატავს მის მიერ დავით სულიაშვილისადმი მიწერილი წერილი: “ძმაო დავით, მე აქ ცხოვრება არ შემიძლიან. ჩემი გასვლა საქართველოდან ჩემი მეორედ დაბადება იქნება. ამ საქმეში დამეხმარე, სამაგიერო მომთხოვე და მიმსახურე… გარწმუნებ, ძმაო დავით, გარეთ უფრო მეტს და თავისუფლად დავწერ, ე. ი. მცირედ სარგებლობას მოვუტან ჩემს სამშობლოს. აქაური ამბები? არავითარ გაზეთს აღარ ვკითხულობ, ყველგან სუფევს ჩვეულებრივი სიმდაბლე, ჭორიკანობა და გულგატეხილობა. დავიშრიტეთ, დავიქანცენით და მოვიღუნეთ. ეს არის და ეს”.

განგებას თუ ბედისწერას კი უკვე გადაწყვეტილი აქვს მიხეილ ჯავახიშვილის ბედი. ის ლაბა ხარივით მუხლჩაუხრელი შრომობს, შრომობს და თან უჩინარ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოგვიანებით მწერალი იტყვის: “ჩემი საიდუმლო მუშაობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში 1921-1923 წლებში ჰგავდა ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადა- ვარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა, ალღო მოძმის მიშველიების და ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას”.

ვერ უშველა **კონსპირაციამ** მიხეილ ჯავახიშვილს. „ჩეკა” (პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური) ფხიზლად ადევნებდა თვალს და მის ყოველ ნაბიჯს პუნქტუალურად აღნუსხავდა. 1923 წელს დააპატიმრეს და ჰაიჰარად დახვრეტაც მიუსაჯეს. ბოლშევიკების ტყვიას

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის წყალობით გადაურჩა. პავლე ინგოროყვა და სხვანი სერგო ორჯონიკიძეს ეახლნენ თხოვნით, მიხეილ ჯავახიშვილი ნიჭიერი მწერალია და ნუ დახვრეტთო! ეტყობა, იმ დღეს სერგო კარგ განწყობაზე იყო და მწერალი შეიწყალა, თორემ ეს ის სერგოა, ვაჟა-ფშაველას შვილზე რომ სთხოვეს, ნუ დახვრეტთ, აპატიე, ვაჟას შვილიაო! ვაჟას შვილს კი არა, თვითონ ვაჟა-ფშაველა რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტთო, იყო პასუხი.

ამასობაში დადგა საბედისწერო 30-იანი წლებიმიხეილ ჯავახიშვილს უკვე გამოცემული აქვს "ჯაყოს ხიზნები", "არსენა მარაბდელი" და მწერლობის სხვა შედევრები. სტალინის ინიციატი ვით მწერალი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ჯილდო მწერალს სიცოცხლის გადარჩენის გარანტი ეგონა, მაგრამ ბერია (1899-1953 წწ. – ქართველი და საბჭოთა პოლიტიკურიმოღვაწე), პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ასე არ ფიქრობდა.

ამ პერიოდში ლავრენტი ბერიამ მეტეხის ეკლესიის დანგრევა ბრძანა, რამაც ქართული საზოგადოება შეაშფოთა. ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი, რომელშიც მიხეილ

ჯავახიშვილიც შედიოდა, ბერიასთან თხოვნით მივიდა. "დაგვინახა თუ არა, შავმა ალმურმა გადაჰკრა სახეზე. მან მკვა ხედ გვითხრა: ასე, დელეგაციის სახით, ერთად არ უნდა მოსულიყავით ჩემთან, ცალ-ცალკე რატომ არ მოხვედითო?" – იგონებს მწერლის ქალიშვილი ქეთევან ჯავახიშვილი მამის ნათქვამსიტყვებს.

მწერლებმა ბერიას დაუმტკიცეს, რომ მეტეხის ეკლესიის დანგრევა არ შეიძლებოდა, რადგან იგი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუში იყო. მიხეილ ჯავახიშვილს ბოლოს ისიც უთქვამს: "ასეთ ძეგლს ევროპაში ოქროს ჩარდახში ჩასვამდნენო!"…

ბერიამ განკარგულება კი შეცვალა, მაგრამ დაიბოღმა, უვიცობაში რომ ამხილეს, წყენა არ დაივიწყა და მოგვიანებით დელეგა ციის თითქმის ყველა წევრი დახვრიტა.

მიღების შემდეგ შინ დაბრუნებულ მიხეილ ჯავახიშვილს თურმე სახეზე ფერი აღარ ჰქონია. მართალია, ქართველ ერს მეტეხის ეკლესია შეუნარჩუნა, მაგრამ სიცოცხლე სასწორზე შეაგდო. ბერიას ცუდად შეახსენა თავი, რომელსაც დავიწყებული ისედაც არ ჰყავდა. ამჯერად არ ახლეს ხელი, მაგრამ ბერიას მსტოვრებიმის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ. მწერალი ხედავდა მის ირგვლივ საბედისწერო რკალი როგორ ვიწროვდებოდა და იკვრებოდა: მის თანამებრძოლებსა და მეგობრებს თანდათან როგორ აპატიმრებდნენ. აღარ იცოდა, რა ექნა, რა გზას დასდგომოდა. ჯანმრთელობა უკვე ღალატობდა, მუხლები ტკიოდა, სიარული უჭირდა, დრო კი ტყვიასავიტ დამძიმდა.

იდრე მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმებს გავეცნობით, ორიოდე სიტყვით შევეხები 1937 წელს პოლიტპატიმრების "გამოტეხვის" ხერხებს. „ჩეკას" ციხე დანტეს გენიალურად აღწერილ ჯოჯოხეთს ჰგავდა, მაგრამ მასზე ბევრად უარესი იყო იმიტომ, რომ დანტეს აღწერილ

ჯოჯოხეთში ადამიანები ცოდვების გამო იტანჯებოდნენ, „ჩეკაში” კი უდანაშაულო ადამიანებს წამებით ხდიდნენ სულს და ჩაუდენელ დანაშაულზე ხელს აწერინებდნენ. „ამ ჯოჯოხეთიდან გამოსული გმირი ვერ ვნახეო”, – წერდა ალ. იაკოვლევი, რომელიც ყოფილი საბჭოთა იმპერიის რეპრესირებულთა რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარე იყო და მის ხელში ათასობით უსამართლოდ დასჯილთა საქმეს გაევლო.

30-იან წლებში „ჩეკას” ციხის ჯალათი იყო ასტრახანელი ზახარ ივანეს ძე შაშურკინი. ის ან ხელმძღვანელობდა დახვრეტის ოპერაციებს, ან თვითონვე ხვრეტდა პატიმრებს. ამავე დროს იყო ბერძენი ეროვნების კაცი ფეოხორა, რომელიც პატიმრებს სპე- ციალური მათრახებით სცემდა და სხვადასხვა ხერხით აწამებდა. მოგვიანებით, 40-იან წლებში, პატიმრებს აწამებდნენ მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კრივში ნავახარდოვი.

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დაპატიმრებამდე ჯერ სხვა პატიმრებს დაასახელებინეს. ერთ-ერთი “მოწმე” იყო ყოფილი სოციალ ფედერალისტი ლევან ქოქრაშვილი, რომელმაც დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ დაასახელა ფაშისტური ცენტრის შემადგენლობა: “მიხეილ ჯავახიშვილი (ცენტრის ხელმძღვანელი), გიორგი (ზოზო) ნანეიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი (რეჟისორი), ცინცაძე (პროფესორი), ალიოშა წერეთელი (პროფესორი)”.

1937 წლის 19 აგვისტოს ნაწამები მიხეილ ჯავახიშვილი დაუპირისპირეს ქოქრაშვილს. გამომძიებელმა ბრალი დასდო, თითქოს მიხეილი ეწეოდა აქტიურ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მოითხოვა დანაშაულის აღიარება. მიხეილ ჯავახიშვილმა ამ ბრალდებაზე უპასუხა: “კონტრორგანიზაციაში არ ვყოფილვარ. მაგრამ ზოგიერთ პირთან საუბრის დროს ჩემ მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრება კონტრრევოლუციური ხასიათის იყოო!”
ეს პასუხი სიმართლე იყო, რადგან მიხეილ ჯავახიშვილს, მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, მაინც წამოსცდებოდა ანტისაბჭოთა აზრები, მაგრამ “ჩეკას” თანამშრომლებს მწერლის ანტისაბჭოთა აზრები არ აინტერესებდათ. ეს ისედაც კარგად იცოდნენ. მათი მიზანი იყო, მიხეილ ჯავახიშვილი ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის, ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჯაშუშურ საქმიანობაში ,,ემხილებინათ”…

წამებით დაუძლურებულმა ქოქრაშვილმა დაპირისპირებისას მიხეილი “ამხილა” როგორც ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ფაშისტური ორგანიზაციის კიდევ სხვა წევრები ,,დაასახელა” “საქლიტფონდის” დირექტორის მოადგილემ დავით წერეთელმა. რა თქმა უნდა, ეს “დასახელებაც” მოხდა მასზე სადისტური ზემოქმედების შედეგად. ეს “ფაშისტები” იყვნენ: “მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, კოკი აბაშიძე, ნიკოლო მიწიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტა- ბიძე, პაოლო იაშვილი, გოგლა ლეონიძე, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, მიხეილ პატარიძე, ლევან ასათიანი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა დემეტრაძე, აკაკი გაწერელია, თედო სახოკია, აპოლონ წულაძე, ალექსანდრე ქუთათელი, არჩილ მიქაძე, იაკინთე ლისაშვილი და თვითონ, დავით წერეთელი”.

სინამდვილეში არავითარი მწერალთა ფაშისტური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია არ არსებობდა. “ჩეკისტებმა” ქვიშხე თის დასასვენებელ სახლში სუფრასთან მწერალთა საუბრები ფაშისტური ორგანიზაციის სხდომებად მონათლეს და ეს ათქმევინეს დავით წერეთელსაც. ერთი სიტყვით, მწერალთა ფაშისტური ორგანიზაცია ბუნებაში არ არსებულა. ის იყო მხოლოდ ჩეკისტების დუხჭირ გონებაში. აღარას ვამბობ მიხეილ ჯავახიშვილის ტერორისტობაზე, რაც ახლა მწარე ღიმილის მომგვრელია. კითხულობ ამ ტომებს და ვის საქმეში არ შეხვდებით მიხეილ ჯავახიშვილის სახელს, ანდა ვიღა არ დაასახელებინეს მიხეილ ჯავახიშვილს… მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთს აღვნიშნავ, სანდრო ახმეტელი ფიზიკურად ისე დაამუშავეს “ჩეკას” ჯალათებმა, რომ ისიც კი ათქმევინეს, თითქოს მიხეილ ჯავახიშვილს “ნაციონალ-ფაშისტური რომანი ,,არსენა მარაბდელი” კონტრრევოლუციონერმა ყურულოვმა შეკვეთით დააწერინაო” და სხვა ამგვარი ათასი სისულელე.

მოკლედ, ქვიშხეთის სუფრული საუბრები “ჩეკამ” კონტრრევოლუციურ შეიარაღებულ, ტერორისტულ, ფაშისტურ და სხვა ზარისდამცემ ორგანიზაციების სხდომებად აქცია.
მიხეილ ჯავახიშვილის წამება “ჩეკაში” მეთოდურად გრძელდებოდა. აქ არ ჩამოვთვლი, თუ რა არაადამიანური ხერხებით აწამებდნენ დიდ მწერალს. აწამებდნენ მანამ, სანამ ,,განცხადება აღიარებანი” არ დააწერინეს. ამ, ახლა უკვე საარქივოდ ქცეულ მასალაში მწერალი იძულებულია “აღიაროს” ,,დანაშაული” და თავი სამი კაპიტალისტური ქვეყნის აგენტად გამოაცხადოს, თანაც ვითომ 5000 მანეთამდე მიიღო ჯაშუშობის გასამრჯელოდ. თუ როგორ მოხდა ამგვარი “დანაშაულის აღიარება”, ამას მოწმობს მწერლის მეორე გამომძიებლის, მიხეილ ნაცვლიშვილის 1954 წელს მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის დროინდელი ჩვენება. მოგვაქვს მცირე ამონარიდი: “1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართველი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მას ბრალად ედებოდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მუშაობა. პირველი დაკითხვა ჯავახიშვილს მოუწყო ბერიამ, ქობულოვისა და განყოფილების უფროსის, ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილეობით. ჯავახიშვილმა საკუთარი ხელით დაწერა ჩვენება თავისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. აბაშიძემ ჯავახიშვილის დაწერილი ჩვენებები გადმომცა მე, რათა დაკითხვის ოქმად გამეფორმებინა. მე გავეცანი ჯავახიშვილის დაწერილ ჩვენებებს და ეჭვი გამიჩნდა ჩვენებების უტყუარობის შესა- ხებ, ვინაიდან მის ჩვენებაში მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდნენ. მაშინ მივმართე აბაშიძეს, რომელიც ჯავახიშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა და ვკითხე, რაში იყო საქმე. აბაშიძემ მიპასუხა რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით, რომელთაგან ახლა მარტო განყოფილების უფროსი აივაზოვი მახსოვს: “მე რო ასე ვეცემე, ვაღიარებდი, რომ სიამის შპიონი ვარო,” და დაამატა: ,,დაწერეთ როგორც არის!”

მიხეილ ჯავახიშვილის საქმის “ძიება” დამთავრდა 1937 წლის 19 სექტემბერს. განსახილველად გადაეგზავნა, ე. წ., “ტროიკას”. მოგვაქვს საბრალდებო დასკვნიდან მცირე ამონარიდი: “ბრალდებული მიხ. ჯავახიშვილი გამოძიების მასალებით მთლიანად მხილებულია, რომ ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და ჯაშუშობდა უცხოეთის სახელ- მწიფოების სასარგებლოდ, ეწეოდა მავნებლობას, აწყობდა დივერსიულ აქტებს და ამზადებდა ტერორისტულ თავდასხმებს, ანუ მხილებულია საქართველოს სისხლის სამართლის 58-8 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში. მას აგრეთვე წაყენებული აქვს ბრალდება 58-10 და 58-11 მუხლებით”.

სისხლის სამართლის თითოეული ეს მუხლი სასჯელის უმაღლეს ზომას, დახვრეტას ითვალისწინებდა.

მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს 1937 წლის 30 სექტემბერს. ზუსტად ამ დღეს მწერალთა კავშირში კრება მოეწყო. ქართველმა მწერლებმა კონტრრევოლუციონერი მიხეილ ჯავახიშვილი დაგმეს და მისი ფიზიკური განადგურება მოითხოვეს. მოითხოვეს იმიტომ, რომ სურდა ლავრენტი ბერიას!…

P.S. მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ სისხლის სამართლის საქმის #9997 (საარქ. #34) მასალები, 30-იან წლებში რესპესირებულ სხვა საზოგადო მოღვაწეთა საქმეებთან ერთად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოფილი უშიშროების სამინისტროს არქივიდან გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. მანქანაზე გადაბეჭდილი მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტია შემონახული მწერლის შთამომავალთა არქივებში. სწორედ ამ დოკუმენტურ მასალაზე აიგო ზემოაღნიშნული სტატია.

დანართი 7

2022 წელს ბრიტანულ გაზეთ "გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატია. II ნაწილი, გვ. 87-93

„მიკროსამომხმარებლო სისულელეებზე" ფიქრის ნაცვლად, როგორიცაა მაგალითად, პლასტმასის ყავის ჭიქებზე უარის თქმა, უნდა დავუპირისპირდეთ მომხვეჭელობასა და სიხარბეს და ჩვენი ცხოვრების წესი უნდა გავამარტივოთ, და არა — პირიქით. როდესაც ისეთი მოსალოდნელი ან ქრონიკული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, როგორიცაა კლიმატის ცვლილება ან ეკოლოგიური კატასტროფა, ჩვენში თვითგადარჩენის ინსტინქტი არ იღვიძებს. ვარწმუნებთ თავს, რომ სერიოზული არაფერია ან სულაც, საერთოდ არაფერი ხდება. ჩვენ ვაორმაგებთ საფრთხეს, როდესაც ჩვეულებრივ ავტომობილებს სწრაფმავალ „ჯიპებზე" ვცვლით და ამ გიჟურ სამომხმარებლო რბოლაში თავს იმით ვინუგეშებთ, რომ „ვითარების სერიოზულობის შემთხვევაში, ვიღაც აუცილებლად აგვაჩერებდა".

რა ვიცით? ვიცით, რომ ჩვენი სიცოცხლე სრულადაა დამოკიდებული ბუნების ისეთ რთულ სისტემებზე, როგორებიცაა ატმოსფერო, ოკეანის დინებები, ნიადაგი, პლანეტის სასიცოცხლო ქსელები. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნებისმიერი სისტემა კანონზომიერების ფარგლებში მოქმედებს. არ აქვს მნიშვნელობა, სისტემა საბანკო ქსელია, ნაციონალური სახელმწიფო, ტროპიკული ტყე თუ ყინულის შელფი; მისი ქცევა მათემატიკურ კანონებს ექვემდებარება. ნორმალურ პირობებში, სისტემა საკუთარ თავს არეგულირებს და ინარჩუნებს წონასწორობას. მას გარკვეულ ზღვრამდე სტრესის მონელებაც შეუძლია. მაგრამ შემდეგ, უცებ თავდაყირა დგება, გადალახავს გარდამტეხ მომენტს და წონასწორობის ახალ მდგომარეობას პოულობს, რომელიც ხშირად შეუქცევადია. კაცობრიობა დღეს წონასწორობის არსებულ მოცემულობას ეყრდნობა. თუმცა მთელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი სისტემების მუშაობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს. თუკი ერთი მაინც გამოვა მწყობრიდან, ის, დიდი ალბათობით, დანარჩენებსაც გაიყოლებს, რასაც ქაოსის ისეთი კასკადი მოჰყვება, როგორსაც სისტემურ ეკოლოგიურ კოლაფსს უწოდებენ. ანალოგიური პროცესების შედეგია წარსულის მასობრივი გადაშენებები. ერთ-ერთი მოსალოდნელი სცენარი ასეთია: სავანის სარტყელი, რომელიც ცნობილია სერადოს სახელით, გარს აკრავს ცენტრალურ ბრაზილიას. მისი მცენარეული საფარი დამოკიდებულია ცვარის წარმოქმნაზე. ცვარი წარმოიქმნება ღრმად ფესვგადგმული ხეებისგან, რომლებიც გრუნტის წყლებს შთანთქავს და შემდეგ მათ საკუთარი ფოთლებიდან ჰაერში აფრქვევს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სერადოს უზარმაზარი მასივები გაკაფეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის – დიდ- წილად სოიოს მოსაშენებლად, რომლითაც მსოფლიოს ქათმებს და ღორებს კვებავენ. ხეების ამოძირკვის კვალდაკვალ, ჰაერი სულ უფრო მშრალი ხდება. ეს კი ნიშნავს, რომ უფრო პატარა მცენარეები იღუპება, რითაც კიდევ უფრო მცირდება წყლის ცირკულაცია. გლობალურ დათბობასთან ერთად, რომლის შესახებაც ზოგიერთი მეცნიერი გვაფრთხილებს, ამ მანკიერმა წრემ, შესაძლოა, მალე და მოულოდნელად მთელი სისტემა უდაბნოდ გარდაქმნას. სერადო სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი უდიდესი მდინარის წყაროცაა, მათ შორის იმ მდინარეების, რომლებიც ამაზონის აუზს ერთვის. მდინარეების წყლით მომარაგების შემცირება გააღმავებს სტრესს, რომელსაც ტროპიკული ტყეები ისედაც განიცდიან. გაჩეხვა, ხანძრები, სიცხე – მომაკვდინებელი კომბინაციაა ტყეებისათვის და მათ სისტემური კოლაფსით ემუქრება.

სერადო და ტროპიკული ტყეები ტენიანი ჰაერის ნაკადებს – „ცის მდინარეს” ქმნის, რომელიც ნალექს მთელ დედამიწაზე ანაწილებს და ხელს უწყობს ჰაერისა და ოკეანურ დინებათა მოძრაობისაგან წარმოქმნილ გლობალურ ცირკულაციას. რამდენად რთული შესასწავლიც არ უნდა იყოს სისტემა, ყოველთვის შეიძლება იმის თქმა – უახლოვდება თუ არა ის გარდამტეხ მომენტს. სისტემის ნაწილები ციმციმს იწყებენ, და რაც უფრო ახლოსაა სისტემა კრიტიკულ ზღვართან, რყევებიც ძლიერდება. ის რაც, წელს ვნახეთ, დიდი გლობალური ციმციმია, როდესაც დედამიწის სასიცოცხლო სისტემები ნგრევას იწყებს. ჰაერის ცხელი მასები ჩრდილოეთ ამერიკის ზღვის სანაპიროს თავზე; მასობრივი ხანძრები ციმბირსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ირგვლივ; მომაკვდინებელი წყალდიდობები გერმანიაში, ბელგიაში, ჩინეთში, სიერა-ლეონეში, – ესაა განგაშის სიგნალები, რომელებსაც კლიმატი გვიგზავნის.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ გონიერი არსებები ამ სიგნალებზე სწრაფად და გადამწყვეტად ირეაგირებენ და რადიკალურად შეცვლიან საკუთარ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ. მაგრამ ჩვენ ასე არ ვიქცევით! ჩვენი მაღალი ინტელექტი და მაღალგანვითარებული ცნობიერება, რომელმაც ერთ დროს დიდი სამსახური გაგვიწია და ამდენ წარმატებას მიგვაღწევინა, დღეს ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს. მედიის მდგრადობის შემსწავლელი კომპანიის („Albert”) ანალიზში ვკითხულობთ, რომ 2020 წელს გაერთიანებული სამეფოს სატელევიზიო გადაცემებში სიტყვა „ნამცხვარი” ათჯერ უფრო ხშირადაა ნახსენები, ვიდრე „კლიმატური ცვლილება”, „შოტლანდიური კვერცხი” ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე „ბიომრავალფეროვნება“; „ბანანის პური” კი უსწრებს ერთად აღებულ „ქარის ენერგიის” და „მზის ენერგიის” ხსენებას.

ვაღიარებ, რომ მედია არ არის საზოგადოება და ტელეარხები დაინტერესებული არიან ბანანის პურის პოპულარიზაციით. ჩვენ შეიძლება ვიდავოთ იმაზე, თუ რამდენად დიდ უპირატესობას ანიჭებენ ჟურნალისტები ნამცხვარს კლიმატთან შედარებით. მაგრამ, ვფიქრობ, რომ „ნამცხვრის” და „კლიმატის” ეს თანაფარდობა, ყველაზე ცხადად გვიჩვენებს იმ „პროგრესს”, რომელსაც სისტემური ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში მივაღწიეთ. აშკარაა, რომ კარს მომდგარი გლობალური კატასტროფა ჩვენთვის აქტუალური არ არის. ჩართეთ ნებისმიერი რადიოსადგური, ნებისმიერ დროს და თავად დარწმუნდებით. ვიდრე მთელ მსოფლიოში ტყის ხანძრებია, წყალდიდობამ წალეკა ქუჩებიდან ავტომობილები და ნათესები ხმება, თქვენ ისმენთ დებატებს იმის შესახებ, თუ როგორ სჯობს წინდების ჩაცმა, მჯდომარედ თუ წამომდგარი, ან როგორ დაფაზე სჯობს ძაღლებისთვის ძეხვის დაჭრა. ამ მაგალითებს არ ვიგონებ, საკუთარი ყურით მოვისმინე სხვადასხვა რადიოტალღაზე, კლიმატური კატასტროფის დღეებში. შთაბეჭდილება მრჩება, რომ იმ წუთებშიც კი, თუკი დედამიწისკენ ასტეროიდი გამოემართება, ჩვენ კი რადიოს ჩავრთავთ, იქიდან გავიგონებთ: „მაშ ასე, დღის ყველაზე ცხელი თემა – გვიამბეთ სასაცილო ისტორია, რომელიც ქაბაბის ჭამის დროს შეგემთხვათ!”. აი ამ ოხუნჯობასა და გულგრილობაში სრულდება კაცობრიობა.

უპრეცედენტო კრიზისის პირისპირ ჩვენ სისულელეებზე ლაქლაქს ვამჯობინებთ. ნებისმიერ სხვა თემაზე ლაპარაკი სოციალურად შეუძლებელი ხდება. არ ვამბობ, რომ მხოლოდ მოსალოდნელ კატასტროფას უნდა განვიხილავდეთ. არ ვარ ოხუნჯობის წინააღმდეგი. მაგრამ არ შეიძლება, მხოლოდ ვერთობოდეთ. ეს მომაკვდინებელი არასერიოზულობა მხოლოდ მუსიკალურ და გასართობ არხებს არ ეხება.

პოლიტიკური „ახალი ამბების” უმრავლესობა ჭორებს გიამბობს: ვინ სად არის, ვინ რა თქვა. ისინი თავს არიდებენ იმაზე ლაპარაკს, რაც ამ ყველაფრის უკან დგას: შავი ფული, კორუფცია, ხელისუფლებების დემოკრატიისგან გადახვევა, მოსალოდნელი ეკოლოგიური კოლაფსი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს განზრახ არ კეთდება. ეს ქვეცნობი-ერი რეფლექსია, რომელიც ბევრად მეტს გვეუბნება ჩვენ შესახებ, ვიდრე ჩვენი გააზრებული ქმედებები. არსებობს წყლის მწერის, ბადეფრთიანის სახეობები, რომელთა სიცოცხლეც დამოკიდებულია მდინარის წყალზედა აბკის გარღვევაზე. მდედრი მწერი არღვევს ამ ზედაპირს, აღწევს ნაპრალში (რაც ასეთი პატარა და მყიფე არსებისათვის გმირობის ტოლფასია), ეშვება წყლის სიღრმეში და მდინარის ფსკერზე ქვი რითს ყრის. თუკი ზედაპირს ვერ გაარღვევს, ის ვერ დახურავს სასიცოცხლო ციკლს, რის გამოც მონაგართან ერთად დაიღუპება. ადამიანის ისტორიაც ანალოგიურია. თუკი ჩვენ არ გავარღვევთ ამ დაუსრულებელი გართობის ზედაპირს და არ ჩავუღრმავდებით იმას, რაც არსებითია, ჩვენ ვერ გადავარჩენთ ვერც ჩვენს შვილებს და შესაძლოა, ვერც ჩვენს ბიოლოგიურ სახეობას. მაგრამ, როგორც ჩანს, არ შეგვიძლია ან არ გვინდა ამ ზედაპირის გარღვევა. ჩვენს ამ უცნაურ მდგომარეობას „ზედაპირულ მღელვარებას” ვუწოდებდი, რაღაც შუალედურს, მოსალოდნელი კრიზისის შესახებ ცოდნასა და იმ ქარაფშუტობას შორის, რომლითაც ამ ცოდნას ვემიჯნებით. ზედაპირული მღელვარება დომინირებს მაშინაც კი, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ჩვენი სიცოცხლისათვის აუცილებელი სისტემების გადარჩენისათვის ვიბრძვით. კონცენტრირებული ვართ მიკროსამომხმარებლო სისულელეებზე: პაწაწინა საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, პლასტიკური საწრუპები და ყავის ჭიქები, ნაცვლად უზარმაზარი სტრუქტურული ძალებისა, რომლებიც კატასტროფისკენ მიგვაქანებს. შეპყრობილები ვართ პოლიეთილენის ჩანთებთან ბრძოლით. გვჯერა, რომ სამყაროსთვის დიდი სარგებელი მოგვაქვს, როდესაც ცელოფნის პარკებს ბამ- ბის ჩანთებით ვცლით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეფასებით, ორგანული ბამბის ჩანთების წარმოების მავნე ზეგავლენა კლიმატზე მეტია – ის 20 ათასი პლასტიკური ჩანთის წარმოებას უდრის. ჩვენ სამართლიანად ვბრაზობთ, როდესაც ვხედავთ ზღვის ცხენთევზას, რომელსაც კუდზე ბამბის ყურსაწმენდი აქვს გამობმული, მაგრამ არ გვაწუხებს, რომ თევზის ინდუსტრია ზღვის მთელ ეკოსისტემებს ანადგურებს. რადგან დედამიწაზე არ არის საკმარისი ეკოლოგიური და ფიზიკური სივრცეც კი იმისათვის, რომ ყველა ცალკეულმა ადამიანმა მოიწყოს კერძო კეთილდღეობა, საკმარისია თითოეული მათგანი ვუზრუნველვყოთ საზოგადოებრივი ფუფუნებით: შესანიშნავი პარკებით, საავადმყოფოებით, აუზებით, სამხატვრო გალერე-ებით, ჩოგბურთის კორტებით და სატრანსპორტო სისტემებით, საბავშვო მოედნებით და საზოგადოებრივი ცენტრებით. თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს საკმარისად უზრუნველყოფილი, და თუკი ფრთების გაშლა მოგვინდება, ამის გაკეთება ისე უნდა შევ-ძლოთ, რომ რესურსები სხვა ადამიანებს არ წავართვათ. ჩვენ გადავრჩებით, თუკი მორჩილებაზე უარს ვიტყვით. ეს იცოდნენ მე-19 საუკუნეში დემოკრატიისთვის მებრძოლებმა, სუფრაჟისტებმა, მაჰათმა განდიმ, მარტინ ლუთერ კინგმა. ეკოპროტესტანტებმა, რომლებიც სისტემურ ცვლილებებს ითხოვენ, ასევე გაითავისეს ეს ფუნდამენტური ჭეშმარიტება. სისტემური ეკოლოგიური კოლაფსის საწინააღმდეგო კამპანიებში. როგორებიცაა ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, დიდწილად ახალგაზრდებს, რომლებსაც მორჩილება აღარ უნდათ. მათ ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი გაიაზრეს. ჩვენი გადარჩენა ჩვენს პროტესტსა და წინააღმდეგობაშია.

დანართი 8

ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს! II ნაწილი, გვ. 145-148

საქართველოს ქალაქებს ისტორიის განმავლობაში ბევრი კარგი და ღირსშესანიშნავი მმართველი ჰყოლია, თუმცა მათ შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ საზოგადო მოღვაწესა და პოლიტიკოსს, პუბლიცისტს, თერგდალეულთა წარმომადგენელს ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც 1894-1912 წლებში ქალაქ ფოთის თავი გახლდათ.
ფოთი საქართველოს სანავსადგურო ერთ ერთი უძველესი ქალაქია. XIX საუკუნეში, მეფის რუსეთის მმართველობის დროს, ფოთი იყო თბილისისა და ბათუმის შემდეგ მესამე ქალაქი, რომელიც თვითმმართველობაზე გადავიდა, ანუ ქალაქის მმართველობა, მისი ბიუჯეტის განკარგვა, გადაწყვეტილებების მიღება ქალაქის მმართველობას დაევალა. ასეთ ვითარებაში მოვიდა ქალაქის სათავეში იაკობ ნიკოლაძე, რომელმაც ჭაობიანი, ტალახიანი, კეთილმოუწყობელი დაბა მალე ევროპული ყაიდის განვითარებულ საპორტო ქალაქად აქცია.

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს გონივრული მოწყობის ერთ-ერთ მთავარ პირობად ქვეყანაში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფას თვლიდა. ქართველ მოღვაწეებში იგი პირველი იყო, ვინც ევროპული თვითმმართველობის ფასი კარგად იცოდა და ჯერ კიდევ 1870-იანი წლების დასაწყისში ქადაგებდა ერობის შემოღების აუცილებლობას. სამწუხაროდ, მაშინ ქართველმა მოღვაწეებმა მას მხარი არ დაუჭირეს. არადა, თვითმმართველობა რეალური ავტონომიის მოპოვების უმთავრესი ბერკეტია. ნიკოლაძე მოხერხებულად ნიღბავდა ამ ტერმინს და უწოდებდა მეცნიერებაში მიღებულ ტერმინს „ფა- რთო ადგილობრივი თვითმმართველობა". მისი უშუალო ინიციატივით მოხდა ქ. თბილისის **ხმოსანთა** მიერ (სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ) დიმიტრი ყიფიანის თბილისის ქალაქის თავად არჩევა, ქ. ქუთაისში თვითმმართველობის შემოღება, მანვე ფოთი აქცია თვითმმართველობის კლასიკურ ქალაქად.
ნიკო ნიკოლაძე გადაჭრით მოითხოვდა საარჩევნო ცენზის გაუქმებას და მცხოვრებთა მთელი მასის (კაცი, ქალი) მონაწილეობას თვითმმართველობასა და არჩევნებში, ნიკოლაძეს კრება მიაჩნდა მასების აღზრდის სკოლად, ხოლო სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველაზე გონივრულ ფორმად - ხალხის წარმომადგენლობის პრინციპებზე აგებული თვითმმართველობა.

ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მმართველობის დაკომპლექტებისას უნდა შეირჩეს განვითარებული, გამოცდილი და ტაქტიანი ადამიანები, რათა ამ უკანასკნელებმა მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოიწვიონ ადგილობრივ მოსახლეობაში. ნიკოლაძემ ერთ - ერთმა პირველმა წამოაყენა იდეა, რომ საქალაქო თვითმმართველობას დაქვემდებარებოდა გამგებლობაში ქალაქის ყველა საქმე, რაც 1874 წელს შემოღებული თბილისის საქალაქო მმართველობის დებულებით ერთგვარად იზღუდებოდა. მაგალითად, თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედიოდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა საკითხები.

„თვითმმართველობა და დემოკრატიული წყობილება - წერდა იგი, საუკეთესო გარანტიაა წინმსვლელობისა და წარმატებისათვის, უმჯობესი სკოლაა საზოგადოების აღზრდისა... ნამდვილი თვითმმართველობა, როგორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მარტო წარმომადგენლობის წესით, რადგანაც მარტო ამ წესის შემწეობით დაარსდა უცხოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თანასწორობა და სიმართლე...
ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლობა ყოფილა მეორე და უაღრესი ნაბიჯი თუ საფეხური თვითმმართველობისა... ამ ქვეყნებშიაც (შვეიცარია და სხვ.)
ხალხის აზრის გამომთქმელი, ხალხის საქმეების მმართველი, ხალხის ბედის გადამწყვეტელი მაინც ხალხის წარმომადგენლობაა, რომელიც მარტო და იშვიათად სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებაში თავის განაჩენს, თუ ჯერ ხალხს არ აჩვენა და არ ჰკითხა - თანახმა ხარ ამ განაჩენისა თუ არაო".
საბოლოოდ, ნიკოლაძე დაასკვნის, რომ „ამგვარი მართვა საქვეყნო საქმისა ბევრად უფრო სამჯობინოა, ვინემ ერთიანი უხმობა ხალხისა, მისი ყურმოჭრილობა, მისი მონობა".
„დედამიწაზე ისეთი ერი არ მოიძებნება, რომელსაც თვითმმართველობა არ მოხდენოდეს. დააკვირდით ერის ზნეს და ცხოვრებას. თვითმმართველობის შემოღებიდან და შემოღების ათეული წლის შემდეგ: ყველაფერში შეამჩნევთ ცვლილებას და გაუმჯობესებას, ზრდას და გაძლიერებას, არა თუ მარტო საზოგადო საქმე ძლევით იმოსება, კერძო წევრებზედაც, მათ ზრდილობასა და ზნეზედაც ელვარებს თვითმმართველობა, ესე იგი, თავისუფლების შუქი" (ნიკოლაძე, 1894წ.).

„ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტა ოდნავ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არცერთი თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, რწმუნებული თუ ნაციონალური მიდრეკილება. ყველასგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ" (ნიკოლაძე, 20/1).
ნ. ნიკოლაძის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებიდან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სწორედ ასეთი მიდგომაა გასათვალისწინებელი თანამედროვე მმართველობის სისტემაში.

ნიკოლაძე ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვას ამართლებდა არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ იგი მიაჩნდა წინაპართა მიერ დატოვებული ადათ-წესებისა და ზნეობრივი თვისებების გადარჩენის საშუალებად. ნიკო ნიკოლაძე ქალაქის მოსახლეობამ თავის მმართველად ზედიზედ ხუთჯერ, ოთხ-ოთხი წლით აირჩია. ნიკო ნიკოლაძემ უპირველესად ნავსადგურის შენებასა და კეთილმოწყობას მიჰყო ხელი. ნავსადგურს უნდა მოეტანა ქალაქისათვის ეკონომიკური განვითარება. მანვე დააწესა პირველი საბაჟო გადასახადი, რომელიც ძალზე მცირე იყო, თუმცა საბოლოოდ მნიშვნელოვანი
თანხა გროვდებოდა. ფოთი საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთი პირველია, რომელიც გენერალური გეგმის მიხედვითგაშენდა. ეს გეგმა ნიკო ნიკოლაძემ პარიზისგან აიღო.

ნიკო ნიკოლაძემ გააშენებინა იშვიათი დენდროლოგიური პარკი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი მცენარეები ხარობდა. ფოთს ახლაც აკრავს ევკალიპტის ტყე, რომელიც ამავე პერიოდში გააშენეს, რადგან აღმოჩნდა, რომ ეს მცენარე საუკეთესოდ იწოვს ნესტს. გათხარეს სადრენაჟო არხები, დაიგო ქვაფენილები, გაიხსნა პირველი საავადმყოფო, მოეწყო ტელეგრაფის ხაზი და ა. შ.1908 წელს შესაძლებელი გახდა ფოთის ელექტროფიკაცია, განათდა ნავსადგური და ქუჩები, აშენდა 20 კაპიტალური სახლი, სადაც სახელმწიფო დაწესებულებები განთავსდა. ნიკო ნიკოლაძემ შეძლო ფოთისთვის მიეცა ნამდვილი ქალაქის სახე და მისი განვითარებისათვის ახალი გზები გაეხსნა.
ნიკოლაძე იყო ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ხელმძღვანელი – მან 1894 წელს კნჭი იყარა და ფოთის მეოთხე სათათბიროს წევრად გავიდა, ხოლო იმავე წლის 25 ოქტომბერს ქალაქის თავად აირჩიეს. ინსტრუქციის თანახმად, ფუნქციონალური განაწილებით ქალაქისთავს ევალებოდა: საერთო ხელმძღვანელობა, თანამდებობის პირთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, გამგეობის წევრთა შორის საქმეების განაწილება, სათათბიროს დადგენილებათა შესრულებაზე კონტროლი, გუბერნატორის მითითებათა შესრულება, წლიური ბიუჯეტის შედგენა. ქალაქის შემოსავლების და კუთვნილი ქონების გამოყენების კონტროლი, კადრების შერჩევა და სხვა.

1907 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ მოწოდებაში ჩამოთვლილია ის მიღწევები, რისი გაკეთებაც შეძლო და მომავალში აპირებდა ქალაქის თვითმმართველობა: პორტის მკვდრეთით აღდგომა, ღვარსადენისისტემის აგება, ელექტროგანათება, სატელეფონო ქსელი, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების შენობები, ცხენის რკინიგზა, სასაფლაოს მოწყობა,სამკურნალოსა და პოლიციის შენობები, ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღები და ა.შ.

სამომავლოდ გასათვალისწინებელი იყო: რიონის შეერთება არხით პორტთან, რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება, ქალჯაქის საზოგადო ბანკის გახსნა, სამასწავლებლო სემინარიისა და ინსტიტუტის დაარსება, ჭაობების ამოშრობა და სხვა.
ფოთის საქალაქო თვითმმართველობა ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ნაყოფიერად საქმიანობდა 1912 წლამდე. იგი ქალაქის წამყვან მაორგანიზებელ ძალად გადაიქცა, ფოთის მოქალაქეები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ სათათბიროს არჩევნებს. ხმოსანთა კონტიგენტი ყოველი არჩევნების დროს მეტ-ნაკლებად იცვლებოდა. შეუცვლელი მხოლოდ ნ. ნიკოლაძე იყო, რომელიც ათეული წლის განმავლობაში განაგებდა ქ. ფოთს, სათავეში ედგა დიდი მასშტაბის სამუშაოებს.